ჯორჯოხი

ცოტნე ჯაიანის ნახატი

2 2019

აჭარის მწერალთა სახლი

ISSN 0134-3459

19002

9 770134 345001

ჭოროხი

გამოცემის 61-ე წელი | მარტი-აპრილი | №2 | 2019 წელი

სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი

სანდრო ბერიძე

სარედაქციო კოლეგია

როინ აბუსელიძე
ცისანა ანთაძე
გენრი დოლიძე
შოთა ზოიძე
დავით თედორაძე
ლალი კონცელიძე
გურანდა ნიჟარაძე
რამაზ სურმანიძე
ჯემალ სურმანიძე
ბელა ქებურია
ვახტანგ ღლონტი
თინა შიოშვილი
მაია ჯაფარიძე

ტექნიკური რედაქტორი და
კომპიუტერული უზრუნველყოფა

მალხაზ ფალავა

ოპერატორი

მარიკა ლაშხია

დაარსებულია 1958 წელს
გამოდის ორ თვეში ერთხელ

ISSN 0134-3459

© „ჭოროხი“, 2019

რედაქციის მისამართი:
6009, ბათუმი, მელიქიშვილის ქ. №21
ტელ.: (422) 27-15-30

გამომცემელი
ა(ა)იპ აჭარის მწერალთა სახლი

ჟურნალი დაიბეჭდა
შპს „კოლორ პრესში“.
თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №20

ავტორთა საყურადღებოდ:
რედაქციაში ელექტრონული სახით შემოსული ნაწარმოებები აწყობილი უნდა იყოს
შრიფტით Sylfaen, 12 pt. (კოდირება: უნიკოდი (UTF-8);
რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

შინაარსი

პოეზია, პროზა

ბელა ქებურია – ლექსები 3
ნოდარ შამანაძე – გიორგი ლეონიძე 26
გალაკტიონ ტაბიძე 32
ზურაბ ზოიძე – ლექსები 37
მაია მახარაძე – გვიანი სინანული (პიესა. დასაწყისი) 45
ჯემალ სურმანიძე – ლექსები 77
რამაზ სურმანიძე – ძალადობა (ნოველა) 82
იამზე ბერიძე – ლექსები 86

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

მიხეილ მახარაძე – შენიშვნები ერთი „ფილოსოფიური“ ნარკვევის თაობაზე 95
ტარიელ ფუტკარაძე – ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი 100
ანზორ ლორთქიფანიძე – რუსთველოლოგიური საკითხები –
რას ნიშნავს „ერთარსება?“ 105

ეკონომიკა

მაია ჯაფარიძე – სასკოლო ექსკურსია, ექსკურსია-ლაშქრობა
და დარგობრივი ექსპედიცია 110

ინტერვიუ

დემეტრე ჩალიგავა – „ზღვაური“ ულოცავს „ჭოროხს“ (ინტერვიუ პოეტ სანდრო ბერიძესთან) ... 113

ხსოვნა

ალექსანდრე ჯიბლაძე – ზურაბ ხაბაძის გახსენება... 117

პოეზია, პროზა

ბელა ქებურია

ცნობილი პოეტი **ბელა ქებურია** იუბილარია. საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის აჭარის ორგანიზაცია, აჭარის მწერალთა სახლი და ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქცია გულწრფელად ულოცავს ქალბატონ ბელას იუბილეს და უსურვებს შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

ბიოგრაფია

ბელა ქებურია დაიბადა 1959 წლის 1 მაისს დ. ჩხოროწყუში. 1981 წელს წარჩინებით დაამთავრა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი. მუშაობდა საქართველოს რადიოს ახალგაზრდულ გადაცემათა რედაქციის – „სიჭაბუკის“ ჟურნალისტად. 1982 წლიდან ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექტორად. პარალელურად, ამავე უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის, ხოლო შემდეგ, მ. კობალაძესთან ერთად, ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელად. 1988-1989 წლებში ასპირანტურის სტაჟირება გაიარა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ჯერ XIX, ხოლო შემდეგ XX საუკუნის ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრებზე.

ქ-ნი ბელა დიდი ქართველი მწერლების ფრიდონ ხალვაშისა და ზურაბ გორგილაძის სახელობის ნორჩ შემოქმედთა პოეზიის კონკურს „ზღვაურისა“ (2012 წ.) და ლიტერატურული ჟურნალ „ზღვაურის“ (2011 წ.) დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია, საქველმოქმედო ფონდ „საკურთხევლის“ ვიცე-პრეზიდენტი და „თამარ მეფის“ სახელობის ფონდის ბათუმის ფილიალის თანადამფუძნებელი. „ბათუმის დამსახურებული მოღვაწე“ (2014 წ.), სრულიად საქართველოს ჩოხოსანთა დასის წევრი და აჭარა-ლაზეთის სადროშოს კულტურის სამსახურის კოორდინატორი. ლიტერატურუ-

გრძნობის პწკარედი...

არ ვიცი – რისთვის, არ ვიცი – რატომ,
არ ვიცი – როგორ, ანდა საიდან...
ის – გამოარღვევს მღვრიე უკუნეთს
და ამომიყვანს სარკოფაგიდან.

დახსნის დროის და სივრცის არტახებს,
კვლავ შემომიტევს ორლესულებით,
ისე სასტიკად გამამათრახებს,
არ შეაწუხებს ჩემი წყლულები.

ცას გადასერავს ელვის არმადა,
გულს – ტკივილების ლეგიონები,
როცა მგონია – ბრძოლა დამთავრდა,
მაშინ იწყება ომი – გონების...

დროსაც თავისი სჭამს უდროობა,
შედედებულა სუნთქვა, როგორც რძე,
მე ახლა შენგან უნდა დავიხსნა,
რამენაირად ანდა როგორმე

თავი... ჰო, მაგრამ რის გადარჩენა,
დაფანტულია ფორმაც და არსიც...
შიშისგან ვეღარ დავძარი ენა,
მხარზე არწივის ბრჭყალებით მაზის...

ლი ფესტივალის „ზე-კართან“ საპატიო ყაბალახისა და „მაჭახლობის“ საპატიო ქამრის მფლობელი. სხვადასხვა საქველმოქმედო ფონდების წევრი. საქართველოს მწერალთა კავშირისა და ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემიის ნამდვილი წევრი. 8 წიგნის ავტორი, 10 წიგნის თანაავტორი, 40-მდე წიგნის რედაქტორ-შემდგენელი. წელს აზერბაიჯანში იბეჭდება იმირ მამედლის (მამედოვის) მიერ თარგმნილი ბ. ქებურიას ლექსების წიგნი. მისი ლექსები შესულია ქართული პოეზიის, ქართული საბავშვო პოეზიისა და სომხურ ენაზე გამოსული თანამედროვე ქართული პოეზიის ანთოლოგიებში, ეს უკანასკნელი ორჯერ, 2007 და 2017 წ. ერევანში გამოიცა. მისი ლექსები თარგმნილია ინგლისურად (ნ. დვალიძე), ფრანგულად (ი. ცენტერაძე), გერმანულად (რ. ფარცვანია), სომხურად (მთარგმნ. გაგიკ დავთიანი) რუსულად (ვ. სარიშვილი და გ. ქებურია), უკრაინულად (სერგეი გოლუბევი), თურქულად (მ. ხარებავა), ესპანურად (ფ. კიპაროიძე), აზერბაიჯანულად (იმირ მემედლი) და ბერძნულად (ა. მესხორაძე). თავადაც ნათარგმნი აქვს ვილიამ ვორდსვორთის (ინგლისი), აჟდარ ოლის (აზერბაიჯანი), გაგიკ დავთიანის (სომხეთი), ვეისელ ჩოლაქის, ლეილა იშიქისა და ათაოლ ბეჰრამოღლუს (თურქეთი) ლექსები პწკარედების მეშვეობით.

8 ლიტერატურული პრემიის ლაურეატია: ილია ჭავჭავაძის, ტბელ აბუსერიძის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელობის პრემია ბავშვთა ლიტერატურული კონკურსის „სიკეთის ხისგან“ – მომავალი თაობის წინაშე გაწეული ღვაწლისათვის (პოეზიის კონკურსი „ზღვაურისა“ და ლიტერატურული ალმანახ „ზღვაურის“ გამო), ზურაბ გორგილაძის, მარიკა ბარათაშვილის, „პოეზიის დღე – შოთაობის“ (მესხეთი) „უქიმერიონისა“ (ქუთაისი), ჟურნალ „ოლეს“ (კახეთი).

როკ-ჯგუფ „КОН'ГО“-ს კომპოზიტორმა და ხელმძღვანელმა ს. გოლუბევმა ბელა ქებურიას ლექსებზე 12 სიმღერა შექმნა. მისი ლექსები აამღერეს კომპოზიტორებმა მანანა ხორავამ (საგუნდო), ზვიად ბოლქვაძემ, მინდია ხითარიშვილმა, მანანა გაბაიძემ, ესპანეთში მცხოვრებმა ქართველმა კომპოზიტორმა და მომღერლმა მაია სიჭინავამ და დავით შვანგირაძემ (ჰიმნი ქუთაისს).

ჰყავს მეუღლე – თემურ კახიძე, ორი შვილი დავითი და ირაკლი, სამი შვილიშვილი – ალექსანდრე (ლექსო), თემური და ირაკლი.

და ჭრილობების წითელ ფოლიანტს,
კითხულობს გრძნობის ყველა პწკარედი,
ორთაბრძოლიდან გასვლა მომინდა
და მაინც... ლექსის მორევს
დ ა ვ ნ ე ბ დ ი!

2019 წ.

* * *

ხსოვნა ტოტებს შერჩენია,
ნისლის ფთილის მაგვარად,
რაც გეგონა – რომ შენია,
მოვიდნენ და წაგგვარეს...
ყველა საზღვარს გადახვედი,
ხრამის პირას ქანაობ,
შუბ-ნასროლი გტკივა გვერდი
და სად მინა-ნა-ნაობ?!
დაეგლიჯა ღრუბელს ფრთები,
ქრება ვარსკვლავთ ბწკარედი,
შენს სიკვდილს ვერ დავესწრები,
წა-ვე-დი!

2019 წ.

ნანა ჯყონიას

სადღაც იხსნები ღმერთის ღიმილად,
ცაო, მაღალო, თამაშ-თამაშით...
ამომიყვანე ველის გვირილად,
უფლის წყალობის სამკელ ყანაში.
სულზე იათა ნამი მაპკურე,
თორემ სევდისგან მაშრება უბე,
მოდი, მუსიკის ენა წამართვი,
მერე უფალთან გამასაუბრე...
ჩაჩუმდა ჩემი სიცოცხლის ხვიმრა,
უკვე ჩალია ყველა საფქვავი,
მსურდა – გამეგო, რა ვარ ან ვინ ვარ,
თუმცა არ მაცდის მიწა – საფლავის...
მე ვენდობოდი შენს კეთილ ზღაპრებს,
თუმც ალიყურებს ჩემს ლავიწებთან –
ვგრძნობდი, ამიტომ ამ ბოლო დუელს,
აზრი არ ჰქონდა – ვინ დაიწყებდა!

მივდივარ, მიმაქვს სველი სტრიქონი,
ცხელი სურვილი – გიჟი ქარების,
ისმის საყვირი იერიქონის
და ღია მხვდება უფლის კარები!!!

26.03.19
02.51

მიტოვებული სოფლის ტირილი

იელვა, ზეცის კაპილარები
გაწყდა და თქეში წვიმა მოვიდა...
პარმაღთან დგანან მხოლოდ ქარები,
ავი ამბები მოაქვთ შორიდან.
ყვებიან – ისევ იბანსო ხელებს
პილატე, მაგრამ მეგონა ჭორი,
მე დავივიწყებ თქვენს გვარ-სახელებს,
რადგან იუდას ავი ამბორი
ძარღვებში სისხლის ყივილს მავიწყებს,
ხმაურობს ხსოვნის ძველი დინება,
არ მემეტება მაინც სამიწედ
და მინდა თქვენი გამოფხიზლება...
ხერხემალს ხერხავს უცხო ხარხარი,
მე თავს დაბლა ვხრი და ვიკუნტები,
მიტოვებული გახმა ბაღნარი,
სარკმლებში ცივი დგას ბინდ-ბუნდები...
გაყიდულია მიწა, რომელიც
ოდენ წინაპრის ძვლებით გამთბარა,
დაფარულია ბარდის ძეძვებით
ბილიკი, შუკა, სოფლის გზა-შარა.
ახლა სიტყვებიც სხვა გზით მიდიან,
ხორხიც ხევდება ლექსის სტრიქონთან,
მე განა რამე... სოფლის ხმაური,
ბუხრის მილიდან კვამლი მინდოდა...
აღარ ამოდის წყეულ თავიდან,
ფიქრი იმაზე, რომ აღარ მეძებთ,
ზურგს თუ შემაქცევთ... ალბათ ავიტან,
გულს თუ შემაქცევთ, ვერასდროს შევძლებ –
ავხსნა თქვენს კარებს მძიმე ურდული.
სიცივე ძვლებში ატანს კერიას,
ძველი ბალიშის ცრემლიც, ბუმბულიც...
მტრედებს ბუდეში ჩაუფენიათ.

2018 წ.

ჭრელია...

ჭრელია ფიქრი, ჭრელ გველზე უფრო,
თავს უყრის აზრებს – მგესლავს და ავებს,
იმდენად მიკვირს, მგონია – ხუმრობს,
ამასობაში მოვაპირქვავე –
ცხოვრების ქვევრი. მზე ჩადის. გაღმა,
ფერდობზე ღუის მწიფე შინდები,
სიყვარულს აღარ, ტკივილს ვგრძნობ ახლა,
გემუდარები, ნუ შეშინდები!

2018 წ.

ცხოვრება ანუ პარალელური ემოციები

მთელი ცხოვრება – შენს ცხოვრებას
მოთმენა ერქვა,
იყო სიცივე ან პირიქით,
იყო კოცონი,
მიწაზე დაბმულს, ღამ-ღამობით
გეძახდა ზეცა,
გაფრინდებოდი, რომ არ გეგრძნო
ტვირთი მოთოვის...
ფრთებზე, რომელიც არასოდეს
არ გაგიშლია.
ცხადიც, სიზმარიც... გაგინასკვეს
აკვნის არტახით,
თავად არ გსურდა ის კვანძები
რომ გაგერღვია,
მიტომ ცხოვრება სასურველი
ფერით მოხატე...
მაგრამ იღვიძებ, სიზმრებიდან
ძილი გამოდის,
დაკემსილია ემოციის ყველა
საკაბე,
იფეთქებს უცებ გადაჭრილი
სულის აორტის –
ბოლო ბგერა და გამოგიტანს
ისეთ განაჩენს...
მოგაყურადებს ეჭვიანად ისევ
ზეცა და

მიწა... შეუკეცავ სხეულს
სარჩულებს,
უკვე გაეცი ყველა განძი,
რაიც გებადა
და... სულერთია, ახლა დუელს
ვინ დაასრულებს.

2018 წ.

* * *

მზემ გადაბელა მთებზე ღრუბლები,
ცისარტყელათა ნატერფალებით,
თითქოს სამყაროს სხეულის ყველა –
უჯრედით უმზერ, მარტო თვალები
რას გეყოფოდა, გიმღვრევს გუნებას –
რაც ქარებს უკან წაულალიათ,
(ვთქვათ) – ვაი, ასეთ თავისუფლებას,
მოჩვენებითად გახსნილ გალიას.
აღდგომის ხორბლად ამოთავთავდა –
ტკივილი წყვილად, ხანაც წყებულად,
ახლაღა ხვდები, კი არ დამთავრდა,
თავისუფლება არც დაწყებულა.

2018 წ.

ავტოპორტრეტი

ვინ არის?! – თითქოსდა... სრული და შემდგარი,
წამიც და... საყრდენი ეცლება ერთიან,
სულ თავზე ემხობა ჟღრიალა ერქვანი,
რაჲც გაძლებაზე მისხალით მეტია.

სულის მიწისძვრების ყველა ნაპრალიდან
მოხეთქილ ლავათა ნაკადს – დაადნები,
მარტი აპრილის ნაპირზე გადავიდა,
რადგან ვერ შეავსო ფოთლების ბარათები.

მთავრდება სიცოცხლის ახალი წრებრუნვა,
დაღლილი მხრებიდან იმედის ფარანჯას
იხსნი და ახურავ იმ ბოლო იმედებს,
რომელიც ზამთარის ზვავიდან გადარჩა.

2018 წ.

ანას და ნეკერას

ცეცხლწაკიდებულ სულის რძისფერ, გაბნეულ ბოლში
დავტოვებთ სხეულს, რადგან დარდი გვქცევია ჩვევად,
წყაროსთან დარჩა ყველა გოგოს – კონკიას ქოში,
გვინდა, დავბრუნდეთ ბავშვობაში, რადგან ამჯერად

ვერსად ვიპოვეთ მალამო და თავშესაფარი –
რადგან ბუნებით, ბუნებრივი შეგვრჩა ბუნება,
სიზმრებს შემორჩა ის – რაც იყო, ხოლო რაც არის,
რატომ ჰგონიათ – ახირებად მოგვეგუნება.

ჩაძირულია ხსოვნის ფსკერზე მზის სხივი ყველა,
ჭერზე ნათურის მავთულწნული ყულფად ჰკიდია,
აღმართ-დაღმართებს ვეჩვეოდით ვით საქანელას,
რომ არ გაიქცნენ, მზეს ჩრდილებით გაუბინტია

ყველა ხე, ბუჩქი, სახლი, სვეტი თუ მოაჯირი,
არ გაწყვეტილა რადგან ჩვენი – სულთა კავშირი!

2018 წ.

წამი, როცა გაქცევის სურვილი იბადება

ვუახლოვდები...
მიზიდავენ ცის ოვალები,
მიღმიერ სივრცის,
აუხსნელის...
მიპყრობს ზმანება,
როცა შრებიან გრძნობებისაგან
ჩვენი თვალები,
ალბათ, იოლი მაშინ ხდება
გარდაცვალება.

2018 წ.

* * *

ვიცი, რომ წავალ...
ან ამ ქვეყნად ვინ დარჩენილა?!
ჰორიზონტიდან ერთი ხაზით
გადავინაცვლებ,

ამ ხმაურიან ტანდემიდან –
ლექსის ხემიდან,
ვინძლო გადარჩეს პოეტური
ბგერის სიმაღლე.

2018 წ.

* * *

წკაპ... და რიჟრაჟმა კარი შეაღო,
ველის სულები ჩრდილებს ელტვიან,
დღის დაბადება ისეა ახლო,
რომ ბგერის ჩქამიც – მეტისმეტია!!!

2018 წ.

– თქვენ გაინტერესებთ, ვინ არის პოეტი?
– დიახ, თავისი ანით და ჰოეთი!

პოეტი

გთხოვთ, გაიხადოთ ფეხზე და გაიშიშვლოთ ტერფი,
ბასრ, ფერ-ელვარე კენჭებს, ანდოთ სათუთი ფეხი,
ფეხი, რომელიც დღემდე, მამულის მიერ – მოერს,
არ გასცდენია, ახლა უცხო ტკივილებს ჰპოვებს...
გთხოვთ, რომ დახუჭოთ თვალი და როგორც დედოფალი,
ამაყად, ნაზად, ნდობით უნდა დამეყრდნოთ ხელზე...
მომყევით, ნუღარ თრთიხართ, როგორც მზის სხივი თრთვილზე,
თქვენ ახლა მთელი ჯარი, განდობილების – გიმზერთ...
მზად ხართ? ჰო, ახლა ფრთხილად... პირველ ნაბიჯებს ვადგამთ
და მაინც მზარავს შიში, თქვენ აცახცახდით რადგან.
არადა მწვანე ფარჩას, არ გასცდენია ტერფი,
აგჩქარებიათ მაჯა, დაწყებულია დერბი*...
წამწამთა მუქი ჩერო, მეწამულ სხივებს იკრებს,
მინდა, რომ დავიჯერო, მაგრამ ვერც ხვდებით იქნებ,
ჩვენთვის ეს ოცი წამი – საუკუნეა ოცი,
მარადისობის ქარი შუბლზე იმედით მკოცნის.
განცდის კარს – პირველს, ვაღებთ, კარგად დაფიქრდეთ, დროა,
თქვენ შეგეცვალათ სახე, თუმც ახლოსაა სტოა**.
იმედით მიმზერთ? მაშინ ფრთხილად გადადგით ბიჯი,

* დერბი – ახალგაზრდა ცხენთა პირველი შეჯიბრი.
** სტოა – ტაძრის კარიბჭე.

უპრიანია ახლა თქვენთვის მოთმენის ნიჭი...
რად გაგეყინათ ხელი, რატომ ცახცახებთ ასე?!
ეგ არაფერი, ტკივილს – კიდევ ბევრს ნახავთ გზაზე...
მეორეც... ხედავთ ახლა გადანაწილდა რადგან,
ტკივილი ორთავ ტერფზე, ოდნავ შვებასაც ნახავთ.
მესამე ნაბიჯს უცებ, მეოთხეც მოაყოლეთ,
...აჰა, ბავშვობის სახლი, სახლთან ქვის დიდი ყორე,
მას აღიქვამდი ბალღი, ვით ბაბილონის გოდოლს,
იხსენებ გაზაფხულებს, მაგრამ მერე კვლავ მოთოვს...
და თქვენც ბავშვობის ცაზე ხედავთ ფერწასულ ღრუბელს,
ტბა რომ გეგონა, თურმე – ყოფილა ციცქნა გუბე,
რომ ბაბილონის გოდოლიც, სულ წარმოსახვის ბრალია,
თავისუფლება გეგონა, თურმე ყოფილა გალია –
სიცოცხლე. აქ-კი შევჩერდეთ, გავხედოთ ჩვენს გზა-შარას,
გვივლია... ერთად გვივლია, მე მგონი, ცოტა ჩქარაც!
თუმცა ასეა, ტკივილი, როცა გაწუხებს – ჩქარობ,
მადლობელი ვარ, უფალო და შენიც – ზურგის ქარო!
ხომ ვიცი, ციცქნა წამი ვარ, მაგრამ ხანდახან ვხვდები,
ვარ თვალის დახამხამება, ხან საუკუნე ვხდები.
ვბრუნდები თქვენთან... და ვხედავ – ჩაკეცილია სივრცე,
გაოგნებისგან დავმუნჯდი, თქვენ შიშის სამოსს იცმევთ.
...სულ დაგენამათ ხელები, ვგრძნობ, გული აგიხირდათ,
ვხვდები, ტკივილებს ეჩვევი, სიცოცხლე ამად ღირდა...
ტკივილთა წყვილი მოწმე ვართ, ერთად მიმღები ტანჯვათა,
ტერფიდან სისხლი მოგწვეთავს და ჰა, ბილიკიც გათავდა...
თუმცა სამყარო ყრუ არი, ჩამოვიფერთხეთ ეჭვები,
თვალწინ დაგვიდგა უფალი, ჯვარზე გაკრული ბეჭებით.
უცებ ტკივილიც გაშეშდა, დამუნჯდა გაოგნებით...
აი, ეს არის პოეტი, მგონი, თქვენ უკვე ხვდებით!!!

მოლანდება გოდერძზე, ალპურ ბოტანიკურ ბაღთან

„გაღმა ბაღებს გავბღაოდი,
დაჭრილ გულის მოწვითაო“
ზ. გორგილაძე

მიხმობს თითქოს შორიდან, მგელი ბალან-აშლილი...
გალაქტიკას მოშივდა, გაჰყვა ბარათაშვილი!

ალბათ, ერთეულები ამ გზით ისევ ივლიან,
წიწამური აქაა, არსადა სჩანს ილია...

გზებზე რიბი-რაბოა, ქართველთა გზა... კვლავ ძნელი,
დღესაც ისევ მარტოა, მომავალი... გრანელი!

გაუმკლავდა ასტრალებს, აქ... არ დარჩა იოლი,
ამიტომ გაიშალა ფრთები – გალაკტიონის!

თენდება და ზე-კარზე მთათა ბროლის ლილა ძევს...
ხარ-ირემი ბღავის თუ... ბუბუნებს გორგილაძე?!

აგვისტო, 2018

სიყვარული

(როის ექსპრომტად)

იცი? ჯებირებს გადალახავს ყველა მდინარე,
ერთხელაც ისე, რომ ნაპირი ფსკერზე დარჩება,
შენ სხვებში – სხვისით გახარება, დაგხვდა მძინარე
და ამიტომაც ვერ შესძელი გამოსარჩლება
ბედნიერების, სხვებს რომ გულზე ლოდად ჰკიდიათ
და ეჩვენებათ, რომ ყველა გზა მიდის მათ სახლთან,
სადაც ცხოვრობენ, შენ კი ასე არ შეგიძლია,
რადგან ვერ შეგჭამს სიძულვილის და ბოღმის მახრა
და ამიტომაც მოდის შენთან – შენ სარკმელს უღებ,
იხეტიალა, სხვის გულებშიც ეძება რადგან
ნავსაყუდელი, სახლი, ბინა თუ ციცქნა ბუდე,
ვერსად იპოვა, დაგიბრუნდა და მოგიხატა
სული, სხეული, გულისგული და მერე მზერა...
კედლებზე, ჭერზე, ლავანგარდზე, ფანჯრის მინაზეც
იხეტიალა, იკისკისა, გული იჯერა,
ასე რომ... იგი ისევ დადის დედამიწაზე.

აღდგომის ღამე

სამია სრული. ცას შეჰყეფენ სადღაც ძაღლები,
ღამის ქლამიდი* მთვარის ქიმმა შუა გახია,
ძაღლის ხმას არა, მგლების ყმუილს უფრო ავყვები,
რადგან ახია, ჭეშმარიტად, ჩემზე ახია!

ის ფეხშიშველი – მე მაშია მეცვა წითელი,
ის ხამი კაბით... ვიზომებდი დიბას და ფარჩას,

* ქლამიდი – ერთგვარი ლაბადა, ძვ.ბერძნებისა და რომაელების სამოსი.

გოლგოთის აღმართს მიუყვება ღმერთი და ძელის,
შემშველებელი ხელის მხოლოდ ორიოდ დარჩა...

და ისიც ნებით?! ალბათ, ღმერთმა უწყის თავადვე,
ვისთან დაუშვა, რად დაუშვა – ოცდაათ ვერცხლად...
რწმენის კლდე – პეტრე, უარყოფდა სანამ სამამდე,
მამლის ყივილი ფერდში მოხვდა მეწამულ ზეცას.

ხელში შემომრჩა წყაროს წყალით სავსე ფიალა,
მსურდა, უფალო, მომეწვდინა შენამდი იგი,
ვეღარ გავბედე... გავლუმპულვარ ცრემლში მთლიანად,
შენ-კი, მე – ცოდვილს, მაპატიე და შემირიგდი...

ანუ, ზიარ-მყავ სისხლსა შენსა და ხორცსა შენსა,
მეც სინანულის ცრემლის პერანგს ვიქსოვ სვენებით,
ელვადაკრული ცხრა ადგილას იწვოდა ზეცა,
მან ბრძანა: – აქ ვარ, ნუ გეშინიან, შეგეშველებით...

არის რაღაც ისეთი

არის რაღაც ისეთი, ზოგჯერ, ალბათ ასეთიც,
რომ გეხვევა თავბრუ და... ანდა გესხმის თავს რეტი,
შენი ციხე-დარბაზის, ცხრაკლიტულს რომ აღებდი,
მივხვდი – სხვისი ჟამია, ვერ გიხდები თავმდები...

რადგან ცამ, საფირონმა (ავი დარი თუ არი),
ელვაზე შეიხია მოციმციმე ვუალი,
მერე ისე ეტკინა, დაავიწყდა რიდი და...
გულზე თავი მოგადო და მწარედ აგიტირდა.

იქნებ, მეც ვერ ვივარგე და უღონოდ დაეშვა
ხელი – ბანას, ვარძიას, ოშკს, ზარზმას რომ აგებდა.
აღარ... ვეღარ... თუ რავი... მინდა ამოვიბღავლო,
მტკვარში ლანდად ცურავ თუ... სვეტიცხოვლობ – ცისკარო!

ქარმა ელეთ-მელეთად, კლდე-ღრეს გადაუარა,
უნდა გამომიფხიზლდე, გამოცოცხლდე... თუ არა
და... მე ვიცი, ჩვენი ბოლო ჟამია,
ფარა უფლის გზას ასცდა, ღვთისმშობელო, მარიამ!

მოგვეშველე, შიშისგან შიში გადაგვავიწყდა,
ტკივილს ისე ვეჩვევით, ვერც კი ვამჩნევთ თავიდა-(ნ)-

თავი – კიდევ ის არის, ირგვლივ არ ჩანს არავინ,
გულის კარი გაგვიღოს ან გვიჩვენოს კარავი...

თუნდაც სულაც უბრალოდ, ფარღალალად დაწნული,
შენში თავისუფალობს მომავალი – აწმყოთი,
აწმყო კიდევ – წარსულით.

...და რადგან მოშლილი გაქვს ყოველივეს საზღვარი,
მითი შენში – ცხადია, სინამდვილე – ზღაპარი,
ამიტომაც არა გაქვს, ადგილი მიჩენილი,
წარსულისთვის – წარსული, მომავლისთვის – მერმისი...

და აწმყოდან გარბიხარ წინაპართა ლანდებთან,
(საოცარი რამ არის, ისიც აქეთ დაგვდევდა)...
უცნაური ერი ხარ, მისტიკური ერი ხარ,
წესით უნდა ტიროდე, შენ-კი მაინც მღერიხარ.

სადაც ხელს ჩაიქნევდა, ღვთის სხვა შთამომავალი,
შენ სიმღერით უპოვე წყლულს – ღვთიური წამალი...
და გაგლეჯილ გულიდან ბგერა, როგორც მირონი,
წვეთავს თაფლად, ხან სისხლად... მირონინებს სტრიქონიც...

...ზოგჯერ – ასე გზიანად, ხშირად, უგზო-უკვალოდ,
რადგან დღევანდელ დღემდე, მოგვიყვანე, უფალო,
აწი მაინც, მოგვმადლე... დაგვხსენ თავბრუ, თავს რეტი,
თორემ ავანსცენიდან, კულისებში გ ა-ვ ე-დ ი თ!!!

P.S. მაგრამ, მაინც იმედი... მეტი რა დაგვრჩენია,
„აწმყო თუ არა გვწყალობს, მომავალი ჩვენია!“

ვშლი ბლოკნოტიდან ძველ მისამართებს

ვშლი ბლოკნოტიდან ძველ მისამართებს,
სახელებს... უკვე ჩარჩოში ჩასმულთ,
დაბადების დღე შეითამაშებს,
ჩინჩხლებს შემაყრის, არაფრით არ სურს,

დატოვოს ჩემი უბის წიგნაკი,
ფურცლებზე ფიქრთა ფარას მიდენის,
მაგრამ წარსული დაერქვა რაკი,
იცის, სხვა მოვა ხვალ და ... იმდენი

ახალი ხმა და ახლი სახე
და ქარიშხალი (ჩარჩოს გარეშე),
აღარც კი მკითხავს – სად შევასახლე
და რომ ამ ბინას სულ სხვა დაეძებს...

...იგი, ვინც უკან აღარ დაბრუნდა,
მაინც იმედი ჰქონდათ ბოლომდე
და განძის ნაცვლად ხელთ შერჩათ ხურდა,
თუმც საკვამური მაინც ბოლავდა.

ახლა წარსული ცრემლებით თვრება,
ქარს მიაქვს ის, რაც გადარჩა მათგან,
ის, ვინც ელოდა – ჩარჩოში ხვდება...
მოკლედ! პარტია გ ა - დ ა - თ ა - მ ა შ - დ ა!

და იწყება...

და იწყება მიქცევა...
ყველა ხე წაიქცევა,
ველოდები სამყაროს
მიმო-მიმო-მიქცევას...
ყველა ლექსში გულივით,
მტკივნეული ნერვი ძევს,
დაიწყება მიქცევა,
ნელ-ნელა და ზენიტზე
ისე ადის, გადადის
ბგერა-ბგერა, ნოტი-ნოტ,
ასო-ასო, ტოტი-ტოტ...
თითქოს სურდეს, სამყარო
ჩემი ცრემლით მოჰფინოს,
...და იწყება მიქცევა,
ღამღამობით იქცევა...
ცამეტივე სვეტი და
ცამეტივე საყდარი,
ვიცი, ბეწვის ხიდზე ვარ,
ვიცი, ნერვის წკიპზე ვარ,
რადგან ვხედავ – რაც იყო
და... (სამწუხაროდ), რაც არის!
სული... სული ფრთამალი...
ხან ფხიზელი, ხან მთვრალი,
სისხლად მიმომავალი...

ვხედავ, ისე დამძიმდა,
თითქოს შიგნით გაწვიმდა
და მეწყება კოლაფსი,
ველარ ამოვფრინდები –
ხორცის სარკოფაგიდან...
ვდგავარ ოკეანესთან,
ცოდვის ოკეანესთან...
მიიქცევა... იქცევა...
ქცევა... ევა... და ვაი!...
უზარმაზარ ფესვებით,
რკინის მძიმე რელსებით,
მი-რახ-რახ-რახ-რახ-რახებს
და... მაფხიზლებს ტრამვაი.

უხმო და შორეული მონოლოგი მის უწმიდესობას

არ ვიცი, რატომ... მაგრამ ყველაფერს,
აზის ტკივილის რუხი ბეჭედი,
გადაავიწყდა ზეცას ღიმილი
და ცა უჭირავს ღრუბელს ბეჭებით.

უცებ სულიდან დაიქცა წვიმა
და აერიათ გზები იმედებს,
გული ჩაჩუმდა და მოიწყინა,
მზე რომ ერთ სხივსაც ველარ იმეტებს...

სამყარო თითქოს ამოტრიალდა,
კომპასი უგზო-უკვლოდ ტრიალებს,
სიკეთე დაგვრჩა გაღმა ნაპირთან,
(რა ეშველებათ ადამიანებს?)

ჩვენი სიცოცხლე ისე გარუხდა,
რომ ძალა ხდება თავი და ბოლო,
ვიცინით, ვტირით, ვლაღობთ
თუ ვწუხვართ
– მასკარადია მხოლოდ და მხოლოდ!

...და რწმენის კოდი – ყლორტი იისა,
სულში სურნელად მიმოფრქვეული,
ხსნა – მხოლოდ თქვენი მაღალი მზერა,
სახარება... და ლექსთა რვეული.

ასე მგონია, გაწყალდა სისხლი,
ზნეკეთილი და ლამაზი ერის,
ბანის გუგუნით ზეცას სწვდებოდა
და დღეს უმწეო კრინით რომ მღერის.

ძილშიც, ღვიძილშიც მტკივა სამშობლო,
რადგან ბოროტი ძალუმარესობს,
რა გვეშველება, იქნებ გვიბრძანოთ:
– უწმიდესო და უნეტარესო!

განცდით დაღლილი გონება როცა –
(იშვიათწილად), მიმოიფხიზლებს,
თვალებში მრჩება ცრემლთა არილი
და უსაშველოდ ცისფერი სივრცე.

მერე ხმა თბილი... სულში ჩამწვდომი...
მიღმა ქვეყნიდან აქეთ მხმობელი,
ყველა დარდის და ყველა ტკივილის,
უსათუთესად განმაბრძნობელი.

სიკეთით სავსე ბგერა და მზერა,
ანგელოსივით სულში ალერსობს,
თქვენ – ჩვენდა სასოდ!
ჩვენ – თქვენდა ლოცვად...
უწმიდესო და უნეტარესო!

მოდიხართ ჩვენთან, ცოდვილ შვილებთან,
(შურს, გესლს და ბოღმას რომ ვერ ვიოკებთ),
გვბანთ ჭრილობებს და თრგუნავთ ქიმერას,
მზის მალამოს სცხებთ სულის ღიობებს...

გვპატიობთ ყველა ვნებას და წყენას,
გრიგალებს – სულში რომ დათარეშობს,
დიდება მაღლა... დაბლა – კი თქვენა!
– უწმიდესო და უნეტარესო!

* * *

ამ ჩემს ძარღვებში სისხლის კი არა,
მშფოთვარ ტალღათა ჩქარი ჩქერია,
რომელიც უკვე დაუსხლტა მაჯას
და პოეზიის ზღვას შეერია...

* * *

ნუ დაყოფთ მტრებად, მეგობრებო,
ნუ დაყოფთ მტრებად...
ქვეყანას, ქალაქს,
სოფელს, ქუჩას და დედის უბეს,
პოეტის სული, დამიჯერეთ,
ჩიტივით კვდება,
ერთი კენჭიც რომ ჩაეშალოს
სამშობლოს – ბუდეს!

ვინ გაგიმეტა

ასეთი ტვირთი ვინ დაგადო
სუსტ და თხელ მხრებზე,
ვინ გაგიმეტა,
ღმერთო ჩემო, ვინ დაგალოცა –
გეზიდა მძიმე,
პოეტური სიზიფის ლოდი,
დალოდებოდი მწყურვალივით
სიტყვის წყალობას.

ღამეულ ლანდებს
რას დააფრთხობს შენი ძახილი,
მარადისობის გრილ ხელებში
კვდება სამყარო...
უფალს მადლობა,
თუმც არ არის ასე ადვილი,
შეხვდე გრიგალებს
პირისპირ და არ გაეცალო!

ლექსი - საკენკი

ღამით, როცა ვიძინებ,
ეღვიძებათ ტკივილებს
და ასკდებათ სხეულზე,
დღით ნაცვამი სამოსი...
შიში, როცა სადგურებს
მი... ან შეა-კივილებს...
ვყვირი და მეღვიძება,
(მართლა ხომ არ წამომცდა?)

თავი ბალიშს ვერ ჰგუობს,
ზურგი ჰორიზონტალურ
ყოფას გადაეჩვია –
ავ სიზმრებს შეჩვეული...
და ჩემს არავოკალურ,
ხმებსაც გზა აერიათ.
ჩაუსაფრდნენ როიალს
და სანოტო რვეულიც
გდია ისე პირღია,
როგორც თოთო ბარტყები,
დედა-მერცხლის მოფრენას
ჭყივილით რომ ხვდებიან...
და ივსება რვეული,
(თუმცა წვრილი საკენკით),
მეც ვამთავრებ და ლექსიც,
სიზმარ-ცხადში ხეტიალს.

მე ვფიქრობ ახლა

მე ვფიქრობ ახლა,
იმქვეყნიურ, მიღმიერ სულთან,
რა პაემანი ასტყდომია –
სიზმარს მშფოთვარეს,
იქნებ რაღაცის არიდება
ან ახსნა სურდა,
ვიდრემდის ეკლის
გვირგვინით შუბლს შემიმოსავენ...
არა! ნამდვილად
სხვანაირი დიდება მსურდა,
არა მარტვილის, მომნანიეს,
ანდა ცოდვილის,
მე ამ უაზრო არსებობის
დალეწვა მსურდა,
რათა ამეძრო სულისათვის
ხორცის ბორკილი.
მაგრამ მიზანი, გამჩენელო,
შენი სულ სხვაა...
თუკი ვიჩქარე,
არსებობას მომისჯი ისევ...
და ამიტომაც გიბრუნდები,
ვდგები მორჩილად,
და განდობილის
ცრემლიანი თვალებით გიმზერ.

დიალოგი ქართულ სიტყვასთან

დამსკდარია ტოტზე კვირტი, სისხლი ძარღვში ზღვად ხმაურობს,
მზე ტახტიდან გადმობრძანდა და ტალღებთან ნანდაურობს...
აიფოფრა სიტყვის ტალღა, შემომასკდა ვით ზღვაური...
– თუკი ჩემი ნახვა გინდა, ჩემს ლექსებში ვმოგზაურობ.
მოდი, ძველ გუჯრებში შევხვდეთ ან სამყაროს ახალ კართან,
მომაქვს შენი ჯიშის კოდი, ლაზარე ვარ, გაგიმართლა!
ვარ მეშვიდე ან მეცხრე ცის ბილიკების სიახლოვეს,
ოღონდ გთხოვ, არ დაივიწყო, რომ შეხვედრა თავად მთხოვე...
...ვაჲ-თუ, ვიწრო გზაზე შეგვხვდეს და გაგვწიროს უგუნურმა,
ხელი უნდა შემაშველო, თუკი მიცნო შენმა გულმა...
...ეს ხომ ჩვენი სიზიფეა, აღმართ-აღმართ ქედდადრეკით,
მიგვაქვს უფლის ტაძრისაკენ, ქერუბიმთა ზარის რეკვით!
მეც შევბედე: – ვიცი, რომ ხარ, მბრძანებელი დარბაზების,
თუმცა ხშირად მიწყრებოდი, ხანდახან მეც გაბრაზებდი,
მაგრამ ხშირად, ნისლებს მიღმაც გცნობდი, თუმცა ვერ გხედავდი,
მიტომ თრთვილად მიმოგქარგე, ხან უბრალოდ, ერთ ხედ გრგავდი...
იქნებ შევხვდეთ დედა-ენის საწყისთან ან ბოლო კიდეს,
თოთო მარცვლებს როცა ვსინჯავ, შესაძლოა, ვმკიდე კიდეც...
ოქროსფერი სიტყვის ყანა, ძნად რომ შევკრა ან სხივთ კონად,
მადლი უფალს, ქართულ ლექსის ჟრუანტელი მოიგონა.
მეც მსურს შენი სიბრძნის მტევანს, მივაპკურო მადლ-მირონი,
კელაპტარად ვაბრიალო – იმ საქმეთა საგმირონის...
გუშინწინ თუ... დღეს თუ... ხვალ თუ... იყო, არის და იქნება!
ხელს ჩამავლებ, წამიყვან თუ... იცი, ვინ ვარ!.. და ფიქრებად
ვულკანივით მაბობოქრებ, თუ ნისლივით გაფრინდება –
ეს სიცოცხლე... მიდის-მოდის, მტკივა, მაგრამ არ მწყინდება...
რომ მუდამ შენ გემსახურო, ვწერო ბოლო სუნთქვის ხმამდე,
ოღონდ შენ არ გამიჯავრდე, ოღონდ ჩემო – შენად გყავდე!
ნუ დამიგდებ უპატრონოდ, ლექსებს ხელი ჩამიჭიდე,
მოარიდე ბოროტს, ავგულს, ბოღმიანად მოქირქილეს...
მზის სხივი ვარ, ნამის წვეთი, ღრუბლის თეთრი ქარავანი...
თუ შენ არა, მაღლა – ღმერთი… დაბლა, ალბათ, მყავს არავინ...
ვისაც ისე ვეყვარები, რომ მაჩუქებს მზის მარმაშებს
და როდესაც არ ვიქნები, ამ სხივებით ითამაშებს.
...როგორც ბალღი წარმოსახვით აგებს ღრუბლის ციხე-კოშკებს...
სიზმარშიაც და ცხადშიაც, მინდა ჩემი – ჩემად მქონდეს
სიტყვავ... მიწა, რჯული, წყალი, ენა, გული, სისხლი, თვალი,
მზე და მთვარე, ზღვა და ტალღა, პალმა, ქარი იალქანთან...
მოფარფატე თოლიები, თევზი, ბადე და ძლიერი

ხარი, ქედი, მუხლი, მკლავი – მძლე დავითის თუ თამარის –
სიბრძნე, სითბო, სილამაზე... ასე შემდეგ... და ამაზე,
აღარ ვდაობთ... მიბრუნდები, მეც ლექსებში მიმაქვს იგი,
წარსულ – აწმყოდ – მომავალში... შეეშველეთ, დროის ქარში,
რომ არ მოხვდეს, არ გაცუდდეს, ჩვენი ნატვრაც და წუხილიც...
თუმც, სულ ნებადართულს მაძლევთ, მე მიტაცებს ის ხეხილი...
ხმელეთსა თუ ზღვების მიღმა, სადღაც ვარსკვლავთ სიახლოვეს,
შენს იდუმალ ბაღში ხარობს, ვერ გადავალ სადაც ღობეს!
– ნუ, წუწუნებ! – მითხრა სიტყვამ,
– ღვთის სამოთხე... ღვთის ტაძარი...
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო მოგიღობე!..

P.S. ვგრძნობ, კვირტივით სკდება გულიც,
დედამიწა თრთის, ხმაურობს...
და დღეიდან მე და სიტყვა,
თქვენს ძარღვებშიც ვმოგზაურობთ!

ქვა...

დიდი ხნის წინ საოცარი ქვა მაჩუქეს, ვულკანური
ლავებით მილიონობით წლის წინ შექმნილი...

ქვა ქვაა, ისე როგორც გული – გული,
ან მე – ეს მე ვარ,
ქვა ქვაა, მაგრამ ამ ცივ ქვასაც აქვს ბედისწერა...
ვგრძნობ ისიც ცოცხლობს,
როგორ ხარობს და რაღაც სჯერა...
ის მისხალ-მისხალ იგროვებს სულში ნამის მძივებს,
შემოდგომის უნაზეს ფერებს და მთვარის მზერას...
ის შენს ხელშია რაღაც განგებით,
ამიტომ ჯერაც ინახავს უცხო,
განუცდელ სითბოს, აღტაცებას და სიზმრებს ფერადს...
მილიონობით წლების წინათ, ცა იყო ლურჯი,
საოცრად ლურჯი,
ხოლო სამყარო ნარინჯისფერ ზღვად ლივლივებდა,
მე ლურჯი ფერი მეღვრებოდა თვალებში, სულში,
რაც დღემდე შემრჩა...
ჰო, მზერას შერჩა ლურჯი ფერი
და დაღლილ სულს კი იდუმალი ღიმილით ღელვა...
ეჰ, ამაოა ყოველივე, როგორ ამაო,
ვგრძნობ გულისტკივილს გაუსაძლისს

და ცრემლებს ვმალავ.
ცას შეჰფენია ცისარტყელას ჭრელი მარაო,
შენ კი ო, შენ კი... ისევ ისე გულგრილი ქვა ხარ...
მარადიული სევდის ფერის გაქვს თითქოს მზერა,
მაგრამ თამაშობ ბედისწერის უნდო დემონთან ,
თამამად იღებ ამ გამოწვევას...
შენ ქვა ხარ... ქვა ხარ... ოი, სულო!
ცივი ქვა თითქოს...
მაგრამ მე მტკივა, რაც შენ გტკივა
და გრძნობის უღრმეს ფესვებით
საოცრად ვგრძნობ, რომ – სიცოცხლეს ითხოვ...
სულის ჩადგმას, ამეტყველებას,
პიგმალიონის ფაქიზ საჭრეთელს...
მაგრამ... „ეს მაგრამ“...
მილიონი კითხვა რჩება უპასუხო და აუხსნელი.
ქ ვ ა ქ ვ ა ა, მაგრამ დღეს ის არის
შენი ცხოვრების ერთი ფურცელი.

ვინ ვარ...

ვინ ვარ?
მზის ერთი სხივი ვარ,
ცისკართან ერთად ავდგები,
წვიმას ღვთის მადლად ვღებულობ,
ქარებს მეგობრად დავყვები,
ზოგჯერ ზღვის მეცხრე ტალღა ვარ,
თეთრად გაშლილი აფრებით,
ბაბუაწვერას სუნთქვა ვარ,
მომიქროლებ და... გავქრები...
სამშობლოს ცრემლის წვეთი ვარ,
მისთვის სიცოცხლის გამღები,
რაცა ვარ, აი, ესა ვარ,
არც მეტი და არც ნაკლები.

ბავშვობის მონატრება

გარახის მთებიდან ოცინდალეს გავყურებ,
ციალებს თოვლი სინათლედ დაღვრილი,
შენს გზებზე, ბილიკებზე ასკინკილა მირბენია,
უკან გიბრუნდები დაღლილი...
ეჰეი, ლუგელას ბინდიანო ტყისპირებო,
ლებარდეს ხევებიდან ჩამოსულან ნისლები...
სიზმრებო, ისეთი კარგი და ფერადნი ხართ,
თითქოს კვლავ ბავშვობას მპირდებით.
ჩემს სულში ნელა და ლამაზად ლაგდებიან –
ტკივილი, ხალისი, ნატვრა და ფიქრები...
მე თქვენგან არსად წავალ, მე ქარად დავბრუნდები,
ან თქვენი ყოჩივარდა ვიქნები.
სიზმრებო, სიზმრებო...შემეშვით, დამეხსენით,
იქნება ცოტა მაინც დავისვენო,
გიბრუნდებით ბავშვობის მხიარულო ნაპირებო,
ვაჲ-თუ, ველარ გამიხსენოთ!

ლექსო!

შენ ხომ ჩემი პირმშო ხარ,
შენ ხომ ჩემი შვილი ხარ,
როცა ვმღერი – მღერიხარ,
როცა ვტირი – ტირიხარ...

ხმალს რომ ვლესავ, შენს ფხაზე,
მზე სულ ციმციმ-ციმციმებს,
თუ ვწუხ – შენაც გატყობ, რომ
გემატება სიმძიმე.

რა ღვთიური სხივის ხარ,
რა ღვთიური მადლის ხარ,
წამით რომ დაგივიწყო,
სუნთქვასავით მაკლიხარ.

ჰოდა, ბოლო ნაბიჯიც,
ერთად უნდა გადავდგათ,
რომ იქ, გაღმა ნაპირზეც
მომიკითხო: – სადა ხარ?!

გთხოვ, წამით არ დამტოვო,
იქაც მყავდე მფარველად,
სადაც ცის გზა იწყება
და მიწისა მთავრდება...

სამსჯავრო

როდესაც ლექსი მოდის გულიდან,
ცეცხლის გენია წაგეკიდება,
რას იზამ, გული მაინც გულია,
ძაფზე ჰკიდია მისი დიდება.

წამოკრეფს ყველა გაცვეთილ რითმას
და მეტაფორებს, (შეუნიშნავებს,)
თითქოს სიზმარში გაკვეთილი გაქვს
და კათედრასთან ადგილს იკავებ.

ალიყურივით წამოგაჭარხლებს
ეპითეტები – გაუმეტები...
თუ გაგეცალა – მოძებნის ახლებს
და უკვე ველარ დაედევნები.

ვერ შეძლებ – მიჰყვე! სხვა ჯირითია,
დაგამძიმებენ ყოფის ცოდვები,
ვინ ხარ... სამყაროს ფეხზე ჰკიდია
და უსახელო ლექსად მოკვდები.

წუხელი წვიმდა

წუხელი წვიმდა, წვიმდა და წვიმდა,
ვერ დავიძინე ვერასდიდებით,
როგორ მტკიოდა და როგორ მწყინდა,
რომ წეროსავით ვერ გავფრინდები.

ცაზე ღრუბელნი – გამალებულნი
მიქროდნენ, წვიმდა, წვიმდა და წვიმდა...
შორს მიფრინავდა წეროთ კრებული,
წერო არ ვიყავ, მაშ, რატომ მწყინდა?!

ტაო-კლარჯეთში

ხრიოკ უდაბნოს ხელთ უპყრია რტო ზეთისხილის,
დალოცვილია, ვინც ამ გზით და ბილკით ივლის,
აქ არც დაფნაა და არც ჯარი მოდაფდაფეთა,
მაგრამ გზად მხვდება, ხანძთა, ოშკი, ხახული, ბერთა.

თორთომის წყალი კვლავ ჩაივლის ნაცნობ ნაპირებს,
იქ, მაღლა მთებში ლაღუმების ფეთქდება ჯერი,
ნუ გგონია რომ გაავდრდა და წვიმას აპირებს,
ხანძთელი ტირის, ჩამოექცა მის ტაძარს ჭერი.

შენს ძველ ტაძრებში, გადაფხეკილ, დაშლილ კედლებთან,
ჩემი კურცხალი დაგიტოვე, გულის ნიშანი,
მუდამ მახსოვხარ, ჩემი სული ადრეც გეძებდა,
ახლა სათქმელი ცრემლითა და ლექსით გითხარი.

P.S. ასე მგონია შენთან ყოფნა იყო სიზმარი.

ტბეთის ტაძარი

აქ ვარსკვლავების ოქროსფერ მტევნებს,
მზე დილით აჭრის, როგორც აკიდოს,
რომ სხივციმციმა ტბეთის ტაძარზე,
ჩემი წინაპრის ცრემლად დაჰკიდოს.

იშხანი

აქ გენიოსის ნიჭი გაბრწყინდა,
მაგრამ თუ ვისი – უკვე ვიცანი,
ცრემლები ჩქერად გულზე მაწვიმდა,
ვით გაოგნება – იდგა იშხანი.

შატბერდი

თუნდაც ჩამიქრეს თვალში ნათელი
და გულმაც მითხრას – დაცხრი! დაბერდი...
მე დავბრუნდები, მე დავბრუნდები!!!
რომ კიდევ ერთხელ ვნახო შატბერდი.

ხანძთა

ასე მგონია აბორგდა სული
და გული ლამის საგულეს ასცდა,
ჩვენგან უღმერთოდ მიტოვებული,
ბოლო სანთლის წინ ლოცულობს ხანძთა.

ბერთა

ვწუხვარ, ცრემლები გულს მიდაღავენ,
ვფიქრობ, ეს ჩემი ერიც დაბერდა,
ვერ მიგვიგნია არსის სათავე,
მაგრამ კლდის წვერზე ავაგეთ ბერთა.

პარხალი

მოჩქეფს მდინარე, როგორც მანამდე...
და ლურჯი ზეცა ტაძარს დაჰხარის,
თუმცა, შორია „მეფე – ბანამდე“,
მასპინძელივით გვხვდება პარხალი.



ნოდარ შამანაძე

გიორგი ლეონიძე

არ მახსოვს, გიორგი ლეონიძისადმი პატივისცემა და სიყვარული როდის გაჩნდა ჩემში. იქნებ მაშინ, დედამ ხუთიოდე წლის ბიჭუნას, „ქართლის ბაღი“ რომ დამაზეპირებინა და მერე ეს ლექსი მასწავლებელმა პირველ კლასში საზეიმოდ მათქმევინა. ან იქნებ იმ წუთებში, ფრონტზე მიმავალთა გასამხნევებლად გამართულ კონცერტზე, „არ დაიდარდო, დედაო“, რომ წაიკითხეს და აქვითინებულ მშობლებთან ერთად მეც ვიტირე. ანდა შეიძლება იმ დღეს, კავკასიის ფრონტიდან მამაჩემის წერილი რომ მივიღეთ: ქართველი მწერლები გვესტუმრნენ, ძალიან გაგვახარეს, ლეონიძემ ისეთი „შაირები“ გვითხრა, შაშხანისაკენ ხელი ჩემდა უნებურად გამირბოდაო.

ვერა, ვერ გეტყვით როდის გახდა გიორგი ლეონიძე ჩემი სათაყვანო პოეტი. ასე მგონია, მისი მქუხარე პოეზია გაჩენის დღიდან თანა მდევს და ამქვეყნად ჩემს არსებობაში ისეთსავე მნიშვნელობას იძენს, როგორსაც დედამიწა, მზე, ჰაერი...

საშუალო სკოლა ისე დავამთავრე, თბილისში არასდროს ვყოფილვარ. სიმწიფის ატესტატის აღება და თბილისში ჩამოსვლა იმიტომაც მიხაროდა, რომ ჩემს საოცნებო პოეტებსა და მწერლებს ვნახავდი. მსოფლიოს შვიდი საოცრების ანალოგიით უბის წიგნაკში წინასწარ თბილისის თოთხმეტი საოცრება ჩავინიშნე, რომლებიც პირველ რიგში უნდა მენახა. ერთ-ერთ ასეთ საოცრებად ლეონიძე მიმაჩნდა. მის ნახვაში, რა თქმა უნდა, მხოლოდ შორიდან დანახვას ვგულისხმობდი. მაშინ ვერ წარმომედგინა, ისე თუ გავუშინაურდებოდი, რომ ხელსაც ჩამოვართმევდი და საუბარსაც გავუბამდი.

მიუხედავად მისაღები გამოცდების ციებ-ცხელებისა, თბილისში ჩამოსვლისთანავე მაჩაბლის ქუჩას მივაშურე. რატომღაც მეგონა, მწერალთა კავშირში მივალ თუ არა, გიორგი ლეონიძეს უეჭველად ვნახავ-მეთქი. მწერალთა სასახლის რკინის ვეება კარი მოკრძალებით შევაღე. წინასწარი სიხარულით გულათრთოლებულმა, ვერც გავიგე, კიბე როგორ ავათავე, მარცხნივ მივუხვიე და ღია კარში შევაბიჯე. უცებ შევკრთი, გაფითრებულმა უკან დავიხიე: პირდაღებულ ლომსა და ვეფხვს შევეჩეხე პირისპირ, მაშინ ქვემო დერეფანში ამ მხეცთა ფიტულები იდგა და შუშის გალიიდან ისე ცოცხლად იყურებოდნენ, სანამ უსაფრთხოებაში დავრწმუნდი, ჩემი დამემართა.

იქვე ფანჯარასთან ჩემთვის უცნობი ადამიანები ჭადრაკს თამაშობდნენ. რამდენიმე კაცი ფეხზე იდგა. ისინი მომჩერებოდნენ და იცინოდნენ.

– შეგეშინდა? – მკითხა ერთმა.

დარცხვენილმა თავი დავხარე.

– არ უნდა შეგეშინდეს, ბიძია, თორემ ლომები და ვეფხვები ადვილად შეგახრამუნებენ! – მითხრა ისევ მან და ამხანაგებს რაღაც გადა-

ულაპარაკა. მოგვიანებით გავიგე, იგი ვიქტორ გაბესკირია იყო.

ნატვრა მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ ამიხდა: ვნახე გიორგი ლეონიძე. მწერალთა სასახლის წინ იდგა და ვიღაცას ელაპარაკებოდა. შევხედე თუ არა, ვიცანი. მე მგონია, სურათიც რომ არ მქონოდა ნანახი, მაინც ვიცნობდი. როგორიც წარმომედგინა, ზუსტად ისეთი იყო: ახოვანი, მხარბეჭიანი, ასაფრენად შემზადებული არწივივით თავშემართული, ლომივით ბუხუნა.

შევხედე და თვალი ველარ მოვწყვიტე. ვიდექი შორიახლოს და შევყურებდი გაფაციცებით. ცოტა ხნის შემდეგ თანამოსაუბრეს დაემშვიდობა და სასახლეში შეაბიჯა. მეც შევყევი, მეორე სართულზე ავიდა. იქაც ავყევი. დერეფანში რამდენიმე ნაცნობი შეეგება, რომელთა შორის ერთი ყველაზე ახალგაზრდა და ლამაზი ვაჟკაცი იყო. გოგლამ ყველას გაუღიმა, სათითაოდ ხელი ჩამოართვა და გაესაუბრა. მე ისევ ვიდექი და შევყურებდი, ოღონდ ახლა უკვე ცოტათი წათამამებული უფრო მივუახლოვდი. მისმა ლომისებურმა ბუხუნმა მაგნიტივით მიმიზიდა. გოგლამ ერთ-ორჯერ მომხედა, მაგრამ არაფერი უთქვამს, მერე, ოთახში რომ შედიოდა, უცებ მობრუნდა, ახალგაზრდა კაცს ხელი დაუქნია. მან მყისვე მიირბინა. გოგლამ ჩემსკენ მოახედა, ერთხანს ხმადაბლა რაღაცას ელაპარაკებოდა და მერე ორივემ გაიცინა.

გოგლა კაბინეტში რომ შევიდა, ახალგაზრდა კაცი მოვიდა ჩემთან და ვინაობა მკითხა. პასუხი რომ მიიღო, გამიძღვა წინ, კარი შეუღო გოგლას და შესძახა: ბატონო გიორგი, ჯაშუში მოგიყვანეო. ცოტა მოგვიანებით ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა: ის ახალგაზრდა კაცი პოეტი ვახტანგ ნადარეიშვილი იყო, რომელიც მაშინ კომკავშირელ მწერლებს თავკაცობდა. გოგლამ რომ დაუძახა, თურმე ჩემზე უთხრა, მთელი დღე ფეხდაფეხ დამყვება, ყურდაცქვეტილი მისმენს, გამიგე ვინ არის, თათრის ბიჭივით შავტუხაა, შემოგზავნილი ჯაშუში არ იყოსო.

ნადარეიშვილმა კარი შეუღო, გოგლა ქაღალდებში იყო თავჩარგული. აბა, სად არისო, იკითხა და თავი მძიმედ აიღო. ვახტანგი შევიდა, მეც შევყევი; ისე დავიბენი, საქციელი წამიხდა, მივუახლოვდი და მაგიდასთან უხმოდ დავდექი.

– გამარჯობა შინ დაგრჩა, ბიჭო?! – მისაყვედურა გოგლამ, – საიდანა ხარ?

– საჩხერედან, – ვუპასუხე.

– ბარემ თქვი, საქართველოდან ვარ-თქო, – გაიცინა გოგლამ, – სოფელი მითხარი!

– მერჯევიდან.

– ეგრე გეთქვა, შე კაცო! – გოგლა ჩაფიქრდა და მერე მკითხა: – არგვეთში რომ მივდივართ, მერჯევი მარჯვნივ რჩება, ხომ?

მე გავოცდი, თანაც გული ამიჩქროლდა: ხუმრობა ხომ არ იყო, ლეონიძე ჩემს სოფელს იცნობდა! თანდათან შევთამამდი, კითხვებზე უკვე გაბედულად ვპასუხობდი. დამშვიდობებისას ხელი ჩამომართვა და მითხრა, თუ რამე გაგიჭირდეს, მომაკითხეო.

* * *

სულხან ორბელიანის იუბილეა. ტანძიაში ვართ. საბას ძეგლი გახსნეს. იქვე ორბელიანთა კარის ეკლესიაა. ვათვალიერებთ. გ. ლეონიძემ მე და აკაკი გეწაძეს გვითხრა, ჩემთან წამოდით, კარგ ადგილას წაგიყვანთო. ჩაგვსხა „ვოლგაში“ და რესტორანისაკენ გაგვაქროლა. იქ ბანკეტია. უკვე სუფრასთან სხედან. მწერლებს ცალკე კუთხე უჭირავთ. თამადაა ბოლნისის რაიკომის პირველი მდივანი, რომელმაც მწერლების სადღეგრძელო მოსევადებული კათხით დალია. მან დიდი პატივისცემით მოიხსენია კონსტანტინე გამსახურდია, გიორგი ლეონიძე, გიორგი შატბერაშვილი, რევაზ ჯაფარიძე და სხვები. კ. გამსახურდიას გვერდით იჯდა მირანდა, მერე ზვიადი, ზვიადის შემდეგ კი – რევაზ ჯაფარიძე. თამადამ მწერლების სადღეგრძელო რომ დაამთავრა, რევაზი კონსტანტინესკენ გადაიხარა და რაღაც ჩაულაპარაკა. მირანდას და ზვიადს გაეღიმათ, კონსტანტინე მხოლოდ შეიშმუშნა.

ცოტა ხნის შემდეგ რევაზმა თამადას წერილი მისწერა, კონსტანტინე ადღეგრძელე ხელმეორედ განსაკუთრებულადო. მან მიუყრუა. რევაზ-

მა რამდენიმე წუთს აცალა, მერე წამოუხტა და უყვირა, შენ ვისთან გაქვს საქმე თუ იციო! თანაც წერილში რაც ეწერა, ახლა უკვე ბრძანებით გაუმეორა. თამადა გაჯიქდა... დაძაბულობა გოგლამ განმუხტა, წამოდგა, სასმისი აიღო და პოლონელი მწერლის ირინა მაიევსკაიას სადღეგრძელო წამოიწყო, მის გვერდით რომ იჯდა. რუსთაველის სტრიქონები მოიშველია, მერე ადამ მიცკევიჩის ლექსიც გაიხსენა. სადღეგრძელო რომ დაამთავრა, ირინეს გადაეხვია და აკოცა.

...შინ რომ ვბრუნდებოდით, სიტყვა მწერლობაზე ჩამოვარდა. გოგლამ თქვა, ხელმოკლე და ღატაკი ოჯახის შვილი დიდი შემოქმედი ვერ გამოვა, მას ოცნების საშუალებაც არ გააჩნია, ფრთები დაჭრილი აქვსო... გოგლა ერთხანს ჩაფიქრდა, მერე წარბები უცებ გახსნა, ირინა გაიხსენა: ტუჩები ფუტკარივით ამოვწუწნე, დღევანდელი მოგზაურობა მარტო ამისათვის მიღირდაო.

25.10.59

* * *

გოგლასთან საუბარში ნოდარ ალანიამ თქვა: – ალექსანდრე პუშკინს „ბორის გოდუნოვი“ რომ დაუმთავრებია, აღტაცებით წამოუძახია: „ყოჩაღ, პუშკინ!“ ლევ ტოლსტოიმ, „ატეც სერგი“ რომ დაწერა, თურმე ცეკვით შემოუარა სამუშაო მაგიდას. ბატონო გიორგი, თქვენი ქმნილებების შექმნისას თქვენც თუ განგიცდიათ ასეთი აღფრთოვანება?

– როგორ არა, – გაეღიმა გოგლას, – „ოლე“ ერთი ამოსუნთქვით დავწერე. მახსოვს, საღამო ხანი იყო. წამოვდექი, ოთახში გავიარ-გამოვიარე. ისეთ გუნებაზე ვიყავი, მინდოდა მთელი ქვეყანა გულში ჩამეხუტებინა. სწორედ ამ დროს შალვა აფხაიძე მესტუმრა. ჩავბღუჯე და კოცნა დავუწყე. შალვასთან წინა დღეს ვიქეიფე. ახლა კი დიდი ხნის უნახავივით ვკოცნიდი. გაოცდა. უხერხულობა რომ შევატყვე, ვუთხარი, დაჯექი, რაღაც უნდა წაგიკითხო-მეთქი. წავუკითხე ახლა იგი გადაირია, გადამეხვია, თავი ძლივს დავიხსენი.

28.05.61

* * *

გოგლამ პატარძეულში წაგვიყვანა ახალგაზრდა პოეტები: ემზარ კვიტაიშვილი, ვლადიმერ აზარიაშვილი და მე. მის კარ-მიდამოში რომ შევედით, თუთასთან შეგვაჩერა და ხელი გაშალა: – ეს მკვებავდა ბალღობიდან, ამ თუთის ტკბილი წვენი მიჩქეფს ძარღვებში და ახლაც ღონეს მმატებსო. – შემდეგ აკაციასთან მიგვიყვანა, ვეება ტოტებით რომ გაბარჯღულიყო. – წამოყვინჩილებული ბიჭი მინდვრად ნახირს მივდენიდი ხოლმე. ერთხელაც, შინ რომ დავბრუნდი, ის ჯოხი მიწაში ღრმად ჩავარჭვე. გაზაფხულისპირი იყო და ჯოხმა გაიხარა, ფესვები გაიდგა, განიტოტა და დროთა განმავლობაში, აი, ამ ბუმბერაზ აკაციად იქცაო.

– ბატონო გიორგი, გერმანელ პოეტს ჰუგო ჰუპერტს ანალოგიურ ამბავზე აუგია ლექსი „მოგზაურის ქართული კვერთხი“. – შევახსენე მე.

– ჰო, ეს თემა ჰუპერტს მე ვაჩუქე. აბა, როგორ, პოეტმა პოეტს ხელი არ უნდა გაუმართოს?! „მკვდარი სულების“ სიუჟეტი გოგოლს პუშკინმა უკარნახა, – მიპასუხა გოგლამ და აკაციას ხელი მიუსვ-მოუსვა, თითქოს ეფერებაო.

22.12.60

* * *

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წინ გოგლა იდგა, მძღოლს ელოდებოდა. მივესალმე. გამომელაპარაკა:

– რა არის ახალი?

– ახალი თქვენი ლექსია, დღევანდელ ლიტერატურულ გაზეთში წავიკითხე.

– როგორია? – წარბები აძგიბა.

– კარგია. „გულში სევდა არ გახელმწიფდება“, – მომეწონა. რითმებიც ახალია.

– მე ყოველთვის ვცდილობ, ახალი რითმები მოვნახო. ახალგაზრდა პოეტებმა რითმები სულ დაკარგეს.

– არ შეუძლიათ და მიტომ.

– მე თუ შემეძლო?

– თქვენ ერთი ლეონიძე ხართ, შეწოვილი გაქვთ ყველაფერი, რაც დიდებულია, ქართულია.

– ეგ კარგად გამოგივიდა. მართლა შეწოვილი მაქვს... ახალგაზრდა პოეტებს ვერ გაუგიათ, რომ მათ ახლა გაზაფხული უდგათ, ხვნა-თესვის დრო, შემოდგომას კი მოითხოვენ... დაფნის გვირგვინები სურთ!.. საით მიდიხარ?

– საჯარო ბიბლიოთეკაში.

– იკითხე, იკითხე! ზოგს ჰგონია, რომ მე ჰაერიდან ჩამომივარდა ეს ცოდნა. ჩემი სიყმაწვილე სულ არქივებსა და მუზეუმებში ჩავლიე.

13.09.62

* * *

გოგლას კაბინეტის წინ გავიარე. კარები ღია იყო. სწავლულმა მდივანმა ვახტანგ ჭელიძემ გამოიხედა, დირექტორი გეძახისო. შევედი.

– ვახტანგ, რა ვუყოთ ამ კაცს, ხელფასი ოთხმოცი მანეთი აქვს, ამით შეინახავს ცოლშვილს?

– დისერტაციას დაიცავს და ხელფასიც მოემატება, – მიუგო ვახტანგმა.

– მანამდე? – ჩაეძია გოგლა. ვახტანგი დუმდა.

– სწავლული მდივნობა რომ ჩავაბაროთ? – თქვა გოგლამ.

ვახტანგი შეცბა, სახე გაუნაცრისფერდა.

– შენ ხელფასი ისეც დიდი გაქვს, დისერტაცია კარგა ხანია დაიცავი, – არ ეშვებოდა გოგლა.

– ეგ სამეცნიერო საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, – ამოღერღა ვახტანგმა გვიან-გვიან.

– მოამზადე საკითხი საბჭოზე გასატანად!

მეორე დღეს ინსტიტუტში ამბავი მოიტანეს, ვახტანგ ჭელიძე ავად გამხდარა, გული აწუხებს, ვალერიანის წვეთებით აბრუნებენო. გოგლამ სწავლული მდივნის შეცვლა კარგა ხნით შეაჩერა.

03.11.62

* * *

გალაკტიონ ტაბიძის მრავალტომეულის პირველი წიგნი გამოვიდა. შიგ შეცდომები და უზუსტობანი აღმოჩნდა. ტექსტოლოგიის განყოფილებას, სადაც აღნიშნული ტომი მომზადდა, სოლომონ ყუბანეიშვილი ხელმძღვანელობს. დაიბარა გოგლამ და პირდაპირ მიახალა:

– შენ რა გაგეგება პოეზიისა, რატომ ხარ ხელმძღვანელი?

– თქვენ დამაყენეთ, ბატონო!

– რომ არ შეგეძლო, რატომ ითავე?

– მომხსენით, ბატონო და ის იქნება! – ისე მოსაწყლებულად ამოთქვა სოლომონმა, იფიქრებდი სადაცაა ატირდებაო.

გოგლა ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ უთხრა:

– წადი, წადი, იმუშავე! რომ მოგხსნა, ვინ დავაყენო?! შენ გამრჯე და მუყაითი მაინც ხარ, სხვები ზარმაცები არიან, ხელნაწერის წაკითხვა ესიკვდილებათ.

25.11.64

* * *

საუბარში სიტყვამ მოიტანა და გოგლამ ერთხელ გვითხრა: – ამქვეყნად რომ გავჩნდი, პოეზიას ვუმადლი. ჩემზე ფეხმძიმედ რომ ყოფილა დედა, მუცლის მოშლა დაუპირებია. დაუპირებია კი არა, კიდეც წასულა ბებიაქალთან. მამაჩემს როგორღაც გაუგია და დასდევნებია, სულზე მიუსწრია. უსაყვედურებია. იქნებ პოეტი შვილი გვებადება და გინდა დავღუპოთ და ჩვენც დავიღუპოთო?! ჩაუკიდია ხელი და წამოუყვანია...

სიცოცხლე კაცობაშიც პოეზიამ შემინარჩუნა. ძმა რომ დამიხვრიტეს – ლევანი, ყველას ეგონა მეც მას მიმაყოლებდნენ. სწორედ იმ დროს სტალინს ბერიასთან საუბარში შევუქივარ, გულზე მოსახვედრ ლექსებს წერს, დიდებული მოქართულე პოეტიაო. ჰოდა, ამის მერე ხმას უბატონოდ ვინღა გამცემდა?!

03.10.64

* * *

გოგლასთან ვარ. ახალგაზრდა პოეტი უშანგი ბედია შემოვიდა. რედაქტორები მემტერებიან, გზას მიხშობენო, შესჩივლა გოგლას და მერე მე გადმომხედა, აგერ ნოდარიც დამემოწმება,

კარგ ლექსებს რომ ვწერო. – ეს არ გეტყვის პირში სიმართლეს, იმერელიაო, – გაიღიმა გოგლამ.

28.01.65

* * *

გიორგი ლეონიძეს განცხადება წარვუდგინე, ვსთხოვდი, ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკაში მიმავლინეთ, იქაური ლიტერატურის გაცნობა მჭირდება წლიური ნაშრომის დასაწერად-მეთქი. აქაური ლიტერატურა ყველაფერი დაამუშავეო? არ მომიწერა ხელი. კარებში რომ გავდიოდი, ჩემდა უნებურად, ჩავილაპარაკე, საოჯახო საქმეებიც მაქვს-მეთქი.

– რაო, რა თქვი? – წამომეწია გოგლას ხმა. შევჩერდი და ახლა უკვე გაბედულად ვუთხარი:

– საოჯახო საქმეებიც მაქვს მოსაგვარებელი, ბატონო გიორგი!

– ო, ეგ სხვა ამბავია. მომეცი ქაღალდი!

გოგლა განცხადებაზე ხელს მიწერდა, თანაც მელაპარაკებოდა:

– შე კაცო, ბიბლიოთეკას რომ მიწერ, გეგონა მოვტყუვდებოდი? სხვა ხომ არაფერი გჭირდება?

– არა, ბატონო გიორგი!

– წადი, აბა, გზა მშვიდობისა!

08.06.64

* * *

მიხეილ ჩიქოვანი გოგლას ფოლკლორული ექსპედიციის ამბავს მოუთხრობდა. ხახმატიდან გუდანში ვბრუნდებოდით, მგლების ნაკვალევი ვნახეთ და შიშის ზაფრამ აგვიტანაო. გოგლამ შეაწყვეტინა: მგლებმა რატომ არ შეგჭამათ, ინსტიტუტში თანამშრომელთა შემცირებას მაძალებენ და იოლად გადავრჩებოდიო.

22.12.65

* * *

გოგლას კაბინეტის კარი შევუღე. თავდახრილი იყო, რაღაც ქაღალდებს ჩასცქეროდა.

– შეიძლება? – შესვლის ნებართვა ვსთხოვე.

– მოდი, – მითხრა ისე, თავი არ აუღია. დავჯექი და დაველოდე. ცოტა ხნის შემდეგ სათვალე მოიხსნა და წარბშეკრულმა შემომხედა:

– ჩემთან შემოსვლას, „შეიძლება“ რად უნდა?! შემოდი ჯიქურ და დაჯექი აგერ სკამზე. მე ჩინოვნიკი ხომ არა ვარ, გარეთ გაყურყუტო?

– ბატონო გიორგი, იქნებ ვინმე ისეთი გყავს...

– თუ ნაშა მყავს, კარს ღიას ხომ არ დავტოვებ?! – გაეღიმა. გულზე მომეშვა, გოგლას წარბშეკრულობა არ უხდება.

23.05.66

* * *

ინსტიტუტში ვართ. მზემ დააჭირა, თაკარა სიცხე ჩამოდგა. დავით გოგოჭურმა მითხრა, მოდი, წყნეთში ავიდეთ, სულიც მოვითქვათ და გოგლაც ვნახოთო. ვალოდია აზარიაშვილიც შემოგვიერთდა. ბაზარს მივაშურეთ, ვიყიდეთ ბოსტნეული, ბაღჩეული, მერე რესტორანში შევიარეთ, მებუფეტეს შემწვარი ვარიები ქაღალდში შევახვევინეთ, ჩანთაში ათიოდე ბოთლი „წინანდალიც“ ჩავაწყვეთ და წავედით. გოგლა აივნიდან მოგვესალმა. ეგ ღვინო მარტო მე არ მეყოფაო, გადმოგვძახა. კიდევ ამოვიტანთ, ეს ჭაშნიკია-მეთქი.

ბაღში დავსხედით ხის მაგიდასთან. გოგლამ თქვა: „სერობა ასე განმარტოებით მსიამოვნებს. გაიცინა: ქალები კი მიყვარს, მაგრამ ქალებთან პურის ჭამა დიდად არ მეჭაშნიკება. შებორკილი ვარ, ყოველ სიტყვას ვუკვირდები, არაფერი წამომცდეს... ზოგიერთ ოჯახში მიხვალ სტუმრად, დიასახლისი დიდის ამბით წარმოგიდგენს ბალღს, მომავალი მუსხელიშვილი მეზრდებაო. ორს რომ ერთი მივუმატოთ, რამდენიაო, ჰკითხავ. არც დაფიქრდება, ოთხიო, გიპასუხებს. უჰ, მართლა ნიჭიერი ყოფილაო, უნდა იძახო“.

გოგლამ თამადობა ისეთი რიხით დაიწყო, თითქოს სამასი კაცი შეჰყურებდა თვალებში, განსაკუთრებით თბილად დედმამიშვილები ადღეგრძელა. ყველაზე მეტხანს ლევანზე შეჩერდა. „პირდაპირი და მოურიდებელი იყო. ერთხელ ილო მოსაშვილს უთხრა, ფუნას ხომ

ჭამ და ჭამ, იფ, იფ, რა გემრიელია, ამას მაინც ნულარ იძახიო... როგორც ჩანს, ბერიამ ილოს დახვრეტა განიზრახა, ბოლოს გადაიფიქრა, მოელაპარაკა და მიიმხრო. პაოლოს მიმხრობაც უნდოდა. 24 საათის ვადა მისცა, მოიფიქრე, მოდი და მითხარი, თუ გვერდში ამომიდგებიო. პაოლომ თავი მოიკლა. ყველა ვერ იქმს ასეთ ვაჟკაცობას, სული ტკბილია“.

გოგლა შემეკითხა:

– სტალინის დამგმობ პლენუმზე მწერალთა კავშირში შენ კი იყავი, დაგინახე. ხომ ვთქვი, ვამაყობ, სტალინს რომ ვუმღეროდი-მეთქი. კონსტანტინე გამსახურდიამ იდედლა, შევცდი, სტალინზე წიგნი არ უნდა დამეწერაო. დემნა შენგელაია, და ლეო ქიაჩელიც ასევე აჰყვნენ ფეხის ხმას.

„სტალინს ნ. ყიფშიძე მკურნალობდა. ერთხელ მომახარა, ბელადმა მითხრა, დღეს ქართველი მწერლებიდან ყველაზე ხიბლიანად ლეონიძე წერსო... მანვე მიამბო: ერთხელ სტალინის ოთახში ვიწექი. ნიკო, გძინავსო? არა-მეთქი. ცეცხლიდან ნაკვერცხლებს რომ იღებენ, რა ჰქვიაო? ავანდასტი-მეთქი. ერთხანს არაფერი მიპასუხა, მერე კვლავ მკითხა: გძინავსო? კვლავ ვუპასუხე, არა-მეთქი. ავანდასტი კი არა, აქანდაზი ჰქვიაო“.

ვ. აზარიაშვილი ღვინოს არ სვამდა. გოგლამ შემოუძახა, დალიე, ვაჟკაცი არ ხარო?! მერე ერთი ამბავი მოგვიყვა: „სტალინი ერთხელ საქართველოში ჩამოვიდა. სუფრა გაუშალეს. ცეკას ერთი მდივანი მუმიასავით იჯდა. სტალინმა უთხრა, ღვინო დალიეო. ვერ ვსვამ, ექიმებმა ამიკრძალესო. იმღერეო. ვერ ვმღერიო. იცეკვეო. ვერ ვცეკვავო. ჭამეო. ვერ ვჭამ, დიეტაზე ვარო. ასეთი კაცი საქართველოს ვერ უხელმძღვანელებსო, გამოუტანა განაჩენი“.

დედების სადღეგრძელოზე თქვა: „სტალინი დედას მგრძნობიარე წერილებს უგზავნიდა. ერთ ბარათში წერდა, გმადლობთ, მურაბა რომ გამომიგზავნეო“.

დავით გოგოჭურმა მაგიდის ქვეშიდან საზამთრო ამოაძვრინა და ხელში შეათამაშა. მაგას ჯერ ნუ შევეხებით, ოთარს უყვარს (სიძეს გულისხმობდა) ჩამოვა და მერე გავჭრათო, თქვა გოგლამ. ოთარს მესამედ შეუთვალა, მაგრამ არ ჩამოვიდა, დაღლილი ვარო. სუფრას ოჯახის სხვა წევრებიც არ მოეკარნენ.

27.07.65

* * *

გოგლა წიგნების მაღაზიაში შევიდა, ოპერის წინ რომ მდებარეობს, მამია ასათიანიც მასთანაა. მამიამ გოგლა მიახედა მწერლების სურათებისაკენ, წიგნების თაროებს ზემოთ რომაა გამოფენილი. მან მზერა იოსებ გრიშაშვილზე შეაჩერა: „სოსო სიტყვის ნამდვილი ოსტატი იყო. სამწუხაროდ, სკლეროზული სენით დაავადდა, თორემ მემუარებს დაწერდა. მისი უმემუაროდ წასვლა დიდი დანაკლისია ჩვენი მწერლობისათვის“. გოგლამ შემდეგ გალაკტიონზე ჩამოაგდო სიტყვა: „ლექსის ვირტუოზი იყო. ერთი სისუსტე მასაც ჰქონდა: განუწყვეტლივ წერდა და წერდა, ამიტომ ბევრი ლექსი არ გამოუვიდა. მის ზოგიერთ ქმნილებას მე ხელს არ მოვაწერ. ბევრის წერა არაა საჭირო, მთავარია ხარისხი“.

– აი, ის როგორი ბიჭია? – გოგლას სურათზე მიათითა მამიამ და გაიცინა.

– ნაკლი მაგასაც აქვს: გადაჰყვა დირექტორობას, პრაქტიკულ საქმიანობას და ლექსისთვის ვეღარ იცლის, – უპასუხა მან და სურათებს ზურგი შეაქცია.

03.08.65

* * *

ვანო ურჯუმელაშვილმა მიამბო: „გოგლა ერთხელ გორში მესტუმრა. ცოტა რომ წავიპურმარილეთ, ქალაქში ფეხით გასეირნება მოისურვა. კარგა ხანს ვიარეთ. ბოლოს ერთ შარაგზაზე მიმითითა, სადაა მოხსენიებული, თუ მეტყვიო. ვერ ვუთხარი. ვაჰ, როგორ არ გახსოვს, ეს ის გზაა, ჯაყოს მარგო ურმით რომ მიჰყავსო“.

10.03.67

* * *

გოგლა ფოლკლორის განყოფილებაში შემოვიდა. კაცებიდან მარტო მე და გურამ ბარნოვი ვიყავით, ქალები კი თითქმის ყველა იყო. მათ შორის სილამაზით გამოირჩეოდა რუსუდან გოგიჩაიშვილი, თანამშრომლად იმ დღეებში რომ მიიღეს. გოგლამ ქალებს გადახედ-გადმოხედა, მერე გურამს და მე მოგვიბრუნდა:

– ფოლკლორისტები მარტო ვარიანტებს აქცევთ ყურადღებას, ლამაზმანებს კი ბაიბურში არ აგდებთ. მიხეილ ჩიქოვანის ხნოვანება რომ წამოგეპარებათ, მეცნიერებას მაშინ უნდა დაუთმოთ მთელი დრო. ახლა კი... – ქალებს კვლავ გადახედა მან და გაიცინა.

26.02.66

მინაწერი:

გურამ ბარნოვი მარტო ფოლკლორულ ვარიანტებს რომ არ აქცევდა ყურადღებას, სულ მალე დაამტკიცა, ცოლი გაუშვა და რუსუდან გოგიჩაიშვილზე დაქორწინდა. ალექსანდრე ბარამიძემ, გიორგი ლეონიძის შემდეგ რომ გადირექტორდა, რუსუდანი თანამდებობიდან მოხსნა. ესევე დაუპირა გურამ ბარნოვსაც, მაგრამ ვერ მოახერხა.

გოგლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, ნეტავ, როგორ მოიქცეოდა?

* * *

საქართველოს მწერალთა ყრილობა მიმდინარეობს. გოგლა ვერ ესწრება, მძიმედ ავადაა, წყნეთში წევს თავის აგარაკზე. შესვენებისას „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორი მიხეილ დავითაშვილი მეუბნება, გოგლას სანახავად მივდივარ და ხომ არ წამოხვალო. წავყევი. გოგლა სიცხით გათარანებული დაგვხვდა, მძიმედ სუნთქავდა, თვალებს ძლივსღა ახელდა. მიხეილმა მიახარა, ყრილობაზე შენი სახელი რომ ახსენეს, დარბაზი კინაღამ ტაშით დაინგრაო. ტაშს ვასილ მჟავანაძეც უკრავდაო? – იკითხა სვენებ-სვენებით. ტაში პირველად მან დასცხო, მერე ბიუროს სხვა წევრებიც აჰყვნენო, მიუგო მიხეილმა. გოგლა გამოცოცხლდა, წუთით თითქოს ყველა ტკივილმა გაუარა.

25.07.66

გალაკტიონ ტაბიძე

გალაკტიონ ტაბიძე 50-იან წლებში პოეზიის სექციას ხელმძღვანელობდა. ახალბედა სტუდენტს რატომღაც მეგონა, ჩემი ლექსები რომ მივუტანო და წავაკითხო, უეჭველად მოეწონება და დაბეჭდვაშიც დამეხმარება-მეთქი. საქაღალდეში ჩავაწყვე სამასამდე სუფთად გადაწერილი ლექსი და ერთ მშვენიერ დღეს მაჩაბლის ქუჩას მივაშურე. მისვლა ნაადრევად მომიხდა, ერთხანს მწერალთა სასახლის წინ ვიდექი. ცხრა საათი რომ შესრულდა, შევაღე რკინის ვეება კარი და შევედი. კიბის ზემოთ, კუთხეში დარაჯი იდგა და ქუჩისკენ იყურებოდა. ვინ გნებავსო, მკითხა. ვუპასუხე. კარგა ხანია მოვიდა, ზემოთაა, მეორე სართულზეო. ავედი. გალაკტიონი აივანზე იდგა და ბაღს გადაჰყურებდა. ფეხის ხმა რომ გაიგონა, შემოტრიალდა და ჩემსკენ წამოვიდა. მისალმებაც ვერ მოვასწარი, შორიდანვე მკითხა:

– ვის ეძებ, ბიძიკო?

– თქვენთან მოვედი, ბატონო გალაკტიონ!

– ჰო, კაია თუ ჩემთან მოხვედი, წავიდეთ, მე აქ კაბინეტი მაქვს.

ოთახში რომ შევედით, შემობრუნდა, დაკვირვებით ამხედ-დამხედა და თვალი საქაღალდეზე შეაჩერა:

– ლექსებს მოიტანდი ახლა შენ!

– კი მოვიტანე, თუ ივარგებს... – ვთქვი და გატიკნილი საქაღალდე გავუწოდე. ჩამომართვა.

– ივარგებს, ბიძია, როგორ არ ივარგებს!.. – საიდან ხარ?

– საჩხერედან.

– საჩხერედან?! – თვალები გაუბრწყინდა და ხელი წვერზე ჩამოისვა. ერთხანს გარინდებული იდგა, მერე ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩაილაპარაკა:

– საჩხერე... სხვიტორი... აკაკი...

– როდის მოვიდე თქვენი აზრის გასაგებად, ბატონო გალაკტიონ? – ვკითხე მორიდებით.

– საროდისო რა გვჭირს, ბიძიკო, ორი პოეტი ვართ აგერ, დავსხდეთ, ვილაპარაკოთ, – მიპასუხა და მაგიდისაკენ შებრუნდა, დაჯდა, ჯიბიდან სათვალე ამოიღო, საქაღალდე გახსნა და კითხვას შეუდგა. მე კი გასუსული ვიდექი. დაჯექიო, არ უთქვამს. წაიკითხა ერთი ლექსი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი... სახეზე ნერვის უბრალო შერხევაც ვერ შევამჩნიე. გული რაღაც უცნაურად შემიქანდა.

„არ მოსწონს!“ – გავიფიქრე და სკამი უხმოდ გამოვწიე.

მაგრამ აი, მეექვსე ლექსის წაკითხვა დაიწყო თუ არა, ულვაშებში ჩაეცინა (შინაარსი შეიძლება ორიოდე სიტყვით გადმოგცეთ: ლექსები ბევრი მაქვს, ერთი ლექსი კი ვერ იქნა და ვერ მოვიგულისჭირე. იმიტომ ვწერ უამრავ ლექსებს, მინდა ერთი ლექსი მქონდეს).“

ლექსი რომ ჩაათავა, ერთხელ კიდევ დაუბრუნდა. შემდეგ თვალებგაბრწყინებულმა შემომხედა:

– ბიძიკო, ეს კაი დაგიწერია. ჩვენს პოეტებს ახლა ერთი ლექსი იშვიათად აქვთ. ერთი ლექსი უკვდავებაა...

გალაკტიონი ჩაფიქრდა, მერმე წამოდგა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა, თან ბუტბუტებდა: ერთი ლექსი... აკაკი... „განთიადი“... „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“.

მისთვის მე უკვე აღარ ვარსებობდი...

მაპატიოს დიდი გალაკტიონის წმინდა აჩრდილმა, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ მომეჩვენა, რომ იგი იმ წუთებში „განთიადის“ ავტორს შენატროდა.

* * *

მწერალთა კავშირის კლუბი ხალხით იყო გაჭედილი. ერთი ლექსის საღამომ უამრავი პოეზიის მოყვარული მიიზიდა. პრეზიდიუმში ხელმძღვანელი პოეტები და მწერლები ისხდნენ. გალაკტიონი კი დერეფანში მიდი-მოდიოდა, ახალი კოსტუმი ეცვა, თმა-წვერიც ლამაზად დაევარცხნა. დროდადრო ღია კარებთან შეჩერდებოდა და ცოცხალი ძეგლივით აღიმართებოდა ხოლმე. საოცრად მომხიბვლელი ჩანდა. დარბაზში ზოგიერთმა პრეზიდიუმს ზურგი შეაქცია და გალაკტიონისაკენ იყურებოდა.

წყურვილმა შემაწუხა. მეუხერხულებოდა, მაგრამ დარბაზიდან მაინც გავედი. დერეფანში გალაკტიონმა შემომღიმა:

– რაო, ბიძიკო, ზოგიერთ ჩვენს პოეტს ერთი ლექსიც არა აქვს, ხომ?

– როგორ არა აქვთ, ბატონო გალაკტიონ, მე ჩემზე ვთქვი!

– ჰო, კაი ქენი, ბიძიკო, რომ თქვი. სხვები არ ამბობენ.

იმ საღამოზე გალაკტიონს ლექსი არ წაუკითხავს.

თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა შეხვედრა მოუწყო გალაკტიონს, იოსებ ნონეშვილს, რევაზ მარგიანს. შეხვედრაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა ქალაქის ახალგაზრდობა.

დამსწრე საზოგადოების ყურადღება, რა თქმა უნდა, გალაკტიონისაკენ იყო მიპყრობილი უმთავრესად, მის გამოსვლას აღფრთოვანებით შეხვდნენ. მხოლოდ სამი ლექსი წაიკითხა: „დროშები ჩქარა!“ „რევოლუციურ საქართველოს“ და „მთაწმინდის მთვარე“. დიდი პოეტი ლექსს რომ კითხულობდა, იფიქრებდი, მთელი სხეულით იწვის და იფერფლებაო. ხელები უთრთოდა, წარბები ნერვიულად უთამაშებდა. ხმა დროდადრო ჩაუწყდებოდა ხოლმე, თითქოს ჰაერი არ ყოფნიდა და სუნთქვას სტრიქონებით

იბრუნებდა. ალბათ, ამიტომ იყო, ერთდროულად ბევრი ლექსის წაკითხვას რომ ერიდებოდა. იმ საღამოსაც როგორ არ ეხვეწნენ, ტაშითა და შეძახილებით კინაღამ ჭერი ჩამოიღეს, მაგრამ ვერ იქნა და ტრიბუნასთან ვეღარ დააბრუნეს.

იოსებ ნონეშვილისა და რევაზ მარგიანის გამოსველებსაც დიდი აღტაცებით შეხვდნენ.

ჩემი რიგი რომ დადგა, ჯერ გალაკტიონისადმი მიძღვნილი ლექსი წავიკითხე, მერე ლირიკულ ლექსებზე გადავედი. დარბაზში ბევრი იყო ჩემი ამხანაგი და ნაცნობი, თანაც ისეთ ლექსებს ვკითხულობდი, სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდობის განწყობილებას რომ ეხმაურებოდა. ვფიქრობ, ამიტომ იყო, რომ ჩემი გამოსვლაც მოეწონათ. რომ დავჯექი, კვლავ შემომძახოდნენ: ერთი ლექსი, კიდევ ერთი ლექსიო!

რომ აღარ ავდექი, გალაკტიონმა გადმომხედა და ღიმილით ჩამილაპარაკა:

– ხალხი გთხოვს, ბიძიკო, უნდა წაიკითხო ერთი ლექსი, თუ გაქვს!...

* * *

კიდევ ერთი შეხვედრა მინდა გავიხსენო. ელბაქიძის აღმართზე ამოვდიოდი. სამაიას ბაღის მიღმა, კიდეში, გალაკტიონი დავინახე. ძელსკამზე იჯდა, ერთი ხელი პორტფელზე ედო, მეორე კი შუბლთან მიეტანა და დაბლა იყურებოდა. თვალი მისკენ კი გამირბოდა, მაგრამ მისვლას არ ვაპირებდი, არ მინდოდა სიმშვიდე დარღვეოდა. ის იყო, გავუპირისპირდი და თავი ასწია, დაკვირვებით დამაცქერდა. როგორც კი მივესალმე და დავჯექი, მაშინვე მკითხა:

– ბიძიკო, პოეტი ხომ არა ხარ შენ?

– ჯერ არა ვარ... ვცდილობ... – ამოვღერღე დაბნეულად.

– ჰო, კაია, რომ ცდილობ. ვინ არიან შენი უფროსები?

გაგონილი მქონდა, გალაკტიონმა მწერალთა ერთ ხელმძღვანელს უთხრა: ჩემი უფროსები მხოლოდ ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელია, სხვა უფროსი მე არ ვიციო. ჰოდა, მეც ამის კვალობაზე ვუპასუხე:

– ჩემისთანების უფროსი თქვენ ბრძანდებით, ბატონო გალაკტიონ!

– სწორია, ბიძიკო, სწორი! – გაუხარდა.

სიჩუმე ჩამოვარდა, პოეტი ისევ თავის საფიქრალს მიეცა. მე ხელთ „მნათობის“ ახალი ნომერი მქონდა და მისი თვალიერება დავიწყე.

– ერთი ლექსი თუა, ბიძიკო, შიგ?

მე შევიშმუშნე, ვერაფერი ვუპასუხე. ერთხანს ისიც დუმდა, მერე უცებ წამოდგა და მხარზე ხელი დამადო, – რა ვქნათ ახლა, ბიძიკო, იცი? აგერ „ყაზბეგში“ ჩავიდეთ და ერთი ლექსის სადღეგრძელო დავლიოთ!

ყოყმანი რომ შემატყო, ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

– ფულზე ნუ გეფიქრება.

მასთან პურის ჭამა მერიდებოდა, ფეხათრევით გავყევი. რესტორანში ხალვათობა იყო. ერთ სუფრას გარს შემოსხდომოდნენ: გიორგი შატბერაშვილი, მუხრან მაჭავარიანი, ოთარ ჭელიძე და გივი ძნელაძე. რომ შევედით, მუხრანი სადღეგრძელოს ამბობდა. დაგვინახა თუ არა, ლაპარაკი შეწყვიტა, ჭიქა სუფრაზე დადგა და ჩვენსკენ გამოეშურა.

– მობრძანდით, ბატონო გალაკტიონ! – უთხრა და სუფრისაკენ ანიშნა.

– ოჰ, აქა ხარ, ძამიკო?! სხვა ვინ არის?

მან ჩამოუთვალა.

– კაი ბიჭები შეკრებილხართ, წავიდეთ, აბა?

მუხრანი წინ გაუძღვა, გალაკტიონი მიჰყვა. მე კი დრო ვიხელთე, შევბრუნდი და კიბეს ფეხაჩქარებით ავყევი. ის გაპარვა დღემდე სინანულად მრჩება.

იოსებ ნონეშვილი: „ალექსანდრე ბანძელაძეს უნდოდა გალაკტიონ ტაბიძე დაეხატა. მე რომ ვუთხრა, შეიძლება არ დაყაბულდეს, თქვენ სთხოვეთ, მწერალთა კავშირში იქნებ მოვიდეს. დავურეკე. ნაბადმოსხმული მოვიდა. მიხეილ ლერმონტოვი რომაა ერთ სურათში, ისე დამხატეთო. ჩვენ ვუთხარით, ნაბადში არ ივარგებს, კარგი სურათი არ გამოვა-თქო. აბა, არ მინდაო. წავიდა“.

3.04.60

* * *

ამბერკი გაჩეჩილაძე: „კონსტანტინე გამსახურდიამ გალაკტიონი წვეულებაზე დაპატიჟა. არ მივიდა. მან დაურეკა, რატომ არ მეწვიეო? – მოვედი, მაგრამ ვერ შემოვაღწიე, ავი ძაღლი გყოლია, ისე კი კოშკი გარედან დავათვალიერე. დიდებული სასახლე აგიგია, ყოჩაღ, ყველაფერში მარჯვე ხარო... ბოლოს დასძინა, შენი პროზა და ჩემი პოეზია მთელ საქართველოს ეყოფაო“.

05.06.80

* * *

გუგული ბააკაშვილი: „ელბაქიძის ხიდზე მივდიოდი. დავინახე გალაკტიონი, ფეხარეული მიაბიჯებდა. უცებ შედგა, მტკვარს გადახედა, მერე ცალი ფეხით მოაჯირს შეეწოდა. მივვარდი და შევსძახე: – ბატონო გალაკტიონ! შემომხედა, დამაკვირდა. შემდეგ მკითხა, წყალი ცივიაო? ცივია-მეთქი, ჩაიქნია ხელი და გზა განაგრძო“.

18.06.83

* * *

სერგი ჭილაია: „გალაკტიონმა თავი რომ მოიკლა, იმ დღეს ორი საათით ადრე ვნახე. შალვა დადიანის ჭირისუფლები საავადმყოფოში ვტრიალებდით, უნდა გამოგვესვენებინა. გალაკტიონიც შემოგვიერთდა, ოღონდ სიტყვა არ დაუძრავს დადიანზე, არც ავი უთქვამს, არც კარგი. მას მთაწმინდა მარტო თავისთვის უნდოდა. ჰოდა, შალვას მთაწმინდაზე რომ ვასაფლავებდით, განაწყენდა, რის გამოც დეპრესიული განწყობილება უფრო გაუმძაფრდა“.

03.10.85

* * *

გაიოზ იმედაშვილი: „ერთხელ გალაკტიონ ტაბიძეს შევხვდი. მითხრა, მამაშენის არქივში ჩემი სურათები მეგულება, მოიძიე, გაადიდე და ერთს შენ გაჩუქებო“.

10.06.86

* * *

ალექსანდრე სიგუა: „ოლია ოკუჯავას ძმებიდან მხოლოდ ვასო გადაურჩა კატორღას და დაბრუნდა. ძალიან უჭირდა, ცხოვრების სახსარი არ ჰქონდა. მეც მის დღეში ვიყავი, ერთად დავბრუნდით გადასახლებიდან. ერთხელ მითხრა, გალაკტიონ ტაბიძესთან მიმყევი, იქნებ ორიოდე გროში მასესხოსო. წავყევი. გალაკტიონმა ცოლისძმის თხოვნა რომ მოისმინა, ჩვეულებრივ ჩამოისვა ხელი წვერზე და უთხრა, ოლიას სულს გეფიცები, ისეთ დღეში ვარ, პურის ფულიც კი საძებარი მაქვსო“.

25.01.88

* * *

მარჯანიშვილის თეატრმა გენო ქელბაქიანის პიესა დადგა. მთავარი პერსონაჟი მეოთხე მოქმედებაში გალაკტიონის ლექსს ზეპირად წარმოსთქვამდა. დიდი პოეტი თეატრში მოგვიანებით მივიდოდა, მეოთხე მოქმედებაში თავის ლექსს მოისმენდა და წავიდოდა ხოლმე. სპექტაკლი მხოლოდ ერთ სეზონზე გადიოდა, მერე რეპერტუარიდან ამოიღეს. ეს რომ გალაკტიონმა გაიგო, გენოს დაურეკა:

– რას შვრება ჩვენი სპექტაკლი, აღარ გადის?

– მოხსნეს. – უპასუხა ნაღვლიანად გენომ.

– მეოთხე მოქმედებას რაღას ერჩოდნენ?

27.05.67

* * *

„იმელში“ გრიგოლ აბაშიძის „ლაშარელას“ განხილვაა. ტრიბუნაზე კონსტანტინე გამსახურდია დგას და ლაპარაკობს. დარბაზში შემოდის გალაკტიონი. ხალხი ტაშით ეგებება. გამსახურდიას ჰგონია ჩემი ნათქვამი მოეწონათო. გმადლობთ, თავს აკანტურებს იქით-აქეთ... ტაში გრძელდება, გალაკტიონი ხალხს მიესალმება. კონსტანტინე ბოლოს და ბოლოს ხვდება საქმე როგორცაა, – მე არარა მწამს ტაშისა და ოვაციისაო, – ამბობს გაბრაზებით და საკამათო თემას უბრუნდება.

17.06.60

* * *

გალაკტიონ ტაბიძისადმი მიძღვნილი საღამოა ფინანსთა სამინისტროში „ჭყვიშელმა ბერიკაცმა აკაკი ადეიშვილმა გაიხსენა: „გალაკტიონი 50 წელს იყო გადაბიჯებული, დედა მძიმე ავად რომ გაუხდა. წამლებს მოვუტანო, თბილისს მიაშურა. რომ დაბრუნდა, დედა გარდაცვლილი დახვდა. გასვენებაზე „რევოლუციურ საქართველოს“ წაიკითხა“.

26.10.73

* * *

ფილოსოფიის ისტორიაში მაქვს საასპირანტო გამოცდა. კომისიის თავმჯდომარეა სავლე წერეთელი. მკითხა, რას მეტყვი ნახტომების შესახებ განვითარებაშიო. ვუპასუხე. ნახტომი პოეზიაში თუ არისო? როგორ არა, გალაკტიონის პოეზია ვარლამ რუხაძის შემოქმედებასთან შედარებით ნახტომია-მეთქი.

– ნახტომი გალაკტიონივით შენც ხომ არ გინდა გააკეთო? – მკითხა სერიოზული სახით.

– კი მინდა, მაგრამ შევძლებ? – მივუგე მეც სერიოზულად.

24.11.60

ზურაბ ზოიძე

პოეტი, რომელიც სიბერეს გაექცა

25 თებერვალს 60 წლის გახდებოდა. 2014 წლის 26 სექტემბერს, 9 საათსა და 5 წუთზე, საკუთარ კაბინეტში შესულს, უმტყუნა გულმა. ეს ზურაბ ზოიძე იყო, თვალსაჩინო პოეტი, პუბლიცისტი, ესეისტი, გულმხურვალე პატრიოტი, თედო სახოკიას და ჰაიდარ აბაშიძის პრემიების ლაურეატი, ათეულობით პოეტური და ესეისტური კრებულის ავტორი. ბოლოდროინდელ ლექსებში, როცა საკუთარი ხმა დაიდგინა, თითქოს წინასწარმეტყველებდა, როცა წერდა „დღეს ცოცხალი ვარ მკვდართათვის, ხვალ ცოცხლებისთვის მოვკვდები“. არ ისურვა სიბერე და სიბერით სიკვდილი. პოეტი, რომელიც სიცოცხლის შვილი იყო, უყვარდა ყველა და ყველაფერი, რასაც სამშობლო ერქვა.

ზურაბი ჩემი ძმისწულია. ახლა ის უნდა იყოს ჩემ როლში და ჩემთვის არხევდეს გულის სიმებს, ვაი, რომ პირიქით ხდება.

ბოლო დღეებში რჩეულს ადგენდა, ჩქარობდა, მოსწრება სურდა. ასე ჩანს ახლა. ვეღარ მოეწსრო. რჩეულის შედგენა დაასრულა და მისივე რედაქტორობით გამოსცა ჩვენმა გამოჩენილმა პოეტმა ზაალ ებანოიძემ. ისიც სიმბოლურია, რომ ძვირფასი თამაზ წივწივაძის შედგენილი და „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული გამოსათხოვარი ნერკოლოგი წარუმძღვარა წინასიტყვაობად.

ახლახანს კიდევ ერთხელ გადავხედე მის ხელნაწერებს, ე. წ. „ჩერნავიკებს“. ბევრი მათგანი ძალიან ძნელად იკითხება. რამდენიმე ამოვკრიბე ხელნაწერებიდან და მისი დაბადების მე-60 წლისთავზე ვთავაზობ მკითხველს. ამ ლექსების ავტორი ჩემი მარადიული ტკივილია.

28 თებერვალს ბათუმის მწერალთა სახლში გაიმართება ზურაბ ზოიძის ხსოვნის საღამო.

შოთა ზოიძე

15 თებერვალი, 2019 წ.

* * *

რა გეშველება, შიშველო საქართველოვ,
რა გეშველება, საქართველოვ, შიშველო,
წუხანდელი ღამე თეთრად გავათენე,
მე თვითონ შიშველმა რა უნდა გიშველო?!

ანდერსენის ზღაპარი ვთარგმნე წინაღამ,
შიშველი მეფე მეც კარგად ვიცანი,
მისი სახელი წამომცდა კინაღამ,
წამომცდა კი არა, ყველამ იცის ვინც არი.

ღმერთო, შემოსე საქართველო შიშველი,
მის მეფეს სიშიშვლე პერანგივით აცვია,
მე თვითონ შიშველმა როგორ ვუშველო,
მე ხომ შენი მწყემსი ვარ ქაცვია!

2014

* * *

ვდგავარ იქ, სადაც ციხეა თორის.
ჩემს ციხეს მტერი ვერ მოერია.
ისევ ისე ცრუობს „რუსთავი-2“,
„ამერიკის ხმა“ და პროგრამა „ვრემია“.

ცრუობს „ბი-ბი-სი“ და „ნიუ-იორკ ტაიმსი“,
„ერთსულოვნებას“ ვაშა და ტაში,
როცა ეთერიდან სიმართლე გაისმის,
სიამის ჟრუანტელი დამივლის ტანში.

ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი,
სიმართლეს გაურბიან, როგორც კეთროვანს,
ვიყავი და ვარ ძნელად სამართავი,
მე აწი სხვა არხზე ვერ გადავერთობი.

2014

* * *

ძალიან მიყვარს სპორტი,
პორტი და მისი კორტი,
დღეს მე ვარ აეროპორტი,
და ვთხზავ სამგაზვრო მოტივს.
როგორც სხვადასხვა რეისებს,
მეტაფორების ბოინგებს,
ვაგზავნი, როგორც კრეისერს...
აეროპორტის მორიგემ,
იმხელა ჯეკპოტი მოვიგე,
შევიძენ ახალ ბოინგებს,
ბოინგებსა და რაკეტებს,
იმოდენა ფულს ვაკეთებ,
„ბარსელონასაც“ ვიყიდი,
პრეზიდენტობას ვიყიდი,
პრემიერობას ვიყიდი,
ოღონდაც, უნდა მიღირდეს.

ჩემი ამბავი რომ ვიცი,
არაფერსაც არ ვიყიდი,
რკინის ქალამნებს ჩავიცვამ,
ყველა ქვრივ-ობოლს ვიპოვი,
სუყველას ბინებს ვუყიდი,
სუყველა შიშველს შევმოსავ,
და დავაპურებ მშიერს,
და დავარწყულებ მწყურვალს,
და მომისჯიან სიკვდილს,
ამაზეც ვფიქრობ რატომღაც,
ჯერ მომისჯიან სიკვდილს
და შემიცვლიან კატორღით.

2010

* * *

ზღვასავით დიდია, ცრემლივით პატარა,
ხანდახან ვგავარ უვადო პატიმარს,
სად არ წამიყვანა, სად არ მატარა,
შენი სიყვარული არ მაპატია.

გული დამისერა, მაჯა გადამიხსნა,
უძილო ღამეებს თეთრად ვითენებ,
მე ისევ-ისე უფალმა მიხსნა,
ჭრილობებს შენი მეტაფორა მიმრთელებს.

უფლის მალამოა ჩიტების ნერწყვი,
მაგრამ ზოგ რამეს ვეღარ ვიხსენებ,
მე ახლა გული იმიტომ მეწვის,
რომ სიყვარული არ აგიხსენი.

1987

* * *

მცხეთა და მცხეთა, მცხეთა და მცხეთა,
სვეტიცხოველი, ჯვარი და ჯვარი,
ფრესკიდან ოქროს მირონი წვეთავს,
ოქროს მირონით ივსება ჯამი.

მირონი წვეთავს, სავსეა ჯამი.
სავსეა ჯამი. მირონი წვეთავს.
სვეტიცხოველმა დამწერა ჯვარი
და უფლის მადლით განათდა მცხეთა.

განათდა ჯვარი. განათდა მცხეთა.
სვეტიცხოველში მინდა შევიდე.
ფრესკიდან ოქროს მირონი წვეთავს.
თუ რამ ცოდვა მაქვს, ღმერთო, შემინდე.

1985

* * *

საკუთარი სახელია მთავარი,
დავითი, შოთა, თამარი,
ილია, აკაკი, ვაჟა,
საკუთარ სახელებს ვაშა!

არ მიყვარს ნაცვალსახელი,
მეფე და მეფისნაცვალი,
მეფის ამალა მახელებს,
ვერ ვიტან ნაცვალსახელებს.

ვერც მიშასა და საშას,
ვერ ვიტან, მით უფრო, მიშას,
შოთას და ვაჟას – ვაშა!
ეს უკვე სამშობლოს ნიშნავს.

არ მინდა მტერმა მაქოს,
მტერს არ შევარჩენ მაგას,
ვერ ვიტან თაკოს და მაკოს,
ვერც – ეკასა და მაკას.

ახლა კი უფრო მთავარი
სათქმელი მოდის თავისით,
დაარქვით გოგონებს თამარი,
ვაჟებს – ვაჟა და დავითი!

2009

* * *

დადგა იანვარი,
ცელქი და ონავარი,
მოვიდა თებერვალი,
კარს მოდგა მევალე.
მოვიდა მარტი,
გამიშალა კარტი.

მოვიდა აპრილი,
იები დამპირდა.
დადგა მაისი,
მომემატა ხალისი,
მოვიდა ივნისი,
იმედით აღვივსე.
მოვიდა ივლისი,
ფერი აქვს ირისის.
დადგა აგვისტო
გავხდი მაგისტრი.
დადგა სექტემბერი,
გაჩნდა საქმე ბევრი.
მოვიდა ოქტომბერი,
ბაღია ოქროსფერი.
მოვიდა ნოემბერი,
ქარმა მოუბერა.
მოვიდა დეკემბერი,
ერთი წლით დამაბერა.

1991

* * *

მე მიყვარს ღმერთის ხელგაშლილობა.
პატარა ანდერძს მე თქვენთვის ვტოვებ –
არ მიატოვოთ, დედებო, შვილები,
შვილებო, დედები არ მიატოვოთ.

სულის შებერვით გავაქრობთ ვულკანს,
ქვეყანა გაბრწყინდება უთუოდ იმავ დღეს,
დედებს რომ მათი შვილები უყვართ,
ისე რომ შვილებს დედები გვიყვარდეს!

1991

პატრიარქმა ბრძანა:

– ღმერთი, სამშობლო, ადამიანი!
– ადამიანო, იწამე ღმერთი,
იწამე ღმერთი, არ არს გვიანი!
„გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი“,
ადამიანო, იწამე ღმერთი,
იწამე!

2014

* * *

მე რომ ილია ვიყო და თანაც ჭავჭავაძე,
დაბადებული – ყვარელში, მოვკვდები – წიწამურში,
ილიას სახელს ვფიცავ და უტეხ სიტყვას გაძლევთ,
სიკვდილის გამო წყენას არც გავიკარებ გულში.

1987

* * *

ისე გამაბრაზა შენმა ერთმა ფრაზამ,
შენმა ერთმა ფრაზამ გული გამიბზარა,
ამას ჯობდა კარი ჩაგერაზა,
და გამოგეთიშა ტელეფონის ზარი.

ისე გამიმეტე, ცხრამთას იქით მგზავნი,
კიდევ უფრო იქით, კიდევ უფრო იქით,
ვინ იქნება გზაზე ჩემი თანამგზავრი,
ვერ ამომიხსნია შენი ჩანაფიქრი.

იქნებ ყოველივე ავი სიზმარია,
გამეღვიძება და ბულვარში გავიარ,
დროა გავემგზავრო, მესამე ზარია,
მესამე ზარია, Ave Maria!

2013

* * *

ზამთარია... თებერვალია...
შენი გული ჩემი გულია...
შენი ვალი ჩემი ვალია...
შენი კოცნა ჩემი თაიგულია...
ზამთარია... თებერვალია...

შენი კოცნა ჩემი ოქროს აბია...
გეტრფოდი და გეტრფი თოვლისკაბიანს...
ჩემი სიყვარული ზეინაბია...
მე შაშვი ვარ, შენ ხარ შაშვის გალია,
ზამთარია... თებერვალია...

2012

* * *

ორ წელიწადს რუსის ჯარში,
რუსულ ანუ წითელ ჯარში,
ბორშჩი ვხვრიპე უშნო ჯამში,
ვჭამე წიწიბურას ქაში.

სულ სხვა გული მქონდა მაშინ,
საკმარისი მქონდა ნიჭი,
ჩემი თავის რუსულ ჯარში
წარმოდგენა ახლაც მიჭირს.

1987

ყოველი მათგანი

ლუარსაბ თათქარიძეს უყვარდა ბოზბაში,
ილია ჭავჭავაძეს უყვარდა საქართველო,
ევგენი მიქელაძეს უყვარდა მუსიკა,
ლავრენტი ბერიას – ტყვიების კაკანი,
საქართველოს უყვარდა ყოველი მათგანი.

1987

ქვრივი ქალები

ნინო ჭავჭავაძე – გრიბოედოვის ქვრივი,
ნატალია გონჩაროვა – პუშკინის ქვრივი,
ოლღა გურამიშვილი – ილიას ქვრივი,
ნინო მაყაშვილი – ტიციანის ქვრივი,
მოკლული პოეტების ქვრივების მწკრივი.

1988

* * *

უკვე ჩათავდა მკათათვე,
და დღე თანდათან მოკლდება,
დღეს – ცოცხალი ვარ მკვდართათვის,
ხვალ – ცოცხლებისთვის მოვკვდები.

1989

* * *

ბოინგი ჰაერში ისევ-ისე გუგუნებს,
დეფიციტია სუფთა ჟანგბადი,
ვერ შევეგუე ახალ საუკუნეს,
ხომ არ ავიკრა გუდა-ნაბადი?!

ამ საუკუნეში უცხოპლანეტელს
ვგავარ და სწორედ საიდუმლო აქ არი,
უკვე დაეცა ჩემი არტელი,
გათითოკაცდა ჩემი ამქარი.

2005

* * *

სავსე ვარ ახლის მოლოდინებით,
წარდგინებაზე ნუ დაიგვიანებთ,
ოღონდ იჩქარეთ და მობრძანება ინებეთ,
გარანტიას გაძლევთ, რომ არ ინანებთ.

გაუსხლავი ვენახი ნეტავ არ მენახა,
ნეტავი არ მენახა დაუნახავი ყანები,
ცაში უფალთან ვერასოდეს ვერ ახვალ,
სამშობლო თუ არ გიყვარს და არ ეთაყვანები.

2004

წითელი ხარები

უღელში წითელი ხარები,
ხარები სისხლივით წითლები,
წითლები არ გამახარებენ,
რაკი კულაკად ვითვლები.

შემომინგრიეს კარები,
უბოდიშოდ და უნაკლოდ,
წითლებმა წითელი ხარები
წამართვეს და გამაკულაკეს.

გამაკულაკეს... წამართვეს...
კანონის დაცვით წამართვეს...
მაგრამ ვერ გამაწარმართეს,
რადგან რწმენა ვერ წამართვეს.

1988

მაია მახარაძე

გვიანი სინანული

(პიესა)

მოქმედების ადგილი – ბათუმი

მოქმედი პირები:

ზურა, ბაჩი, ლადო, ერთი ეზოს ბიჭები და ამავ დროს, თანაკლასელები...
ზაზა – ბაჩის ძმა – მხატვარი...
დავითი და რუსუდანი – ლადოს მშობლები...
ლენა – ზურას დედა...
ნანა – ლადოს ნათლიის შვილი...
ქეთი – ნანას მეგობარი..
ლელა – ლადოს შეყვარებული...
ციხის უფროსი...
ფსიქიატრიული საავადმყოფოს მთავარი ექიმი...
ეკლესია...

მოქმედება პირველი

ზურას ბინა.

სკოლის ეზო. მეთორმეტე კლასის საკლასო ოთახი. ირეკება ზარი. ზურა, ბაჩი და ლადო, ერთი ეზოს ბიჭები, ერთად მიდიან სახლში. ზურას დედა ურეკავს. ბაჩი და ლადო ჩვენთან ამოიყვანე, სადილი მზადააო, – ეუბნება. ზურა მეგობრებს თავისთან ეპატიჟება. ლადო ჯერ უარზეა, მერე თანხმდება. ლენა შვილივით საყვარელ ბიჭებს, სუფრას უშლის, მათ გვერდით ჯდება, ჭიქას იღებს და ამბობს:

ლენა – შვილებო, მალე სკოლას დაამთავრებთ. მინდა იგივე დარჩეთ ერთმანეთისთვის, რაც აქამდე. თქვენ ერთი ეზოს ბიჭები ხართ, ამ ერთი დიდი, მრავალსართულიანი სახლის, სხვადასხვა სადარბაზოში მცხოვრებნი, მაგრამ ერთ ჯამში ლუკმაგანაყოფი. ეს ძმობის ტოლფასია. უფალმა დაგილოცოთ მომავალი. **/ბიჭებს გადაკოცნის. სამსახურში მიდის. ზურა დედას კარებამდე აცილებს, მერე თავის ადგილს უბრუნდება და მეგობრებს მიმართავს:/**

ზურა – ლადო, ჩემო ბაჩი, მართლაცდა რამდენიმე კვირაში სკოლას დავამთავრებთ. მინდა ისე ვიცხოვროთ, როგორც დღემდე, სუფთა სულითა და უანგარო მეგობრობით. „მეგობრის თვალი იშვიათად სცდებაო“, ნათქვამია. მინდა ისე ჭეშმარიტად ვიცხოვროთ შემდეგშიც, როგორც აქამდე გვიცხოვრია.

ლადო – მწარე სიმართლეს მხოლოდ მეგობარი, მშობელი და შენი სისხლ – ხორცი გეტყვის, მაგრამ თუ მგობრობა და ძმობაა, თვალები უნდა გავუსწოროთ ერთმანეთში არსებულ ყოველგვარ მანკიერებას და გაგებით მოვეკიდოთ. **/ჩაფიქრდა. სევდა გადაეკრა მის ისედაც ამღრეულ თვალებს, სიგარეტს მოუკიდა./**

ზურა: /მეგობრებს გადახედავს: /იცით, დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა თქვა, რომ „სიცოცხლე მთელი მისი არსით გამსჭვალულია და უნდა იყოს კიდეც გამსჭვალული აზრით, შინაარსით, მეცნიერული მიზნებით“. ის დასძენს: „აზრი აქვს თვით ბოროტებას, უხამსობას, უაზრობას, რომელსაც თავისი ფორმა მოეპოვება. ვთქვათ ქვიშის უფორმო ზვინს აქვს თავისი სახილველი სახე, ანუ „ეიდოსი“. სიცოცხლის ყოველი ფორმა დატვირთულია ცხოვრებისეული პოტენციებით და ამ „ეიდოსის“, ხილვადი სახის გარეშე, ვერც უაზრობას წარმოვიდგენთ. კაცის ვალია, ახსნას რთული ბუნება, ჩასწვდეს „კვერცხის გულში მხტუნავი წერტილის“ არსს“.

ლადო – და რა არის კვერცხის გულში მხტუნავი წერტილის არსი?

ზურა – ეს თავად ჩვენ ვართ, ადამიანები ჩვენი დადებითი და უარყოფითი თვისებებით**.**

ბაჩი – ჩამოასხით ეგ შამპანური, თქვით რამე, კაი ერთი, ფიოსოფია გვინდა ახლა? გაშრა ყელი!

ზურა – თამადობას ვიკისრებ, **/ამბობს და ჭიქებს ავსებს./** ბიჭებო, ჩვენ ერთმანეთი მხოლოდ დიდგვაროვნების, ქონებისა და ტიტულის გამო არ შევაფასოთ, ერთმანეთში ღირსება დავინახოთ და ნაკლი აღმოვფხვრათ. წინ სტუდენტობა გველოდება. მე და ბაჩი ფილოსოფიურზე ვაბარებთ, შენ ეკონომიური აირჩიე. სადაც არ უნდა ვიყოთ, როგორადაც არ უნდა ვიყოთ და ვინც არ უნდა ვიყოთ, ისევე უნდა გვიყვარდეს ერთმანეთი, როგორც ახლა. გაგვიმარჯოს ძმებო. **/სვამს/.**

ბაჩი – /ჭიქას იღებს და თავისებური ნაზი ხუმრობით ამბობს/ სასწაული რომ მოხდეს და სამყაროს მეფედ მაკურთხონ, თქვენს თავს რა დამავიწყებს. **/იცინიან/.**

ლადო – ბიჭებო, ამ უკულმართ ცხოვრებას სულ სხვა ნოტები აქვს და თუ მისი წაკითხვა არ იცი, სიმღერის ნაცვლად აგაბღავლებს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ ჩვენზე უკეთესი, ლეგენდარული საძმო დაუშლია უბრალო გაუგებრობას... **/ისევ ჩაფიქრდა. ზურამ შენიშნა და ჰკითხა:/**

ზურა – კარგად ხარ? მგონი რაღაც გაწვალებს. ჰო, ხშირად იკარგები ამ ბოლო დროს, მოხდა რამე? ხომ იცი, შენს გვერდით ვართ აგერ ორი ძმა, სირთულეს ერთად გადავლახავთ. არაფერი დაგვიმალო.

ბაჩი – /ხუმრობით/ ბიჭო ნოტები ხომ არ აგერია, ნოტები? თუ ასეა, სამთავემ ერთად დავწეროთ ისეთი, რომ გულ – სულმა იმღეროს და არასოდეს აგვაბღავლოს.

ლადო – /შამპანურს ასხამს, მრავლისმეტყველად იღიმება, თითებს მაგიდაზე ათამაშებს, მერე მეგობრებს ეუბნება/: იცით, რაც არ უნდა ალალმართალი იყოს კაცი, იგი ვერასოდეს იქნება სრულიად გულახდილი. ეს ცხოვრების აქსიომაა. ჩვენ დავდიოდით სკოლაში არა იმიტომ, რომ განათლება მიგვეღო, არამედ იმიტომ, რომ ეს ჩვენი ცხოვრების პირველი გაკვეთილები იყო და

ცხოვრება უნდა გვესწავლა, თუმცა მე რაღაც გამომრჩა, რაღაცას ვერ ჩავწვდი, ალბათ იმ ერთი მცნების არსს, სადაც შეცოდება დანაშაულია. **/ფითრდება, თვალები ემღვრევა. ცდილობს თავი შეიკავოს, რათა ჯერ კიდევ ყმაწვილის უპეებიდან, ცრემლმა არ გამოჟონოს. ახლა ორივე განაცვიფრა ლადოს სიტყვებმა და მისმა სახიერმა მდგომარეობამ./**

ზურა – ალალმართალი, შესაძლოა სრულიად გულახდილობას არ ნიშნავს, მაგრამ არც ბოროტსა და გულღრძოს. ათივე მცნებაში, თითოეული პუნქტის დარღვევა, ცოდვად ითვლება. ყველა მათგანი წმინდად დასაცავია. მეგობრობაში ქარაგმები არ მიყვარს, აქ ვართ სამივე, თქვი რა გაწუხებს, გისმენთ.

ლადო – არ გექარაგმებით, მაგრამ ვერც სიმართლეს გეუბნებით.

ზურა – სიმართლეს? რას გულისხმობ?!

ლადო – კარგით, დაივიწყეთ, ახლა არაფერი მკითხოთ, ოდესმე გავბედავ და გეტყვით. ახლა არც ამის ადგილია და ვერც გამიგებთ.

ბაჩი – ასეთი რაა, რომ ვერ გაგიგოთ. აქამდე ხომ ვუგებდით ერთმანეთს?

ლადო – აქამდე ერთმანეთთან გულახდილები ვიყავით, მაგრამ ერთი ბიჭი რაღაცას გვიმალავს...

ზურა – მე გიმალავთ?! **/ზურა გაოცებისგან ხან ლადოს მიაშტერდება, ხან ბაჩის./**

ლადო – გაიოცე კიდეც? გუშინ ერთ გოგონასთან დაგინახე. რატომ არ გვითხარი, თუ ძმებად გვთლი?

ზურა – მე მას რამდენიმე თვეა ვიცნობ. შემთხვევით, მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ერთმანეთის გვერდით აღმოვჩნდით და როგორც ხდება ხოლმე, გამოველაპარაკეთ ერთმანეთს.

ლადო – ჰმ! შემთხვევით არა?! როგორც ჩანს ეგ გოგო, ყველას შემთხვევით იცნობს... **/ჩაიცინებს/**

ბაჩი – შენც იცნობ?

/ლადო დუმს. სიგარეტს ნება – ნება აბოლებს. ზურა კითხვას უმეორებს/:

ზურა – შენ ქეთის იცნობ? თუ დაგვინახე ვსაუბრობდით, თავად რატომ არ მოხვედი ჩვენთან?

ლადო – როდის გაიცანი? **/კითხვა შეუბრუნა ლადომ/**

ზურა – სამი თუ ოთხი თვის წინ... **/ზურა დაეჭვებით უმზერს ლადოს./**

ლადო – და შეყვარება მოასწარი?...

ბაჩი – ჩვენ იმ ასაკში ვართ, შეგვიძლია დამოუკიდებლად ვინმე გავიცნოთ, შევიყვაროთ, ამაში ცუდი რაა, აწი ყველაფერს ერთმანეთს ხომ ვერ მოვუყვებით? შენ შეგიძლია შეყვარებულთან შეხვედრისა და საუბრების ჩვენთან მოყოლა? ეს სრული სიშიშვლეა და არ უნდა მოვითხოვდეთ ამას ერთმანეთისგან. განა შენ უნდა გითხრა რა გრძნობა დამეუფლება გარკვეულ მომენტში და ვის მიმართ? პირადული დახურული თემაა და მას მხოლოდ სურვილის შესაბამისად თუ ამხელენ, ისიც უკიდურეს, გამოუვალ, კრიტიკულ შემთხვევაში.

ზურა – შენი ტონი არ მომწონს ლადო, წუთის წინ მარადიულ ძმობასა და გაგებაზე თავს ვდებდით, პირდაპირ მითხარი რისი თქმა გსურს, რომ გაგიგო.

ლადო – კარგი პირდაპირ იყოს, რადგან არც მე მაგიჟებს მიმოკიბულები, არ გირჩევ იმ გოგოსთან ურთერთობის გაგრძელებას. თავი დაანებე მასთან შეხვედრებს. სწორედ რომ ამის თქმას ვცდილობ მას შემდეგ, რაც ერთად დაგინახეთ და ვერ გავბედე. არ ვიცი გიყვარს თუ არა, მაგრამ რომც გიჟდებოდე, უნდა დაივიწყო.

ზურა – /გაოგნებული/ რა თქმა უნდა, არ შემყვარებია, მაგრამ საოცრად ვუგებთ ერთმანეთს. საოცარი გოგოა, თბილი, ჭკვიანი... რა მიზეზი არსებობს ჩვენი დაშორების?

ბაჩი – არსებობს ზურა.

ზურა – რაა? შენ რა იცი ბაჩი?! ბარე გახსენით კარტი თქვე დალოცვილებო!

ბაჩი – ქეთის მეგობარი ნანა, ამავდროს ლადოს მეგობარი ყოფილა. შარშან, ბანაკში გაუცვნიათ ერთმანეთი და დაძმობილებულან. სწორედ ნანას უთქვამს ლადოსთვის, რომ ქეთი ვიღაცას შეუცდენია...

ლადო – ჰო, ქეთი ნანას დაბადების დღეზე გავიცანი, გეთანხმები, კარგი გოგოა, მაგრამ... **/ლადო ცრუობდა და სიტყვა ვერ იპოვა./**

ზურა – მაგრამ როცა გაიგე მისი მდგომარეობა, სხვა თვალით შეხედე?! სხვა იარლიყი მიაწებე მის სიკარგეს?! მაინც რა გიამბო შენმა დობილლმა?

ლადო – ის, რომ ქეთიზე უძალადია ვიღაცას. დილით ქეთი ნანასთან უნდა მისულიყო. იქვე ცხოვრობს, ორი კვარტალის მოშორებით. ნანამ, დავურეკეო, არც მობილურზე უპასუხია. ამიტომ მასთან წასულა და ქეთი იატაკზე უგონოდ დაგდებული, სისხლში ამოსვრილი უნახავს. სასწრაფო გამოუძახებია და საავადმყოფოში გადაუყვანიათ. გონს რომ მოვიდა, არაფერი ახსოვდა მომხდარის შესახებო.

ბაჩი – საერთოდ არაფერი? ეს როგორ?...

ლადო – როგორ და ტვინის ძლიერი, შეუქცევადი ხასიათის ამნეზია განუვითარდაო, ეს დაცემის შედეგად მომხდარა. ნანამ უამბო რაც შეემთხვა. თავის მოკვლა დაუპირებია. ნანა გვერდიდან არ მოშორებია. მომხდარი თანადგომითა და ფსიქოლოგის დახმარებით გადაატანინა და რაკი მშობლები არ ჰყავდა, არც არავინ ახლობელთაგან ნანაზე უკეთესი, თავისთან გადაიყვანა საცხოვრებლად და ქეთის ბინა გააქირავეს.

ზურა – /დაეჭვებით/ შენ ეს იცოდი და აქმდე არაფერი მითხარი? ბაჩის როდის უამბე?

ბაჩი – მე გუშინ მითხრა.

ლადო – /მის ხმაში ტკივილისა და სინანულის გრძნობა გამოკრთოდა:/ თუ მეგობრის აზრი შენთვის რაიმეს ნიშნავს, ქეთი ცოლად არ მოიყვანო. მისმა სილამაზემ გონება არ აგირიოს, საყვარლად თუ გინდა...

ზურა – /გაბრაზებით/ რას ამბობ ლადო! ქეთი წყაროს წყალივით წმინდაა. ჯერ ერთი, ტკივილი არ განელებია, გგონია ისე ზნედაცემული ვარ, მის მდგომარეობას გამოვიყენებ? მე მეგობრობაც ვიცი და სიყვარულიც. რაკი შევხვდი, ეს ღვთის ნება იყო და მე ამ გამოცდას უნაკლოდ ჩავაბარებ უფალს. შენგან ამას არ მოველოდი, მეგონა მკერდში ბაჯაღლო გული გედო და სხვის ტკივილს ითავისებდი. იცი რატომ მოგისმინე? შენგან მინდოდა გამეგო რამდენად სიმართლე მითხრა ქეთიმ.

ლადო – ქეთიმ?

ზურა – სხვათაშორის, რომ არ შემყვარებოდა, გუშინ ყველაფერი გამიმხილა. ნეტავი გავიგო ვინ არის ის ნაძირალა, ბედს ვაწყევლინებ, ვანანებ, რომ გაჩნდა.

ლადო – იქნებ იმ ვიღაცას ნარკოტიკით გონება ჰქონდა დაბინდული... ნორმალური მამაკაცი ქეთის ამისთვის არ გაიმეტებდა.

ზურა – გინდა იმ არაკაცს გამართლება უპოვო?

ლადო – არა, უბრალოდ ეგ სიმართლეა და მეტი არაფერი. თუმცა, ისეთი ცხოვრება დაგვიდგა, ფხიზელი თვალით არ შეიხედება ამ სამყაროზე. ადრე თუ არალეგაური იყო, ახლა ლეგალური გახდა პლანისა და მარიხუანას მოწევა. ნარკომანებსა და პლანაქეშებზე მეტად მთავრობას აერია ტვინი, აღარ იცის საიდან რა მეთოდით და რისი საშუალებით მოიპოვოს მილიარდები. ისე რა მოხდა თუ კაცმა ხანდახან გააბოლა?! **/ფანჯარასთან მიდის, ეზოს გაჰყურებს. ესმის ბაჩის ხმა/**

ბაჩი – რა მოხდა? არაფერი! ხომ არ გაუსინჯე გემო? თუ ასეა, მიდი, ჩვენც გაგვაბოლებინე. ვნახავთ რა შეგრძნებას იწვევს. თუ ძმები ვართ, ბოლომდე ძმები ვიყოთ, ყველგან, ყველაფერში, უბე-

დურებასა და ბედნიერებაშიც. ჰო, მოიტა, ერთად გავუსინჯოთ ნაგავს გემო... **/ზურას გადახედავს და დასძენს : რას იტყვი შენ?! მერე ლადოს თვალებს უსწორებს და პასუხს ელოდება./**

ლადო – დამცინი ბაჩი? მე ისე ვთქვი, ხუმრობით.

ბაჩი – ეი! მეგობარო! განა ეს თემა სახუმაროა?! ჩვენ უნივერსიტეტში გამოცდების ჩასაბარებლად ვემზადებით, სტუდენტობაზე უნდა ვფიქრობდეთ და არა მარიხუანაზე, პლანზე თუ დასაწვავ სხვა საწამლავებზე, რომლებიც მაფიოზთათვის ბიზნესის წყაროა, ხოლო უტვინოთათვის სიკვდილი. დედმამიშვილებივით გავიზარდეთ და ერთმანეთს უფლება არ უნდა მივცეთ გადაგვარების, არც სხვებს, თუკი ამას შევნიშნავთ, რადგან ისედაც უბადრუკი ადამიანებით დაბოლილი სამყარო, მთლად გასაცოდავდება და მოწყვეტილი ვარდივით დაჭკნება ქვეყნიერება, გესმის ეს შენ?!

ზურა – /ბაჩის სთხოვს დამშვიდდეს, შემდეგ ლადოს ეკითხება:/ როგორ ფიქრობ, ქეთის მდგომარეობაში მყოფ, სულით ხორცამდე უმშვენიერს ქალს, ნამდვილი, ჭეშმარიტი სიყვარულის უფლება არ გააჩნია? ის რომ შენი, ან რომელიმე ჩვენთაგანის და ყოფილიყო, ამასვე იტყოდი? არაკაცის გამო, ზურგი უნდა შევაქციო ჩემსდამი მის ნდობას? ყოველი ადამიანის სიცოცხლე, მეტნაკლებად ჯვარი და გოლგოთაა, ხოლო ცხოვრება, ინკვიზიტორი. ბედნიერს უბედურების ეშინია, უბედურს არსებობის, მე კი არც ერთის არ მეშინია ძმებო და ეს იცით თქვენ.

/ზურა ფეხზე წამოდგა, სიგარეტს მოუკიდა/ ...

ლადო – რეალობას თვალი გაუსწორე, ქეთის არ უნდა შეეპატიჟებინა ერთი დღის გაცნობილი ბიჭი ღამის თორმეტ საათზე სახლში და ყავა არ უნდა მიერთმია. არ ვიცი რა როგორ მოხდა სინამდვილეში, მაგრამ გირჩევ დაივიწყო როგორც ქალი. მეგობრობას კი, არავინ გიკრძალავს. თუ მართლა ძმად მთვლი, ჩემი თხოვნა გაითვალისწინე, ვიცი რასაც გეუბნები. გთხოვ ზურა, გთხოვ სიტყვაზე მენდო.

ზურა – ჩვენი ძმობა და მეგობრობა ერთია, მაგრამ თავმოყვარეობა, პირობა და ზნეობა მეორე. ეგ შენი რჩევა, ცოტათი ბრძანებას წააგავს. იმაზე მეტი ხომ არ იცი ქეთიზე, რომ უნდა იცოდე?

ლადო – მე ის ვიცი, რაც ნანამ მომიყვა. ძმად რომ მიმაჩნიხარ, სწორედ ამიტომ გეუბნები სიმართლეს.

ბაჩი – ნანამ მოგიყვა, რომ ქეთი ძალადობის მსხვერპლია. მას თანაგრძნობა და თანადგომა სჭირდება.

ლადო – /ცოტათი ხმამაღალი ტონით მიმართავს ბაჩის/ ვერ გამიგია რაში გენაღვლებათ იმ გოგოს ბედი?! მურტალოს არ იყოს, „ყველა კაცი თავისით იკლავს თავსო“, **/ზურას მიუბრუნდა/** მე სათქმელი გითხარი! თუ სიამოვნებას განიჭებს ბოზებს და კახპებს სდიო, შენი ნებაა...

/ლადოს ნათქვამმა ზურა წონასწორობიდან გამოიყვანა, ისეთი სილა გააწნა, ლადო შეტორტმანდა... ასისხლიანებული თვალებით მიაჩერდა ზურას. თავი გადააქნია, ცინიკურად ჩაიღიმა/

ლადო: მასპინძელი რომ არ იყო, ხურდას დაგიბრუნებდი, მაგრამ ამას, შენს ოჯახში, არ ვიზამ. ლენა დეიდას არ ვაკადრებ, თუმცა შენ, ჩემი მშობლები ფეხებზე დაიკიდე! ვიღაც კახპას გამო ხელი გამარტყი? ამიერიდან ჩვენი მეგობრობა მოკვდა, რადგან ქალში, ძმა გაცვალე. **/ლადომ სიგარეტს მოუკიდა და ბოლთის ცემას მოჰყვა.../**

ზურა – ქეთი კახპა არ არის და თუ ასეა, დამიმტკიცე!

ბაჩი – რა გემართება ლადო?! შენც ხომ იცი, რომ ქეთი კახპა არაა! იქნებ შენ გიყვარს, თუ ასეა აღიარე, ზურა გაგიგებს...

ზურა – დაიმსახურე და გაგარტყი, როგორც ძმას. არც ვნანობ. ბაჩის არ იყოს, თუ მართლა გიყვარს, მითხარი, ჩვენ მხოლოდ ვმეგობრობთ, მე მისთვის სიყვარული არ ამიხსნია, არაფერი მითქვამს ისეთი, რომ ჩვენმა ძმობამ ვერ გაიგოს.

ლადო – ეგღა მაკლია ვიღაცის გაბახებული ქალი შევიყვარო. შენ კი, ზურა, ხურდას სხვა დროს დაგიბრუნებ და იცი რატომ? იმიტომ, რომ ჩემი რჩევა ფეხებზე დაიკიდე, რომ გოგოს გამო, უარმყავი. რომ არ შეგიძლია სიტყვაზე მენდო. გამოდის არავინ და არაფერი ვარ შენთვის, არც არასდროს ვყოფილვარ ალბათ...

ბაჩი – თუ ჩვენგან წასვლა გინდა, წადი, მაგრამ იფიქრე იმაზე, რაც აქ მოხდა. სიტყვაზე ნდობა რას ნიშნავს? მართალს სიმართლისა არ ეშინია, შენ კი, უდაოა რაღაც მნიშვნელოვანი იცი. შენზე რას იტყვი? თავად არ გინდა დამნაშავე ამხილო და ზურამ გაგიგოს?!

ლადო – დიახ, ვიცი, მაგრამ მისი თქმა არ შემიძლია. ამიტომ თქვენ, ჩემს ძმებს, გაგებას გთხოვთ. ისე კი, იცოდეთ, რომ მეც არაფრის მეშინია. ჩემი სიმართლე ისაა, რომ ზურამ თავი უნდა დაანებოს ქეთის, რომ არასოდეს შეხვდეს და არასოდეს მკითხოს რატომ...

ზურა – სწორედ ეს არაა გასაგები ლადო!

ლადო – სწორედ ისე უნდა გაიგო, როგორც გესმის. კიდევ ერთხელ გაფრთხილებ სრული სერიოზულობით, რომ რაინდობას მოეშვი და არც მე გადამეყარო გზაზე. ახლა კი, მშვიდობით, დღეიდან ერთმანეთს არ ვიცნობთ...

ზურა – რას მიედ-მოედები?! რის გამო რიყავ ამდენი ხნის ძმაკაცობას? თუ ამის ნამდვილი მიზეზი გვაქვს, კაცურად გვითხარი.

ბაჩი – მეც ასე ვფიქრობ, შენ ვიღაცას ხელს აფარებ და ის ვიღაცა, დავიჯერო ჩვენს მეგობრობაზე მაღლა დგას?!

ლადო – /მეგობრებისგან გულნატკენი, ცინიკურად ჩაილაპარაკებს:/ კატისა და ლომის არაკისა არ იყოს, ყველას აქვს თავისთვის ერთი საიდუმლოება, მშვიდობით ბიჭებო! **/გადის/...**

ბაჩი – /თავზეხელშემოდგმული, მოულოდნელობისგან გაოცებული ამბობს:/ ეს რა მოხდა, განა იფიქრებდი ამ ლამაზ პურმარილს, ასეთი რამ მოყვებოდა? ვიღაცის გამო, თორმეტწლიანი ძმაკაცობა უნდა გავწიროთ? **/ეზოდან ისმის მუსიკის ხმა. ბაჩი წამოდგება, გაიარ-გამოიარს, მერე ფანჯარასთან მიდის, რაფაზე ეყრდნობა. აღარ იცის რა თქვას./**

ზურა – /არანაკლებ გაოცებული:/ მე არავისი გაწირვა არ მიფიქრია. ორივენი ძმასავით მიყვარხართ. დღემდე გულახდილები ვიყავით, დღეს რა მოხდა, რას გვიმალავს?!

ბაჩი – /შემობრუნდება/ ნამდვილად არ ვიცი. ყვავივით არ ჩაგვაშხამა ყელაფერი? იქნებ მართალია, თუ ქეთი არ გიყვარს, ენდე მეგობრის სიტყვას და დაივიწყე, ნულარ შეხვდები...

ზურა – ახლა ამაზე ვერაფერს გიპასუხებ. უმჯობესია ლადოსთან ახვიდე და ყველაფერი გაარკვიო...

/ბაჩი გადის. ზურა დივანზე ჩამოჯდება. ჩაფიქრდება. ისმის ტელეონის ხმა. ყურმილს იღებს/...

ზურა – გისმენთ... შენ? როგორა ხარ ქეთი... რა? ნანობ რომ გამიცანი? ამის მიზეზი მოგეცი?... მაშინ რა ხდება? კარგი, ხვალ ამიხსნი რატომ აღარ გინდა ჩემთან შეხვედრა.

/ზურა ყურმილს დებს. ადგილს ვერ პოულობს. თვალები კარებისკენ გაურბის. როგორც იქნა ეღება კარები. შემოდის ბაჩი.../

ბაჩი – /აღელვებული/ ბიჭო! ლადო სრულ ჭკაუაზე არ უნდა იყოს. კარებს არ მიღებდა, შენთან სალაპარაკო არაფერი მაქვს, იმ ბიჭს კი, შენზე თქვა – ლადო არ ვიყო, თუ სილის გაწნა ვაპატიოო. გიჟსა ჰგავს. ისე, არ უნდა გაგერტყა. ჩემი აზრით, ამდენი ხნის მეგობრობას, უმიზეზოდ ხელს არავინ ჰკრავს. მას ხომ ჩვენთვის არასოდეს უღალატია. ვუთხარი მე და ზურა ერთად ამოვალთ და შენთან დავილაპარაკოთ მეთქი, წამოხვალ?

ზურა – წამოდი, ვცადოთ, მერე სათქმელი არ ექნება, რომ გამრიყეთო... **/მიდიან. ლადოს ბინა. კარები ღიაა. ლადო დაბოღმილი ზის სავარძელში. ეწევა. ზურა და ბაჩი უსიტყვოდ ჩამოჯდებიან ფუმფულა დივანზე. ერთხანს დუმილი მოიცავს იქაურობას, რომელსაც ბაჩი არღვევს:/**

ბაჩი – ლადო, უკანასკნელად გეკითხებით და სიმართლე გვითხარი, რა ხდება შენს თავს. თუ ძმობაა, ძმობა და გაგება იყოს. ზურას რომ ჩემთვის გაერტყა, იმის გამო, რის გამოც შენ გაგარტყა, ბოდიშს მოვუხდიდი.

ზურა – ლადო, ჩვენი ლამაზი მეგობრობისა და მეზობლობის გამო, ყველაფერს ვთმობ, ოღონდ მაცოდინე, რაში ვარ დამნაშავე. თუ ქეთი არაფერ შუაშია, თუ შენ არ გიყვარს იგი, მაშ რა ხდება? რა მიზეზით მიკრძალავ მასთან შეხვედრას?

ლადო – სიმართლე ისაა, რომ ქეთი ცოლად არ უნდა მოიყვანო. მეტს ვერაფერს გეტყვი.

ზურა – კარგი, მივდივარ დათმობაზე, ოღონდ ის მაინც მითხარი, შენ რატომ ხარ ასეთი წინააღმდეგი? მე ქეთის წარსულს მნიშვნელობას არ ვანიჭებ. ჩემთვის სულია მთავარი, ის წმინდა სული, რომელიც არ დაინდეს, გათელეს და პასუხისმგებლობა მიმალვით აიცილეს. იქნებ შენთვის უცხოა ჩემი სიტყვები, რადგან ფუფუნებაში გაზრდილ შენისთანებს, სხვა განზომილებები მართავს,- ანუ სურვილი, ნდომა, სხეული!...

ლადო – მე ამ ფუფუნებას არ დავუმახინჯებივარ არც სულით და არც ხორცით. შენ და ბაჩი, ისევე იყოფდით მის მადლს, როგორც მე. უთქვენოდ ლუკმას არ გადამაყლაპებდა დედაჩემი, ეს კარგად იცით. რატომ არ გინდა, რომ პატივი სცე ჩემს ძმურ თხოვნას? დავიჯერო რამდენიმე თვის გაცნობილ გოგოზე მეტი არ ღირს შენთვის ჩემი მეგობრობა? დავითისა და რუსუდანის ოჯახი, სადაც ათენებდით და აღამებდით? მე ყველაფერი ვთქვი და ამის შემდეგ, თუ ისევ შენსას მიაწვები, ჩემს სიტყვებს არანაირი აზრი აღარ აქვს...

ზურა – მე ერთი რამ მაწუხებს, ქალის გამო, ჩვენს ძმობას, გზაზე არ გადავეღობო და თუ ასე არ არის, მაშინ ქეთისთან დაშორებას არ ვაპირებ. ხვალ უნდა შევხვდე და... **/ლადოს თვალებში გიჟური სიბრაზე დგება, რასაც ზიზღი ერევა ზურასადმი, რადგან არ გაითვაისწინა მისი ამდენი თხოვნა – ვედრება, ამიტომ პირდაპირ მიახალა:/**

ლადო – და ეტყვი, რომ უკანასკნელად ხვდები! **/ლადო სიგარეტის კვამლშია გახვეული, თითებში სანთებელას აწვალებს./**

ბაჩი – /გაოცებით/ რა თქვი? ეს ბრძანება? აქვს თუ არა ამ სიტყვებს ახსნა?! შენ რა, უაზრო სიტყვების დუელში იწვევ ზურას?!

ლადო – დუელი?! სიტყვების არ ვიცი, მაგრამ კარგ დროს ახსენე. **/მიუბრუნდება ზურას/** თუ არ შეასრულებ, რაც გთხოვე, ჰო, დუელში გიწვევ და გწამდეს, რომ შედგება.

ზურა – კარგი, ისე იყოს, როგორც გადაწყვეტ. შენ გინდა ბრმად გენდო, თავად კი, ძმობისა და მეგობრობის ფარს იფარებ, ამიტომ ჩემს მოთმინებასაც გააჩნია ზღვარი, უკან დამხევის დედაც ვატირე. ერთი კი დაიმახსოვრე, სიმართლე ადრე თუ გვიან, მუდამ იმარჯვებს. იმედია დროსა და ადგილსაც თავად დანიშნავ.

ბაჩი – თქვენ მართლა ჩაბერეთ? რა დუელი, რას ბოდავთ! **/თავზე ხელებს შემოირტყამს, ოთახში მიმოდის./**

ლადო – შენ არავინ გეკითხება ბაჩი! ახლა კი, დაახვიეთ აქედან, წადით!

/ზურა და ბაჩი გაოგნებული უმზერენ ერთმანეთს, მერე ლადოს მიაშტერდებიან. ლადო ზურგს აქცევს მეგობრებს. უსიტყვოდ ტოვებენ ბინას. ეზოში ჩადიან. ძელსკამზე ჩამოსხდებიან. ვერც ერთი ვერ პოულობს საჭირო სიტყვას. ორთავეს ერთი ფიქრი აწვალებს, რა მოუვიდა ლადოს? ის ხომ ერთი ალალმართალი, კეთილი მეგობარი იყო? საუკეთესო მშობლების გაზრდი-

ლი, რომელიც ყველას უყვარდა. ბოლოს ბაჩიმ გადაწყვიტა ძმასთან წასულიყო, სახელოსნოში და მომხდარზე ეამბნა. ზურაც დაეთანხმა. წადი, უფროსია და რაიმეს გვირჩევსო. ზაზას სამხატვრო სახელოსნო. მოლბერტზე ტილოა მიმაგრებული, ხატავს. დაბალ ხმაზე მაგნიტოფონია ჩართული. ისმის სასიამოვნო მუსიკის ხმა. შედის ბაჩი./

ბაჩი – გამარჯობა ზაზა, ხელს ხომ არ შეგიშლი?

ზაზა – ამას როგორ ამბობ ბაჩი, შენ ჩემთვის ძმაზე მეტი ხარ, შვილივით გაგზარდე. რაშია საქმე, რაღაც ვერა ხარ მგონი...

ბაჩი – ჰო, ვერ ვარ. ლადომ მე და ზურა, უმიზეზოდ გულიდან ამოგვიღო, უფრო, მიზეზს არ გვიმხელს ბოლომდე. მე ზურას დავუჭირე მხარი, რადგან ის მართალია.

ზაზა – მოიცა, ვერაფერი გავიგე, დაწვრილებით მიამბე რა მოხდა, რას ნიშნავს გულიდან ამოგიღოთ. ლადოს ვიცნობ, თქვენზე ნაკლები ბიჭი არაა, უსაფუძვლოდ არ გაგრიყავდათ. თავს არაფერში გრძნობთ დამნაშავედ? **/ზაზა ხატვას აგრძელებს/**

ბაჩი – კარგი, გეტყვი, მაგრამ ერთი წამით გადადე ეგ ფუნჯები და ჩემს გვერდით ჩამოჯექი, გულით მომისმინე. გადაყევი ხელოვნებას და ჩემთვის აღარ გცალია. შენ იქნებ ისევ პატარა გგონივარ, მაგრამ დიდი ხანია კაცად ჩამოვყალიბდი. ავისა და კარგის გარჩევა ცხოვრებამ მასწავლა. იმ ცხოვრებამ, რომელსაც ქუჩა ჰქვია. ძმობა და მამობის გაწევა გაცილებით ადვილია, ვიდრე მამისა და ძმის, მოყვასის სულში ჩახედვა... **/ზაზა ფუნჯებს უსიტყვოდ დებს მოლბერტზე. ძმის გვერდით ჯდება. მხარზე ხელს გადახვევს, მწარედ ჩაეღიმება და პასუხობს:/**

ზაზა – რა მითხარი? როგორ იფიქრე, რომ შენს სულში არ ვიხედები. მაშ ვისთვის ვაკლავ თავს სირისტიან სახელოსნოს? ხელოვნება ლუკმა პურის წყაროდ ვაქციე... რამდენიმე წლის წინ დაწყებულ ღირებულ ნამუშევრებს ვერ დავუბრუნდი, რომ დავასრულო, გამოფენა გავაკეთო. ვცდილობ ამ გაჭირვებულ პირობებში, ნახატების გაყიდვით, როგორმე თავი გავიტანოთ. სადაცაა უმაღლესში უნდა ჩააბარო. სწავლის ფული ხომ უნდა გადაგიხადო? შენი ბედნიერი მომავლის გამო, ჩემს პირად ბედნიერებაზე ვთქვი უარი. მეგონა ამას უსიტყვოდ ხვდებოდი, მეგონა შენში კაცური კაცის კოდი ჩავდე. ვერ წარმოვიდგენდი ჩემზე ასეთი შეხედულება თუ შეგექმნებოდა. შენ იცი, რამდენი წელია თავს ვიკავებ ოჯახის შექმნისგან, მშობლების სასაფლაოს საკუთარი ხელებით ვაკეთებ და ვერ დავასრულე... **/ზაზას უპეები ენამება. თავს იკავებს, რომ ძმამ აცრემლებული არ დაინახოს. სიგარეტს უკიდებს. რაღაცნაირი, ქვეცნობიერიდან ამოსული უცნობი ღიმილი გადაეკრება ბაგზე./**

ბაჩი – მაპატიე, ცუდად გამომივიდა. ეს იმის ბრალია, რომ შინ გვიან ღამით ბრუნდები. მე მარტო ვარ, ზურასა და ლადოს გარდა არავინ მყავდა ვისაც ფიქრებს გავუზიარებდი. ჩემს მშობლებად ლადოს დედ-მამა იქცა. ასევე ზურას დედა. სულ მათთან ვარ. უჩემოდ სუფრას არ გაუშლიან შვილებს ლენა და რუსუდან დეიდა. ახლა ლადო გაგვიდგა, ჩვენს შორის პრობლემა გაჩნდა და დავიბენი...

ზაზა – მესმის, მაგრამ ეს იმის უფლებას არ გაძლევს, მისაყვედურო. კარგი, დამშვიდდი და ამიხსენი რა მოხდა.

ბაჩი – რამდენიმე თვის წინ, ზურას ერთი გოგო გაუცნია. მგონი უყვარს კიდეც. ლადო მათი შეხვედრის სასტიკი წინააღმდეგია. იმ გოგოს შეცდენილს და კახპას ეძახის. მიზეზს არ გვეუბნება. ეს რომ ასე იყოს, ზურა არ დაუმეგობრდებოდა...

ზაზა – როგორს არ დაუმეგობრდებოდა ბაჩი, შეცდენილს თუ კახპას? მათ შორის დიდი განსხვავებაა ძმაო...

ბაჩი – რა თქმა უნდა, კახპას...

ზაზა – ლადომ ნამდვილად რაღაც სერიოზული იცის გოგონას შესახებ და თქმა არ შეუძლია. დასაშვებია იმას იცნობს, ვინც გოგონა შეაცდინა. აქ ორი აზრი არ არსებობს.

ბაჩი – მერედა რატომ უნდა დაგვიმალოს, ჩვენ ხომ ერთმანეთს მარადიული ძმობა და მეგობრობა შევფიცეთ. თუ აქამდე გულახდილები ვიყავით, ახლა რა ხდება? მით უმეტეს, ზურამ კაცურად უთხრა, თუ გიყვარს, გზიდან ჩამოგეცლებიო...

ზაზა – მაშინ, გაცილებით რთულადაა საქმე. უდაოა, რომ ყველაფერი იცის.

ბაჩი – ჰო, ლადო თავისთავს აღარ ჰგავს. ზურას უთხრა, თუ ქეთის თავს არ დაანებებ, დუელში გამოგიწვევო.

ზაზა – დუელში? არ ვიცი გავიცინო თუ სერიოზულ მუქარად მივიჩნიო. მაგ ბიჭს დიდი პრობლემა აქვს როგორც ჩანს და თქვენი დახმარება სჭირდება.

ბაჩი – როგორ, როცა სახლიდან გამოგვყარა, დაახვიეთო გვიბრძანა. ულტიმატუმიც კი წამოგვიყენა. იქნებ შენ დაელაპარაკო, ჩვენზე უკეთ შენთანაა...

ზაზა – მოვლენებს ნუ გავუსწრებთ. დაველაპარაკები, მაგრამ ამით მის თავმოყვარეობას შევლახავთ. იქნებ არ სურს, რომ ვიცოდე რა მოხდა თქვენს შორის. დაპირისპირებით ვერაფერს გახდებით, პირიქით, თქვენი ნდობის დაკარგვის საბაბს მისცემთ. ადექი, გვიანია, შინ წავიდეთ. ყველაფერი დალაგდება...

/სახელოსნოდან გადიან. ბაჩი უკმაყოფილოა, რადგან ჩათვალა, რომ ძმამ გულგრილად მიიღო ყველაფრი. მთელი ღამე ფიქრებში გაატარა. ზაზაც ფიქრებმა წაიღო. არ იცოდა რა ეპასუხა შვილივით გაზრდილ ძმისთვის, რა რჩევა მიეცა. ერთი ფიქრი აეკვიატა, „რა მოხდა?“... გულმა ცუდი უგრძნო, თუმცა ამის ბაჩისთვის გამხელას არ აპირებდა. გადაღლის გვიან ჩაეძინა. ვიდრე ზაზა გაიღვიძებდა, ბაჩი და ზურა პირველად წავიდვენ სკოლაში ლადოს გარეშე. ზაზას მზის სხივები აღვიძებს. საწოლის თავთან დადგმულ სკამზე სიგარეტი და საფერფლე ედო. აიღო, მოუკიდა. საწოლში წამოჯდა. ბაჩის გუშინდელ ნათქვამზე ფიქრობდა. გული ცუდს უგრძნობდა. ზაზა ერთადერთი იყო, ვინც იცოდა, რომ ლადო პლანს ეწეოდა. ეს სრულიად შემთხვევით გაიგო, ლადო ისეთ ბიჭებთან გამოიჭირა, რომლებიც ნარკოტიკს ასაღებდნენ და ეწეოდნენ კიდეც. სწორედ ზაზა ავიდა ბატონ დავითთან და ბაჩის თანდასწრებით უთხრა, რომ ვიდრე გვიან არ არის, შვილს უნდა უშველოო. ეს იყო და ეს, თემა დაიხურა. ზაზამ იცოდა, რომ ლადო თერაპიულ მკურნალობას გადიოდა და თავისი გადაწყვეტილებით ამაყობდა, ჰო, ამაყობდა, რომ ცინცხალ ნერგს გახმობაში ხელი არ შეუწყო, რომ მიწა გამოუცვალა და წყალი დაუსხა. გადაწყვიტა ისე შეხვედროდა ლადოს, ბაჩისა და ზურას არაფერი სცოდნოდა. სახელოსნოში დავიბარებ, გაიფიქრა, მერე წამოდგა, უგერგილოდ ისაუზმა და სახლის კარები გამოიკეტა. ბაჩიმ და ზურამ კი, იმ დილით, ვერ გაბედეს, რომ ლადოსთვის დაეძახათ, თუმცა ლადო კლასში დახვდათ. ლადო თავს არიდებს მეგობრებს. ბაჩიმ ვერ მოითმინა და მასთან მივიდა/

ბაჩი – გამარჯობის ღირსადაც აღარ გვთვლი? ჩვენგან გამოცალკევება შენი დაპირების სტარტად მივიღოთ? **/თვალებს უსწორებს/**

ლადო – მე შენთან არანაირი პრობლემა არ გამაჩნია. შენ ზურას მიემხრე და... **/ბაჩი სიტყვას აწყვეტინებს./**

ბაჩი – მე ზურას კი არა, სიმართლეს დავუჭირე მხარი. ჩვენი ძმობის ფიციც ხომ სიმართლე იყო?! გაკვეთილების შემდეგ ზურა ქეთისთან შესახვედრად მიდის. ვნახოთ რა გაირკვევა...

ლადო – ნახეთ! **/მიუგო და საკლასო ოთახში შევიდა. ირეკება ბოლო გაკვთილის ზარი. ზურა ბაჩის ემშვიდობება და ქეთისთან მიდის. ბულვარი. სანაპირო. ძელსკამზე ქეთი და ზურა სხედან./**

ზურა – ქეთი, ცრემლებში რად ახშობ ლამაზ გრძნობებს. წარსულზე გოდება მხოლოდ სულს დაგიავადებს. ახლა მითხარი, დღეს ნანა რატომ არ გახლავს? აქამდე მასთან ერთად მოდიოდი შე-

ხვედრაზე. რა მოხდა, შიშს სძლიე თუ შენი ნდობა დავიმსახურე? **/ზურა ცდილობს ამოიკითხოს გოგონას სულიერი განცდები. ცდილობს ისე მიუდგეს, რომ გულახდილი იყოს მასთან./**

ქეთი – ერთიც და მეორეც. ამქვეყნად ყველაზე კარგი მეგობარი, გონების სიფხიზლე და სიფრთხილე ყოფილა. რაც შემემთხვა, ჩემივ მიმნდობლობის ბრალია. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, მამაკაცი მასზე დანდობილ ქალს, რომელმაც სხვისგან დასაცავად, გაცილებაზე დათანხმდა, ნაძირალა აღმოჩნდებოდა. სამწუხარო ისაა, ვერაფრით ვიხსენებ მის სახეს. მე არავისთან ვმეგობრობ ნანას გარდა. მომხდარის შემდეგ, მშობლების საფლავთან დავიფიცე, აღარავის შევიყვარებდი, აღარავის შევხვდებოდი. მეათე კლასში დასრულდა ჩემი მომავალი. დრო რომ გავიდა, ყველაფერში საკუთარი თავი დავადანაშაულე. ერთი დღის გაცნობილი სახლში არ უნდა შემეპატიჟებინა, მაგრამ ნანას სამეგობროში თუ არაკაცი იქნებოდა, როგორ ვიფიქრებდი... **/ზურას გულზე მოხვდა ქეთის იგივე სიტყვები, რაზედაც მან ლადოს სილა გაწნა, „ერთი დღის გაცნობილი“.../**

ზურა – ნანა ვერ იხსენებს ვინ ჰყავდა მოწვეული სტუმრად, თუ არ იხსენებს? **/ზურამ დაეჭვებით შეხედა სიტუაციას/**

ქეთი – სამწუხაროდ, ნანას დაბადების დღიდან, რამდენიმე ბიჭი და გოგო, ერთად გამოვსულვართ... ღმერთო ჩემო, რატომ არ მახსენდება, რატომ! **/ცრემლი მოერია/**

ზურა – ვინმე ლადოს ხომ არ იცნობ ნანას სამეგობროდან?

ქეთი – არ მაგონდება, ნანას ვკითხავ, რატომ მეკითხები?

ზურა – ჩემი თანაკლასელი ლადო გიცნობს. უფრო მეტიც, კატეგორიულად მიკრძალავს შენთან შეხვედრას...

ქეთი – ჩემთან შეხვედრას? მიზეზი?

ზურა – საქმეც ამაშია, მიზეზს არ ამბობს. ამის გამო სერიოზულად დავუპირისპირდით ერთმანეთს. ისეთი ბინძური სიტყვებით მოგიხსენია, თავი ველარ შევიკავე და სილა გავაწანი... მგონი მტრად წავიკიდე...

ქეთი – არავითარი ლადო არ მაგონდება...

ზურა – ჩემი მეგობარი, შენს მეგობარ ნანას იცნობს, შენს შესახებ, მას უამბნია ლადოსთვის...

ქეთი – /გაოცებით/ ნანას? ეგ სიცრუეა, ნანა ჩემზე არასოდეს არავის არაფერს უამბობს. მე მასში ეჭვი არ მეპარება. შენი მეგობარი რაღაცას მალავს. როგორც ჩანს,რაღაც იცის ჩემზე. გთხოვ შემახვედრო ზურა... **/თვალები აუცრემლდება. სივრცეს მიაპყრობს მზერას. ზურას გულთბილობა და მეგობრობა ხიბლავს და თავის გულში უფალს საყვედურობს მწარე წარსულის გამო. რატომ? რატომ ღმერთო?!/**

ზურა – ეგ მეც ვთხოვე, მაგრამ შენთან შეხვედრა არ სურს.

ქეთი – აუცილებლად უნდა ვნახო ეგ ლადო. შენი თანაკლასელია არა?

ზურა – არა მარტო თანაკლასელი, ჩვენ ერთ ეზოში, ერთ სახლში ვცხოვრობთ, მხოლოდ სხვადასხვა სადარბაზო გვყოფს. მთელ დღეებს ერთად ვატარებდით. მე და შენ ერთად დაგვინახა და ჩვენს ურთიერთობას კატეგორიულად წინ აღუდგა. მეც ასე ვფიქრობ, თქვენი შეხვედრა უნდა შედგეს. ერთი თხოვნა მაქვს, ნანას ჰკითხე ვინ არიან მისი მეგობრის მშობლები, რა ჰქვიათ, აქვს თუ არა მათთან რაიმე კავშირი. ეს გარდაუვალია, ამის გაგება ყველაფერს ფარდას ჩამოხსნის.

ქეთი – და შენი კლასელის მშობლები ვინ არიან? რა ჰქვიათ, მეტყვი?

ზურა – მამას დავითი ჰქვია, დედას რუსუდანი...

ქეთი – ნდობისთვის გმადლობ, დროა სახლში წავიდე. ერთი სული მაქვს ნანას როდის ვნახავ, რომ ვკითხო, ვინ არის ლადო. დამიჯერე, მე საერთოდ არ მახსოვდა არანაირი წარსული, რაც ახლა ვიცი, ყველაფერი ნანამ მომიყვა. დიდი იმედი მაქვს, ოდესმე გავიხსენებ, თუმცა სჯობს არც გამახსენდეს...

ზურა – წავიდეთ, ოღონდ ჯერ ცოტა გავიაროთ, ყავა დავლიოთ, მხოლოდ პრობლემებზე ვსაუბრ-ფობთ, სჯობს დაძაბული მდგომარეობა განვმუხტოთ... **/ქეთი ეთანხმება. სანაპიროს დაუყვნენ. ზღვიდან მონაბერი სიო გიშრისფერ თმებზე ელამუნებოდა ფერიასავით მომხიბლავ გოგონას. ორთავეს გული გამალებით ძგერდა და ორთავე ნაძირალას პოვნაზე ფიქრობდა. ზურასთვის მნიშვნელობა არ ქონდა ქეთის წარსულს იმდენად, რამდენადაც გოგონა გარემოების მსხვერ-პლი იყო. პირიქით, მის დამშვიდებასა და მდგომარეობიდან გამოყვანაზე ფიქრობდა. ყავა და ნაყინი შესთავაზა. ქეთი წასვლას ჩქარობდა. ზურა სახლამდე აცილებს და ემშვიდობება. ნანას ბინა. ნანა ქსოვს. შედის ქეთი. უსიტყვოვდ, დივანზე ჯდება, თვალცრემლიანი. ნანა ხელსაქმეს გადადებს და ეკითხება:/**

ნანა – რატომ ტირი, რა მოხდა?

ქეთი – იმ დაწყევლილ დღეს, – ჩემს გაუბედურებას ვგულისხმობ, – ვინმე ლადო ხომ არ გყავდა დაპატიჟებული?

ნანა – რატომ მკითხე?

ქეთი – ჯერ შენ მიპასუხე! **/ქეთის ცრემლები ეძალება, ხმა ებზარება, ხელებს ნერვიულად აწვალებს.../**

ნანა – ლადო ბანაკში გაცნობილ ძმადნაფიცს ჰქვია. ის მას შემდეგ აღარ მენახა, რაც ბანაკიდან წამოვედით. ჩემი დაბადების წინა დღით, საყიდლებზე რომ წავედი, შემთხვევით შემხვდა მარკეტ-ში, სიგარეტს ყიდულობდა. ამდენი სანოვაგე რად გინდა, ხომ არ თხოვდებიო, – მეხუმრა. ვუთხარი ხვალ დაბადების დღე მაქვს მეთქი. თავად შემომთავაზა, რომ მოვიდე უხერხული ხომ არ იქნებაო. რა უნდა მეთქვა? მობრძანდი მეთქი და მისამართი მივეცი.

ქეთი – მინდა გავიგო, შენი ძმობილი და ზურას თანაკლასელი ლადო, ერთი და იგივე პიროვნე-ბაა თუ არა. უნდა გავიგო რომელი უკრძალავს ჩემთან შეხვედრას. ზურამ ფოტოს გაჩვენებო, მის ტანაკლასელს ვნახავ, მაგრამ შენი ძმობილიც უნდა ვნახო. საინტერესოა, ერთი ლადო არსებობს თუ ორი?!

ნანა – შენს შემდეგ, ლადო მოვიდა იმ დღეს ჩემთან. ვიდრე სხვებიც მოვიდოდნენ, ჩვენ ყავა დავლიეთ, რამდენი გვეხუმრა, გვაცინა. როგორ არ გახსენდება? ან ის არაკაცი, ვინც ეს ჩაიდინა, მართლა არ გახსენდება თუ დაგემუქრა და?... **/ქეთის მოულოდნელობისგან სისხლი ეყინება ძარ-ღვებში, ნანას გაბრაზებით მიახლის/**

ქეთი – ამას შენ მეკითხები, რომელიც დღემდე ცდილობ მეხსიერება დამიბრუნო და წარსული გავიხსენო? ჩემი მიზანი იმ ნაძირალას გახსენება და მხილებაა! იცი რა, როგორმე შემახვედრე, მო-ვიდეს, მინდა ვნახო ვიცნობ თუ ვერა, მიმანიშნებს თუ არა მისი სახე რაიმეზე. ჰო, მის მშობლებს იცნობ?

ნანა – არა ქეთი, რატომღაც არც მიკითხავს და არც უხსენებია. ჩვენი დაძმობილება სპონტანუ-რად მოხდა, ასევე მისი დაპატიჟებაც ჩემს დაბადების დღეზე. როგორ შეგახვედრო, სად ვეძებო?

ქეთი – ბიჭს დაუდობილდი და არ იცი სად ცხოვრობს, ვინაა მისი მშობლები, არ გაქვს მისი ტე-ლეფონის ნომერი და დაბადების დღეზე პატიჟებ?! ან თვითონ არ დაინტერესდა დობილის ტელე-ფონი გაეგო, დაერეკა, მოეკითხა?

ნანა – ორი წლის წინ, ბანაკში, ლადო შვიდ გოგოს დაგვიძმობილდა. შემომთავაზა და უარი ვერ ვუთხარი, თუმცა ზოგჯერ საეჭვოდ გამოიყურებოდა, დაახლოების ნაცვლად, მსურდა გავრიდე-ბოდი. სულ იღიმებოდა, რაღაც საკითხზე გაუთავებლად საუბრობდა მისნაირ სახეგაბადრულ ბი-ჭერბთან. საჭიროდ არ ჩავთვალე ახლო ურთიერთობის გაგრძელება...

ქეთი – თუ ორივე ლადო ერთი და იგივე აღმოჩნდება, მაშინ ჩემი ამოცანაც ამოხსნილია. **/ამბობს თვალცრემლიანი ქეთი და თავის ოთახში გადის. დაღონებული და დაეჭვებული ნანა, საქსოვს**

უბრუნდება. საღამოვდება. ჩამავალი მზის სხივები სარკმელს ეცემა და ოთახს ასხივოსნებს. ქეთი განმარტოების სურვილით საწოლზე პირქვე ჩაემხობა და ცრემლები ნაკადად გადმოეღვრება უპეებიდან. /

სურათი პირველი:

/ლადოს ბინა. ლადო ყურმილს იღებს, ნომრებს კრეფს. ადგილზე ბოლთას სცემს... ხმამაღლა ლაპარაკობს: აიღე რა... აიღე ბაჩი, გთხოვ! ესმის ბაჩის ხმა./

ლადო – ბაჩი, სასწრაფოდ ამოდი ჩემთან, ახლავე... **/ყურმილს დებს. აქეთ-იქით მიმოდის. რამდენიმე წამში კარებზე ზარი ირეკება. შედის ბაჩი. გაოცებული უმზერს ლამის შეშლილ ლადოს, რომელიც სიგარეტის კვამლშია გახვეული./**

ბაჩი – მოხდა რამე? **/დივანზე ჯდება./**

ლადო – ჰო, მოხდა, მოხდა, მაგრამ დიდი ხნის წინათ. თქვენთან კამათის შემდეგ ლამისაა ჭკუიდან გადავიდე. თუ ვინმეს არ ვუთხარი რა შარში გავეხვიე, გული გამისკდება, გავგიჟდები, ოღონდ შემომფიცე, რომ რასაც ახლა გაგიმხელ, შენთან ერთად მოკვდება, ან, ჯერ მე მომკლავ და მერე გამცემ...

ბაჩი – /გაოცებით/ ასეთი რაა, რა გჭირს თუ ძმა ხარ. შენი ქარაგმებით ზურას თავგზა აურიე. ხომ იცი როგორი ბაჯაღლო გული აქვს, მოდი დავურეკოთ და ერთად გადავწყვიტოთ შენი პრობლემები.

ლადო – რასაც ახლა გეტყვი, სწორედ ზურამ არ უნდა გაიგოს. მე ზურა სამუდამოდ უნდა დავკარგო და თანაც შეგნებულად გავითამაშო, რომ მისი მტერი ვარ... **/გულწრფელად აუცრემლდა თვალები და უპეზე ჩამოეღვარა კურცხალი/**

ბაჩი – რაებს ბოდავ, სრულ ჭკუაზე ხარ? თუ ღმერთი გწამს მითხარი რა შეგიძვრა სულში, რა გიღრღნის გულს?!

ლადო – /ბაჩის გვერდით ჩამოჯდება, სიგარეტს მოუკიდებს, თვალებს გაუსწორებს და ეტყვის/: ჯერ შემომფიცე...

ბაჩი – გეფიცები დედ – მამის საფლავს, სამარეში ჩავიტან რასაც მეტყვი.

ლადო – კარგი, მჯერა, მაგრამ როგორ გავხსნა კარტი არ ვიცი, თუმცა რაღა აზრი აქვს მიკიბ-მოკიბვას. თქვენგან მალულად, პლანს ვეწეოდი. ეს მშობლებმა გაიგეს. მაგრად მომხვდა მამაჩემისგან. მის ნაცნობ ნარკოლოგთან წამიყვანა. ერთი სიტყვით, მკურნალობის კურსს გავდივარ. მშობლებს არ სურთ, რომ ეს ვინმემ გაიგოს, თქვენთან თქმაც კი ამიკრძალეს, ამიტომაც არ გითხარით. ეგ კიდევ არაფერი, ამას თავს დავაღწევ, მაგრამ დავიღუპე ბაჩი, ვერავის ვუმხელ რაც ასე მტანჯავს, სინდისი მქენჯნის, თავს თქვენი მეგობრობის ღირსად არ ვთვლი, ჰო, დავიღუპე, სხვაც დავღუპე და ჩიხში მომწყვდეული, გავბოროტდი...

ბაჩი – თქვი თორემ ამომძვრა სული, თქვი და დაისვენე, გათავისუფლდი ტანჯვისგან...

ლადო – რა გამათავისუფლებს ამ სატანჯველისგან, რა?! ქეთი მე გავაუპატიურე, გესმის?! მე! შენმა ნაძირალა მეგობარმა. **/ლადო ჩაიმუხლა. თავი მკვლავებში ჩარგო და ხმამაღლა დაიღრიალა, დავიღუპეო. თვალებში სისხლი ჩაუდგა ცრემლების ნაცვლად/**

ბაჩი – /თავზე ხელებს შემოირტყამს/ რა თქვი?! შენ?! ეს შენ ჩაიდინე?!... ღმერთო მაღალო! ღმერთო!!! **/ბაჩის სახე შეშლილს მიუგავდა. ორ ცეცხლში იწვოდა. რა ეთქვა ზურასთვის და რით დახმარებოდა ლადოს. ეს სწორედ ის მომენტია, სადაც სიტყვები არაფრის მთქმელია/**

ლადო – /იმავ მდგომარეობაში მყოფი, აცრემლებული, ხმაგაბზარული პასუხობს:/ მე არა ბაჩი, ეს იმ ნაძირალამ ჩაიდინა, რომელიც იმ წამს, იმდენად მოწეულში იყო, რომ საქციელს ვერ აკონტროლებდა. რომელიც ულამაზეს გოგონას ჭერქვეშ, მარტო აღმოჩნდა, სისხლამღვრეული ვნებებით და რომელმაც თავი ვერ მოთოკა. აი რა მაწუხებს ბაჩი, ახლა ხომ ხვდები რატომ არ მინდა, რომ ზურამ ქეთი ცოლად მოიყვანოს. სიმართლის თქმას ვერასოდეს გავბედავ და ვერც თვალთმაქცობას შევძლებ ზურასთან. ქეთის კი, იმიტომ ვიხსენიებ აუგად, ზურამ შეიძულოს. მინდა, მეც შემიძულოს, მეც სამუდამოდ ამომიღოს გულიდან.

ბაჩი – კი, მაგრამ არ იცის ვინ ხარ?

ლადო – როცა მოსახდენი მოხდა, წარმოიდგინე, აზრზე მოვედი და თავი შემზიზღდა. ქეთი ერთხანს ჩუმად იყო, მერე შეშლილივით წამოვარდა, სამზარეულოში შევარდა და ვხდავ სამზარეულოს დიდი დანით, ჩემსკენ მოდის. ადგილიდან არ გავქანებულვარ, იმდენად სიკვდილის ღირსად მიმაჩნდა თავი. უცებ ყველაფერი თვალისდახამხამებაში მოხდა, რომ უნდა დაერტყა, შებარბაცდა, დანა ხელიდან გაუვარდა, მოცელილივით დაენარცხა ფილაქანზე და შუბლიდან სისხლმა გამოჟონა. მაშინვე გონება დაკარგა. მე გიჟივით წამოვხტი, ხელების კანკალით სასწრაფოს დავურეკე და იქაურობას გავეცალე. დარწმუნებული ვიყავი, რომ მოკვდა და იმ წამში მოვკვდი მეც, რადგან გავიაზრე რა ჩავიდინე. არ ვიცი, ზოგჯერ მგონია იცის ვინ გააუბედურა, მაგრამ...

ბაჩი – შენ მართლა ჩაბერე? რომ იცოდეს ახლა ციხეში იჯდებოდი. როგორც ზურასგან ვიცი, ქეთი მწარედ განიცდის თავის მდგომარეობას. აკი შენც თქვი, თავის მოკვლა უცდიაო... აუჰ! ეს რა მითხარი! არადა, ვგრძნობ, რომ ზურას უყვარს... **/ჩაფიქრდება, მერე ამბობს/** მოდი ვეტყვი, რომ ქეთი გიყვარს და ამის თქმას ვერ ბედავდი...

ლადო – არ გამოვა, ზურამ ისედაც მითხრა, თუ გიყვარს გზიდან ჩამოგეცლებიო. საქმე ისაა, რომ მე სხვა მიყვარს სიგიჟემდე, თორემ ასე არაკაცურად არ დავიმალებოდი, ყველა ღონეს ვიხმარდი ქეთის ეპატიებინა და ცოლად შევირთავდი.

ბაჩი – ყველაფერს წარმოვიდგენდი და ამას ვერასოდეს...

ლადო – ეს ამბავი მშობლებმა არ იციან, რომ გამიგონ, ჩათვალე მკვდარი ვარ. რაღაც უნდა მირჩიო, გამოსავალი მაპოვნინო, უნდა გამიგო, თორემ ლამისაა შევიშალო...

ბაჩი – ღმერთო ჩემო, რა გაგიგო, რა გირჩიო, ნეტავი არაფერი გაგემხილა. ახლა როგორ მოვიქცე, გამოდის ზურას უნდა ვუღალატო და შენს ტყუილებში გავიხლართო? უნდა ვითვალთმაქცო? მე ეს არ შემიძლია ლადო!

ლადო – შენ ხომ შემომფიცე, ფიცს გასტეხ?!

ბაჩი – /თვალებს უსწორებს, თავს გადააქნევს/ ეს რა ჰქენი ბიჭო! თავიც დაიღუპე და სხვაც დაღუპე... შენ თავად მასწავლე რა გირჩიო, რაში ხედავ გამოსავალს, რა ვუთხრათ ზურას, როგორ დავარწმუნოთ, რომ ქეთი არ შეირთოს, ხომ იცი, ზურას თუ უყვარს, მართლა უყვარს, თუ მეგობრობს, მართლა მეგობრობს. სიმართლეს თუ ვერ გაიგებს, არ მიატოვებს, მით უმეტეს, მისი მდგომარეობა იცის და მთელი არსებით თანაუგრძნობს.

ლადო – მე ის ვიცი, რომ ქეთი ცოლად არ უნდა შეირთოს... ზურა ძმასავით მყავდა, ჩემი შეცდენილი ქალი როგორ უნდა ყავდეს ცოლად? როგორ?

ბაჩი – /ამოიკვნესებს/ ღმერთო ჩემო, რაშია გამოსავალი?!..

/ამ დროს ზურა ყურმილს იღებს და ლადოს ურეკავს. ლადო ბაჩის ჩუმად ეუბნება: – ზურაა/

ზურა – გამარჯობა ლადო. უნდა შევხვდეთ.

ლადო – შევხვდეთ? რაზე უნდა დამელაპარაკო? ხომ გითხარი ქეთი არ მიყვარს მეთქი და არ მსურს მასთან შეხვედრა...

ზურა – /მკაცრად/ ქეთის სურს, მას აინტერესებს ვინ ხარ და რატომ ერევი მის ცხოვრებაში ასე ბოროტად, რა დაგიშავა... თუ არაფრის გეშინია, უნდა შეხვდე...

ლადო – მეშინია? რისი უნდა მეშინოდეს. რა გინდა, რას გადამეკიდე, თავს რატომ არ მანებებ? თუ ასე ველარ ძლებ მის გარეშე, ორთავეს ჯანდაბამდე გზა გქონიათ, ოღონდაც მე სამუდამოდ დამივიწყე. არ ვაპირებ მასთან შეხვედრას, რადგან მივახლი, რომ კახპაა. **/ყურმილი აპარატზე დაახეთქა/**

ბაჩი – /გაოგნებული/ ზურას ასე როგორ ელაპარაკე ლადო?! ქეთის კახპა როგორ უწოდე, რატომ მოიქეცი ასე, რატომ?!..

ლადო – /ცრემლჩამდგარი თვალებით/ იმიტომ, რომ მინდა შემიძულოს. თუკი ქეთის მაინც შეირთავს, მე სამუდამოდ დამივიწყებს.

ბაჩი – დამიჯერე, სიმართლე ვუთხრათ. მართალია შემოგფიცე და ფიცს არ გავტეხ, მაგრამ ჩემს გასაკეთებელს, შენ გააკეთებ, თავად ეტყვი ყველაფერს.

ლადო – ეს არ მოხდება, სიმართლეს თუ გაიგებს, თავს მოვიკლავ. ისედაც მკვდარი ვარ, არსებობა მეზიზღება, რატომ, ეს მე რატომ უნდა მომსვლოდა ბაჩი?! **/ჩაიმუხლა. მთელი სხეული უთრთოდა. სიმწრისაგან გაოფლილი ხელები უკანკალებდა. საშინლად ხმამაღლა დაიღრიალა:/** არა! თავს მოვიკლავ, მე ზურას თვალებში ველარ ჩავხედავ. ჩვენ ხომ ჩვენი ზიარი მშობლები ვაჟკაკებად გვზრდიდნენ, მე რატომ გამოვედი იუდად? რატომ მერგო ეს ხვედრი? აქვს ახსნა ამას? მეც ხომ ერთი თქვენთაგანი ვიყავი, რატომ, რატომ გამწირა ბედმა სწორედ მაშინ, როცა მწვერვალზე ასვლას ნაბიჯიღა გვაშორებდა?! ახლა ზურას წინაშე უნდა ვითვალთმაქცო, არაკაცის და მტრის როლი უნდა განვასხიერო, რომ სამუდამოდ მომიკვეთოს გულიდან.

/ბაჩი მოულოდნელობისგან სულშეძრული, ხმას ვერ იღებს. რა სიტყვები უნდა იპოვოს, რომ ასეთ გამოუვალ მომენტში, გამოსადეგარი იყოს? და დუმილს ამჯობინებდა. ლადოზე გულმოსული ზურა კი, სახლის კარებს გამოიხურავს და ქეთისთან მიდის. ნანას ბინა. კარებზე ზარი ირეკება. ქეთი კარებს აღებს. გაოცებისგან წამოიძახებს:/

ქეთი – შენ?

ნანა – /გამოსძახებს/ ვინ არის? **/დგება და კარებთან მიდის. ხედავს ზურას./** თქვენ?

ზურა – /სევდიანი, მომხიბვლელი ღიმილით/ რა მოხდა, უცხოპლანეტელი ხომ არ დაინახეთ? შეიძლება შემოვიდე?

ნანა – რა თქმა უნდა, მობრძანდი... **/ზურა, სკამზე ჩამოჯდა, სიგარეტს მოუკიდა. გოგონებს მზერა გაუსწორა და მიკიბვ – მოკიბვის გარეშე თქვა:/**

ზურა – ნანა, ქეთის შესახებ ყველაფერი ვიცი. შენი ძმადნაფიცი ლადო და ქეთი აქ, შენთან, ერთმანეთს უნდა შევახვედროთ. დაურეკე, უთხარი მოვიდეს. მეც მინდა ვნახო, ჩემი მეგობარი და შენი ახლობელი, ერთი და იგივე პიროვნებაა თუ არა. უნდა გაირკვეს, რომელი ლადოა, ქეთიზე ათასგვარ სიბინძურეს რომ ლაპარაკობს... **/ზურამ ქეთის აცრემლებულ თვალებს, სევდიანი მზერა შეაგება./**

ნანა – ეს საქმე არ გამოვა ზურა. ლადოს არც მისამართი ვიცი და არც მობილურის ნომერი. მიზეზი ამისა ისაა, რომ ტიპიურად არ მომეწონა. დაბადების დღეზე კი, შემთხვევით შემხვდა და თავი თვითონ დაიპატიჟა. ბანაკში ერთად ვისვენებდით, იმიტომ დავუდობილდი, მეშინოდა მისი.

ზურა – გეშინოდა? რატომ?..

ნანა – რაღაც სულ იღიმებოდა, დაგვდევდა, უაზროდ ხუმრობდა. ხომ იცი, მტერი ახლოს უნდა გყავდესო. ამიტომ მის შესახებ არაფერი მაინტერესებდა.

ზურა – ძალიან საინტერესოა. **/ქეთის გადახედავს/** გამოდის ისევ მე უნდა შევძლო, მოვახერხო თქვენი შეხვედრა... **/გოგონებს ემშვიდობება და მიდის. ქეთი კარებს ჩაკეტავს, დივანზე ფეხებმორთხმით დაჯდება და აცრემლებული ამბობს:/**

ქეთი – რატომ არ თქვა ზურამ ჩემზე უარი, როცა ვუამბე რაც შემემთხვა? ნუთუ მართლა შეიძლება ასეთ დიდსულოვან ბიჭს, ჩემისთანა გოგო გულით შეუყვარდეს? ალბათ ვებრალები...

ნანა – მამაკაცები სიბრალულის გამო არასოდეს იყვარებენ, ეს ჩვენ, ქალებს გვახასიათებს სამწუხაოდ. მსგავსი რამ ნებისმიერს შეიძლება შეემთხვას. ამის გამო ჭეშმარიტ სიყვარულზე არავინ ამბობს უარს. შენ რა, ფიქრობ ყველაფერი დამთავრდა?

ქეთი – ალბათ არა, მაგრამ ზურასნაირი ალალმართალი, პატიოსანი პიროვნების ღისი არა ვარ. იცი ერთხელ სადღაც წავიკიხე, მამაკაცი წერდა: მთელი ჩემი ცხოვრება ველოდი ქალს, რომელიც ამ ზეცით, ამ მიწით, ამ ადამიანებით გამაოცებდა. ქალს, რომელიც ჩემი თვალთახედვით გაცრეცილსა და გაუფერულებულ სივრცეში მზეს დამანახებდა. გზებზე, რომლებიც მომბეზრებია, ფეხშიშველა მატარებდა. ფიქრს, რომელიც მხოლოდ ადამიანის სულის ბორკილად მიმაჩნია, მომიზღვავებდა, ადამიანებს, რომლებიც რობოტებად მეჩვენებიან, რეალურად მიქცევდა. სიყვარული, რომელიც რელიქვიურ მირაჟს ჰგავს და ანტიკვარივით ხელშეუხებია, მისაწვდომს გამიხდიდა. იმასაც ვეჭვობ, ქალს, რომელსაც ყოველივე ამის ჩემამდე მოტანა შეეძლება, დაკარგული ექნება გაოცების უნარი. მე კი მინდა ბუნებრივი იყოს ყოველივე, მეც გამაოცოს და თავადაც გაოცდეს. მან რომ მხოლოდ ჩემი გაოცება გაიოცოს, ეს ტრაგედიის ტოლფასი იქნება, რადგან მასში ირონია სჩქეფს ობიექტის მიმართ და თუ ქალში მოგონილ, რომანტიულ პოზასთან ერთად შინაგანად კეთილი სულია, ამას მხოლოდ სხვისი ბედნიერებისთვის გააკეთებს, მარტოდ დარჩენილი კი, საკუთარ თავსაც დასცინებს, რადგან შენზე ადრე გაიხედა ჰორიზონტს იქით, სადაც სიცარიელე, მირაჟთა სამყაროში ჩაპნეულ სხივთა მირაჟია მხოლოდ...

ნანა – არა ქეთი, შენი ჰორიზონტი ანკარა ზეცაა და შენი სული, წყაროსავით წმინდა. შენ საკუთარი სურვილით არ გასცდენიხარ იმ ზღვარს, რომელსაც წმინდა ქართული ტრადიციები დღესაც, ოცდამეერთე საუკუნეშიც კი პატივს სცემს და ინახავს. სწორედ რომ ზურასნაირი ადამიანი გჭირდება ცხოვრების მეგზურად, რომ წარსული დაგავიწყოს და ბედნიერება მოგანიჭოს. განა შენ მას რაიმე სთხოვე? განა დაუმალე წარსული? რა გრძნობაც გაუჩნდა შენს მიმართ, ეს შენ არ დაგიძალებია, მისი გადასაწყვეტია როგორ მოიქცეს.

ქეთი – ნუთუ ღმერთს არ შეეძლო იმ ზნედაცემულის ნაცვლად, ზურა შეეხვედრებინა ჩემთვის, ის ყოფილიყო ჩემი პირველი სიყვარულის, პირველი და უკანასკნელი მამაკაცი. გული წყაროსავით სუფთა გაქვსო, მეუბნები, გული თვალებივით არ ჩანს და მისი წაკითხვა არავის შეუძლია. სამწუხაროდ გონებით არავინ იხედება საკუთარ გულში, რამეთუ გულია მბრძანებელი და არა თვალები. ყველაზე მეტად გულის უნდა ეშინოდეს ადამიანს, რადგან უხილავია იგი. მე ვხედავ ზურას თვალებს და არა გულს... **/თვალებზე ხელებს იფარებს, ტირის.../**

ნანა – გთხოვ, დამშვიდდე, ბოროტებს ღმერთი დასჯის. ბოროტებასთან ჭეშმარიტების სახარებით ვერ გაიმარჯვებ. ყოველს მისივე იარაღით უნდა ებრძოლო, რომ დაამარცხო, ჰო, დაამარცხო ბოროტებაში და ჭეშმარიტების გზა უჩვენო. ჭეშმარიტება კი სიმართლეშია, რომლისაც ასე ეშინიათ არაკაცებსა და ნაძირლებს.

/ქეთი წამოდგება, გაიარ-გამოიარს. ხატებისთვის განკუთვილ კუთხესთან ჩერდება, მერე იესოს ხატთან მიდის, დაჟინებით უმზერს და ამბობს:/

ქეთი – განა მე ბოროტი ვიყავი, რომ ღმერთმა ასე მწარედ დამსაჯა? ჩემი სუფთა გრძნობები ვიღაც ნაძირალას, რომ გაათელინა ფეხქვეშ? მიპასუხე, ღირსი ვიყავი?! ჰო, რატომ ღმერთო?! რატომ ჩემი ყმაწვილქალობის უმოწყალოდ განადგურება?! იმ წმინდა განძის, რასაც სიყვარული უწოდე, უსიყვარულოდ დამსხვრევა? სულისა და სხეულის დამახინჯება?! **/ხმამაღლა ტირის, სავსე მტევნის დაწურვას ჰგავდა მის ღაწვებზე ჩამოღვრილი ცრემლი. მხრები უთრთის, ნანა ცდილობს დაამშვიდოს./**

ნანა – სიცოცხლე ულამაზესია, თვით უდიდესი ტკივილის გავლის შემდეგ. მოულოდნელობა საშინელი სიზმრიდან გამოღვიძებას ჰგავს, ხოლო საშინელი რეალობის დასასრული, ლამაზ სიზმარს. ახლა სწორედ ლამაზ სიზმარში ხარ და რეალობად უნდა აქციო იგი. შენ ღმერთს არ გაუწირიხარ. ვინც ეს ჩაიდინა, ისაა უღირსი და დაისჯება კიდეც უფლისგან.

ქეთი – აწი გინდ დაუსჯია და გინდ არა. ღმერთს ჩემი შველა რომ სდომებოდა, შეაჩერებდა იმ არაკაცს, ან მე არ დავეცემოდი ისე, რომ გონება დამეკარგა... ღმერთმა არ უნდა დაუშვას, რომ ბოროტებამ სიკეთე, სიწმინდე გადათელოს. არა, მე აწი ვერ ვირწმუნებ, რომ უფალი გვიცავს და გაჭირვების ჟამს ხელში აყვანილი დავყავართ. დედამიწაზე არა უფლის, საბრალო, ღვთისგანაც მოძულებული ადამიანის სისხლიანი ნაკვალევია და მას ვერანაირი დრო ვერ რეცხავს. ეს სისხლი პირდაპირ სახეზე ლაქებად გვამჩნევია...

ნანა – ახლა კი სცოდავ. რაშიც უძლურნი ვართ ადამიანები, იმაში ღმერთს შევთხოვთ შველას. მიუხედავად განაწყენებისა, გვწამს, მხოლოდ უფალი მიუზღავს ბოროტს სამაგიეროს. ღმერთს შენი გაწირვა რომ სდომებოდა, ასეთ ლამაზ სიყვარულს არ გაჩუქებდა.

ქეთი – /ირონიული სახითა და ტონით/ და შენ ფიქრობ, ლამაზია ეს სიყვარული? პირიქით, ეს ჩემთვის უდიდესი ტკივილია, განცდაა, დამსხვრეული, დაფლეთილი დედოფალაა, რომელსაც თავდაპირველ სახეს ვეღარ დაუბრუნებ. ეს ხინჯია სულში, რომელსაც ვერაფრით მოიშორებ. მე წმინდა ტრადიციულ ოჯახში გავიზარდე. ჩემი მშობლები პატიოსნებისა და ღირსების არსს მასწავლიდნენ. მერე? გავუფრთხილდი? არა! არა! **/ხატების ჩამოსაწყობ ჩარჩოს მუშტს დაჰკრავს, საიდანაც ღვთისმშობლის ხატი გადმოვარდება და ძირს დაეცემა. ნანა წამოხტება, ხატს აიღებს, მკერდზე მიიკრავს:/**

ნანა – რას სჩადი! ეს ხატების შეურაცხყოფაა!

ქეთი – შეურაცხყოფა?! როცა მე შეურაცხმყოფდნენ სად იყო ღმერთი და ხატი? სად?! ამიხსენი ვიდრე ჭკუიდან არ გადავსულვარ! სად იყო ღმერთი, ღვთისმშობელი, ნანა?!

ნანა – /ცდილობს დაამშვიდოს/ ჩათვალე, რომ მეც შენთან ერთად ვიტანჯები. თუ თვითგვემას გააგრძელებ, ზურაზე ფიქრს ვეღარ შეძლებ. მისნაირები კი, მართლაც ღვთის წყალობაა და გაუფრთხილდი. მოეშვი უფლისადმი საყვედურებს, გთხოვ. ყველას საკუთარი წარსული გააჩნია. იცი რაა წარსული? ის ბერმურდია და თუ არ განერიდე, ჩაგითრევს, გშთანთქავს და წინსვლის სურვილს გაგიცამტვერებს.

ქეთი – ღვთის წყალობა არა?! მაშინ ყოფილიყო მოწყალე, როცა არამზადა, ნაძირალა და გარყვნილი ადამინის კლანჭებში მოვექეცი. ჰო, სად იყავი მაშინ ღმერთო?! სად?! **/იესოს ხატს მიაჩერდა./** ადვილია სხვისი ტკივილის სიტყვებით დაამება. მაპატიე ნანა, შენც ხომ ხარ შეყვარებული. მსგავს სიტუაციაში როგორ გუნებაზე იქნებოდი?...

/ნანა ქეთის მოეხვევა. უხმოდ ტირიან.../

სურათი მეორე:
/ორი წლის შემდეგ. ზურას ბინა. ბაჩი და ზურა/.

ზურა – რა უცებ გაფრინდა დრო, უკვე სტუდენტები ვართ.

ბაჩი – მე ის უფრო მახარებს, ქეთიც რომ ჩვენს ფაკულტეტზეა. სამი ფილოსოფოსი ერთ პატარა ქალაქში! საბერძნეთიც ვერ დაიტრაბახებს, – **/გაიხუმრა ბაჩიმ და დასძინა:/** მაგარი ხარ, შენი წყალობით ცხოვრების ხალისი დაუბრუნდა.

ზურა – /სევდიანად/ – ჰო, მაგრამ ლადო არ შეიცვალა. ორი წელი გავიდა და წარმოგიდგენია? ისევ მემუქრება. ძმობას გაფიცებ, მართლა არაფერი უთქვამს შენთვის? არ დამიმალო...

ბაჩი – /ტანში უსიამოდ გასცრის. არ იცის რა უპასუხოს. სიტყვების ნაცვლად, უარის ნიშნად თავი გადაქნია და უპასუხა:/ ამბობენ ლადო მამამისის ბიზნესში ჩაება, მაგრა გაიჩითა, ეკონომიურზე ჩაუბარებია... ჰო, მამამის ჯიგრული ბაითი უყიდია, მარტო ცხოვრობს...

ზურა – ეჰ ჩემო ბაჩი, სჯობდა კაცობაში გაჩითულიყო. რამდენს ვეცადეთ და ვერაფერი ვათქმევინეთ. როგორც იქნა, მოვახერხე და ქეთის ჩუმად დავანახე მაგრამ ვერ იცნო. აღარ ვიცი რა ვიფიქრო...

/ბაჩი ზურას წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობს. ორ ცეცხლშუა იწვის. უხერხულობის გასაფანტავად ჰკითხა/:

ბაჩი – როდის ირთავ?

ზურა – არ ვიცი. თავს იკავებს. მითხრა, როცა გაიგებ ვინ გამაუბედურა, შეგძულდები და მერე უფრო დავიტანჯებიო. თუ გავიხსენებ ვინ არის ის, სიცოცხლის ფასადაც რომ დამიჯდეს, არ ვაცოცხლებ და მაშინ, შენ დაიტანჯები, როცა გისოსებს მიღმა მიხილავო. დავიბენი. დღემდე ვერ გამიგია რატომ არ მეუბნება ლადო, თუ მართლა იცის, ვინ არის ის ნაგავი! რას მერჩის, რა დავუშავე, რა უნდა ჩემგან?!...

ბაჩი – /შეფარვით/ ქეთი მართალია. ცოტახნით თავი შეიკავე. დრო გვიჩვენებს ყველაფერს. იქნებ ალაპარაკდეს ლადო. იქნებ მართლა აქვს სერიოზული მიზეზი, ასეთი წინააღმდეგი რომაა თქვენი შეუღლებისა. გიჟი ხომ არაა, უმიზეზოდ ცხოვრება დაგინგრიოს, საყვარელ ადამიანზე უარი გათქმევინოს. **/ბაჩი თავს არ პატიობს ზურასთან ამხელა სიცრუეს, მაგრამ მიცემული ფიცის გატეხა არ შეუძლია. ვერც ამას აპატიებს თავს./**

ზურა – /დაეჭვებით/ მართლა არაფერი უთქვამს შენთვის? ამასწინათ ხომ ნახე, სიმართლე მითხარი, გთხოვ, შენ მაინც ნუ გამწირავ, ამას ნამდვილად არ ვიმსახურებ თქვენგან...

ბაჩი – ლადო ერთსა და იმავეს იმეორებს, ზურა ქეთის შეეშვასო. დღეისთვის თავისთან დამპატიჟა, ჩემი ბინა უნდა განახოო. რა ვქნა, მივიდე?

ზურა – რა თქმა უნდა. მე გადამეკიდა და არა შენ. გადაეცი, რომ დაუსვას წერტილი მუქარას. დანიშნოს დუელი სადაც გაეხარდება და რა დროსაც. ისიც უთხარი, მე და ქეთის გრძნობები წმინდაა და მალე დაჯვარს დავიწერთ...

/ბაჩი წამოდგება, ზურას თვალებს ძვლივს უსწორებს, ლამისაა სიმართლე უთხრას, მაგრამ ლადოს რა უპასუხოს? წასვლისას ეუბნება/:

ბაჩი – ლადოსთან იმიტომ მივდივარ, რომ საბოლოოდ დავრწმუნდე მის ადამიანობა – არაადამიანობაში. თუ ამდენი წლის შემდეგ იგივე აზრზეა, მაშინ მეც სამუდამოდ ვკარგავ და ამის მიზეზიც გამაჩნია...

/მიდის. ლადოს ბინის კარები. მდიდრული ჩუქურთმებით. რეკავს ზარს. ლადო კარებს აღებს./

ლადო – ვაახ! მოდი ჯიგარო? მეგონა გადამაგდებდი, შემოდი...

/ბაჩის ეგონა მეფის სასახლეში მოვხვდიო, თუმცა გაოცება არ გამოუხატავს. უხმოდ ჩამოჯდა ფუმფულა დივანზე, ლადოს თვალები გაუსწორა და უთხრა/:

ბაჩი – მაგრად მოწყობილხარ. ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ მშობლებთან რატომ არ ცხოვრობ? განა მათ შენს მეტი ჰყავთ ვინმე?

ლადო – ხან მათთან ვარ, ხანაც აქ. ეს ბინა მამაჩემმა ჯერ არგაჩენილ შვილიშვილს უყიდა. ხომ იცი მაყუთიანების პოლიტიკა, საფუძველს წინასწარ ყრიან გამოსადეგარ ნიადაგში... **/ცინიკურად იღიმება/**

ბაჩი – მე მუზეუმის დასათვალიერებლად არ მოვსულვარ, დროა საქმეზე დავილაპარაკოთ. შენსა და ზურას შორის მდგომარეობა გამწვავდა. ამის მიზეზი, შენ ხარ. ნუთუ მართლა არ გაგაჩნია

იმდენი ვაჟკაცობა, რომ სიმართლე უთხრა? ხომ არაფერს მიმალავო, მკითხა დღეს და ლამის სუნთქვა შემეკრა. ამიხსენი როდემდე ვითვალთმაქცო შენს გამო, ძმასავით საყვარელ და ძმაზე უკეთეს მეგობართან? ორ დღეს გაძლევ დასაფიქრებლად, მერე ჩემს საქციელზე პასუხს აღარ ვაგებ, რაც შეეხება ფიცს, ღმერთი შემინდობს. რადგან ზურა და ქეთი დაქორწინებას აპირებენ. ჩემგან სიმართლის დამალვა იმ საქციელის ტოლფასია, რაც შენ ჩაიდინე.

ლადო – /ირონიით/ სინდისის ქენჯნას განიცდი? ესაა მეგობრობა? ჩემზე არ ფიქრობ? მე ხომ უარეს დღეში ვარ! რატომ არ ცდილობ ზურამ უარი თქვას ქეთიზე, რატომ არ გესმის, რომ ეს ჩემთვის სიკვდილზე უარესია, სირცხვილია, ცოცხლად დამარხვაა. დაივიწყოს ქეთი და დავუბრუნდეთ ერთმანეთს. მე ჩემს ცოდვას სხვა გზით გამოვისყიდი. თავად მივალ ქეთისთან ამის დრო რომ მოვა... **/თვალები ცრემლსისხლით აევსო. ზიზღით გადახედა ირგვლივ ყველაფერს. ახლა ის იმ ვაკუუმში იყო, საიდანაც ვერასოდეს გამოვიდოდა. უცებ სიცილი წასკდა. ეს არ იყო ნორმალურ გონზე მყოფი ადამიანის გაცინება, ლადოს თვალებში ჩასახლებული შეურაცხადი იცინოდა ამ წუთას, რამაც ბაჩი შეაშინა, წამოდგა, წასვლა დააპირა. ბაჩიმ მაჯაზე ხელი მოჰკიდა და უთრა:/** ერთი სიტყვაც რომ დაგცდეს მომხდარის შესახებ ზურასთან, ჩათვალე მკვდარი ხარ...

ბაჩი – /გაოგნებული/ რა თქვი? ეს რა გაივლე გულში?!.. ცოდვას ცოდვაზე იდებ? სად გაქრა ჩვენი საამაყო მეგობრობა? განა კი იცი რაა მეგობრობა? მისი სიწმინდის ფასი და არსი? შენ შეგნებულად აწვები ძმავ „პირველ ჩვენებას“ და რა მოყვება ფეხებზე გკიდია. შენ საკუთარ თავს უფრთხილდები, გინდა გაექცე „მე“-ს, მაგრამ ჩიხში ხარ და გზა მოჭრილი გაქვს. ერთადერთი გამოსავალი, სიცოცხლის ფასადაც რომ დაგიჯდეს, თვითაღიარებაა. შენ არ გინდა შეიცვალო და ამას სხვა ვერავინ გააკეთებს. სძლიე შიშს, სირცხვილს, მოსალოდნელ განსაცდელს და ზურას სიმართლე უთხარი, თორემ... **/ლადო აწყვეტინებს:/**

ლადო – თორემ რა?! გამცემ? არა ბაჩი, უფლება არ გაქვს ეს გააკეთო. ზურას გადაეცი, რომ შემვხვდეს.

ბაჩი – ზურასთან რა გინდა, თავს რატომ არ ანებებ?!. მესამე წელია ჩაგჩიჩინებ, რომ საკუთარი კაცობით აღიარო ყველაფერი. შენ კი, შეშლილივით დუელს გაიძახი. არ გამიხდა ბიჭი მეცხრამეტე საუკუნის გერმანელ სტუდენტთა საზოგადოების წარმომადგენელი?!

ლადო – გერმანელი სტუდენტები რა შუაშია?!

ბაჩი – იმ შუაშია უტვინო ბიზნესმენო, რომ XIX საუკუნის პირველ ნახევარში, დუელების აქტივობით გამოირჩეოდა გერმანელ სტუდენტთა საზოგადოება. თითქმის ყველა უნივერსიტეტში იმ დროს, „დუელის საზოგადოება“ არსებობდა. ორთაბრძოლები იმართებოდა ცივი იარაღით, მედუელეები ბრძოლის წინ დამცავი ტანსაცმლით იმოსებოდნენ, თავად იარაღს კი, საგულდაგულო დეზინფექცია უკეთდებოდა, ჭრილობების დაინფიცირების თავიდან ასაცილებლად. ისინი სასიკვდილოდ არ იმეტებდნენ ერთმანეთს, როგორც შენ გვიმეტებ მე და ზურას. ისინი მხოლოდ ღირსებას იცავდნენ და გამარჯვებულიც ის იყო, ვინც ძლევდა მოწინააღმდეგეს, მხოლოდ დაჭრიდა ისე, რომ მოწინააღმდეგე ბრძოლის გაგრძელებას ვეღარ შეძლებდა.

ლადო – ჰო, მე შეშლილი ვარ და გადაეცი, სასიკვდილო დუელისთვის მოემზადოს. **/ცინიკურად იღიმება, თუმცა ვერავინ ხვდებოდა თუ რაოდენ გაუსაძლისი ტკივილი იდო ამ ღიმილში./**

ბაჩი – თუ რაიმე შემოგრჩენია იმ ლამაზი ურთიერთობიდან, სიმართლე თქვი, ვიდრე სანანებლად გაგიხდება ეგ სიჯიუტე.

ლადო – სანანებლად მთელი ჩემი სიცოცხლე გამიხდა ბაჩი, მაგრამ არა! შენ რა, ვერ გაიგე ბიჭო?! **/ლადოს თვალებში ბოროტი მზერა და ღვარძლი შენიშნა ბაჩიმ, თუმცა ეს ლადოსგან მოჩვენებითი გარდასახვა იყო, იმის იმტაცია, რომ ყველა და ყველაფერი სძულდა, რომ ზურას**

სიცოცხლე ფეხებზე ეკიდა. ეს არ იყო მისთვის ადვილი, მაგრამ სხვა გამოსავალს ვერაფერში ხედავდა სამწუხაროდ./

ბაჩი – ერთი გამოსავალი გაქვს, სხვა ქალაქში უნდა გადახვიდე და რაც შეიძლება შორს, რომ ზურას ცხოვრებაში აღარ ჩაერიო. სანამ სიმართლეს არ იტყვი, ზურას ქეთიზე ხელს ვერ ააღებინებ. შესაძლებლობა გაქვს, გთხოვ წადი, გაეცალე აქურობას, ამით მაინც ჩამოირეცხე ეს ბინძური ლაქა.

ლადო – არსადაც არ წავალ, ან თავს მოვიკლავ, ან ზურას მოვკლავ. ბინძური ლაქა არა?! შენ მაინც ხომ აგიხსენი, რომ ეს ჩემი თვითმიზანი და არაკაცობის ნიშა არ იყო, გინდა ჭკუიდან საბოლოოდ გადამიყვანო?! მე ჩემი მყოფნის, შენ კიდევ ცეცხლზე ნავთს მისხამ. ვაღიარე, რომ შევცდი როცა ნარკოტიკს ხელი მოვკიდე. შევცდი, რომ დაგიმალეთ, ჰო, შეცდომა დავუშვი, რამაც საბოლოოდ ცხოვრება დამინგრია, ახლა რა ვქნა? რა გავაკეთო, რომ წმინდა, პირველყოფილი სახე და თქვენ, შენ და ზურა დაგიბრუნოთ? შეცდენილი გოგოს გამო, უარმყოფთ? ესაა თქვენი ძმობა? შეგიძლიათ მე მომიკვეთოთ ძმობიდან და გუშინ გაცნობილი გოგო სულში ჩაისვათ?!

ბაჩი – /მუხლებზე ხელისგულებს დაირტყამს. მწარედ ჩაიცინებს და ეუბნება:/ შეცდენილი არა?! შენ მართლა ნაძირალა ყოფილხარ! მერედა ვისგანაა შეცდენილი საბრალო გოგო?! მეგონა სინდისი შეგაწუხებდა და ზურას აღსარებასავით ეტყოდი ყველაფერს. შენგან განსხვავებით, ზურა გაპატიებდა. ამიერიდან მეც დამივიწყე, რადგან ფლიდთან ვერ ვიმეგობრებ. მშვიდობით, აღარ დამირეკო. **/კარებისკენ წავიდა, ლადომ მიაძახა:/**

ლადო – მეც კაცი მეგონე, მეგონა გამიგებდი, შენ კი?..

ბაჩი – /შემობრუნდება/ მე კი რა, გაგყიდე?!.. არა! ეს არ ჩამიდენია. შენთვის ადვილია თვალთმაქცობა, მე კი, ლამისაა გამაგიჟოს, თავს დამნაშავედ ვგრძნობ ზურას წინაშე... მაშინვე რომ გეთქვა ყველაფერი, ასე არ გართულდებოდა საქმე, ზურა ქეთის ცოლობას არ თხოვდა. რაში გამრიე ბიჭო, რაში! **/თვალებს თვალებში უყრის ლადოს. ორთავეს ერთი და იგივე ფიქრი უტრიალებს ტვინში, – რა ვქნა? ლადო ზურგს აქცევს და ეუბნება:/**

ლადო – კარგი, წადი შენს ზურასთან და დამივიწყეთ. თუმცა შენი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს**...**

ბაჩი – ჩვენ, სამივეს, ერთი პირადი გაგვაჩნდა და ეს კაცური ნამუსი იყო, მას ძმობა ერქვა. დიახ! შენ მაშინ გვიღალატე, როცა ვიღაც ნაძირალამ პლანი მოგაწოდა და არ გაგვიმხილე. თუ დარწმუნებული იყავი, რომ ცდებოდი, რატომ არაფერი გვითხარი?! მე მივდივარ, მაგრამ არ იფიქრო სიტყვას გავტეხ, ამაზე თავად დაფიქრდი. გიმეორებ, დაფიქრდი, ვიდრე ძალიან არ დაგვიანებულა. **/კარებს აღებს და ამ დროს, ლადოს დედას შეეჩეხება. რუსუდანს შვილის ბინიდან ხმამაღალი საუბარი შემოესმა, ტონი უცნაურად ჟღერდა. შიშმა გაჰკენწლა, ვინმე ნარკომანი ხომ არ ჰყავსო, მაგრამ ბაჩი რომ დაინახა, შვებით ამოისუნთქა./**

რუსუდანი – ბაჩი? როგორ გამახარე შვილო. უკვე მიდიხარ? დარჩი, ჩემი ნახელავები მოვიტანე, ერთად ვისადიოთ.

ბაჩი – გმადლობთ დეიდა რუსუდან, მეჩქრება, როგორ ბრძანდებით? **/დაბნეული პასუხობს. თვალებს არიდებს, რომ უპეზე მომდგარი ცრემლები არ შენიშნოს./**

რუსუდანი – როგორ მინდოდა შენი და ზურას ნახვა. სტუდენტობამ ერთმანეთს დაგაშორათ ძმებივით თანშეზრდილი, ერთი ეზოს ბიჭები. გთხოვ ცოტახნით შემოდი... **/ბაჩიმ ლადოსკენ გააპარა მზერა და დედასავით საყვარელ ქალს უარი ვერ უთხრა/**

ლადო – აქ საიდან გაჩნდი დედა?

რუსუდანი – რამდენიმე კვირაა შვილო არ მირეკავ, არ მოდიხარ. განა მშობლის გული ამას გაუძლებს?

ლადო – მამასთან ვმუშაობ, ხომ იცი სადაც ვარ...

რუსუდანი – განა ეს საკმარისია დედის გულისთვის?

ლადო – კარგი, რა მოგართვა დედა? შენ რას მიირთმევ ბაჩი, ყავა თუ...

ბაჩი – /ბაჩიმ თავს სძლია/ ყავა იყოს. მართლაც მომენატრეთ დეიდა რუსუდან. თქვენ სამსახურში, ჩვენ უნივერსიტეტში, ლადო აქეთ გადმოვიდა და დავიკარგთ... ზაზასაც კი იშვიათად ვხედავ. უთენია სახელოსნოშია და გვიან ღამით შემოდის სახლში.

ლადო – /ყავა მოადუღა და მაგიდაზე დადო ფინჯნები/ – მიირთვით. **/უხერხულობას გრძნობდა ბაჩი რუსუდანის წინაშე./**

ბაჩი – დავით ბიძია როგორაა დეიდა რუსუდან.

რუსუდანი – როგორ იქნება შვილო, როცა მშობელს შვილის დარდი აწუხებს?

ლადო – ამის სათქმელად დააბრუნე? სხვა სალაპარაკო არ გაქვს დედა?

ბაჩი – შენ დედასაც ასეთი ტონით ესაუბრები? **/თვალებს გაუსწორებს /**

ლადო – შენ ვერ მასწავლი ვის როგორ უნდა ვესაუბრო. **/წამოდგება, ბოლთის ცემას მოყვება, რუსუდანს თვალები ცრემლებით ევსება. ბაჩის გადახევას და ეუბნება:/**

რუსუდანი – თქვენ ხომ ძმებივით გაიზარდეთ შვილო. თქვენ ხომ ერთ ჯამში ჭამდით და ერთ საწოლში იძინებდით ჩემს ოჯახში. შენი თავი მე ჩამაბარა დედაშენმა სიკვდილის წინ, ბაჩი. ზურა საოცრად ჭკვიანი იყო თქვენს შორის და უფროს ძმობას გიწევდათ ორთავეს. ჩემს შვილს ველარ ვცნობ, შენ მაინც მითხარი რა ხდება ჩვენს თავს ბაჩი?...

ლადო – არ დაიწყო დედა!

რუსუდანი – მამაშენმა გამომგზავნა დღეს შენთან. ვერც ის გცნობს. დედა ხარ და დაელაპარაკეო. რა ხდება შენს თავს, რატომ წამოხვედი სახლიდან, რა გულით უნდა გადავყლაპოთ ლუკმა მე და მამაშენმა მაშინ, როცა არ ვიცით რატომ გამოიკეტე ამ ბინაში?

ბაჩი – არ ვიცი რა გიპასუხოთ, დეიდა რუსუდან. მე და ზურა მესამე წელია ვცდილობთ ამის გარკვევას, მაგრამ ლადო განგვიდგა, ის ძველებური ლადო აღარაა. ჩვენსკენ ვეწევით და სად მიდის, ვერ გაგვიგია.

ლადო – შენ რა, დედაჩემთან გულის გადაშლას აპირებ?!

ბაჩი – კარგი იქნებოდა თავად ყოფილიყავი მშობლებთან გულახდილი. ისეთი მამა, როგორიც დავით ბიძიაა, ყველაფერს გაგიგებდა. შენ არ იცი, რას ნიშნავს, უდედმამოდ გაზრდა, შენ თბილი და პატიოსანი შრომით მოპოვებული ლუკმის ფასიც არ იცი ლადო! შენ არ გინახავს, ან თვალი აგირიდებია თუ როგორ იღებენ სანაგვე ყუთიდან, შენი მდგომარეობის მყოფი ხალხისგან გადაყრილ ნარჩენებს, საჯიშე ბიჭები და სადედოფლო გოგონები, უპატრონო მოხუცები და უპოვარნი... **/ბაჩიმ იგრძნო შორს წავიდა და თავი მოთოკა. სიბრაზე სახეზე ეხატა./**

რუსუდანი – /შეშინებული მიმართავს ბაჩის/ რაიმე ხომ არ იცი შვილო და მიმალავ? **/ლადოს/** კიდევ რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა ხომ არ დაუშვი შვილო? ხომ იცი მამაშენი როგორია? არ გაპატიებს და ვერც მე დაგეხმარები.

ლადო – დამშვიდდი. ყველაფერი კარგადაა დედა...

რუსუდანი – არა შვილო, დედის გულს ვერაფერს გამოაპარებ. კიბეებზე რომ ამოვდიოდი, თქვენი ხმამაღალი საუბარი მესმოდა. უნდა ამიხსნათ რა ხდება შვილებო**...**

ბაჩი – უნდა წავიდე რუსუდან დეიდა, ლადოს კი, ნამდვილად აქვს ასახსნელი მშობლებზე თავისი საქციელი, **/უთხრა ბაჩიმ, მერე წამოდგა კედლის საათს შეხედა. თითქოს აგვიანდება, ბოდიში მოიხადა და დედა-შვილს დაემშვიდობა. რუსუდანი ერთხანს გაოგნებულია. გრძნობს კარგი არ ხდება მის თავს. შვილის ბუნებაც იცის, დამშვიდება აცალა, მერე დივანზე ჩამომჯდარს გვერდით მიუჯდა და თბილად ჰკითხა:/**

რუსუდანი – შვილო, დედის გული გამჭვირვალე ბროლივითაა, მას მხოლოდ შვილის უბედურება ამსხვრევს, სხვა ვერაფერი ერევა. მე შენთვის არა მხოლოდ დედა, სულიერი მეგობარი ვიყავი. გენიალური ქართველი მწერლებისა და მეფე პატრიოტების მაგალითებზე გაგზარდე, მართალია მდიდრები ვართ, მაგრამ ზედმეტ ლუკმას არ მოგაწოდებდი, რომ ქონებისა და გაჭირვების ფასი გცოდნოდა. ზურასა და ბაჩის გარეშე სუფრა არ გამიშლია, არც ლენას, ხოლო საბრალო ბაჩის მშობლები ადრე დაეღუპა. თუ ისინი სამაგალითო გზას დაადგნენ, შენ რამ შეგიშალა ხელი? გამენდე რა გჭირს, გთხოვ. იცოდე, რომ მშობლებზე მეტად, ვერავინ გაითავისებს შვილის ტკივილსა და განსაცდელს და ვერც ვერავინ დაუდგება გვერდით გაჭირვების ჟამს. კარგი იქნები, შენთან იქნებიან მეგობრები, შეცდები და მიგატოვებენ. **/ლადომ დედას მხარზე ხელი მოხვია, შულზე თბილად აკოცა და მწარე ღიმილდაფენილი ბაგეებით უთხრა:/**

ლადო – ამაში კი, გეთანხმები დედა, ცუდს მიგატოვებენ, მაგრამ შეცდომასაც გააჩნია. ყველაფერს ორი მხარე აქვს. იცი როგორი შეცდომაა საშინელება? საკუთარი თავი, სასიკვდილოდ რომ გემეტება, ხოლო თავს იმიტომ არ იკლავ, ვიღაცას თავდავიწყებით რომ უყვარხარ და გიყვარს. აი ეს კი, სიკვდილ-სიცოცხლის ის ჩიხია, საიდანაც შენით, სხვისი დახმარების გარეშე, ვერ გამოხვალ.

რუსუდანი – და შენ ასეთი შეცდომაც დაუშვი შვილო? ქარაგმების გარეშე უთხარი დედას, რა გაწუხებს. თუ არ მეტყვი, როგორ დაგეხმარო ?! **/რუსუდანს ცრემლები ღაწვებზე ჩამოეღვარა, სული რომ ამოიბრუნა, თქვა:/** ახლავე მამაშენს დავურეკავ, ვეტყვი მოვიდეს, ერთად გადავწყვიტოთ შენი პრობლემა შვილო. აქედან ფეხს არ მოვიცვლი, ვიდრე არ მეტყვი რა გჭირს.

ლადო – მე არანაირი პრობლემა არ გამაჩნია დედა და თუ მამას შენი წარმოსახვებიდან რაიმეს ეტყვი, ჩათვალე მკვდარი ვარ.

რუსუდანი – თუ პრობლემა არ გაქვს, შენი სიტყვები როგორ გავიგო? ისევ ნარკოტიკს დაუბრუნდი? როგორც ჩანს გაიგეს ბაჩიმ და ზურამ.

ლადო – დედა, გახსოვს რომ მითხარი, ადამიანში ყველაზე დიდი უბედურება, რწმენის დაკარგვაა. ბედნიერია ვისაც იგი არ დაუკარგავს არავისსა და არაფრის მიმართ. ძნელია ყველაფრის ახსნა, ანუ ფიქრების ხმამაღლა ახმიანება. განა კი უფიქრია ვინმეს ხმამაღლა? მე ახლა სწორედ ასეთ ვითარებაში ვარ, რწმენა დავკარგე, უფლის რწმენა, რადგან მან იუდად მაქცია. **/რუსუდანს, ამის გაგონებაზე, თვალები შუბლზე აუვიდა. შეპასუხებაც კი ვერ მოასწრო, რომ ლადომ კარები გაიხურა და სახლიდან გავიდა. წამოდგა, ცრემლები ღაპაღუპით ეღვრებოდა შვილის მდგომარეობით გატანჯულ სახეზე. ფანჯარაში გადაიხედა. სურდა დაენახა სად წავიდა მისი ერთადერთი სიხარული, მაგრამ ფანჯრიდან ვერაფერი შენიშნა. ლადოდან გამოსული ბაჩი კი, სახლში დაბრუნდა, თუმცა ადგილს ვერ პოულობდა. წყალივით მოუნდა ზურას ნახვა. დიდხანს არ უფიქრია, ტელეფონის ყურმილი აიღო და ნომრები აკრიფა. ყურმილს ზურას დედა ლენა იღებს:/**

ლენა – გისმენ ბაჩი. ზურა? რამდენიმე წუთია რაც სახლიდან გავიდა. ძალიან ეჩქარებოდა. თუ დამირეკავს, ბულვარში გამოვიდეს, იცის სადაც ვიქნებიო... კი, ქეთის უნდა შევხვდეო...

ბაჩი – კარგით ლენა დეიდა, ტაქსით წავალ... **/ბაჩიმ კარები ჩაკეტა და კიბეებზე დაეშვა. სწორედ ამ დროს, ლადოს მანქანა გამოჰყავს გარაჟიდან და ბულვარში მიდის. ბულვარი. ქეთი და ზურა სანაპიროსთან ახლო, ძელსკამზე ზიან, სასიამოვნოდ ისმის ტალღების შრიალი/**

ზურა – ყველა უსიამოვნება უკან დარჩა. როგორც გსურდა, დედაჩემმაც იცის ყველაფერი შენზე. გეგონა დედა ნებას არ დამრთავდა ცოლად მომეყვანა შენს მდგომარეობაში მყოფი ქალი, მაგრამ ეს ზღვარი უპრობლემოდ გადავლახეთ. ვამაყობ დედაჩემის გაგებითა და თანადგომით, რადგან დედას სიყვარულის ყოვლისშემძლეობის სჯერა...

ქეთი – აბა მითხარი რომელ ადამიანს არ სურს ბედნიერება. რომელი ქალი იტყვის შენისთანა პიროვნების სიყვარულზე უარს, მაგრამ ჩვენი ტრადიციები ხომ იცი. თავს რატომ იმცირებ, განა რომელიმე გოგო უარს ეტყვის შენს სიყვარულს? როგორ ვერ ამჩნევ, რომ შენს თანაკურსელ თამთას მოსწონხარ...

ზურა – სიტყვას ბანზე მიგდებ?

ქეთი – არა, მაგრამ არ მინდა გარკვეული დროის შემდეგ, შენს მოსიყვარულე გულში, სინანული ჩასახლდეს, ხოლო თვალებში, სევდა. ამას, როგორც გითხარი, ვეღარ გადავიტან ზურა.

ზურა – ლამის სამი წელია ერთმანეთს ვიცნობთ. განა ეს ცოტა დროა გრძნობების გამოსაწრთობად? დავრწმუნდი, გავერკვიე ჩემს გრძნობებში და გადავწყვიტე. გთხოვ საბოლოო გადაწყვეტილება შენც მიიღო. დროა ოჯახის შექმნაზე ვიფიქროთ...

ქეთი – შენი სიყვარული გულიდან მოდის თუ სიბრალულიდან?

ზურა – მხოლოდ სიყვარულიდან ქეთი, სიყვარულიდან. **/ქეთი უსიტყვოდ მიაპყრობს მზერას, თვალები ცრემლებითა და მადლიერების გრძნობით ევსება,ზურა ღიმილით ეუბნება:/**

ცრემლებით ნათქვამი თანხმობა არ მინდა ქეთი, მინდა თვალები სიხარულით გიბრწყინავდეს, მინდა ვიგრძნო, რომ ბედნიერი ხარ ჩემით. **/ქეთი ზურას გაშლილ მკერდს ბავშვივით მიეყრდნობა/**

ქეთი – მინდა ვაღიარო, რომ ეს სწორედ ბედნიერების ცრემლებია. მას შემდეგ ვერავინ დამაჯერებდა, რომ ოდესმე ვინმეს შევიყვარებდი. **/ტირის/**

ზურა – ამიერიდან დღევანდელი დღით დაიწყება შენი ცხოვრების ათვლის წერტილი. დღეიდან შენ, ჩემს სიყვარულში დაიბადე და ვერავინ გაბედავს გული გატკინოს.

ქეთი – თუ ასეთ სიყვარულს იმეტებდა უფალი ჩემთვის, რატომ შენ არ შემხვდი პირველად ზურა, რატომ მომიწამლეს ლამაზი ოცნებები, რატომ?! ან როგორ დავიბადო თავიდან, როგორ დავივიწყო ის საშინელება? არ მინდა ჩემი ტკივილითა და ცრემლებით იცხოვრო, არა!

ზურა – მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე და გეტყვი როგორ დაივიწყო ტკივილი, გიყვარვარ?

ქეთი – სიცოცხლეზე მეტად, მაგრამ...

ზურა – ჰოდა წაშალე შენს გულში სიტყვა მაგრამ და ამ დიდი სიყვარულით იცხოვრე. **/ზურა ქეთის ჩამოქნილ თითებს თავის დიდრონ ხელისგულებში იმწყვდევს, ნაზად ეფერება, ამ დროს ზურგსუკნიდან მიახლოებული ლადო ცინიკურად ამბობს/:**

ლადო – ბრაო! რა გულსაკლავი სცენაა! იმდენად რომანტიული, რომ მტერსაც კი არ ჩააშხამებდნენ ამ იდილიას...

/ზურა ლადოსკენ შემობრუნდა, წამოდგა. ქეთი არ განძრეულა. თვალი თვალში გაუყარა და უთხრა:/

ზურა – იქნებ ისიც იცი, რომ ბრძოლის ველზე, მოსისხლე მტრებიც კი ესალმებიან ერთმანეთს. ჯერ სალამი გეთქვა და ბოღმა შემდეგ გადმოგენთხია. რა გინდა, აქ რისთვის მოხვედი?! **/ამ დროს ბაჩი გამოჩნდა ჩქარი ნაბიჯებით მათკენ მომავალი. იგი ზურასა და ლადოს შორის ჩადგა. ზურა ქეთისთან ბრუნდება./**

ბაჩი – /ლადოს/ შარი გინდა იპოვო? წამოდი გთხოვ, რაღაც მაქვს სათქმელი. **/მოშორებით გაყავს და ეუბნება:/** რატომ გინდა მეგობრობაში იაღლიში შეიტანო?! ხომ ხედავ, რომ ქეთი შენს დანახვაზე რეაგირებას არ ახდენს. გაფრთხილებ როგორც ძმას, შეეშვი ზურას მოთმინებაზე ფეხების გაწმენდას, ანდა... **/ბაჩის თვალებში ლადოსადმი ბრაზი და უნდობლობა იხატება/**

ლადო – ანდა რა, ჩამიშვებ?! მიდი, მეც ეგ მინდა, ან ასე, ან ისე, ან მე, ან ზურა, რადგან ვერასოდეს შევეგუები ზურასა და ქეთის ცოლ – ქმრობას... **/მიუხედავად მუქარისა და შეგნებული ბაქია-**

ობისა, ლადოს ზურასა და ქეთისკენ გაურბის მზერა და თვალები ენამება. მის გულში ცეცხლი ტრიალებს. დარწმუნებულია, რომ სწორედ იქცევა, რომ მისი ამდაგვარი ქმედებით ზურას ქეთიზე უარს ათქმევინებს. მხოლოდ ერთი რამ არის მისი მიზანი, ძმასავით თანშეზრდილმა მეგობარმა, მეზობელმა, თანაკლასელმა, მისგან ძალადობით შეცდენილიო გოგო, ცოლად არ შეირთოს. ამ მიზნის მისაღწევად კი, ბოროტის როლი მოირგო/

ბაჩი – ჩუმად, რა გაყვირებს, ზურა გაიგონებს... **/ამ დროს ზურა კვლავ წამოდგება და მათთან მიდის/.**

ზურა – ლადო, მოდი ახლავე დავუსვათ წერტილი ჩვენს უთანხმოებას. მალე მე და ქეთი ჯვარს დავიწერთ. წავშალოთ ეს საშინელი ეპიზოდი ჩვენს ლამაზ მეგობრობაში და იმ დღიდან განვაგრძოთ მეგობრობა, საიდანაც ბზარი გაუჩნდა. გთხოვ, ალალად მითხარი სიმართლე, არაკაცი ვიყო თუ არ გაგიგო. შენს დაკარგვას, მირჩევნია, სიმართლის გაგების შემთხვევაში, ქეთი დავკარგო...

ბაჩი – /ლადოს მხარზე ხელს დაჰკრავს, თვალებში ჩახედავს და ეუბნება:/ ამ სიტყვების შემდეგ, ღმერთიც არ მოგიტევებს სიმართლის დამალვას. თუ რაიმეს თქმას აპირებ, ყველა მთავარი გმირი აქა ვართ და აქვე გადაწყდება ყველაფერი...

ლადო – /ცინიკურად/ სიმართლე გაინტერესებს ზურა? კარგი, ყველაფერს გეტყვი, მაგრამ ხვალ, პეტრას ციხის შესასვლელთან შევხვდეთ...

ზურა – არ არის საჭირო გაზვიადება, წამოდით, ჩემთან შევიკრიბოთ, დედა სამსახურშია, შენი მანქანით წავიდეთ და ისევ აღნიშნოთ ჩვენი ძმობა...

ლადო – არა ძმაო, პეტრას ციხეზე ძმაკაცს უნდა შევხვდე, რესტორანში ქეიფს ვაპირებთ. თუ ყველაფერი ისე დასრულდება, როგორც ჩავიფიქრე, თქვენც შემოგვიერთდებით. მოკლედ ყველაფერი ხვალ გადაწყდება...

ზურა – ეს საქმე შეგვიძლია აქაც მოვაგვაროთ, რა საჭიროა პეტრას თუ ხიხანის ციხე? თუ დუელს მინიშნავ?!

ლადო – არაფერი არ უნდა გამორიცხო ადამიანმა. **/ჩაილაპარაკა ცინიკურად. ამ დროს მისმა მობილურმა დარეკა. დახედა და გაოცდა, ზაზა ურეკავდა. განზე გადგა. ზაზა ძმაკაცურად თხოვდა, მასთან, სახელოსნოში მისულიყო დღესვე. ლადო უცებ უსიტყვოდ შეტრიალდა და წავიდა. მოულოდნელობისგან გაოცებული ბაჩი, ზურას ეკითხება:/**

ბაჩი – ვინ დაურეკა? რას იტყვი, შევხვდეთ?

ზურა – ლადოს კაპრიზები არ მომწონს. გამოდის, მის დაკრულზე უნდა ვიცეკვოთ? თუმცა რა გაეწყობა, სადაც წვრილია, იქ გაწყდეს, – შევხვდეთ.

/ლადო საჭეს მიუჯდა და მთელი სისწრაფით გააქროლა მანქანა. რამდენიმე წუთში ის ზაზას გვერდით იჯდა. ზაზა ერთხანს ხმას არ იღებდა, მერე წამოდგა, ორი ფინჯანი ყავა დაასხა თერმოსიდან, რომელიც მუდამ თან მოჰქონდა, საღებავშემხმარ მაგიდაზე დააწყო, ასევე, საღებავშემხმარი ჩვრით გადაწმინდა ტაბურეტები და ლადოს ანიშნა, დამეწვიეო. წელი ძვლივს აითრია ლადომ, რომელიც უკვე რაღაცას გრძნობდა, უფრო, დარწმუნებული იყო, რომ ზაზამ მათ შესახებ იცოდა. ნება-ნება სვამდნენ, ზაზამ თვალი გაუსწორა და დუმილი დაარღვია:/

ზაზა – ხომ ხვდები რისთვისაც დაგიბარე?

ლადო – კი, ამას რა მიხვდრა უნდა, მაგრამ არ მეგონა შენ თუ ჩაგრევდნენ საქმეში.

ზაზა – ბაჩიმ მითხრა, რომ თქვენს შორის სერიოზული დაპირისპირებაა, მიზეზი არ იცის, ახლა შენ უნდა მიამბო რა მოხდა თქვენს შორის, რა მიზეზით უკრძალავ ზურას, საყვარელ ადამიანთან შეხვვედრას? ბაჩისთვის არ მითქვამს, რომ დაგელაპარაკებოდი, ვერც ვერასოდეს გაიგებს ჩვენს საუბარს. ჩემი გულახდილობისა და პირდაპირობისა იცი, ახლა შენი ჯერია...

ლადო – მიუხედავად იმისა, რომ გაფასებ, ეს მხოლოდ მე და ზურას გვეხება, ბაჩი არაფერ შუაშია. დამიჯერე, ხვალ ყველაფერი მოგვარდება.

ზაზა – ხვალ? რას აპირებ?! თავი თუ არ გეცოდება, ღირსეული მშობლები შეიცოდე. მიდი, მენდე, არ ინანებ, გვერდში დაგიდგები, ძმობას გაგიწევ. გთხოვ... დამიჯერე, სიჯიუტე უფსკულში გადაგჩეხავს, თავმოყვარეობა გამოიჩინე და მე თუ არა, შენს მოძღვარს ჰკითხე რჩევა. მიდი, გისმენ...

ლადო – შენც იგივეს გეტყვი, რასაც მოძღვარს. არის რაღაც, რასაც ვერავის გაუმხელ. ეს ის საშინელებაა, რომელიც გაწამებს, გტანჯავს, ჯვარზე გსვამს და სახიდან კანს გაცლის.

/ლადოს თვალები აუცრემლდა, ზაზა ხედავდა თუ როგორ იტანჯებოდა იგი. გადაწყვიტა სხვა კუთხით მიდგომოდა საკითხს, ამიტომ ჰკითხა:/

ზაზა – რეაბილიტაციის ცენტრში ისევ დადიხარ თუ არა? შენ დიდი სულიერი სტრესი განიცადე იმის გამო, რომ შეცდი, რომ ის გააკეთე, რაც შენს მშობლებს არ ეკადრებოდა. დარწმუნებული ვარ იმასაც საშინლად განიცდი, რომ ეს ბაჩიმ და ზურამ არ იციან. ჩემო პატარა მეგობარო, შენ სერიოზული მკურნალობა გჭირდება, ცხოვრება წინ გაქვს და ნუ დაიმახინჯებ ახალგაზრდობის ბედნიერ დღეებს, მომავალს, გესმის რა გითხარი?

ლადო – მესმის, მაგრამ ამას რა კავშირი აქვს ჩვენს საუბართან?

ზაზა – ძალიან დიდი კავშირი აქვს ლადო, ნარკოტიკის ზემოქმედებაში მყოფი ადამიანის აზროვნება დაბინდულია, მასში რეალობის შეგრძნება დათრთგუნულია და მხოლოდ პირადი ტკივილის ჩაქრობაზე და ვნებების ჩახშობაზე ფიქრობს, გამიგე? შენ, ღვთის წყალობით, დროზე მოგისწარით და რეალობისკენ შემოგაბრუნეთ, ჩანასახშივე ჩავახშეთ შენი მისწრაფება ნარკოტიკისკენ. იცი რაა ბედნიერება? საღი აზროვნება, სწავლა, სტუდენტობა, ოჯახური იდილია, სიყვარული და ამ მოკლე, დაწყევლილ სამყაროში, კაცური კაცის სახელით ცხოვრება! მიპასუხე, ისევ მოკიდე ხელი?

ლადო – მხოლოდ რამდენჯერმე, მსუბუქი ფორმით... ასე ადვილი არ დარჩა თავის დანებება...

ზაზა – და ამ ნაგავით თავის მოკვლა, მომავლის ცაზე მზის დაბნელება ადვილია?! შენ იცი რაა ნამდვილი სიამოვნება, რასაც თქვენ კაიფს ეძახით? ჯანსაღი სხეული, წმინდა სიყვარული და სუფთა წარსული. შენი წარსული შენს მომავალს დაასამარებს თუ თავი ხელში არ აიყვანე. მეორედ ნუ ამომიყვან შენს მშობლებთან იმის სათქმელად, რომ მათ ატყუებ, იმედს უცრუებ, რომ მეგობრებზე გული აიყარე და არ გინდა სიმართლეს თვალი გაუსწორო. ნუთუ ბაჩისა და ზურას სიყვარულსა და მეგობრობას იმათ მეგობრობას არჩევ, რომლებიც შენი მომავლის დაღუპვაში გეხმარებიან? იცი, ერთხელ ერთი ნარკომანის ჩანაწერი წავიკითხე ინტერნეტში თუ როგორ დააღწია თავი ამ ლაბირინთს, აი რას ამობობდა იგი: „ცხოვრების ახალი აზრის პოვნა, ურთიერთობები ადამიანებთან, სამსახური, შენი საქმე, ჰობი, და ეს ყოველივე თავიდან, უნარკოტიკოდ – ძნელია! მაგრამ, ნარკომანისთვის ეს სამკვდრო-სასიცოცხლო მნიშვნელობის ბრძოლაა და მასში ის ვალდებულია გამარჯვებული გამოვიდეს. მან აუცილებლად უნდა მოახერხოს ყურადღების მთლიანი გადატანა რაღაც ახალ, საინტერესო საქმეზე. თავიდან ჩვეულებრივი, უბრალო საქმეც კმარა. ვთქვათ, პირადი კუთხის, წიგნების მოწესრიგება, ხატვა, წერა, კითხვა. ნარკომანს ხომ ყველაფერი არეული აქვს, ყოფის ყველა სფერო პრაქტიკულად თავიდანაა ასაწყობი. საქმეს რა გამოლევს?! მთავარია იყოს სურვილი!“ დიახ ლადო, მთავარია შენი სურვილი და სიყვარული მათ მიმართ, ვისაც უყვარხარ, აი რაა მთავარი, ჭეშმარიტებისკენ შემოსაბრუნებლად. **/დასძენს:/** ნუთუ არავინ გიყვარს? **/ამის გაგონებაზე, წითელ-ყვითელი ფერები გადაუარა ლადოს. ლალი გაახსენდა, გოგონა, რომელიც მეცხრე კასიდან სიგიჟემდე უყვარს, რომელმაც იცის ლადოს შესახებ ყველაფერი და რომელიც სიყვარულის ძალით ცდილობს ლადო ჯანსაღ ცხოვრებისკენ შემოაბრუნოს. ზაზასთვის არაფერი უთქვამს, მხოლოდ ჩაილაპარაკა:/**

ლადო – მესმის, რომ ჩემზე უფროს ძმასავით განიცდი, მესმის რას მეუბნები, მაგრამ აქ ნარკოტიკი არაფერ შუაშია. გეფიცები, მას შემდეგ მხოლოდ რამდენჯერმე დავყნოსე...

ზაზა – მაშ ის მითხარი, შუაში რაა?! ზურასთან რა პრობლემა გაქვს. თითოეულს გიცნობთ, ვიცი არც ერთი უმიზეზოდ არაფერს აიჩემებთ, ახლა კი მიზეზი უნდა მითხრა, რადაც არ უნდა დაგიჯდეს. **/ზაზას ხმაში სიმკაცრე გაერია/**

ლადო – ხვალ ჩვენ ქალაქგარეთ, პეტრას ციხეზე ვხვდებით ერთმანეთს და კაცურად დავილაპარაკებთ, ყველაფერი კარგად დამთავრდება, გპირდები...

ზაზა – სიტყვაზე გენდო? შენ რატომ არ მენდობი ლადო?!

ლადო – გენდობი, სიცოცხლეს გენდობით შენ და ბაჩის, მაგრამ ზურამ იმედი გამიცრუა. მე რომ გთხოვო, ყოველგვარი შეკითხვების გარეშე მიატოვე შეყვარებული, ამის მიზეზი არსებობს მეთქი, დამიჯერებდი თუ გამრიყავდი?

ზაზა – თუ მიზეზს არ გამიმხელდი, ვერ დაგიჯერებდი და სწორედ ზურასავით მოვიქცეოდი. ის არ გამართლებს, რომ ძმებივით ხართ, სწორედ ძმებმა უნდა გაუსწოროთ თვალები ერთმანეთს და სიმართლე არ დაუმალოთ. შენ შეგიძლია მთელი ცხოვრება იმ საიდუმლოთი იცხოვრო, რომელიც ძმას ხელს კრავს? წირავს? თავმოყვარეობას ულახავს?

ლადო – მაპატიე, უნდა წავიდე, დამოძღვრისთვის კი, გმადლობ...

ზაზა – თავს ზემოთ ძალა არ არის ლადო! მე ჩემი გასაკეთებელი გავაკეთე, ვეცადე, რომ გული გადაგეშალა და დაგხმარებოდი, მაგრამ შევცდი, შენ არავის ნდობა არ გაგაჩნია, ეს კი, დაიმახსოვრე, დამღუპველია. ადამიანს, რომელსაც არავინ ეგულება, თუნდაც უკიდურესი დანაშაულის შემთხვევაში გული გადაუშალოს, ის განწირულია. კარგი, რაკი შენსაზე დგახარ, რა გაეწყობა, წადი. ჩვენი საუბარი, როგორც ყოველთვის, მე და შენს შორის მოკვდება, მაგრამ არ მინდა ჩვენი ლამაზი მეზობლობა, მეგობრობა და სიყვარული, შენი ჩვენდამი უნდობლობის გამო მოკვდეს. **/ლადოს ხმა აღარ ამოუღია, სიგარეტს მოუკიდა და სახელოსნოს კარები გამოიხურა, მერე საჭეს მიუჯდა და ლალის სანახავად წავიდა. ქუჩიდან დაურეკა, ეზოში ჩამოსვლა სთხოვა. ლალის არ დაუგვიანია, იქვე, სახლის მახობელ სკვერში, ძელსკამზე ჩამოსხდნენ. გოგონა ხედავდა, რომ ლადოს რაღაც აწუხებდა, მაგრამ ისიც იცოდა, შეკითხვები რომ არ უყვარდა და თავს იკავებდა. როგორც იქნა ლადომ ხმა ამოიღო:/**

ლადო – ლალი, შენთვის არასოდეს არაფერი დამიმალავს ერთი საშინელი რამის გარდა. ვცდილობ ნორმალური ცხოვრების რიტმს დავუბრუნდე. ამაში შენი სიყვარული მეხმარება. მე დღეს მეგობრები დავკარგე ტყუილის გამო და არ მინდა შენც დაგკარგო, ამიტომ გადავწყვიტე სიმართე გითხრა. ისეთ ჩიხში ვარ მომწყვდეული ორი წელია, რომ თავს ვერაფრით ვაღწევ. თითქმის დავივიწყე მომხდარი, გამინელდა ის საშინელი განცდა, რაც მაწამებდა და რაც მეგონა, რომ დრომ წაიღო, მაგრამ აგერ ოთხი თვეა, ბუმერანგივით დამიბრუნდა ჩემი შეცდომა და თანაც საკუთარი ძმების ხელით, თუმცა მათ ამის შესახებ არაფერი იციან. ლამისაა გავგიჟდე!!...

ლალი – /გაოცებული/ ვერაფერი გავიგე გარდა იმისა, რომ რაღაც დიდ ხიფათში ხარ გახვეული, ნარკოტიკს უკავშირდება ეს ყველაფერი? ნუთუ ამაოა ჩემი ცდა?

ლადო – ნეტავი ნარკოტიკი იყოს მიზეზი, თუმცა ჰო, ნარკოტიკმა გამინადგურა ლამაზი ოცნებები, მომიწამლა სული და ხორცი და გამაბოროტა... **/დასძენს/** არა! მე ბოროტი არასოდეს გავხვდები, მე თავს დავაღწევ ნარკოტიკთან დაკავშირებულ პრობლემას, მაგრამ ჩემი თვალებიდან ვერ წავშლი მისი ზემოქმედების ქვეშ მყოფმა, გამოუსწორებელი დანაშაული რომ ჩავიდინე. ვალდებული ვარ სიმართლე გითრა, რადგან შემდეგ, არაკაცი და ნაძირალა არ მიწოდო... **/ლადო უყვება თუ რა ტანჯავს. ცრემლებად იღვრება. ხელებს იფშვნეტს. სიგარეტს სიგარეტზე აბოლებს. ლალის ცის-**

ფერ, ზღვასავით უძირო თვალებში საწვიმარი ღრუბლები ჩაწვა. ხმა წაერთვა. ის ვიღაც გოგო შეეცოდა. მის ადგილას წარმოიდგინა თავი. შიშისგან შეაჟრჟოლა. ლადო მის ხელებს ხელებში იმწყვდევს, ასისხლიანებული თვალებით ეეედრება რაიმე მითხარი, თუნდაც გამკიცხეო.../

ლალი – ჯერ ზურას უამბე ის, რაც მე, ლადო! – **/წამოდგა, წასვლა დააპირა. ლადო ამას არ მოელოდა, ეგონა სულში ჩამხედავს, ტკივილს შემიმსუბუქებსო, მაგრამ შეცდა. ლალიმ მკაცრი ტონით უთხრა: /**დამიმტკიცე, რომ გიყვარვარ... მე დაგიმტკიცე... **/ჩქარი ნაბიჯით გავიდა სკვერიდან, ცრემლებს ვერ მალავდა.../**

/მეორე დღე. ბაჩი და ზურა პეტრას ციხეზე აპირებენ წასვლას. ბაჩი ეუბნება:/

ბაჩი – პეტრას ციხესთან ახლო, ზაზას თანაკურსელი ცხოვრობს, საოცარი ნახატები აქვს, ლადოსთან საქმე მოვაგვაროთ და გუჯას ვეწვიოთ, გაეხარდება...

ზურა – კარგი, ამ მიზეზით, ხელოვნებას მაინც ვეზიარები...

ბაჩი – მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ამ შეხვედრის შემდეგ, ლადო ველარ შეგაწუხებს. შენ მას ისეთი სიტყვა უთხარი, კაცობა უნდა ეყოს და ყველაფერს ფარდა ახადოს. თუ მაინც თავისას არ მოიშლის, გეფიცები მე ავხდი ლადოს იმ ნიღაბს, სახეს რომ უწვავს და ვერ იგლეჯს...

ზურა – /გაოცებული/ ნიღაბს? რა ნიღაბზეა ლაპარაკი, შენც რაღაც იცი ძმაო და მიმალავ?

ბაჩი – ჰო, ასეა. ლადომ ყველაფერი მიამბო. ჯერ, შემომფიცეო მითხრა და მეც დედ-მამის საფლავი დავუფიცე, რომ მის საიდუმლოს მიწაში ჩავიტანდი. ფიცს ვერ გავტეხ, თუმცა რაც მიამბო, სჯობდა არასოდეს ეთქვა. ლამისაა ორ წყალს შუა დავიხრჩო. აღარ შემიძლია დუმილი. ცოტაც და თუ დღეს ისევ თავისას მიაწვება, ჩემი მოძღვრის წინაშე გავტეხ ფიცს და სიმართლეს მისი თანდასწრებით გეტყვი...

მოქმედება მეორე:

/პეტრას ციხე. ლადოს მანქანა ციხის შესასვლელ, ძველ რკინის ჭიშკართან დგას. კაპოტზე მიყრდნობილს, მარჯვენა ხელში ლუდის ბოთლი უჭირავს, მარცხენათი სიგარეტს ეწევა. ბაჩისა და ზურას დანახვაზე, წამოიძახებს:/

ლადო – აი ეს მესმის! მთლად დედიკოს ბიჭები არ ყოფილხართ. ისე, ბატონო ზურა, მე შენს ადგილზე, „დაცვით“ არ მოვიდოდი ...

/ბაჩის დამცინავად გადახედავს, თუმცა ბაჩი დარწმუნებულია, რომ ეს ლადოს შეგნებული პოზაა და არა ის, რასაც გულით გრძნობს, განიცდის. თავის მხვრივ, ლადო შეეცოდა, რადგან არავინ არაა დაზღვეული, რა გზით ატარებს ბედისწერა/

ბაჩი – გამარჯობა ლადო, მე დაცვა კი არა, მეგობარი ვარ, **/თვალებს უსწორებს/:**

ლადო – ვიცი რომ მეგობარი ხარ, მაგრამ პირადი საქმე არ გაგაჩნია? **/ლუდის ბოთლს უმისამართოდ მოისრის და დასძენს:/** ესე იგი სიმართლე გაინტერესებს ზურა? იცი აქ რატომ დაგინიშნე შეხვედრა? შენ მართალი ხარ, დუელში გიწვევ იარაღიანი, უიარაღოს, ანუ უთანასწორო ბრძოლა გველის, რადგან თქვენ ორნი ხართ... **/ლადო მანქანის ღია ფანჯრიდან, სავარძელზე დადებულ იარაღს აიღებს, ხელში შეათამაშებს, იღიმის/**

ბაჩი – ირონია შენთვის შეინახე! აკი ყველაფერს გავარკევთ და რესტორანში წავალთო?! თუ გვეთამაშები?

ლადო – /ხმამაღლა გაიცინებს/ რესტორანიც მოგინდათ?

ზურა – გიცქერი და მეცოდები. ამხელა გზაზე დასაცინად ამოგვიყვანე? თუ ღმერთი გწამს დაუსვი წერტილი ყველაფერს და რესტორანი ჩემზე იყოს. ბოლოს და ბოლოს რას გადაეკიდე ქეთის? აღარავისი ხათრი, პატივისცემა აღარ შემოგრჩა? მეგობრობის, თანაკლასელობის, ჩვენი მშობლების?!

ლადო – შენმა უერთგულესმა ძმაკაცმა რატომ არ გითხრა სიმართლე? მან ხომ დიდი ხანია იცის ყველაფერი?

ზურა – /არ დაიბნა/ ჰო, იცის, მაგრამ შენთვის სიტყვა მოუცია და თავს უფლებას არ აძლევს მითხრას. ახლა თქვენზეა დამოკიდებული ჩემი ბედნიერება. გთხოვთ მცდარი ნაბიჯი არ გადამადგმევინოთ არც სიყვარულში და არც მეგობრობაში...

ლადო – /ბაჩის ბრაზითა და ზიზღით/ – მაინც იბოზე არა?!

ბაჩი – სიტყვები შეარჩიე ლადო! შენს ბოროტ ანკესზე არ წამოვეგები. დროა სიმართლე უთხრა ზურას...

ლადო – ზურა! სიმართლე ისაა, რომ ქეთი სამუდამოდ უნდა დაივიწყო! წინააღმდეგ შემთხვევაში, ტყვიას მიიღებ შუბლში.

ზურა – /მიდის ლადოსთან, საყელოში სწვდება, თავისკენ მოქაჩავს და თვალებში ცრემლჩამდგარი, მკაცრი ტონით ეუბნება:/ ჭკუიდან არ გადამიყვანო! ჩემს მოთმინებასაც საზღვარი აქვს. ეგ შენი იარაღი ფეხებზე მკიდია. იარაღი არაკაცებისა და მშიშრებისთვისაა მოგონილი. ჩემი იარაღი მართალი სიტყვაა და შენც გირჩევ, სიმართლე თქვა.

ლადო – /ბაჩის/ მართლა არაფერი გითქვამს? შენ არ ხუმრობ ხომ იცი! მუდამ ნეიტრალურს, არ მეგონა ულტიმატუმის წამოყენება თუ შეგეძლო. რა კარგად მოგიფიქრებია?! მოძღვარი არა?!

ბაჩი – ირონია შენთვის შეინახე. ნეიტრალური იმიტომ ვარ, რომ მეგობრობასა და ძმობაში განხეთქილებას ვერიდები, თუმცა შენ ამგვარი ნეიტრალურობის არსს ვერ გაიგებ...

ზურა – /ლადოს ხელს უშვებს და ბაჩის ეუბნება:/ ჩვენ სიტყვა შევასრულეთ. როგორც ჩანს, ლადო დროს იგებს ლაზღანდარობით, დაგვცინის და გვიგდებს. რაკი არ სურს სიმართლე გვითხრას, მისი ნებაა, წამოდი, იმ მხატვარტან მივიდეთ, შენ რომ მითხარი...

ლადო – ვაა... თქვენ აქ გუჯას სანახავად ამოხვედით? თუმცა ზაზა ხომ მისი კოლეგაა...

ბაჩი – /ახლა ბაჩი მიდის ლადოსთან. თხოვს იარაღი შეინახოს, წერტილი დაუსვას მეგობრებს შორის უთანხმოებას. ეფიცება, რომ ზურა გაუგებს და აპატიებს/ მოვრჩეთ ამ საერთო სატანჯველს და სამივე ერთად წავიდეთ გუჯასთან. სხვა რომ არაფერი, ერთ ეზოში, ერთ სახლში ვცხოვრობთ. დედაშენმა, ან მამაშენმა რომ გაიგოს ეს ყველაფერი, გაგიჟდებიან.

ლადო – ერთი ეზოს ბიჭები არა?! თქვენ რატომ არ გინდათ სიტყვაზე მენდოთ და ის გააკეთოთ რასაც გთხოვთ. გგონიათ გიჟი ვარ? თქვენთან მეგობრობა რომ მინდოდა, ამიტომაც გეუბნებოდით დამიჯერეთ და უსიტყვოდ გამიგეთ მეთქი. რა გახდა ერთი გოგო, რომ ჩვენი მეგობრობა გადაწონა? ან რატომ არ აქვს ჩემს სიტყვას თქვენთვის ფასი? **/თვალები უცრემლდება/**

ზურა – ასეთი რაა, რომ თავს იტანჯავ და ჩვენც გვტანჯავ. თუ არ მეტყვი, რა გაგიგო?! ქეთის არ ეხებაო, ქეთიმ ვერ ამოგიცნო და ეჭვი იმაზე, რომ მის უბედურებაში ბრალი მიგიძღვის, გამორიცხულია. მაშ რა ხდება? ალბათ ის, რომ იცი, ვინ არის ის ნაძირალა და ხელს აფარებ, იმის დედა კი ვატირე, მითხარი ვინ არის!!!

ლადო – /თვალებამღვრეული, თავზარდაცემული ზურას გინების გამო, დაიყვირებს/ ყველამ თავისი დედა ატიროს, წადი შენი დედაც, შე მართლა ნაბოზარო, ვის აგინებ?! **/ლადომ მთელი ძალით მოუქნია ზურას ხელი, მაგრამ ბაჩიმ დროზე დაუჭირა მაჯა, თვალები გაუსწორა და თქვა/:**

ბაჩი – დროა თავად ვამხილო სიმართლე და მოძღვარს მერე ვუთხრა აღსარება...

ლადო – კრინტს თუ დაძრავ, მანამ გავუხვრეტ ამ ვაჟბატონს შუბლს, ვიდრე გაიგონებს. **/იარაღს უმიზნებს ზურას./**

ბაჩი – /მოულოდნელობისაგან შეკრთება/ – ვის უმიზნებ ბიჭო?!

ზურა – მიდი, მესროლე! შენ მართლა ნაძირალავ! მაგრამ მანამდე, გეყოს ვაჟკაცობა და სიმართლე თქვი, რის გამო ეს ყველაფერი?! რატომ მოახდინე ჩემს გინებაზე ასეთი რეაქცია? უკვე დავრწმუნდი, რომ შენ მას იცნობ...

ლადო – ჰო, ვიცნობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ქეთის დაშორდე?!

ზურა – არა! არ არის საკმარისი. ახლავე მითხარი ვინ არის, თორემ სასამართლოში გიჩივლებ, საქმეს აღვძრავ შენს წინააღმდეგ, ამაში მამაშენი დამეხმარება და ეს შენც კარგად იცი. **/ისევ სწვდა საყელოში, მაგრად შეანჯღრია და მზერა შეაყინა. ლადო არ განძრეულა./**

ბაჩი – შეეშვი ზურა, ამ საქმიდან აღარაფერი გამოვა. **/მიუბრუნდება ლადოს/** მეგონა გონს მოეგებოდი, მაგრამ ასე არ მოხდა. მართალია შემოგფიცე, მაგრამ მაშინ ვერ წარმოვიდგენდი, ქეთიზე თუ უნდა გეთქვა რამე...

ზურა – /გაოცებისგან თვალები უფართოვდება/ – ქეთიზე? ლადო! მასზე სიმართლე იცი არა? ახლავე თქვი თორემ მართლმსაჯულებას აქვე აღვასრულებ, მიდი, გელოდები!..

ლადო – /წამით ლადო მოეშვება. მეგობრებს თვალებს ვერ უწსორებს. დიდხანს ფიქრობს. ბაჩი დარწმუნებულია, რომ ლადო გადაწყვეტილებას მიიღებს და სიმართლეს ეტყვის ზურას, მაგრამ ასე არ ხდება. ის მოულოდნელად ამბობს:/ ერთი კვირა მომეცით, საქმეებს მოვაგვარებ, მამაჩემს ანგარიშს ჩავაბარებ და სამუდამოდ დავტოვებ ამ ქალაქს, სიმართლეს კი, ვერასოდეს ვიტყვი...

ზურა – ქალაქიდან წასვლა გამოსავალი არ არის, სიმართლეს ისედაც მეტყვის ბაჩი მოძღვრის თანდასწრებით. მე შენგან მინდა გავიგო რა ხდება, ვის გამო მიდიხარ ქალაქიდან, იმ ვიღაცის გამო, რომელმაც ჩვენს ძმობას ჩრდილი მოჰფინა?

ლადო – ყველაფრის გამო, რაც მომივიდა, ყველაფრის გამო... **/ლადოს ხმა ებზარება, იარაღს ხან შუბლზე იბჯენს, ხანაც უაზროდ ჩააშტერდება ლულას./**

ბაჩი – იარაღი შეინახე ლადო! წამოდი, შენს მანქანაში ჩამოვსხდეთ, მშვიდად დავილაპარაკოთ, მოუგვარებელი საქმე არ არსებობს.

ლადო – იარაღი? ჰო, იარაღი გადაწყვეტს შეირთავს თუ არა ქეთის ზურა, ჩვენ ორს შორის ერთ-ერთი მოკვდება...

ზურა – კაცი მეგონე. მეგონა სიცოცხლეს არ დავზოგავდი შენთვის. ერთი დედის ნაშობი შვილებივით გავიზარდეთ და ასე უნდა დავამთავროთ ურთიერთობა? რაღას უცდი, მიდი, მესროლე და დაამთავრე!..

ლადო – სიმართლეს როცა გაიგებ, ყველაფერი ბაბილონის გოდოლივით დაინგრევა! ყველანი ნანგრევებქვეშ მოვექცევით და ამისი გაკეთება არ მინდოდა... არ მინდა, გესმის?! ამის დედაც!... არ მინდა!!!...

ზურა – გამუდმებით ეჭვქვეშ ცხოვრებას, მწარე სიმართლე მირჩევნია. ვინ არის ის შენთვის ასე რომ აფარებ ხელს? ჰო, რატომ მფარველობ იმ ჩათლაღს, ნაძირალას, მითხარი ვინაა და დედას ვუტირებ! არადა, წმინდა მეგობრობის მოღალატე, მართლა უნდა გადაშენდეს ქალაქიდანაც და ქვეყნიდანაც! დაიმახსოვრე, გავიგებ თუ არ სიმართლეს და ეს სულ მალე მოხდება, ვნახავ იმ დამპალს და დედას მო...

ლადო – /ხმამაღლა დაიყვირებს/ არ გაბედო! დედა არ ახსენო თორემ შუბლს გაგიხვრეტ! ის დამპალი, არაკაცი, ნაძირალა, ნაგავი, ზნედაცემული, ჩათლახი, შენს წინაშე დგას, შენი საუკეთესო მეგობარი, მიდი ახლა და უტირე დედა! უტირებ?!..

/ზურა გაოგნებული ხან ბაჩის მიაშტერდება, ხან ლადოს. ბაჩი მასთან მიდის და ეუბნება/:

ბაჩი – ჰო ზურა, შენს გვერდით დგას, იარაღით ხელში...

ზურა – რაა?! შეენ?! ეს შენ გააკეთე?! **/ზურა ბაჩის მხრებზე ორთავე ხელებით დაეყრდნობა. ეგონა მიწა იძრა ფეხქვეშ. გაოცებისგან სიტყვები დაეკარგა. მერე ბაჩის თვალებში ჩახედა და უთხრა/** მითხარი ბაჩი, რომ ეს ტყუილია, რომ ის ნაძირალა, ეს კაცი არ არის, რომ ეს ჩემი ძმა და მეგობარია და არა ზნედაცემული არაკაცი. **/ჩაიმუხლებს, ხელისგულებში თავს ჩარგავს./**

ლადო – /ჩაილაპარაკებს/ ეს მანამდე მოხდა, ვიდრე შენ შეხვდებოდი. ყველაფერი იმის ბრალია, რომ იმ დღეს პლანი მოვწიე და გონება ამღვრეული მქონდა. ახლა იცი მწარე სიმართლე და თუ ქეთის ეტყვი, რომ ეს მე ჩავიდინე, მოგკლავ, არ დაგინდობ, რადგან ის, ვინც სიგიჟემდე მიყვარს, ქეთის ალალი ბიძაშვილია... ესეც გვიან გავიგე...

ზურა – რა გიყო ახლა შე მართლა ნაგავო! **/ზურა წამოდგება, ლადოსკენ იწევს, ბაჩი მათ შუაში დგება, ლადო ორივეს თხოვს:/**

ლადო – აქედან წადით, მარტო დამტოვეთ თორემ, საკუთარ თავზე პასუხს არ ვაგებ. მე ჩემი მეყოფა. თქვენ ახლა გაიგეთ, მეკი მთელი ორი წელი მტანჯავს ჩემი არაკაცობა, თუმცა ეს ფხიზელს არ ჩამიდენია. ან თავს მოვიკლავ, ან შენ მოგკლავ ზურა, ქეთიზე უარს თუ არ იტყვი. მიზეზი გინდოდა, რომ სიყვარულზე უარი გეთქვა? ახლა ხომ იცი. **/მისკენ მიმავალ ზურას იარაღს უმიზნებს, თან აფრთხილებს:/** არ მომიახლოვდეთ, სრულ გონზე არა ვარ, ცუდად ვარ ბიჭებო, ძალიან ცუდად. დღეს შეგნებულად მოვწიე, რომ როგორმე სიმართლე მეთქვა! თავი არ დაიღუპო ზურა! წაიყვანე ბაჩი, გთხოვ! თავს ვერ შევიკავებ, გონება მებინდება...

ბაჩი – ლადო, შენ მე გულუბრყვილოს მეძახი, მაგრამ ამ გულუბრყვილო ბიჭმა, წამოსვლამდე, ყველაფერი დაწერა და დაბეჭდილი კონვერტი ქეთის ჩააბარა შესანახად. ის მაინც გაიგებს სიმართლეს. ჩვენი დადუმება გინდა? მაშინ ორთავეს გვესროლე.

ლადო – გზიდან ჩამომეცალე ბაჩი! **/ლადო ბაჩის ხელისკვრით იცილებს და ზურას ეუბნება:/ –** დამპირდი, რომ ქეთი შენთვის აღარ არსებობს, თორემ მართლა გესვრი.

ბაჩი – /ლადოს/ ნაცვლად იმისა, რომ ბოდიშს უხდიდე, ემუქრები?

ლადო – ბოდიში ამ ნაბიჭვარს მოვუხადო? ღირსება დაკარგა, არ მპირდება, რომ ქეთის თავს დაანებეს, ჩემი გარიყვა უფრო ეადვილება, ვიდრე ჩემი შეცდენილის მიტოვება. რომანტიულია ბიჭი, შეიცოდა გოგო!...

/ნაბიჭვრის ხსენებაზე ისეთი ძალით გაარტყა ზურამ სახეში, ლადო დაბარბაცდა, ბაჩის უნდოდა ხელი შეეშველებინა, რომ არ დაცემულიყო. ამ დროს ლადოს ხელში შემართული იარაღის სასხლეტი დაეშვა და მისაშველებლად ხელგაწვდილი ბაჩი, მოცელილივით დაეცა. პირიდან სისხლმა გამოჟონა და იმავწამს თვალები ზეცას შეაყინა.

ზურა – /შემზარავი ხმით/ არა!!! ბაჩი, არაააა!!!.. არაააა!!!... **/სწრაფად მივარდა მასთან, თავი წამოუწია, არტერია მოუსინჯა და მთელი ხმით დაიღრიალა: მ ი შ ვ ე ლ ე ე ე თ!!!.. სიმწრისაგან მიწა მოტორა ფრჩხილებით. გულში იკრავდა ბაჩის ქოჩორა თავს და დიდრონი, შავი თვალებიდან ხარისოდენა ცრემლები ეღვრებოდა მთელს სხეულზე. ლადოსკენ არც კი გაუხედავს. მის თვალებში მხოლოდ ერთი შავი წერტილი მოჩანდა და ეს წერტილი, ცარიელი სამყარო იყო. ლადომ ისღა მოახერხა, რომ სასწრაფო გამოიძახა და იქაურობას გაეცალა. შემთხვევის ადგილი ხალხით გაივსო. რამდენიმე წუთში სასწრაფო მანქანაც გამოჩნდა, მაგრამ...**

მაინც გადაიყვანეს საავადმყოფოფოში. საავადმყოფო... ზურა, ლენა. ზაზა... ცრემლი და გლოვა... სავაადმყოფოდან სახლში გადაასვენეს ბაჩის ცხედარი...

პეტრას ციხიდან გამოქცეული ლადო, თავის ბინაში ჩაიკეტა. ბაჩის მკერდიდან გადმოღვრილი სისხლის წვეთები, მის ცისფერ პერანგს ხალებივით აჩნია. სახე შეშლილს მიუგავს. პერა-

ნგი ხელების კანკალით გაიხადა და ნაკუწებად აქცია. სიგარეტს მოუკიდა. თვალები ებინდება. სანთებელა ხელიდან უვარდება. ასევე სიგარეტის ნამწვავიც, რომელიც თითქმის მოუწევლად ჩაეფერფლა ხელში. ნამწვავმა ფარდაგი ამოწვა. ლადო ჩაქრობას არც კი ფიქრობს. მშვიდად უმზერს და იღიმება. მერე იცინის, ბოლოს კი, საზარლად ახარხარდა და სასოწარკვეთილმა დაიღრიალა:/

ლადო – არა! არა მეთქი! შეუძლებელია ბაჩი მოკვდეს... ის მე მოვკალი?! ბაჩი მკვდარია?! მე ხომ მისი მოკვლა არ მინდოდა, არც ზურას, უბრალოდ ვაშინებდი, ღმერთო! ეს რა ჩავიდინე ღმერთო?! ეს რა ვქენი?! რატომ მოვწიე წასვლისას, რატომ?! რატომ თავიდანვე არ გავენდე მათ, რატომ ჩავიძირე წუმპეში და გავბოროტდი?! განა ჩემი მეგობრები იყვნენ დამნაშავენი იმაში, რაც დამემართა?! არა! ჩემი ბაჩი არ მოკვდებოდა, ალბათ მძიმედ დაიჭრა, სასწრაფოდ მამა უნდა ვნახო, საავადმყოფოში გავუშვა, რომ მიხედოს, ზაზას ფული არა აქვს, ჰო, უნდა გავიქცე... **/ლადო გიჟივით გავარდება გარეთ. სახლს კვამლში გახვეულს ტოვებს, თუმცა მხრჩოლავი ალი პირს ვერ იკიდებს, ნავლდება. ლადო საჭეს მიუჯდა. უკანასკნელი სიჩქარით გააქროლა და გიჟივით მიაგდო მანქანა მამის ოფისის კარებთან. ოფისი. გემოვნებით მოწყობილი ინტერიერი. სამუშაო მაგიდასთან შუახნის, ერთობ სიმპატიური მამაკაცი ზის ქაღალდებში თავჩარგული. უხეშად ეღება კაბინეტის კარები. შედის ლადო, სისხლჩამდგარი, შიშისაგან გაფართოებული თვალებით, გაფითრებული სახით, სულერთიანად კანკალებს, ხმის ამოღებას ვეღარ ბედავს. დავითი შეცბა, სწრაფად წამოდგა, შვილთან მივიდა/...**

დავითი – რა მოხდა შვილო, რა დღეში ხარ, ავარიაში მოხვდი?

ლადო – მოვკალი მამა, მე ის მოვკალი! **/ტირის/**

დავითი – მოკალი? ვინ მოკალი ლადო, მანქანით დაეჯახე?

ლადო – ნეტავი ასე ყოფილიყო, ჩემი იარაღით ბაჩი მოვკალი, ჩემი ბაჩი მამა... შემთხვევით გავარდა... არ მინდოდა... გთხოვ ზურას დაურეკო და გაიგო, იქნებ გადარჩა, საავადმყოფოში წაიყვანეს...

/ფერდაკარგული, ყოველგვარი შეკითხვის გარეშე აკანკალებული ხელებით ურეკავს ზურას... ლადო თვალს არ აშორებს. მთასავით კაცი, მოცელილივით დაეშვა სკამზე და წამოიძახა:/

დავითი – ვაიმე შვილო! ბაჩი!... **/აცახცახებული ლადო, თვალებს ვერ უსწორებს მამას. დავითი წამოდგა, შვილთან მივიდა, თვალებში ჩახედა და ჰკითხა:/** ისევ მოწიე არა?! **/და ისე ძლიერად გააწნა სილა, ლადო დაბარბაცდა, კედელს მიენარცხა, მუხლებზე დაეცა მამის წინაშე და აღრიალდა:/**

ლადო – მომკალი მამა, გემუდარები მომკალი, თორემ თავს მაინც აღარ ვიცოცხლებ. **/დავითი პოლიციის განყოფილების ნომრებს კრებს, ოფისის მისამართს ეუბნება. ლადო მიხვდა, თუ სად დარეკა მამამისმა. ადგილიდან არ იძვრის, ღვარად ჩამოსდის ცრემლები და მომკალიო, სთხოვს მამას./**

დავითი: – შენ უკვე მკვდარი ხარ ლადო, იმედია გეყოფა კაცობა და არ გაიქცევი. იქ წაგიყვნებენ, სადაც საჭიროა. სიკვდილის ღირსი კი ხარ, მაგრამ არ მინდა შვილის მკვლელი მერქვას. თუმცა, აკაკის „გამზრდელისა“ არ იყოს, თავი მაქვს მოსაკლავი, რომ იარაღი გადმოგიფორმე. თხოვნა შეგისრულე, სრულწლოვანი ვხვდები და დაბადების დღისთვის სხვა საჩუქარი არ მაინტერესებსო. აი შედეგი ჩემი შენდამი ნდობისა და უსაზღვრო სიყვარულისა...

/გარედან სირენის ხმა შემოესმათ. ლადოს კიდევ უფრო გაუფართოვდა თვალები. ახლა იგი გიჟის თვალებით იცქირებოდა. დავითმა არც კი შეხედა შვილს, ისე გავიდა ოთახიდან/.

სურათი მესამე:

/ზაზას ბინა. დავითმა წელმოწყვეტით აიარა საფეხურები. თავს სძლია, რომ არ დაცემულიყო. მისმა გამოჩენამ ყველა გააოგნა. წამით წივილ-კივილიც კი შეწყდა. დავითი ზაზასთან მიდის, მხარზე ხელს მოხვევს/

დავითი – ვაი თქვენს დავით ბიძიას შვილებო! მერჩივნა მოვმკვდარიყავი და ეს არ მომსწრებოდა. ეს რატომ მოხდა ზაზა? რატომ ესროლა ლადომ ბაჩის?! ის ჩემთან მოვიდა, მხოლოდ ის მითხრა, ბაჩი შემთხვევით დავჭერი და უშველეო, მაგრამ როცა ზურას დავურეკე, ლამის ჭკუიდან გადავედი. პოლიციაში დავრეკე, ლადო მათთან დავტოვე და ახლა აქ ვარ. რაც გინდათ ის გააკეთეთ, მზად ვარ ჩამქოლოთ არამზადა შვილის გაზრდისთვის. ის ჩემთვის მოკვდა, დასამარდა, რადგან ჩვენი მშობლობა ვერ შეიღირსია. გეფიცებით, მე მისი პატრონი აღარა ვარ. ამიერიდან ციხეა მისი სახლი და ციხეში ჩალპება. **/დავითის უკან შემოსული რუსუდანი, კივილით იკლებს სახლს/:**

რუსუდანი – მოგიკვდეს შვილო დედა! ეს რა მიყავი, რა ქენი ბიჭო?! ჩემო შვილო და შვილივით საყვარელო ბაჩი, ჩემს თვალწინ დავაჟკაცებულო, ჩემო ქოჩორავ, რა პასუხი გავცე შენს დედ-მამას საფლავში, შენგან ჩაბარებულ ანგელოზს ვერ მივხედეთ მეთქი?.. რა ჩაიდინე ლადო! ცოცხლად დაგვმარხე და თავიც დაიმარხე შვილო! ძმებს იარაღი რაში დაგჭირდათ, რა მოხდა თქვენს შორის, რა?!.. **/რუსუდანი ჩაიკეცა, გონება დაკარგა. ძვლივს მოაბრუნეს. ხალხი ცრემლად იღვრება. ზაზა განადგურებულ ცოლ-ქმართან მიდის/**

ზაზა – თქვენ ახლა ჩემზე მეტი ტკივილი და სირცხვილი გკლავთ. თქვენ ჩემი ბაჩისთვის მეორე მშობლები იყავით. ერთი ცხადია, რომ ლადოს ბაჩისთვის არ უსრია, იარაღი შემთხვევით გავარდა, მაგრამ მას ზურასთვის ჰქონდა ტყვია გამიზნული, მის საქციელს გამართლება არ გააჩნია. **/ცრემლები ღვარად ჩამოსდის ღაწვებზე/**

ლენა – /ზურას დედა, შეჰკივლებს/ შენთვის შვილო?! ასეთი რა დაუშავე მოსაკლავად რომ გაგიმეტა? რა მოხდა თქვენს შორის შვილებო, რა?! რატომ უნდა მოეკალი ზურა, რატომ?! დედა კი მოგიკვდეს შვილებო.!..

ზურა – მოგვიანებით ყველაფერს აგიხსნით, ყველას ერთად გეტყვით სიმართლეს. ლადო დააპატიმრეს. ის არ გაქცეულა. პირიქით, ბაჩი დაჭრილი ეგონა და დავით ბიძიასთან მის დასახმარებლად გაიქცა. მას არც ჩემი მოკვლა შეეძლო, ჩვენს დაშანტაჟებას ცდილობდა. დანარჩენს სხვა დროს გეტყვით... **/ზურას ხმა გაებზარა, ცრემლი მოერია, ბაჩის სასახლეს ზედ დაემხო და აღრიალდა/...**

ზაზა – /რუსუდანსა და დავითს/ თქვენ ჩემს ბაჩის თავზე ევლებოდით, დედ-მამის მაგივრობას უწევდით. მე მისი ბედნიერი მომავლის შესაქმნელად, სახელოსნოში ვიყავი ჩაკეტილი და ხომ ხედავთ, როგორი მომავალი მოვუწყე... ბაჩის ვერც ძმობა და ვერც მამობა ვერ გავუწიე. ახლა ვისთვის ვიცხოვრო?! რა გავაკეთო?! დავიღუპე ხალხო, დავიღუპეეე... **/ზაზამ ისე დაიღრიალა, იფიქრებდი, მიწა იძრა და მაღალი მთები ჩამოიშალნენო... მაშინ უფრო დაემსგავსა გიჟს, როცა ბაჩის გამოსვენების დრო დადგა. ზურა მის დამშვიდებას ცდილობს. ზაზა ბუნების მკაცრ კანონებს ემორჩილება. ბაჩის სასახლე ზურას, თავად ზაზას, დავითს და ოჯახის ახლობელს მიაქვთ. სასაფლაო... წესისამებრ დაკრძალეს. ზაზა ძმის საფლავთან ჩაიმუხლა. აყალოდ მიყრილ მიწას ისე გადაუსვა ხელი, თითქოს ეფერებაო. მამაკაცის მწარე ცრემლებით და ჩუმი ხმით ჩასჩურჩულა:/** ახლა სად წავიდე ბაჩი?! ეს რა გამიკეთე ბიჭო?! ახლა ვისთვის ვიმუშაო, რისთვის ვიარსებო?! რა გულით ვიცხოვრო ამ უსამართლო დედამიწაზე, რა?! შენ მყავდი ცხოვრების აზრად და მიზნად. ჩემი, ჰო, ჩემი ბრალია ყველაფერი. ვერ დაგიცავი. შენ გეგონა, რაც სახელოსნოში მიამბე,

გულგრილად შევხვდი, გეგონა შენს სულში ისე ვერ ჩავიხედე, როგორც საჭირო იყო, სერიოზულად არ აღვიქვი შენი და ზურას პრობლემა, მარგამ ასე არ არის. ლადოს შევხვდი და ვემუდარე, გამენდე, მენდე რა ხდება თქვენს შორის მეთქი, სიტყვა ვერ დავაცდინე. ახალგაზრდულ ახირებას მივაწერე ყველაფერი. შეგნებულად არ ჩავერიე თქვენს შორის, შეგნებულად თავი შევიკავე, დარწმუნებული ვიყავი, თავად მოაგვარებდით პრობლემებს. თქვენ ხომ განუყრელი მეგობრები იყავით და როგორ დავიჯერებდი, საქმე აქამდე მივიდოდა. ახლა რა ვუყო იმ სინანულს, რომ დავიგვიანე?!

ზურა – ამას არავინ ელოდა ზაზა, თორემ თავად გეტყოდი ყველაფერს. ლადოს პრობლემები მე და ბაჩიმ ძალიან გვიან გავიგეთ. ამას დაემატა ჩვენს შორის გაჩენილი გაუგებრობა, ლადოს გამოცანები და მუქარა...

დავითი – /ყველასაგან მოულოდნელად ამბობს/ ხალხო, შვილივით საყვარელი ბაჩის საფლავთან ვდებ ფიცს, რომ ამიერიდან, ლადოც აქ დავმარხე, რომ იგი ჩემთვის მკვდარია. თუკი ბაჩი მიწაში უნდა იყოს, ლადო ციხეში ამოლპება და მე, მის გასათავისუფლებლად, თითსაც არ გავანძრევ. **/მიუბრუნდება ცოლს/** რუსუდან მეთანხმები?

რუსუდანი – დღეიდან ბაჩის სასაფლაო იქნება ჩემი შვილის ოთახი. მხოლოდ ამ ოთახში შევალ და აქ ვიხილავ ორთავეს. ჩემს შვილს არ ამართლებს ის, რომ მას არა ბაჩის, არამედ ზურას მოკვლა უნდოდა. ჩვენი საქციელი, მინდა მაგალითი იყოს ისეთი შვილებისთვის, რომლებისთვისაც მშობლებს სიცოცხლეც კი არ ენანებათ, მაგრამ უმადური შვილები ამას არ ხედავენ, არ აფასებენ და დარწმუნებული არიან, ყველაფერს იმსახურებენ, რასაც მშობლებისგან ღებულობენ. მეგონა, რომ შვილისთვის არა მარტო დედა, სულიერი მეგობარი ვიყავი, მაგრამ შევცდი. წამოიჩიტებიან თუ არა შვილები, მშობლების რჩევა დარიგებებს აღარ კადრულობენ, ესირცხვილებათ მშობლისგან შენიშვნები... **/რუსუდანმა პაუზა გააკეთა, ცრემლები შეიმშრალა და დასძინა/** დიახ, ჩვენ დღეს ლადოც აქ დავკრძალეთ... **/დავითი ლამის წაიქცა, წაბარბაცდა. ზურამ ხელი შეაშველა. ცრემლი არ წყდებოდა ამხელა კაცის თვალებში. ყველას ზაზაზე მეტად, ახლა ეს ხანდაზმული, ყველასათვის ხელგაშლილი და კეთილი ცოლ-ქმარი ებრალებოდათ, რადგან ისინი ორგზის დაასამარა შვილმა და სამუდამოდ შავი ფარდა ჩამოაფარა მათ ბედნიერ ოჯახს. რუსუდანი მოთქმას განაგრძობდა/:** ამიერიდან მხოლოდ შავი ფერი დაისადგურებს ჩემს სულში, ამიერიდან ორ შვილზე ვიტირებთ მე და დავითი. ერთს მიწა შემიჭამს, მეორეს კი ციხის კედლები. ვაი ჩემო უდროოდ დაკარგულო ბაჩი და გულიდან მოკვეთილო შვილო...

ლენა – /ბაჩის სასაფლაოს ხელს უსვამს, ცრემლად იღვრება/ ჩემი თავი მოგიკვდეს შვილო, შენ ჩემი ზურას გამო დაისაჯე, შენ თავად ლადოს შეეშველე, რომ არ დაცემულიყო, ყველანი ვალში ვართ შენს წინაშე შვილო!!!...

ზურა – /ზაზას/ არ ვიცი რა გავაკეთო, თქვენს წინაშე სიცოხლის მრცხვენია. ჩემს გამო უდანაშაულო ბაჩი დაიღუპა. მე რომ არა, ეს არ მოხდებოდა, გესმით?!

ზაზა – აღარაფერი შიცვლება ზურა, აღარაფერი. აქ დასრულდა ყველა ჩვენთაგანის სიხარული და მომავალი. განსაკუთრებით კი ჩემთვის...

დავითი – ზურა, დღეიდან შენ უნდა იყო ზაზას ძმა, ჩვენ კი, მე და რუსუდანი, ლენა, თქვენი მშობლები...

დასასრული შემდეგ ნომერში

ჯემალ სურმანიძე

* * *

ისევ მოვა წვიმა,
ისევ, ისე წავა
(აგვისტოში ანცობს
აბასთუმნის ჰავა),
რომ ციდან მზის
ღიმილს
ცვლის ღრუბელის
ცრემლი,
ჩვენში ამას მარტში
სდევს გაფურჩქვნა
ტყემლის,
როცა ჯანღი ადის
კენწეროზე ცხემლის.

* * *

გაჭვარტლული
შუშით
მზეს ვეძებდით
ცაზე
(როგორც მიწას
უკუნეთში,
ბინდი ეცვა ტანზე).
ბებია სულ
გვაფრთხილებდა
ცად მიგვეპყრო მზერა,
თანადგომით
რომ გვეცდილა
დაკარგულის შველა.
ქვეყნად ყველა

სულიერმა,
უმადურმა თუნდაც,
კარგად იცის,
სითბოს მისას
მოფრთხილება უნდა.
ამიტომაც
მის გაქრობას
განვიცდიდით ძლიერ
(ტყვეობაში არრა
ევნო
მთვარეს ძალისმიერს).
ფიქრში
ბინდი გვეცლებოდა
კუპრისფერი ღამე,
მზე ჩნდებოდა
ისე ჩვილი,
ხელთ ვიტევდით ლამის.

* * *

გოგიეთი, გოგიეთი,
იქით – ტაო,
აქეთ – ტბეთი,
აზარფეშით მორთმეული
ჯამს არშერჩენილი
წვეთი.
გზაბაწარებს კლარჯეთისას
გადასცქერის ვახტანგეთი,
იმ დროიდან,
როს მთელ სამცხეს
მფარველობდა ერთი
ღმერთი,
როს ჭოროხი სათავიდან
ქართლის იყო შენაერთი;
აღანთებდა ქრისტესმიერთ
იშხანის
და ბანას სვეტი,
ცისქვეშ
არვინ გვეგულოდა
აღმაშენებელზე მეტი
(ჩვენი მიუწვდენელობით
მომხდურისთვის

ტვინის მხვრეტი).
დასტურ, ამის მოწამეა
ჯანღიანი ღომას წვეტი,
ბურუსიან სამოსელში
საწუთროსებრ განუჭვრეტი.
წარსულს
რაგინდ ემუდარო
ვერ აღსდგება
მაინც მკვდრეთით,
წარსულად
არ გარდავიქმნათ
შეგინებულ საძვალეთი.

* * *

2018 წლის 21 ივნისს მახუნცეთში დაიდგა საქართველოს ერთიანობისა და დამოუკიდებლობისთვის თავდადებულთა მონუმენტი „სამშობლოს სადარაჯოზე“.

დარაჯობს
ქვეყნის კარიბჭეს
გუშაგი თავისუფლების,
გაცოცხლებაა
ჩვენ თვალწინ
მატიანეთა ფურცლების,
ერთობისათვის ოდითგან
თავდადებული გმირების.
თაობებს სწვდება იმათი
მხნეობა გასაკვირები.
გასცქერის სივრცეს მებრძოლი
აკვედუკიდან ცხუმამდე,
სამშობლოს მსახურებისთვის
ყოველი
მხრიდან ვზრუნავდეთ.

* * *

ნუ ვთვლით
ყოვლის მიზეზად
ამ ჩვენს
დუხჭირ დროებას,

ვინძლო მონდომებებით
საქმეს თავი მოებას.
„არასდროს თქვა –
არასდროს“, –
დავიჯეროთ ბრძენისა
ვეძიებდეთ
თავის თავს
არსობაა ზენისა.

* * *

ამას წინათ, ორპირ ქარზე
მიყვებოდა მეგობარი –
გაცივებამ ისე დამცა
ასხურესო წინდებს ძმარი.
– ეშველება-მეთქი, მაგ ქარს,
ორპირ კაცს არ შეხვდე, ნეტა,
სახადივით თუ შეგიჩნდა
არ გაღირსებს ყოფას ნეტარს.

* * *

ენრიკო (გრიგოლ) ბერიძეს

ეკლესიის მაშენებელს
და პატრიოტს
ჩვენი ქვეყნის,
ეროვნული მონუმენტის
აღმართვისთვის
ქება ეთქმის.
ყოველ სიტყვას, ყოველ
ნაბიჯს,
მისას მხოლოდ
საქმე ერთვის,
ნაღვაწარით სიმბოლოა
არდავიწყებასთან შერთვის.
ვით ერთგულ შვილს,
საქართველოვ,
ემსახუროს კვლავაც
შენთვის!

* * *

აჩქარებით
რას შემატებ სოფელს,
ოკეანე
გაუცურავს რომელს...
ჩვეულება ვერ
დავძლიეთ ერთი –
უცებ გვინდა
სურვილების ახდენა,
მაცოდინა, ამ
ჯადოსნურ წრეში
რამდენი ხნით
გვიწერია დარჩენა?!

* * *

ღრუბელი
ისე ახლოა,
ელვა ფიჭვს მისწვდა
იმგვარად,
რომ წვიმა
პეშვით სოკოებს
ზეცამ
საკვებად მიჰგვარა.



რამაზ სურმანიძე

ძალადობა

(ნოველა)

ამ მაღალ, ახოვან, ოდნავ თმაშევრეცხლილ კაცს ოღონდაც სურს მეუღლე ჰყავდეს, სიტყვა-პასუხიც უჭრის, საუბრის დასაწყისშივე იქცევს ქალების ყურადღებას, მაგრამ ენის ხუნდები არ უჭერს, შუა საუბარში ისეთს წამოროშავს, რომ არცერთი ქალაშავა აღარ უსმენს და მალე გაეცლებიან ხოლმე.

ბედი არ გინდა? ერთი ისეთი ამტანი და შემწყნარებელი არავინ გამოჩნდა, რომელიც არაფრად ჩააგდებს ენად გაკრეფილი კაცის ოხუნჯობას და დაელოდება, იქნებ აღარ გაუწყრეს ღმერთი და კვლავ განაგრძოს მომხიბლავი საუბარიო. ხომ არიან ქალები, ვინც ზომიერ უხეშობაში ნამდვილ მამაკაცს ხედავენ და მოსწონთ კიდეც. ამ ჩვენს გმირს ჯერჯერობით ასეთი არავინ შეხვდა.

ახლა ეს ხელმოცარული კაცი დაყუდებულა სკამის საზურგეზე და მიშტერებია ქერათმიანი ქალის ლამაზ თითებს, კლავიშებზე რომ მირბი-მორბიან და დროდადრო კარნახობს გაუგებრად დაწერილ სიტყვებს.

გოგონა ჯერ ასწორებს უწესრიგოდ დახვეული გრაგნილის ფურცლებს და მხოლოდ ამის შემდეგ განაგრძობს საქმეს, ძნელად გასაგებ ფრაზებს თავაუღებლად ეკითხება აბეზარ მწერალს და ისიც შველის, თუმცა ხუმრობებს არ იშლის, ოღონდაც ილაპარაკოს და ვერ ხვდება ხელს რომ უშლის, ყვება სამხიარულო, გასართობ ამბებს.

– არ შემაშლევინოთ! – ვეღარ მოითმინა ქალმა და ჩვენმა ავტორმაც ერთხანს იყუჩა.

პაპანაქება სიცხე იყო. დერეფანში მკერდგაღეღილმა ბიჭმა ჩაიარა, კაცი სწრაფად წამოდგა, ბიჭი შეაჩერა, ფული მისცა და ყურში რაღაც უთხრა. ბიჭი ჩქარი ნაბიჯით გაემართა. მალე დაბრუნდა, ლამაზ ქაღალდში შეხვეული ნაყინი მოიტანა, მაგიდაზე დადო და ხურდა გაუწოდა.

– რაა ბიჭო ეს, ერთი ცალი მოიტანე?

– არაფერი გითქვამთ და...

– ამას თქმა უნდა, ვერ დაგვინახე ორნი რომ ვიყავით... შენც მესამე. არ მინდა ხურდა. წადი, რაც დაგრჩა ყველა ნაყინში გადაიხადე.

ბიჭი მორჩილად გაბრუნდა.

კაცმა ნაყინი გოგონას კლავიშებთან დადო.

– მიირთვით! – უთხრა.

– არა, ბატონო, არ მინდა.

– რას ქვია არ გინდა, ამ ხვატში ნაყინს რა სჯობია.

– ჯერ ვმუშაობ.

– იმუშავე და თან მიირთვი – არ ეშვება კაცი.

ქალი კვლავ უარზეა.

– არ გამაბრაზო, თორემ...

– თორემ რა?

– რა და... ისე მაგრად გაკოცებ, დაგაჩნდება, სახლიდან გამოგიშვებენ, წაგიყვან და სულ ნაყინის ჭამაში ამოგხდი სულს.

გოგონა შეწითლდა, წყენა არ დასტყობია, თავშეკავებას ცდილობდა, მაგრამ სიცილს თავი ვერ გაართვა.

– ეს რაა, ქათინაური თუ ძალადობა? – შეეკითხა. – ძალადობად რომ ჩაგეთვალოთ, არ გეშინიათ?

– არა – მოკლედ მოჭრა მწერალმა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ თქვენი ბრალია, ჯიუტი ხართ. ვიტყვი ნაყინზე დავპატიჟე, უარი მითხრა, გავრბრაზდი და... ისე მართლაც რა დროში ვცხოვრობთ – საუბრის თემა გააღრმავა – ქალზე თვალი ვერ გაგვისწორებია, ვერ გავხუმრებივართ. ნეტა ქალებს თუ მოსწონთ ასეთი აკრძალვა?

– არა მგონია. ეს უაზრობაა – მშვიდად მიუგო გოგონამ, – შარიანმა ქალებმა მოიგონეს და იარაღად იყენებენ.

კაცს გულზე მოეშვა, დარწმუნდა ქალი არ ჯავრობდა.

– ეს პირველ რიგში მამაკაცების უბედურებაა.

– არა მარტო მათი, – მშვიდად შეაწყვეტინა ქალმა.

– როგორ შეიძლება ქალს თვალი არ გააყოლო? – განაგრძო ჩვენმა ოქროპირმა, – მაშინ კაცი არ უნდა გერქვას. თუნდაც ციხეში ჩამსვან, მოძალადეც მიწოდონ, ქალებს მაინც არ მოვაკლებ ქათინაურებს, ვიმასხრებ, ზოგჯერ ზედმეტი მომდის, ამას გვიან ვხვდები, მაგრამ ალბათ ვერ მოვიშლი. ზედმეტი არაფერი ვარგა, არც ზრდილობა. გამიგონია, უსაზღვროდ კულტურული და მორიდებული კაცი უბედურია. არ მინდა უბედური ვიყო. კიდევ კარგი პრეზიდენტი ან პრემიერი არა ვარ, – განაგრძო, – უცხოეთში ვინც ამ მაღალ თანამდებობებზე გავიდნენ, ყველას ქალებმა უჩივლეს, ოცი-ოცდაათი წლის წინ ჩვენზე იძალადაო. მე ამოდენა საქმეს არავინ მომანდობს, თორემ სულ ვხუმრობ და ალბათ ორასი ქალი მიჩივლებს.

– რატომ არ მოგანდობენ. თქვენს მოთხრობებს ვინც წაიკითხავს, დარწმუნდება, ამის ღირსი რომ ხართ, – დამაჯერებლად თქვა ქალმა. – მეუღლე როგორ ხვდება თქვენს ქცევას? – შეაპარა.

– სამწუხაროდ, არ მყავს. ისეთს არც მოვიყვან, ვინც ჩემს ალალ ხასიათს ვერ შეეგუება. თქვენ ხუმრობაზე როგორი აზრისა ხართ?

– ჩვეულებრივი. ასეთი გრძნობა ვისაც არა აქვს, მეცოდება. თუმცა მიმაჩნია, რომ ხუმრობას ორი მისამართი აქვს. ერთი ადამიანია, რომელსაც აქილიკებენ და სხვები მხიარულობენ. თავადაც თუ ერთობა, არა უშავს, მაგრამ თუ სწყინს, ეს უკვე ცოდვაა. წარმოიდგინეთ, ერთს დასცინიან იმისათვის, რომ ორმოცმა იხარხაროს,

– მეორე სუბიექტი რომელია?

– იგი უხილავია. ამ დროს იგონებენ სახუმარო ტყუილს, რომელსაც შეუძლია სხვები გაამხიარულოს. თქვენ ტყუილზე როგორი აზრისა ხართ?

– როგორიც ალბათ თქვენ. ბევრი სიცრუე ჩამიდენია, მიოხუნჯია, მაგრამ ზოგჯერ მცირე ტყუილით ძალიან დიდი ცოდვა ამიცილებია თავიდან. ხანდახან კეთილი ტყუილი საჭიროცაა. მაინც მითხარით ჩემი ხუმრობა მართლა არ გეწყინათ?

– არა, ბატონო, გამეცინა, თქვენმა სიტყვებმა „...გამოგიშვებენ, წაგიყვან, ნაყინს გაჭმევ," ერთი ძველი იგავ-არაკი, „გლახაკი და ქილა ერბო", გამახსენა: იქაც არის, ამას გავყიდი, იმას ვიყიდი, ურემზე დავჯდები, ხარებს სახრეს მოვუქნევ... ხელს მართლაც მოიქნევს, მისი ქილა მიწაზე დაენარცხება და ყველა ოცნება გაქრება.

ამასობაში ბიჭიც მოვიდა.

ახლა დიდი ჭურჭლით მოიტანა ნაყინი, ხუთ კაცს ეყოფოდა.

– ხურდა არ ქონდათ, – მოიბოდიშა.

– არა უშავს, – უთხრა კაცმა, – შენც დაგვეპატიჟე.

– არა, ბიძია, ლექციაზე მაგვიანდება, – თქვა და ჩქარი ნაბიჯით გაეცალა.

კაცმა ჭურჭელს თავი ახადა.

გოგონამ ხელები შეასვენა. ამჯერად დაძალების გარეშე კოვზი აიღო, ნუგბარის რამდენიმე ნაჭერი მიირთვა და საქმე განაგრძო.

მწერალს ადრე მოტანილ ნაყინზე ქაღალდი შემოუცლია და მადიანად შეექცევა, თან გოგონას კლავიშებზე მორბენალ ლამაზ თითებს თვალს არ აშორებს. ახლა-ღა შეამჩნია, რგოლის ბეჭედი რომ ეკეთა. წამით ნაყინი გვერდზე გასწია და ფიქრს მიეცა. „ეს რა ჩავიდინე, გათხოვილ ქალთან ჩემი ლაზღანდარობა როგორ ვერ მოვთოკეო.“ შინაგანი შფოთვა დიდხანს არ გაგრძელდა. გოგონას პასუხებით თავი გაიმხნევა. „გათხოვილია ან შეიძლება დანიშნულიცაა“, – მარჩიელობს კაცი, – „აბა ასე გულღიად, უდრტვინველად რატომ საუბრობს. ვინ იცის, იქნებ, ქალ-ვაჟს არც შეეკითხნენ, მშობლებმა მოილაპარაკეს... ჭკვიანია, თუმცა ისეთი დამთმობია, დედ-მამის სიტყვას ვერ გადავიდა, გაათხოვეს, ან იქნებ მხოლოდ დანიშნულია“.

გოგონა ქაღალდს ჩასჩერებია.

– ეს რაა? „უნარები“ ქართული გრამატიკისთვის უცხოა, მრავლობით რიცხვში არც გვხვდება.

– მთელი დღე ტელეგადაცემაში, თვით განათლების მესვეურთაგან, ვინც ვალდებულია ენის სიწმინდე დაიცვას, გამუდმებით მესმის ეს სიტყვა და წამოვეგე ამ შეცდომაზე, – იმართლა თავი ავტორმა.

– რა ვქნათ? – იკითხა ქალმა, – ხომ არ აჯობებს „უნარ-ჩვევებით“ შევცვალოთ?

– ნამდვილად კარგია, – თქვა და ქალის ნიჭიერებაზე ფიქრი კიდევ უფრო გამძაფრდა.

ქალს ერთგან მოთხრობის ტექსტში ხალხური ლექსი-ჩანართი შეხვდა:

„... არ მოვიდა დანიშნული,
თებრონემ კოკა გატეხა,
ტირილით მიდის გზაზედა“.

სახეზე მრავალმნიშვნელოვანმა ღიმილმა გადაუარა, კვლავ ტექსტს ჩაუკვირდა. მაგიდიდან „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ აიღო, მეყსეულად გადაფურცლა, სიტყვას თითი გააყოლა.

– ქართულში არც „ჩართულობა“ იხმარება, თუ თანახმა იქნებით, მგონი „ჩართვა“ საკმარისია.

ახლა ჩვენი ენამჭევრი მწერალი გაკვირვებისგან ხმას ვეღარ იღებს, იფიქრებ ენა ჩაუვარდაო. საბოლოოდ დარწმუნდა, რომ საქმე აქვს არა უბრალო მბეჭდავთან, არამედ კარგად განსწავლულ და გონიერ ადამიანთან.

კიდევ რამდენიმე აბზაცი და საქმე დასრულდა.

ქალმა ფურცლები ამოიღო, კოხტად შეკრა და გაუწოდა.

ავტორმა ჯიბეზე გაიკრა ხელი.

– არ არის, ბატონო საჭირო.

– რას ქვია საჭირო არ არის, ამდენი იშრომეთ, თანაც ჩემი ნაცოდვილარი გამართეთ.

– სამაგიეროდ, თქვენს საინტერესო წიგნს უფასოდ ვკითხულობ. მგონი პირველი მკითხველი ვარ და ეს ჩემთვის კარგი საჩუქარია, – ღიმილით, მაგრამ იმდენად სერიოზულად თქვა, რომ ავტორმა თავისი ნიჭიერებაც ირწმუნა, ჯიბეს ხელი მოაშორა და ქაღალდების შეკვრა აიღო.

– ძალადობის მცდელობისთვის ხომ არ მიჩივლებთ? – კვლავ იოხუნჯა.

– ახლა ვერა.

– რატომ ახლა? – ჩაეძია კაცი.

– იმიტომ, რომ თქვენგან ქრთამი ავიღე.

– რის ქრთამი, რა ქრთამი, ფულიც არ გამომართვით.

– ნაყინი.

– ნაყინი ქრთამად ჩაითვლება?

– ისევე, როგორც ქალზე გახუმრება ძალადობად, – მოკლედ მოუჭრა ქალმა.

– მადლობის მეტი რა მეთქმის, ერთი კვირის შემდეგ რომ გესტუმროთ, – დღე და საათიც დაასახელა – ხომ დამეხმარებით? ოღონდ „ქრთამი“ უნდა მიიღოთ.

– კი, ბატონო, მობრძანდით.

გოგონა წამოდგა.

– თქვენს წიგნს ფსევდონომი აქვს, როგორ მოგმართოთ?

კაცმა თვალი გაუსწორა.

– ჯერჯერობით ისევე, როგორც ნაწარმოებშია, – ბერბიჭა. თქვენ რას გეძახიან?

ქალისთვის ხუმრობა უცხო აღარ იყო:

– მე დანიშნულს მეძახიან, – თავადაც ხუმრობით გადაუხადა ვალი.

იმ დღეს ასე დაშორდნენ ერთმანეთს „ბერბიჭა“ და „დანიშნული“.

* * *

ერთი კვირის თავზე, ზუსტად დათქმულ დროს, მწერალი ადგილზე იყო.

ერთმანეთს მიესალმნენ.

გოგონას თითები ჩვეულებისამებრ მიდი-მოდიოდნენ კლავიშებზე. ბერბიჭამ მის თითებს თვალი მიატეხა. ქალს ბეჭედი აღარ ეკეთა.

– ბეჭედი ხომ არ დაკარგეთ? – ვერ დამალა ცნობისმოყვარეობა.

– არა. გაიხსენეთ თქვენი ლექსი-ჩანართი: „არ მოვიდა დანიშნული“ – თავაუღებლად ჩაიღიმა.

კაცს თვალები გაუნათდა, მისი მარჩიელობა სწორი აღმოჩნდა, დაიჯერა, რომ არასასურველი ნიშნობა ჩაიშალა.

ამის შემდეგ ბერბიჭა კიდევ არაერთხელ მიადგა გოგონას თავისი გრაგნილებით, კიდევ შესთავაზა გასამრჯელო, მაგრამ კვლავ უარი მიიღო. შერცხვა და ხანდახან ბანკნოტს შეუმჩნევლად, კომპიუტერის ქვეშ შეაპარებდა.

ბოლო ხანს რაღაც უჩვეულო შინაგანი შეგრძნებები მოეძალა. აქ ყოფნისას აღარ იყო ძველებური ხუმარა, თავისუფალი, მრავალსიტყვა და მხიარული.

ერთხელაც, ხელცარიელი მოვიდა, სკამზე ჩამოჯდა, მშვიდად გამოიყურებოდა. დიდხანს ისაუბრეს... გამომშვიდობებისას –

– მე ალექსანდრე მქვია, ისე ალეს მეძახიან. ახლა არ მითხრათ, რომ თქვენ ნინო ხართ.

ქალმა ლამაზი თვალები შეანათა და გაიღიმა.

– ნინო არა, მაგრამ ჩვენ თითქმის ერთნაირი სახელები დაგვანათლა განგებამ. მე ალა მქვია.

ერთხანს, გაოცებულად უცქეროდნენ ერთმანეთს. მათი თვალებიდან დიდი სიყვარული იმზირებოდა.

12 დეკემბერი, 2018 წელი

იამზე ჯერიძე

ლექსს თუ არწივი ეპატრონება

ლექსი პირიდან ისე ამოდის,
როგორც სუნთქვა და სული...
მე კი გავბედე და თითოეულს
ამოვაყოლე გული...
გულის გარეშე მე არაფერი,
მე არაფერი მითქვამს,
დიდი ძალა აქვს, ძალიან დიდი,
სასიყვარულო სიტყვას...
ლექსი მოგარჩენს, გაგაკეთილებს,
ის ერთიანად შეგძრავს,
ლექსი გულიდან იბადება და
ის მხოლოდ, მხოლოდ მზეს გავს...
მზეს ვგავარ მეც და მზეს გავს ისინი,
რაც მე ვთქვი, რაც მე დავწერე,
არ დაგიმალე ჩემი ფიქრები,
გაგიზიარე, გაჩვენე...
ეს იმიტომ რომ, მიყვარხარ ჩემო,
მიყვარხარ ჩემო მკითხველო,
ჩემი გრძნობების შენს გონებაში
გადამტანელო, მტვირთველო...
რამდენი ხანი უნდა მიყურო,
შენი თვალები მაყოლო,
მე შენ გამზარდე, მე კი შენ გაგზრდი,
დამჯერებელო, დამყოლო...
მე პეპელა ვარ, ლექსი ყვავილი,
მე ფუტკარი ვარ, ლექსები ფიჭა,
მოედინება ჩემიდან თაფლი,
ვინც არ მიმიღო, ვერ გადამირჩა...

საწერტილოა ჩემი კალამი,
შაქარზე ტკბილი, რაც მე დავწერე,
ქარს გავატანე ფოთლების მსგავსად,
სხივების მსგავსად მე გავავრცელე ...
მე დავასუსტე მინდვრის გვირილა,
ფუფუნებაში მყავდა ვარდები,
ლექსს თუ არწივი ეპატრონება,
მე მალე კლდიდან გადავვარდები...
ჩემი პირიდან ლექსი ამოვა,
როგორც სუნთქვა და სული...
რომელსაც ჩემი სურვილისამებრ
ამოვაყოლე გული...
გულის გარეშე მე არაფერი,
მე არაფერი მითქვამს,
დიდი ძალა აქვს, ტყვიაზე დიდი,
სწორად შერჩეულ სიტყვას...
ლექსი გაგკურნავს, გაგაკეთილებს,
ის ერთიანად შეგძრავს,
ლექსი გულიდან იბადება და...
ის მხოლოდ, მხოლოდ მზეს გავს...

შველმა ფეხი დამაბიჯა რამდენჯერ

მე ისეთი ვებერთელა გული მაქვს,
როგორც მთვარე, როგორც მზე და ქვა-ლოდი,
მე მზის სხივებს ყველას ვუზიარებდი,
ხან კი თოვლში მციოდა და ვწვალობდი...
ხან წყაროსთან ვიჯექ ტყეში დიდი ხნით,
ხავსიანი ენა მქონდა სულ ლურჯი,
ზოგი გრძნობდა ჩემთან ერთად საუბარს,
ზოგს ვეგონე უსულო და ყრუ-მუნჯი...
ბალახი რომ გაზრდილიყო, ეხარა,
ჩემს მწვანე თმებს ძირში, ძირში ვიჭრიდი,
ჩემთან გველიც მოდიოდა, მსტუმრობდა,
ჩემთან ყოფნას არავის არ ვუშლიდი...
შველმა ფეხი დამაბიჯა რამდენჯერ,
მისი ფეხი ვარსკვლავივით მეტყობა,
ირემისთვის წყალი რომ არ მიმეცა,
ის არასდროს არაფერს არ მეტყოდა...
ნადირითვის მე ვიყავი მდივანი,
ჩემზე ძვირად არაფერი ფასობდა,

სიმშვიდეს და სიმყუდროეს გავცემდი,
ტყე ჩრდილით და სისუფთავით მავსებდა...
მე ისეთი პაწაწინა გული მაქვს,
როგორც კვერცხი, კვერცხი ჭიანჭველასი,
როგორც ჩიტი, ჩიტის ბარტყი, ჩიტის ფრთა,
არწივს მივდევ, მეშინია მელასი...
ჩვილ ბავშვზე კიდევ უფრო პატარა ვარ,
სათუთი ვარ, სათუთი ვარ ისე რომ...
სიყვარულის, მოფერების გარეშე
შეიძლება მაჯა გადავისერო...
შეიძლება დათვს შევხედო ამაყად,
შეიძლება ვეფხვს პატივი მივაგო,
ლომი ვნახო, დავუვარცხნო ფაფარი,
შეიძლება არაფერში ვივარგო...
არაფერი გავაკეთო ხალხისთვის,
არაფერი გავაკეთო ოჯახში,
ყვავილივით ფესვი მქონდეს მიწაში,
გარეთ არა, ფანჯარასთან, ოთახში...
სიყვარული იმისათვის მჭირდება,
მე რომ გავხდე დიდი ადამიანი,
ძაღლი ჩემი მეგობარი გავხადო,
არცერთ კატას მივაყენო ზიანი...
მე ისეთი თბილი, თბილი გული მაქვს,
როგორც ბუდე, როგორც ჭერი, ბუჯერი,
რა სურვილიც გულში დაიბადება,
მე იმ სურვილს მხარს ვუჭერ და ვუჯერი...
სიყვარული მომინდება გულშია,
სიხარული მომინდება, იქ არი,
ჩემი ჭერი, ჩემი ლხინი და კიდევ
ჩემი სატრფო, ჩემი სატრფო ის არი...
ყვავილები გულში მეკონებიან,
ვარდმა ბევრჯერ გამიშალა ლოგინი,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ მზის სხივები მივიღე,
ნაწყვეტ-ნაწყვეტ მიწევს წვიმის ლოდინი...
ფეხმძიმე ვარ, გული როცა მკერდშია,
ყველა საქმე გულში იღებს სათავეს,
ყველაფერი ცხენის მსგავსად წინ მიდის,
ღმერთმა ნუ ქნას, გულისცემა დამთავრდეს...
ღმერთმა ნუ ქნას, დავივიწყო სიმართლე,
ღმერთმა ნუ ქნას გავხდე ცივი, უგულო,
ყველა საქმე მალე მივაფუჩეჩო,
ყველა საქმე გავაკეთო უგულოდ...

მე ისეთი ვებერთელა გული მაქვს,
როგორც მთვარე, როგორც მზე და ქვა-ლოდი,
მე მზის სხივებს ყველას ვუნაწილებდი,
ხან კი თოვლში მციოდა და ვწვალობდი...
ხან წყაროსთან ვიჯექ ტყეში დიდი ხნით,
ხავსიანი ენა მქონდა სულ ლურჯი,
ზოგი გრძნობდა ჩემთან ერთად საუბარს,
ზოგს ვეგონე უსულო და ყრუ-მუნჯი...

სახლი მხრებით დააქვს

ვარდი ქვადქცეული ზურგით ლოკოკინამ
მთელი ცხოვრება ატარა,
ასე მოახერხა შეეძინა სახლი
ლამაზი და პატარა...
სახლი მარმარილოს კიბეებით,
სახლი ბროლის გრძელი ჭაღებით,
სახლი ზღვის ნაპირას, სადაც ზღვის შხუილში
ისმის სიყვარულის ჰანგები...
და ეს სიყვარული ველურია...
და ეს სიყვარული წყნარი...
მაგრამ ემჩნევა რომ ახლო მომავალში
დიდი მღელვარება წადია...
თავად სახლის პატრონს ხელში გაუშვებლად
ორი მიკროფონი უჭირავს,
მხოლოდ ასე ნახავ გარეთ გამოხედილს
მზეთუნახავივით უჩინარს...
ქალაქს ზღვისპირეთში გაშენებულს,
ქვია სასახელოდ ბათუმი,
აქ მზე აივანზე გადმოდგება,
მთვარეს ვარსკვლავზე აქვს სართული...
წვიმა ნელ-ნელა ჩამოწკრიალდება
თვალით შეუმჩნეველ კიბეზე,
თითქოს ღრუბელს ვინმემ ძაფი გაურღვია
ბრილიანტებიან ჯიბეზე...
სველი ლოკოკინა სახლში შევა,
კედლებს ჯადოსნურად გაღებავს...
დარში ბრტყელ ქვიშაზე წამოწვება,
მასზეც დაგვიტოვებს საღებავს...
ისიც პოეტია, ისიც მხატვარია,
ხუროთმოძღვარია ერთგვარი...

მიქელანჯელოა, პაბლო პიკასოა,
გალაკტიონია, ედგარი...
სახლი მხრებით დააქვს, პატარა ბიჭივით,
პატარა გოგოსავით ეპყრობა...
თავის ბარგს აახვევს ხოლმე ლოგინივით,
თავისუფლებას ემხრობა...
ვარდიც ქვადქცეული ზურგით ლოკოკინამ
მოიკიდა და ატარა,
ასე მოახერხა ქონებოდა
სახლი ლამაზი და პატარა...
სახლი მარმარილოს კიბეებით,
სახლი ბროლის გრძელი ჭაღებით,
სახლი ზღვის ნაპირას, სადაც ზღვის შხუილში
ისმის სიყვარულის ჰანგები...
და ეს სიყვარული ველურია...
და ეს სიყვარული წყნარია...
მაგრამ ემჩნევა, რომ ახლო მომავალში
დიდი მღელვარება წადია...

ეს დედამიწა შენია

ძირს გითხრი ჩემი კალამით
ჩემო ლამაზო ყვავილო,
ჩემი ნიჭით და უნარით
მიწიდან ამოყვანილო...
როგორ გაცოცხლდი, როგორ ხარ,
როგორ მოხვედი მეორედ,
ვერცერთი მკვდარი ბრუნდება
მეორედ თუ ხელმოერედ...
ჩვენ დაგაჭკნეთ და მოგკალით,
დაბრუნდი მაგრად მოვლილი,
ეს დედამიწა შენია,
მე ვინ ვარ, მხოლოდ ლტოლვილი...
ერთხელ მოვედი... მე შენთან
რას წარმოვადგენ, რაღა ვარ,
დროს ვეძებ, შენ რომ გიყურო,
ამასობაში აღარ ვარ...
ჩემი გზა ზღვის გზას მიყვება,
ერთი გზა ცაზე ვიპოვე...
გულზე დამეცი ლამაზო
და მერე სულ მომიშორვე...

პირადად მე ხომ გივლიდი,
იყავი ჩემი უფალი,
გაგადედოფლე ჩემს სულში,
სულ მყავდი თავისუფალი...
იყავი ჩემი პრინცესა,
დახურული და ჩაცმული,
რამდენჯერ მიტარებიხარ
მკერდის ჯიბეში ჩასმული...
ენა არ გაქვს და ვერ მეტყვი
სამოთხის ბაღში რა ხდება,
მე ვიმედოვნებ იქ შენი
კეთილი საქმე დამხვდება...
აქაც იყავი და იქაც,
მოვკვდები, ჩამყე საფლავში,
აყვავილდები ზაფხულში,
ჩემთან ჩამოხვალ ზამთარში...
ძირს გითხრი ჩემი კალამით
ჩემო ლამაზო ყვავილო,
ჩემი ნიჭით და უნარით
მიწიდან ამოყვანილო...
როგორ გაცოცხლდი, როგორ ხარ,
როგორ მოხვედი მეორედ,
ვერცერთი მკვდარი ბრუნდება
მეორედ თუ ხელმოერედ...
ჩვენ დაგაჭკნეთ და მოგკალით,
დაბრუნდი მაგრად მოვლილი,
ეს დედამიწა შენია,
მე ვინ ვარ, მხოლოდ ლტოლვილი...

ლოცვა ლოცვას მიყვებოდა

მზესუმზირას მაგიდასთან
მზის სხივები მოვიწვიე სტუმრად,
მზესუმზირას მაგიდასთან
ყველა იჯდა გამართული, ჩუმად...
ყველას ხელში ქონდა თაფლის,
თაფლის წვრილი სანთელი და... აღთქმა,
აღთქმა ძველი და ახალი,
აღთქმა ძველი დღემდის რომ არ ჩაქრა...
ლოცვა ლოცვას მიყვებოდა,
მწიფდებოდა ზეთიანი თესლი,

ლოცვა ლოცვას მიყვებოდა,
როგორც მიწას მოედება ფესვი...
დალოცვილი არის კუთხე,
სადაც ასე ლოცულობენ ხალხი,
დალოცვილი არის მხარე,
სადაც არის ღვთისმშობელის სახლი...
სადაც კიდევ დააბიჯებს
მარიამის სილამაზის ქალი,
სადაც კიდევ არ ჩამქრალა
სანთლის თავზე მოციმციმე ალი...
სადაც ყველა სამკაულზე
ძვირფასია, ძვირფასია ჯვარი,
ჯვარი ბზისა და სანთლები
მზის სხივების, მზის სხივების დარი...
მზესუმზირას მაგიდასთან
მზის სხივები მოვიწვიე სტუმრად,
მზესუმზირას მაგიდასთან
ყველა იჯდა გამართული, ჩუმად...
ყველას ხელში ქონდა თაფლის,
თაფლის წვრილი სანთელი და... აღთქმა,
აღთქმა ძველი და ახალი,
აღთქმა ძველი დღემდის რომ არ ჩაქრა...

ჩვენ გაგვიმარჯოს

მე არ მეცალა გუშინ მთელი დღე,
პეპელას ვწერდი წერილებს გულით,
მე და პეპელა ერთმანეთს ვავსებთ,
ერთმანეთს ვკოცნით, ერთმანეთს ვუვლით...

ჩემი კალამი მისას ჯობია,
სილამაზეში ის მე ბევრად მჯობს,
მე და პეპელას გვიყვარს სიცოცხლე,
ყველაზე წინ ვართ, ჩვენ გაგვიმარჯოს...

ყველანაირი ყვავილი მე ვარ:
ვარდი, გვირილა, ნარცისი, ტიტა...
რაც სიყვარულზე დაწერილი მაქვს,
ჩემს გულში იყო, იქ დაიკვირტა...

ჩემი გულია მთვარეზე სუფთა,
შიგნით მზეს სძინავს, ჩემთან ბინადრობს,

გარეთ იწვიმოს რამდენიც უნდა,
ქარმა იქროლოს, თოვლმა იბარდნოს...

თოვლის ფიფქია ის ანგელოზი,
მე რომ ვლოცულობ ტაძარში, შუქთან...
თოვლის ფიფქია ყველაზე წმინდა,
თოვლის ფიფქია ყველაზე სუფთა...

გაზაფხულზე რომ ია ამოვა,
არაფერია მასზე უმანკო,
ვარდი თავშალს რომ მოიხსნის მერე...
მისი სიწმინდე როგორ უარვყო?..

დავდგები ხშირად, თითქოს მეცალოს,
ყვავილებს ვუმზერ, თავად ყვავილი...
სილამაზისთვის რომ არ ვკვდებოდე,
მათ გვერდით, ახლოს, როგორ გავივლი...

მინდა სხვადასხვა ტანსაცმელები,
მათნაირი რომ ვიყო და კოხტა,
ხან მე ვაჯობებ, ხანაც ისინი,
მერე რა მოხდა, მერე რა მოხდა...

ერთი წუთითაც არ ვარ მოცლილი,
პეპელას ვუწერ წერილებს გულით,
მე და პეპელა ერთმანეთს ვავსებთ,
ერთმანეთს ვკოცნით, ერთმანეთს ვუვლით...

ჩემი კალამი მისას ჯობია,
სილამაზეში ის მე ბევრად მჯობს,
მე და პეპელას გვიყვარს სიცოცხლე,
ყველაზე წინ ვართ, ჩვენ გაგვიმარჯოს...

ფეხბედნიერი

ჯერ გამეტებით მოდის,
მერე ხელებში ქრება,
ფიფქში ქალივით არის
ჟრუანტელი და ვნება...
პირველი ღამის შემდეგ
რომც გააგრძელოს თოვა,

თეთრი ტანსაცმლის გარდა,
მაინც არასდროს მოვა...
ცივ იანვარში ასე
გაეყინება ხელი,
ფეხბედნიერი იყოს
მისთვის ახალი წელი...
რადგან ცოტა ხნით ელავს,
მერე ხელებში ქრება,
ფიფქში ქალივით არის
ჟრუანტელი და ვნება...

თოვლის ყვავილი მე ვარ

ლევან კოხრეიძეს

წუხანდელ თოვლში გარეთ ვიყავი,
თავზე მათოვდა ლევან,
ედელვაისი ყინულისაა,
თოვლის ყვავილი მე ვარ...
რა იქნებოდა ვარდად მეხარა,
ვყოფილიყავი ია,
მე თუ არ მოვკვდი, ისე არ მოვა,
გაზაფხული რომ ქვია...
რა იქნებოდა სიყვარულისგან
მეც გამთბობოდა გული,
არ ვყოფილიყავ მზის სხივისაგან
მოკლული, დაკარგული...
წუხანდელ თოვლში გარეთ ვიყავი
თავზე მათოვდა ლევან,
ყინულისაა ედელვაისი,
თოვლის ყვავილი მე ვარ...



მიხეილ მახარაძე

შენიშვნები ერთი „ფილოსოფიური“ ნარკვევის თაობაზე

2017 წელს გამომცემლობა „ივერიონში“ დაიბეჭდა ნიაზ ბოლქვაძის ბროშურა – „აზროვნების ეკოლოგია“. კაცობრიობის ხსნის მთავარი საშუალება“. სინამდვილეში ეს არის ესეისტური ნარკვევი და შემდგომში ნარკვევის სახელით მოვიხსენიებ მას. ავტორს ამ ჟანრით რომ გამოეცა იგი, უფრო გამართლებულიც იქნებოდა და მომგებიანიც.

ამ მცირეფორმატიანი ნარკვევის ტექსტი თანდართული სურათების გარეშე, 88 გვერდს მოიცავს. აქედან ავტორის წიაღსვლებს 61 გვერდი უკავია, ხოლო დანარჩენი 21 გვერდი სახოტბო რეცენზიებს ეთმობა. ავტორის ტექსტში კი, ძირითადად, კეთილი სურვილები, მოწოდებები და შეგონებებია. მსგავსი რამ არახალია და ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვესმის, როგორც სასულიერო, ისე სხვა სახის მოძღვართა მხრიდან.

ნარკვევი, ძირითადად, სხვადასხვა ავტორთა აზრების კომპილაციაა ყოველგვარი ურთიერთკავშირის გარეშე. ყველაფერ ამას კი, თან ახლავს ავტორის „ნათელხილვა“, განსხვავებული აღმსარებლობის ადამიანებთან შეხვედრები, მათი დარიგებები და შეგონებები გასაოცარი შედეგებით და ა. შ. რასაც არაფერი აქვს საერთო მეცნიერებასთან, მით უმეტეს, ფილოსოფიასთან. არადა, ავტორს დიდი პრეტენზია აქვს „ფილოსოფიურ მსჯელობაზე“ (გვ. 9).

აუცილებლად უნდა შევჩერდეთ „ნათელხილვაზე“, რაც ავტორს ასე აქვს გადმოცემული: საკუთარ თავთან ფიქრებში ერთკვირიანი დუმილის შემდეგ, მის გონებაში მოხდა გამობრწყინება **„– მთელი სამყარო ლურჯ-ოქროსფერ სხივებით განათდა... გარკვეული დროის შემდეგ უცებ ერთდროულად წარმომესახა კაცობრიობის განვითარების ისტორია უძველესი დროიდან დღემდე და მივაკვლიე ათასწლეულების ლაბირინთებში ჩაფლულ პასუხს კითხვაზე, სწორედ იმას, რასაც წლების მანძილზე ვეძებდი“** (გვ. 35. ხაზგასმა ყველგან ავტორისაა).

დავიბენი, არ ვიცი რა კომენტარი გამეკეთებინა, რბილად თუ ვიტყვი, ამ უცნაურ პასაჟზე! რაკი ასე გამიჭირდა კომენტარის გაკეთება, ავტორს მივმართოთ. მისი „აღმოჩენა“ ტრიალებს ღმერთის მიერ ერთიანი ხალხის ენების აღრევის, „დაყავი და იბატონეს“ და „დაყავი და მართეს“ წრეში.

ყველაფერი აქედან გამომდინარე საბოლოო შედეგი კი არის ის, რომ რელიგიებად დაყოფა ღმერთიდან მოდის და, აი, ავტორის საბოლოო დასკვნაც: „ჩემს მიერ წარმოდგენილ აზრს, რომლის მიხედვითაც კაცობრიობა დედამიწაზე თვით უფლის ნებითაა დაყოფილი არა მხოლოდ ენის, არამედ

რელიგიების მიხედვითაც, ეს სიმართლე საუკუნეების მანძილზე რომ შეუმჩნეველი რჩებოდა, ამ აზრის მართებულობაზე და, საერთოდ, სიმართლის გამაერთიანებელ ძალაზე მეტყველებს ბრძენმთავრად აღიარებული ჩინელი ფილოსოფოსი **კონფუციუსი**“ (გვ. 56-57). თავი დავანებოთ ავტორის ამ აზრის ბუნდოვანებას და მის მიერ თავისი პოზიციის გასამყარებლად მოხმობილ კონფუცის აზრს სიმართლეზე, მივმართოთ.

აი რას წერს კონფუცი: **„სიმართლე დასაწყისი და დასასრულია ყველა არსისა. სიმართლე რომ არ ყოფილიყო, არაფერი არ იქნებოდა. მან შექმნა ყველაფერი, იმიტომ, რომ ისაა სიბრძნე, ბუნებრივი ქველმოქმედება, გარეგანისა და შინაგანის შემაერთებელი, თუმცა ბევრნი სიმართლეს უყურადღებოდ ექცევიან, მაგრამ ის არასოდეს დაკარგავს თავის მნიშვნელობას.**

ვინც სიმართლის შესწავლას შეუდგება, მხოლოდ ის გაიგებს, რამდენად შორს ვყოფილვართ სიმართლისგან“ (იქვე, გვ. 57).

თუ დავუჯერებთ ნარკვევის ავტორს კონფუცს ეხმაურება მისი თანამედროვე ბერძენი ფილოსოფოსი – დემოკრიტე: **„ბრძენი – ყველა არსებული საგნის საზომია: გრძნობით – გრძნობიერი, გონებით – გონიერი სამყაროისა“** (იქვე).

ძნელი დასანახი არ არის, რომ ნიაზ ბოლქვაძის შეხედულებას, კონფუცისა და დემოკრიტეს მოსაზრებებს შორის, ავტორის სასურველი ხელოვნური კავშირის გარდა, არაფერია საერთო და რისთვის დასჭირდა მას ეს დამოწმებები, უადგილო და უსაფუძვლო პარალელები, გაუგებარია.

ნარკვევიდან ავტორის ერთი უცნაური და ამბიციური განცხადებაც ვნახოთ: „თუ ამ ნაშრომს წილად ხვდა პატივი – გაერთიანებული ორგანიზაციის წარმომადგენლობა გაეცნოს, ის ბრძენი ადამიანები, ვინც ზემოთ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაზე ზრუნვით არიან დაკავებულნი, **დარწმუნებული ვარ, ნაშრომს სწორ შეფასებას მისცემენ და შესაბამის ფუნქციას დააკისრებენ“** (იქვე, გვ. 56. აქ ხაზგასმა მე მეკუთვნის).

ნარკვევის ეს ადგილი კომენტარს არ საჭიროებს.

ნარკვევიდან სხვა მსგავსი „მარგალიტების“ დამოწმებაც შეიძლება, მაგრამ ეს შორს წაგვიყვანს და საქმის არსის გასაგებად აღნიშნულიც საკმარისია.

ნარკვევში ორ მთავარი „აღმოჩენაა“, რაზედაც განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას რეცენზენტები:

1. აზროვნების ეკოლოგია, რაც თურმე გულისხმობს დაბინძურებული და დაჭუჭყიანებული აზროვნების გაწმენდა-გასუფთავებას. ეს კი საბოლოოდ იხსნის კაცობრიობას არსებული რელიგიური თუ სხვა სახის დაპირისპირებებისგან;

2. რელიგიებად დაყოფა მოდის საკუთრივ ღმერთისგან, რაზეც ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ.

პირველი „აღმოჩენა“, უბრალოდ, გაუგებრობაზეა აგებული. ჯერ ერთი, აზროვნება და ეკოლოგია ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებებია. ეკოლოგია არის ცოცხალი ორგანიზმებისა და მათ ირგვლივ მყოფ გარემოს ურთიერთობის შესახებ მეცნიერება; აგრეთვე, ეკოლოგია იკვლევს ბუნების დაცვის პრაქტიკულ საკითხებს. აღნიშნულიდან ცხადად ჩანს, რომ ეკოლოგიას როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, არაფერი აქვს საერთო აზროვნებასთან. ნიაზ ბოლქვაძის ლოგიკას რომ გავყვეთ, მაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ აზროვნების ნავიგაციაზე, აზროვნების მეტალურგიაზე და ა. შ. უსასრულოდ. ამასთან, აზროვნება დამოუკიდებლად არ არსებობს; იგი ლოგიკური პროცესია და ის ვერც დაბინძურდება და ვერც გასუფთავდება. სხვა საქმე იქნებოდა ცნობიერებაზე რომ ყოფილიყო საუბარი.

რაც შეეხება მეორე „აღმოჩენას“, რასაც დიდი ამბით გვამცნობს ნიაზ ბოლქვაძე და რაზედაც აღტაცებით წერენ რეცენზენტები, ის სულაც არ ეკუთვნის მას. ამაზე საუბარია „ყურანში“ (XI

სურა, 120-ე აია), რასაც, რატომღაც, არ ახსენებს ავტორი. სამაგიეროდ, ბიბლიურ გადმოცემას – ღმერთის მიერ ხალხთა ენების აღრევისა და, აგრეთვე, „დაყავი და მართეს“ პრინციპიდან ცდილობს გამოიყვანოს ღმერთის მიერ რელიგიების დაყოფაც. რასაც, რა თქმა უნდა, ვერ ასაბუთებს და მეცნიერულად ვერც ვერავინ დაასაბუთებს!

სხვათა შორის, მსგავსი მცდელობაა ერთი ცნობილი ავტორის, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის, ისლამის თეოლოგიის სპეციალისტის, პროფესორ თაუფიკ იბრაგიმის მონოგრაფიაში (იხ. Тауфик Ибрагим. Коранский гуманизм. Москва, 2015. განყოფილება 1. Религозное разнообразие предопределено Богом. გვ. 10-85), მაგრამ უშედეგოდ, რადგანაც:

ჯერ ერთი, ბიბლიური და ყურანისეული გადმოცემები, თქმულებები, არაკები თუ იგავები მეცნიერულ დასაბუთებას არ ექვემდებარება (ეს თეოლოგიის სფეროა);

მეორე: თუკი რელიგიების დაყოფა ღმერთისგან მომდინარეობს, მაშინ, გვინდა თუ არა, რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი სისხლისღვრების, ყველა უბედურებისა და ყოველგვარი ბოროტების მიზეზი და სათავე ღმერთი ყოფილა. ეს კი მკრეხელობაა, რადგანაც საუბარია ღმერთზე – ყოვლადსრულყოფილზე;

მესამე: თუ რელიგიების დაყოფა ღმერთისგან მომდინარეობს, მაშინ როგორ ავხსნათ ის ფაქტი, რომ ერთი და იგივე ხალხი სხვადასხვა რელიგიებს ემსახურება და პირიქით – განსხვავებულ ხალხს ერთი და იგივე რელიგია აქვთ.

ასე რომ, ვიდრე ნიაზ ბოლქვაძის გონებაში წამიერი „გამობრწყინება“ მოხდებოდა, ვიდრე, „რასაც წლების მანძილზე ეძებდა“ და „საუკუნეების მანძილზე... შეუმჩნეველ“ სიმართლეს მიაგნებდა, ამის საფუძველზე კი, სასწაულ „აღმოჩენამდე“ მივიდოდა, რელიგიების დაყოფის ღმერთიდან მომდინარეობის თვალსაზრისი წმინდა წიგნებში ყოფილა მოცემული. ეს საკითხი უფრო ადრე განუხილავს თ. იბრაგიმს (სხვა ავტორებიც იქნებიან უეჭველად) „ყურანზე“ დამყარებით. ოღონდ ნიაზ ბოლქვაძისგან განსხვავებით, ამ საყოველთაოდ ცნობილ თვალსაზრისს ის საკუთარ აღმოაჩენად არ ასაღებს.

ყოველივე ამის შემდეგ ბუნებრივია კითხვა – ამ მიმართებით რა აღმოაჩინა ახალი ნიაზ ბოლქვაძემ, რაც არ იცოდნენ მრავალი საუკუნის წინ?

ნარკვევში ავტორი ცდილობს თანაბარ დონეზე წარმოადგინოს რელიგია და მეცნიერება, ცოდნა და რწმენა, მათი სინქრონული თანაარსებობა. თავი რომ დავანებოთ ფილოსოფიის ისტორიას და ღვთისმეტყველებას, ეს საკითხი კარგად არის წარმოდგენილი ქართულ ფილოსოფიაში. მხედველობაში მაქვს აკად. **გურამ თევზაძის** (1932-2018) ორიგინალური თვალსაზრისი – ცოდნისა და რწმენის ტოლსწორობის შესახებ (იხ. გ. თევზაძე. „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია“. თბილისი, 2002, გვ. 7- 8). ნარკვევში ამაზე არაფერია ნათქვამი.

ნარკვევში საუბარია თანამედროვე გლობალურ პროცესებზე, კატასტროფებზე, ტექნიკის მაღალტექნოლოგიური განვითარებით გამოწვეულ სახიფათო შედეგებზე და სხვა. ეს პრობლემა იდგა ჯერ კიდევ ჟან ჟაკ რუსოსთან, სტენგლერთან და ექსისტენციალებთან. ამ საკითხებზე ფუნდამენტური გამოკვლევები ჰქონდა გამოჩენილ ქართველ ფილოსოფოსს – **ზურაბ კაკაბაძეს** (1926-1982), რაც საყოველთაოდ აღიარებული იყო ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. არც ამის შესახებ არის რამე ნათქვამი ნარკვევში. საერთოდ ნიაზ ბოლქვაძე მწყრალად არის ქართველი ავტორების მიმართ.

ამით მოვრჩეთ ნარკვევის მეცნიერული თვალსაზრისით შეფასებას.

ისიც უნდა ითქვას, რომ არის წიგნები კარგი, უკეთესი, უარესი, და ა. შ. იბეჭდება ნიაზ ბოლქვაძის ნარკვევზე ბევრად უარესი წიგნები. მაშინ რამ განაპირობა მაინცადამაინც ამ ნარკვევზე

ჩემი გამოხმაურება? არის გარემოება, რაზედაც თვალის დახუჭვა, გაუმართლებელია, რადგანაც საქმე ეხება ქვეყნის ღირსებასა და პრესტიჟს. გამომდინარე აქედან, ვაითუ რაღაც გაუგებრობაში აღმოვჩნდეთ.

საქმე ის არის, რომ ეს ნარკვევი ნიაზ ბოლქვაძის თანამზრახველთა ერთმა ჯგუფმა (თუ ჯგუფებმა) მშვიდობის დარგში ნობელის პრემიაზე წარადგინა, რაც სრული გაუგებრობაა. გაუგებრობაა, რადგანაც ესა თუ ის მოვლენა ნობელის პრემიის კომიტეტის ოფიციალური განხილვის საგანი რომ გახდეს, იგი წარდგენილი უნდა უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციის ან ნობელის პრემიის ლაურეატის მიერ. საქართველოში არც ასეთი ორგანიზაციაა დაფიქსირებული და არც ნობელიანტი გვყავს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია – თვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიას არ აქვს ამის უფლება.

ამგვარი პრემია ხომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გამოვლენილი ჰუმანურობისა და მშვიდობის განმტკიცებაში განსაკუთრებულ დამსახურებისთვის გაიცემა და არა წიგნზე, მით უმეტეს, ნარკვევზე. ამის საპასუხოდ ერთ შეხვედრაზე ბატონმა ნიაზმა მწერალი ბერტა ზუტნერი დაასახელა. მაგრამ ზუტნერმა ეს პრემია მიიღო არა როგორც მწერალმა, არამედ როგორც პაციფისტმა და წლების განმავლობაში პაციფისტური მოძრაობის აქტიურმა მონაწილემ.

გადავდოთ გვერდზე ჩემი კრიტიკული შენიშვნები ნარკვევზე და ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ უმრავლესობა რიგითი მკითხველისგან განსხვავებით, მე – ფილოსოფიის ისტორიკოსი – შუა საუკუნეებისა და ქართული ფილოსოფიის ისტორიის, კულტურის ფილოსოფიის, რენესანსისა და ქრისტიანული ღვთისმეტყველების პრობლემების მკვლევარი, ამ თემებზე არაერთი მონოგრაფიისა და 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, აგრეთვე, იოანე პეტრიწის, რუსთაველის, აბუსერისძე ტბელის, ჟამთააღმწერელის, სოლომონ დოდაშვილის, გაბრიელ ქიქოძის, ნიკო მარის, ივანე ჯავახიშვილის, დიმიტრი უზნაძის, შალვა ნუცუბიძის, სერგი დანელიას, მოსე გოგიბერიძის, კოტე ბაქრაძის, შალვა ხიდაშელის, ზურაბ კაკაბაძის, მერაბ მამარდაშვილის, გურამ თევზაძის, დავით კლდიაშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, თომას მანის, ჰალდუნ თანერის, მაქს ფრიშის და სხვათა შემოქმედების შესახებ სამეცნიერო შრომების, წერილებისა და ესეების ავტორი ვერ ჩავწვდი ნიაზ ბოლქვაძის ნარკვევის არსს. მაგრამ ის ხომ მაინც ვიცი როგორ და რისთვის იძლევიან ნობელის პრემიას და არა მხოლოდ მშვიდობის დარგში?!

ნობელიის პრემიის მისაღებად მთავარი პირობა – საყოველთაო აღიარებაა, კერძოდ: საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში ექსპერიმენტით განმტკიცებული აღმოჩენა, ლიტერატურაში დიდი შემოქმედებითი მიღწევები, ხოლო მშვიდობის დარგში – განსაკუთრებული ჰუმანური მოღვაწეობისა და მშვიდობის განმტკიცებისთვის შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა, რასაც თან ახლავს თვალსაჩინო შედეგები.

მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. თომას მანმა „ბუდენბროკები“ გამოაქვეყნა 1901 წელს, ხოლო ამ რომანისთვის ნობელის პრემია მიიღო 28 წლის შემდეგ – 1929 წელს; მიხეილ შოლოხოვმა „წყნარი დონისთვის“ (1928-1940 წწ.) ნობელის პრემია მიიღო 25 წლის შემდეგ – 1965 წელს; გაბრიელ მარკესმა „მარტოობის ასი წელიწადისთვის“ (1967 წ.) აღნიშნული პრემია მიიღო 15 წლის შემდეგ – 1982 წელს. სიის გაგრძელება შეიძლება.

არის გამონაკლისებიც. მაგ., ჰემინგუეის ნოველა – „მოხუცი და ზღვა“ გამოქვეყნდა 1952 წელს. ორი წლის შემდეგ კი მისმა ავტორმა ნობელის პრემია მიიღო. მაგრამ ეს იყო ჰემინგუეი, რომელსაც მანამდე არაერთი საეტაპო ნაწარმოები ჰქონდა გამოქვეყნებული.

ასევეა ნობელის პრემია მშვიდობის დარგში. აი ამის რამდენიმე მაგალითი: ალბერტ შვაიცერი არაერთი გახმაურებული ნაშრომის ავტორია კულტურის ფილოსოფიაში. მისი ნაშრომი – „კულ-

ტურა და ეთიკა“ დღესაც სამაგიდო წიგნია. მაგრამ მას ნობელის პრემია მიანიჭეს არა ნაშრომებისთვის, არამედ აფრიკაში ათეული წლების განმავლობაში ქველმოქმედებისა და ჰუმანური მოღვაწეობისთვის; მსგავსი ვითარება იყო დედა ტერეზას შემთხვევაში; ანვარ სადათს ნობელის პრემია მიენიჭა ახლო აღმოსავლეთში დაძაბულობის შენელების ხელშეწყობისთვის; მიხეილ გორბაჩოვს კი, პრემია მიენიჭა „ცივი ომის“ დასრულების ხელშეწყობაში, ბერლინის კედლის დანგრევაში და ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებისთვის. ასეა მშვიდობის დარგის სხვა ნობელიანტების შემთხვევაში.

ნიაზ ბოლქვაძის ნარკვევში გატარებული იდეები მართებულიც რომ იყოს, საჭირო და აუცილებელია მათი პრაქტიკული რეალიზება.

რაც შეეხება ნარკვევში ნიაზ ბოლქვაძის დამოძღვრით სხვადასხვა აღმსარებლობის „გზასაცდენილთა“ მოქცევას, არა მგონია ვინმემ ეს სერიოზულად აღიქვას.

ახლა ცოტა რამ ნარკვევის ტექნიკურ მხარეზე, სადაც ნიაზ ბოლქვაძეს მირანდოლას ციტატა დამოწმებული აქვს... მისივე (!) სხვა წიგნიდან თუ ბროშურიდან; ასევე, ყოვლად გაუმართლებელია ნარკვევში რეცენზიებისა და გამოხმაურებების წინასწარ შეტანა; უადგილოა ნარკვევზე თანდართული ფოტოები, რაც ავტორის თვითრეკლამისთვისაა გათვალისწინებული და სხვა. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ მისთვის უცხოა გამოსაქვეყნებელი მასალის წიგნად შეკვრისა და გამოცემის კულტურა.

ერთ შეხვედრაზე გამოჩნდა ისიც, რომ ბატონი ნიაზისთვის უფრო მნიშვნელოვანია მის, ძირითადად, საქმეში ჩაუხედავ მეხოტბეთა დითირამბები, ვიდრე სპეციალისტთა მოსაზრებები და, თუნდაც კრიტიკული შენიშვნები. მან სიტყვა არ დაასრულებინა ღვაწლმოსილ მეცნიერს, აღიარებულ ფსიქოლოგს, პროფესორ ნოდარ ბარამიძეს. ასე მოიქცა ჩემი მისამართითაც. სამაგიეროდ, დიდი ყურადღებით ისმენდა და არც ერთხელ შეუხსენებია დრო იმათთვის, ვინც მას ხოტბას ასხამდა...

გაკვირვებას იწვევს ჩვენი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლის უპასუხისმგებლო პოზიცია. ისე რომ, ხეირიანად წაკითხულიც კი არა აქვს აღნიშნული ნარკვევი, აქებს და ადიდებს მას, ხოტბას ასხამს და მიესალმება მის წარდგენას ნობელის პრემიაზე.. ეს კი, ნებსით თუ უნებლიედ, მეცნიერებაში მწვანე შუქს უნთებს დილეტანტიზმსა და საფუძველს მოკლებულ ამბიციებს.

P.S. ნებისმიერი ჩვენთაგანისთვის სასიხარულო და საამაყო იქნება რომელიმე ქართველმა ნობელის პრემია რომ მიიღოს. მაგრამ ამისთვის საჭიროა ძალიან მაღალი სტანდარტების შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილება. როგორც ვნახეთ, რომ არაფერი ვთქვათ პრემიაზე წარდგინების რაღაც გაუგებარ, კომიკურ ფორმაზე, ნიაზ ბოლქვაძის „ნაღვაწი“ ამისთვის მინიმალურ პირობებსაც კი ვერ აკმაყოფილებს. ამ ფონზე, საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მისი ვოიაჟები ერთი რიგითი და არაფრის მთქმელი ნარკვევის საჯარო განხილვები, აბსურდის თეატრს ემსგავსება, რაც ჩვენი ისტორიისა და კულტურის ხალხს უბრალოდ არ ეკადრება, მეტიც, ეს – **შეურაცხმყოფელიცაა და სამარცხვინოც!**

მ. მ.

ტარიელ ფუტკარაძე

ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის ანალიზი

„რბილი ძალის“ (Soft Power) პოლიტიკის კონტექსტით საქართველოს წინააღმდეგ მიმდინარე საინფორმაციო ომში[1] ზოგჯერ ჩვენი ევროპელი თუ ამერიკელი პარტნიორებიც ექცევიან **რუსული პროპაგანდის** გავლენის ქვეშ. მაგალითისათვის განვიხილავ რუსეთ-საქართველოს ომის (2008) შესახებ ჰაიდი ტალიავინის ხელმძღვანელობით მომზადებული დოკუმენტის ერთ მონაკვეთს. აქ ჰ. ტალიავინი იმოწმებს **ამერიკელ მეცნიერს – რონალდ სუნის** (Ronald Grigor Suny წარმოშობით ეთნიკური სომეხია), რომელიც, თავის მხრივ, „ათანამედროვებს“ წიგნის შესავალ ნაწილში განხილულ რუსულ იდეოლოგემას[2]; კერძოდ, ჰ. ტალიავინის დასკვნაში ვკითხულობთ:

„ისტორიულად ქართული ეროვნული იდენტობა თავის წარმოშობას მე-4 საუკუნეში ქართული ავტოკეფალიური ეკლესიის ჩამოყალიბებას და მე-5 საუკუნეში ქართული ენის გამოჩენასა და ანბანის შექმნას უკავშირებს. თუმცა, საქართველო საუკუნეების მანძილზე სხვადასხვა ადგილობრივ სუბეთნიკურ ერთეულად იყო დაყოფილი, რომელთაგან თითოეულს ჰქონდა თავისი საკუთარი ტრადიციები, ზნე-ჩვეულებები, დიალექტები და, მეგრელების, ლაზებისა და სვანების შემთხვევაში კი – სხვა ენები, რომლებიც ჰგავს ქართულს. **ეთნიკურ ჯგუფთა კონსოლიდაციის და ერად ჩამოყალიბების პროცესი არ დასრულებულა**“[3].

ისტორიული სინამდვილე **დიდად განსხვავდება ჰ. ტალიავინის მიერ აღწერილისაგან:**

მრავალი ისტორიული ფაქტი ცხადყოფს, რომ ქართული ენა, როგორც ქართველთა დედაენა[4], 15 საუკუნეზე მეტი ხანია არსებობს. საუკუნეების წინ სწორედ **ქართული ენით ქართველთა კონსოლიდაციაზე** საუბრობენ ძველი მემატიანენი; შესაბამისად, ქართველი ერის კონსოლიდაციის პროცესი დასრულდა დიდი ხნის წინ. პარალელურად, არაერთი დამპყრო-

---

[1] ვრცლად იხ.: პროფესორი ჯოზეფ ნაი, „რბილი ძალა – მსოფლიო პოლიტიკაში მიზნის მიღწევის საშუალება“, 2004; Prof. Dr. Joseph Nye, Soft Power: The Means to Success in World Politics, 2004.

[2] XXI საუკუნეშიც რუსეთის იმპერიის ანტიკავკასიურ პოლიტიკას ეწინააღმდგება ქართველთა პროდასავლური არჩევანი, რის გამოც რუსეთი დღესაც ცდილობს საქართველოს განადგურებას.

[3] http://bit.ly/2TGIf8G (ტომი, II, გვ. 2). History of an Ambivalent Relationship: „Georgian national identity claims historical origins dating as far back as the establishment of an autocephalous Georgian church in the 4th century and the emergence of the Georgian language with its own alphabet in the 5th century. Nevertheless, for centuries Georgia was divided into diverse local sub-ethnic entities, each with its own characteristic traditions, manners, dialects and, in the case of the Mingrelians, Lazs and Svans, with separate languages similar to Georgian. The process of ethnic consolidation and nation-making had not been completed (A standard work on this process is: Ronald Grigor Suny, *The Making of the Georgian Nation*, Bloomington/Indianapolis, 1994). ჰ. ტალიავინის მცდარი დებულებების კრიტიკისათვის ვრცლად იხ.: ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; http://bit.ly/2WqM7fP

[4] ცნებები: „ქართული ენა“, „ქართველთა დედაენა“ და „ქართველური ენა“ ჩვენთვის სინონიმებია (შდრ.: პროფ. რ. შეროზია „ქართველთა დედაენის“ სინონიმად იყენებს მხოლოდ „ქართველურ ენას“; იხ. აგრეთვე: ტ. ფუტკარაძე, ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები), თბ., 2005; ტ. ფუტკარაძე, ქართველოლოგიის შესავალი, თბ., 2014).

ბელი ცდილობდა ენობრივ-ეთნიკურად დაენაწევრებინა („გათიშე და იბატონე“) გეოპოლიტიკურად რთულ რეგიონში მცხოვრები ქართველი ერი, რომ ქართველთა დასუსტების შემთხვევაში კონტროლი დაემყარებინა კავკასიის რეგიონსა თუ შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილზე.

ფაქტია ისიც, რომ ჰ. ტალიავინს ასეთი **არაადეკვატური დასკვნა** გამოაქვს საბჭოთა პერიოდში გაბატონებული ე.წ. **ოთხი „ქართველური ენის“ „იდეოლოგიაზე“** დაყრდნობით.

რ. სუნის (ჰ. ტალიავინის) მიერ წარმოდგენილი „ჰიპოთეზა“ თეორიულად სამგვარად შეიძლება შეფასდეს (შესაბამისად, სამგვარად დადგება პრობლემის არარსებობისა თუ გადაჭრის საკითხი):

ა) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი ცდებიან, რადგანაც ქართველ ერს აქვს მრავალსაუკუნოვანი ერთიანი სამწიგნობრო ენა, ერთიანი საეკლესიო ენა და ერთიანი ენობრივ-ეთნიკური იდენტობა. დასახელებული ზეპირი ქართველური ქვესისტემები კი ამ ეროვნული ენის ზეპირი სახესხვაობებია; ანუ დიდი ხანია მომხდარია ქართველთა ენობრივი კონსოლიდაცია და ამ მხრივ პრობლემა არ არსებობს.

ბ) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი არ ცდებიან – ქართველი ერი ჯერ არ არსებობს; მომავალში შეიძლება მოხდეს ქართველთა კონსოლიდაცია;

გ) რ. სუნი და ჰ. ტალიავინი არ ცდებიან: უძველესი დროიდან დღემდე არსებობს ოთხი ქართველური ეთნიკური ჯგუფი: ქართველი, სვანი, მეგრელი და ლაზი. შესაბამისად, აუცილებელია, საერთაშორისო თანადგომით ხელი შეეწყოს „უმწერლობო ქართველური“ „ეთნოსების“ დამოუკიდებელი ენების, როგორც უმცირესობის ენების, განვითარებას.

სამწუხაროდ, არა მხოლოდ საქართველოს ზოგმა სხვა მეგობარმა, არამედ ენობრივი პოლიტიკის სფეროში მომუშავე ქართველ სახელმწიფო მოხელეთა ნაწილმაც არ იცის, რომ **ქართველ ერს აქვს მრავალსაუკუნოვანი ერთიანი სამწიგნობრო ენა, ერთიანი საეკლესიო ენა და ერთიანი ენობრივ-ეთნიკური იდენტობა** (დოკუმენტური მასალის ანალიზისათვის იხ. ქვემოთ).

წინასწარვე აღვნიშნავ, რომ საქართველოსათვის ნამდვილად სახიფათოა ეს ფაქტი და მით უფრო ის, რომ, არაიშვიათად, ზეპირ ქართველურ ენობრივ სახესხვაობათა სტატუსის განსაზღვრისას (თუ ქართველთა ეთნიკური იდენტობის კვალიფიცირებისას) ექსპერტები **ეყრდნობიან რუსული ენობრივი** (/ეთნიკური) **პოლიტიკის წიაღში შექმნილ იდეოლოგემებს.**

შდრ.: კავკასიის იარაღით დაპყრობის შემდეგ, XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე რუსეთის იმპერიის მოხელეებმა საგანგებოდ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკით დაიწყეს „გათიშე და იბატონეს“ გეგმის განხორციელება; კერძოდ, ქართველთა ზოგი კუთხური მეტყველების დამოუკიდებელ ენად გამოცხადებით შეეცადნენ ქართველთა ენობრივ-ეთნიკურ დანაწევრებას.

ეს გზა გააგრძელეს ბოლშევიკებმა. დღესაც ამავე გზით მიდის კრემლი; მაგ., 2002 და 2010 წლების რუსეთის მოსახლეობის აღწერების დოკუმენტებში განსხვავებულ ეროვნებებადაა ჩათვლილი: ქართველი, მეგრელი, სვანი, აჭარელი...[5] მაგ., 2010 წლის აღწერის შედეგების მიხედვით, რუსეთში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებაა: **Грузины** *(картвели),* **Аджарцы** *(аджарели),* **Ингилойцы** *(ингилой),* **Лазы, Мегрелы** *(маргали, мингрелы),* **Сваны**[6].

---

[5] ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; ტ. ფუტკარაძე, თანამედროვე ქართველთა ენობრივ-ეთნიკური აღწერა „მსოფლიოს ენათა რეესტრის“ (inguarium.iling-ran.ru) მიხედვით და არსებული სინამდვილე, საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა), ბათუმი, 2009. წაკითხულ იქნა მოხსენებად სამეცნიერო კონფერენციაზე: „საქართველო და მსოფლიო (წარსული და თანამედროვეობა)“, ბათუმი, 2008 წ. 14-15 ნოემბერი. http://bit.ly/2WqM7fP მსჯელობისათვის იხ. ქვემოთ.

[6] ტ. ფუტკარაძე, 2002 და 2010 წლების საერთო-სახალხო აღწერები რუსეთში და ქართველთა იდენტობის საკითხები; ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენცია, თბ., 14-17 ივნისი, 2010; http://bit.ly/2WqM7fP რუსული აღწერების დოკუმენტებში არსებული კვალიფიკაციებისა და აღწერის შედეგებისათვის იხ.: http://bit.ly/2HL27Ga http://bit.ly/2HWPozt (დამოწმება: 25.12.2018); იხ., ასევე: ტ. ფუტკარაძე, კიდევ ერთხელ მცდარი ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციების შესახებ; გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2, ქუთაისი, 2008.

რუსი მეცნიერები აქტიურად ცდილობენ, შეამცირონ ქართული ენის, ზოგადად, ქართველთა საცხოვრისის საზღვრები; მაგ., პროფ. ი. კორიაკოვის აზრით, ქართველთა განსახლების დასავლეთი საზღვარი სამტრედიამდეა, ჩრდილოეთი კი – ცაგერამდე; კერძოდ, იგი სხვადასხვა ენად აცხადებს რა ქართულს, მეგრულს, სვანურს, ლაზურს, ქართველური „ეთნიკური ჯგუფების“ ასეთ რუკას გვთავაზობს[7]:



რუკაზე „ქართველებისა“ და „მეგრელების“ საცხოვრისების საზღვარი ცხენისწყალის ქვემო წელშია; „ქართველების“, „მეგრელებისა“ და „სვანებისა“ კი – ცხენისწყალის ზემო წელში.

რუსული იდეოლოგემების ინერციითაა შექმნილი ბევრი ევროპული თუ ამერიკული კვალიფიკაციაც; მაგ., არაერთი აკადემიური საერთაშორისო ცნობარის, ენციკლოპედიისა თუ ეთნიკური რუკის მიხედვით, **ქართველთა ნახევარი ქართველად არ მიიჩნევა;** მაგ., მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით, საქართველოში არის შემდეგი ეთნოსები (/ენები): აზერბაიჯანელები, ასირიელები (აისორები), აფხაზები, ბაცბები, ბერძნები, ლაზები, მეგრელები, ოსები, რუსები, სვანები (რომლებიც, თურმე, სამწერლობო ენად იყენებენ ქართულსა და რუსულს sic!), სომხები, ურუმები, ქართველები, ქართველი ებრაელები, ქურთები[8].

ფართოდ ვრცელდება არაადეკვატური ლინგვისტური თუ ეთნიკური რუკებიც; მაგ., საქართველოს რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო პროფესორის, იოსტ გიპერტის ლინგვისტური რუკა ასე გამოიყურება:

ი. გიპერტმა ეს რუკა შექმნა 1993-2003 წლებში საბჭოთა კვალიფიკაციების ინერციით[9]. ამ და ზოგი სხვა რუკის მიხედვით[10] სამეგრელოში, ლაზეთსა და სვანეთში არ არის ქართული ენა; დასახელებული ავტორის აზრით, სამეგრელო, ლაზეთი და სვანეთი „უმწერლობო ქართველური ენების“ გავრცელების არეალია.

2003 წელს გამოქვეყნებულ ამ რუკაზე ქართული ენა არ არის: აფხაზეთში, იმერხევში, ტაოში... და ცხინვალის მხარეში. სინამდვილეში, ქართული ენა მუდამ იყო და დღესაც არის დასახელებულ კუთხეებში. **ცხინვალის მხარეში კი ქართველთა გენოციდი მოხდა 2008 წელს და, შესაბამისად, აქ ქართველები ვეღარ ცხოვრობენ 2008 წლის რუსული ოკუპაციის შემდეგ:** ცხინვალის მხარე ამ რუკას დაემსგავსა 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ[11]. შდრ. ქართული ენის გავრცელების არეალი ადეკვატური რუკის მიხედვით:

---

[7] პროფ. ი. კორიაკოვის რუკა: http://bit.ly/2THCisp (დამოწმება: 05.05.2018). http://lingvarium.org

[8] http://bit.ly/2HXelef (დამოწმება: 12.01.2019).

[9] პროფ. ი. გიპერტის რუკა (დამოწმება: 22.12.2018): http://bit.ly/2JZvx5F

[10] იხ. ასევე, ASCN-ის მხარდაჭერით (ფრაიბურგის უნივერსიტეტის პროგრამა) CSEM-ის მიერ შექმნილი საქართველოს ენების რუკა (დამოწმება: 19.01.2019): http://bit.ly/2HSBK0t

[11] ამ რუკის შესახებ ექსპერტთა ერთი ჯგუფი წერს: „რუკა კარგად ასახავს საქართველოს ლინგვისტურ მრავალფეროვნებას“ („რეკომენდაციები ენობრივ უმცირესობათა დაცვის მიმართულებით ენობრივი პოლიტიკის შემუშავებისათვის“, თბ., 2008, გვ. 9 (კონსულტანტი: პოზნანის ადამ მიცკევიჩის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი დოქტორი ტომაშ ვიხერკევიჩი).



აქვე იხ. ქართველური ზეპირი მეტყველებების რუკა, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ ცხენისწყალი არის არა ქართულისა და მეგრულის საზღვარი (როგორც ამას ი. კორიაკოვი და სხვები წარმოაჩენენ), არამედ – მეგრულისა და იმერულისა:



ევროპის ისტორიის ახალ რუკებზეც ბევრი შეუსაბამობაა; მრავალთაგან ერთ-ერთს დავიმოწმებ:

V საუკუნეში, ვახტანგ გორგასლის დროს, მაშინ როცა საქართველო (/ქართლი) ნამდვილად ერთიანი სახელმწიფოა, დამოუკიდებელ სახელმწიფოებად წარმოდგენილია საქართველოს ორი ნაწილი: დასავლეთ საქართველო – ლაზიკად, აღმოსავლეთ საქართველო – იბერიად (არადა, ქორონიმი „იბერია“ ერთიანი საქართველოს უცხოურ სახელადაც გამოიყენებოდა)[12]:

ძნელი წარმოსადგენი არ არის:

ჰ. ტალიავინის საეჭვო დასკვნის მსგავსი ცდომილებები სხვა მიმართულებითაც შეიძლება იყოს; შესაბამისად, მოსალოდნელია, სხვა წახნაგითაც საქართველომ დასავლეთელი ექსპერტებისაგან არასწორი შეფასებები თუ რეკომენდაციები მიიღოს.

საერთაშორისო აკადემიურ ველში საქართველოს შესახებ **კვაზიმეცნიერული თვალსაზრისების** არსებობა ვერ აიხსნება მხოლოდ რუსეთის მიერ ორგანიზებული საინფორმაციო ომის წარმატებით; **დასავლეთელი ექსპერტებისათვის მადეზორიენტირებელია, ასევე, საქართველოს ზოგ წამყვან უნივერსიტეტსა თუ სახელმწიფო სტრუქტურაში დღემდე გაბატონებული მიდგომებიც,** რომელთა არსებობა რუსული იდეოლოგემების ინერციით შეიძლება აიხსნას; მაგ., საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენიდან 27 წელი გავიდა, მაგრამ საბჭოთა პერიოდში დამკვიდრებული ე.წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ „იდეოლოგია“ ჯერჯერობით ვერ გადაისინჯა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის ინსტიტუტში[13], სადაც ერთ-ერთი საელჩოს დაფინანსებით, 2015 წლის 14 აპრილს პომპეზურად წარადგინეს ე. წ. ხუთენოვანი – ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური – ლექსიკონი (კრიტიკული ანალიზი იხ. ქვემოთ)[14].

[12] http://bit.ly/2V1jFRm (დამოწმება: 12.05.2018).

[13] ე. წ. „უმწერლობო ქართველური ენების“ იდეოლოგემა უარყოფილია ამავე უნივერსიტეტის ეთნოლოგიის მიმართულებაზე; იხ., მაგ., როლანდ თოფჩიშვილი, საქართველოს ეთნოლოგია, თბ., 2008; როზეტა გუჯეჯიანი, ბეჟან ხორავა, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, სამეცნიერო ჟურნალი: ქართველური მემკვიდრეობა XIII, ქუთაისი, 2009, გვ. 79-92 და სხვ.

[14] http://bit.ly/2FIqdiR (დამოწმება: 12.05.2018).

საქართველოს გარედან დაფინანსდა, ასევე, მხატვრული ფილმების გახმოვანება სვანურად (თითქოსდა, სვანების დედაენა ქართული არ იყოს!):

უცხოეთიდან დაფინანსდა წიგნის: „სვანური საბავშვო ლიტერატურა" გამოცემა და პრეზენტაცია (გაიმართა 2013 წლის 10 დეკემბერს)[15]; პრეზენტაციის დროს „სვანური ენის" მდგომარეობის შესახებ ისაუბრა რიკარდ ბერუგმა – სვანური საბავშვო ლიტერატურის კონკურსის ინიციატორმა. რ. ბერუგი ასევე მიზანმიმართულად ცდილობს, შეიქმნას სვანური სალიტერატურო ენა (მისი პარტნიორია ჯიპა /საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტე/)[16].

დღეს სვანური (/მეგრული, ლაზური) სამწიგნობრო ენისა თუ ლინგვისტური კორპუსის შექმნის პროცესი ძალიან ჰგავს მე-19 საუკუნის ბოლოს მიმდინარე რუსულ იდეოლოგიზებულ „საგანმანათლებლო" „შტურმს" – მეგრული და სვანური ანბანების შექმნის მცდელობებს[17].

მრავალი ფაქტი ცხადყოფს, რომ **სვანეთი არის ქართული კულტურის სავანე.** ქართველთა ობიექტური ენობრივ-ეთნიკური ისტორია რომ იცოდნენ ქართველი ერის ღირსების პატივისმცემელმა ევროპელმა მეგობრებმა, სხვა ქართველებისაგან გამმიჯნავ საეჭვო პროექტებს არ დააფინანსებდნენ, კერძოდ, მრავალსაუკუნოვანი **ქართული სამწიგნობრო კულტურის შექმნის თანამონაწილე ძირძველ ქართველებს – სვანებს** – XXI საუკუნეში არ შესთავაზებდნენ, **წინაპრების მიერ შექმნილი დედაენობრივი სამწიგნობრო კულტურის** ნაცვლად, „დაიმკვიდრონ" ერთ-ერთ ზემოსვანურ კილოზე შექმნილი „თავიანთი" „სალიტერატურო ენა" (სულ სხვა თემაა კუთხური ქართველური ენობრივი ერთეულების – დიდი ქართველური მემკვიდრეობის გადარჩენა-შენარჩუნებაზე ზრუნვა; ამის შესახებ იხ. ქვემოთ)[18].



არსებითია კიდევ ერთი გარემოება:

საქართველოს ამჟამინდელ (2018 წ.) სასკოლო წიგნებშიც და ეთნიკურ უმცირესობათათვის განსაზღვრულ სახელმძღვანელოებშიც ქართველური ენობრივი სამყარო ჯერ კიდევ **ოთხი ქართველური ენის იდეოლოგემაზე** ორიენტირებული კვაზიმეცნიერული თეორიით ისწავლება.

[15] http://bit.ly/2JVzvfc

[16] http://bit.ly/2TGd9Oy (დამოწმება: 25.09.2018); http://bit.ly/2Ouc37G (დამოწმება: 05.01.2019); http://bit.ly/2uynn9E (დამოწმება: 05.01.2019).

[17] მე-19 საუკუნის ბოლოს სვანური და მეგრული ანბანების შექმნის მცდელობის შესახებ იხ.: თ. გვანცელაძე, ენისა და დიალექტის საკითხი ქართველოლოგიაში, თბ., 2006, გვ. 38, 93, 121, 126, 146.

[18] ვრცლად იხ. ტ. ფუტკარაძე, სვანები: საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები; კრებული: „სვანეთი – ქართული კულტურის სავანე", ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის დაბადებიდან 75-ე და აღსაყდრებიდან 30-ე წლისთავს; თბ., 2008, 141-152.



ანზორ ღოღთაქიფანიძე

რუსთველოლოგიური საკითხები – რას ნიშნავს „ერთარსება?“

შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“ ზეგენიალური ზოგადსაკაცობრიო ქმნილება და სამყაროსავით უკიდეგანო სიბრძნის ზღვაა ადამიანური ყოფიერებისა. რა ბედნიერი ერი ვართ ქართველები, რომ გვყავს შოთა რუსთველი და გვაქვს მის მიერ შექმნილი უბადლო განძი – პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც არამარტო შეუდარებელი მხატვრული თხზულებაა, არამედ ასევე შეუდარებელი მეცნიერულ-ასტრონომიული ნაწარმოებიც და თეოლოგიური მოძღვრებაც!

ამ წერილში განვიხილავ „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთ მეტაფორულ შესიტყვებას – „ერთარსებისა ერთისა“, რომელიც რუსთველოლოგების მიერ შინაარსობრივად მთლად სწორად არაა განმარტებული. პროფესორ ნოდარ ნათაძის 2017 წლის „ვეფხისტყაოსნის“ სასკოლო გამოცემის ტექსტის კომენტარში ვკითხულობთ: „გამოთქმაში „ერთარსებისა ერთი“ (იგულისხმება: ღმერთი) შეერთებულია ნეოპლატონური და ქრისტიანული ტერმინოლოგია: „ერთი“ ღვთაების ნეოპლატონური სახელია: „ერთარსება“ ქრისტიანული ცნებაა, რომელიც აღნიშნავს სამების შემადგენელი სამი „თვისების“ ანუ „გვამოვნების“ (მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სული წმინდა) ერთარსებას არსების მიხედვით. აქ ეს სიტყვა გამოყენებულია როგორც ზედსართავი. იგი განსაზღვრავს სიტყვას „ერთისა“.

რაც შეეხება ამ 845-ე სტროფის ამავე წიგნის სიტყვისეულ სასქოლიო-კომენტარს, რომელიც თან ახლავს ყოველ ქვეთავს, იქ მოკლედ აღნიშნულია (გვ. 252): „ერთარსებისა ერთისა, იგულისხმება ღმერთისა“. ასევეა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული საყმაწვილო ბიბლიოთეკის მიერ გამომცემლობა „ანბანის“ 2011 წლის ორ ნაწილად (XIX და XX) ყველა თაობისათვის გამოცემაშიც: „მზიანი ღამე, ერთარსება ერთი, უჟამო ჟამი – ღმერთის განსაზღვრებები“.

ახლა მოვიტან „ვეფხისტყაოსნის“ ამ 845-ე სტროფს და შევუდგები განხილვას:

„იტყვის: ჰე მზეო, ვინ ხატად გთქვეს მზიანისა ღამისად,
ერთარსებისა ერთისა, მის უჟამოსა ჟამისად,
ვის გმორჩილებენ ციერნი ერთის იოტის წამისად,
ბედსა ნუ მიქცევ, მიაჯე, შეყრამდის ჩემად და მისად!“

პირველი და მეორე სტრიქონები ამ სტროფისა, როგორც მითითებულია ტექსტის კომენტარების ავტორის თამაზ ვასაძის მიერ, ყოვლისშემქმნელი ღმერთის ანუ გამჩენი ღმერთის (ე. ი. სამყაროსა და სიცოცხლის გამჩენი ღმერთის) განსაზღვრებებია. მომაქვს ამ სტოფის სრული კომენტარები „ვეფხისტყაოსნის“ 2017 წლის სასკოლო გამოცემიდან, რომლის კომენტარი პროფ. ნოდარ ნათაძეს ეკუთვნის და, ჩემი აზრით, მართლაც საუკეთესოა: „845, ა. იტყვის – ამბობს, ხატად – სახედ, მსგა-

ვსად, მატერიალურ განსახიერებად. გთქვეს – გცნეს, გაღიარეს, მიგიჩნიეს. მზიანისა ღამისად იგულისხმება: ღმრთისად. ბ. ერთარსებისა ერთისა. იგულისხმება: ღმერთისა. მის უჟამოსი, უდროოსი, დროზე მაღლა დგომისა (იგულისხმება ღმერთისა). ჟამისად – ჟამისთვის, ჟამის წინაშე ანუ დროში არსებული სამყაროს წინაშე. გ. გმორჩილებენ – გემორჩილებიან, ციერნი. იგულისხმება: ციური სხეულები. ერთის იოტის წამისად. აზრია: წამის სიზუსტით, ზედმიწევნით, სავსებით. დ. მიქცევ – შემიცვლი. მიაჯე – შემივედრე! ჩემი ხვეწნა, აჯა აასრულე! შეყრამდის ჩემად და მისად – ჩემი და იმის (თინათინის) შეხვედრამდის“.

რა თქმა უნდა, ცნობილი ქართველი რუსთველოლოგ-ტექსტოლოგის ლექსიკური კომენტარი შინაარსობრივად, ცხადია, მართებულია და ზუსტი, მაგრამ მაინც შოთა რუსთველის გამოთქმა „ერთარსებისა ერთისა“ მთლად ისე არ გაიაზრება, როგორც ეს მას აქვს კომენტირებული, თუმცა მისი განმარტება, რომ ამ შემთხვევაში ღმერთი იგულისხმება – ეს სადავო არ არის.

მართალია, როგორც მითითებულია, გამოთქმები „მზიანი ღამე“, ერთარსებისა ერთისა“, „უჟამო ჟამი“ – ესენი ყოვლისშემქმნელი ღმერთის ეპითეტები ანუ წოდებებია და როგორც აღვნიშნე სიტყვათა და გამოთქმათა კომენტარში მართებულად აღნიშნულია, რომ ისინი ღმერთს მიემართებიან და აღნიშნავენ, მაგრამ შინაარსობრივი ეტიმოლოგია მთლად სწორად და გამოწვლილად არაა კომენტირებული – არც გამოთქმა „მზიანი ღამე“, „უჟამო ჟამი“ და მითუმეტეს არც „ერთარსება ერთისა“. უფრო სწორად, არ არის ახსნილი თუ რატომ უწოდებს ყოვლისშემქმნელ ღმერთს ჩვენი ზეგენიალური პოეტი „მზიან ღამეს“, როცა მის ხატად მზეს მიიჩნევს და მზე კი დღისით გვინათებს და ბევრ ენაში (მაგალითად: თურქულში მზისა და დღის აღმნიშვნელი სიტყვა ერთი და იგივე „გიუნ“ არის) მზე და დღე ერთი და იმავე სიტყვით აღინიშნება.

ჩემი აზრით, „მზიანი ღამე“ იმიტომ უწოდა ყოვლისშემქმნელ ღმერთს რუსთველმა, რომ ღმერთი თვალით უხილავი სინათლის წყაროა და ქართული სიტყვა ყოვლისშემქმნელი ღმერთისა და საერთოდ ღმერთისა (მხედველობაში მაქვს ქრისტიანული სამება – მამა ღმერთი, ძე ღმერთი ანუ ღმერთკაცი ქრისტე და სული წმინდა) სინათლეს მიემართება: ღმ-ერ-თ-ი ხომ იმ ღიმ||ღმ ფუძეძირით არის წარმოებული, რომელიც გამოიყოფა სიტყვებში ღიმ-ილ-ი||ღიმ-ი, ღუ-ებ-ა, ღვ-ივ-ებ-ა, ღუმ-ელ-ი, ღვ-თ-ა-ებ-ა, ღ-ამ-ე და სხვა (სიტყვაში ღ-ამ-ე იმიტომ გამოიყოფა ღ ფერად სინათლის ძირი, რომ ცაზე ვარსკვლავები ღამით ღვივიან ანუ მოჩანან, რადგან დღისით მზის სინათლეზე მათ ვერ ვხედავთ). ასე რომ, სიტყვები ღმერთი და ღვთაება შინაარსობრივად ანუ ეტიმოლოგიურად ფერად სინათლეს მიემართებიან და ამ ფერადი სინათლის წყარო მზეა. აქ ერთი რამ უნდა ითქვას: ფერი ანუ ფერადი სინათლე გაუმჭვირვალეა და თვითონ ფერ-ი მომდინარეობს საწყისისაგან ფარ-ვა, (შდრ.: ფარ-ი, ფარ-დ-ა...). ცა ანუ სივრცე გამჭვირვალეა და არა ფერადი, თორემ ფერადი რომ იყოს, ვერაფერს დავინახავთ, რადგან ფერი გაუმჭვირვალეა, ჰაერი პრაქტიკულად გამჭვირვალე და უფეროა. ფერადი რომ იყოს, ვერაფერს დავინახავდით. ცისატრყელას იმიტომ ვხედავთ, რომ ის შვიდი ძირითადი სპექტრის ფერებით ანუ ფერადებით მოჩანს, თორემ ძირითადი ფერების იმდენნაირი ფერებით არსებობს მატერიალური საგნები (როგორც ბუნებრივი, ან ხელოვნური ნივთ-საგნებით), რომელთა ნაირგვარობამ შოთა რუსთველს ათქმევინა: ღმერთმა „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“.

მაშასადამე, ღმერთის ეპითეტი „მზიანი ღამე“ ღმერთის ხატად იმიტომ აქვს წარმოსახული რუსთველს, რომ ღმერთი უხილავია საერთოდ და ღამით მზეც უხილავია. მართალია, დედამიწის თანამგზავრ მთვარის საშუალებით, რომელიც მზის სინათლეს ირეკლავს სავსე მთვარეობისას და ამიტომ მეტაფორულად მთვარეს „მზის სარკე“ შეიძლება ვუწოდოთ დედამიწაზე სავსემთვარეობისას და მოქცევა-მიქცევის ნახევარმთვარეობის ფაზებშიც ნაწილობრივ „მზიანი ღამეები“ დგება.

რაც შეეხება ყოვლისშემქმნელი ღმერთის რუსთველისეულ მეტაფორას „უჟამო ჟამი:“, ის იმიტომ არის ღმერთის ეპითეტი, რომ ღმერთი დროზე მაღლა დგას და მისი არსებობა დროით არ განისაზღვრება! ის როგორც სამყაროსა და ჩვენი დედამიწის შემქმნელი სასიცოცხლო პირობებითა და როგორც შოთა რუსთველი მიმართავს („ჰე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა“) „უჟამო ჟამია“ ანუ მარადიული ერთარსებაა. აქ უჟამო ჟამი ისე კი არ უნდა გავიგოთ, როგორც ვგულისხმობთ ხოლმე ქართველები გამოთქმაში უ-დრო-ო („უდროო დრო“), არამედ როგორც დროით განუსაზღვრელი დრო. ამიტომ, მართალია, პროფ. ნოდარ ნათაძის განმარტებანი „უდროოსი“ ღმერთის მიმართებით ასე უნდა გავიგოთ, რამეთუ დრო და საათი კაცობრიობის შექმნილია და ამდენად განუსაზღვრელი ანუ მარადიული დროის დაყოფა განსაზღვრული დროით – წამით, წუთით, საათით, თვედ, წლად... კაცობრიობის შემეცნებით მიიღწევა! წლევანდელ 2019 წლის „საოჯახო კალენდარში“ იკითხება, რომ „დღე-ღამის 24 საათად დაყოფა ბაბილონელებმა შემოიღეს VII საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე“. ასე რომ, ყოვლისშემქმნელი ღმერთი ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, იგი ხომ მარადიული და ყოვლისშემქმნელი უკვდავი არსებაა ჩვენგან განსხვავებით, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ სიცოცხლეს! ამიტომაც იწყებს ჩვენი შოთა რუსთველი თავის უკვდავ პოემას ყოვლისშემქმნელი ღმერთისადმი მიძღვნილი პირველი ორი სტროფის აჯათი ანუ ვედრებით!

დასასრულს „უჟამო ჟამის“ ღმერთის წოდების განმარტებისას უნდა დავსძინო, რომ ამ გამოთქმაში იგულისხმება მხოლოდ ერთადერთი სიცოცხლის შემქმნელი ღმერთი და ის შოთა რუსთველის გაგებით ყველა ხალხისთვის ერთადერთი და უნივერსალური ერთარსება ღმერთია, რომელიც არცერთი ხალხის რელიგიურ მოძღვრებასა და ღმერთის სახელდებას არ ექვემდებარება: არც იუდაურ იაჰვეს, არც ქრისტიანულ მამა ღმერთს, არც მაჰმადიანურ ალაჰს და არც ბუდისტურ ბუდას. ეს ერთარსება ერთი ღმერთი რუსთველისეული შემეცნებით იმიტომაა უნივერსალური ყველა ხალხისათვის დედამიწაზე, რომ ისაა სამყაროსა და დედამიწის შემოქმედი და სიცოცხლის ჩამსახველი დედამიწაზე. „ვეფხისტყაოსნის“ ქვეთავში „ლოცვა ავთანდილისა“ ვკითხულობთ: „ილოცავს, იტყვის: „მაღალო, ღმერთო ხმელთა და ცათაო, ზოგჯერ მომცემო პატიჟთა (ტანჯვათა – ა. ლ.), ზოგჯერ კეთილთა მზათაო, უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო“... ამის მომდევნო სტროფში იკითხება:

„ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესა!
შენ დამბადე მიჯნურობა, შენ აწესებ მისსა წესსა,
მე სოფელმან მომაშორვა უკეთესსა ჩემსა მზესა;
ნუ აღმოფხვრი სიყვარულსა, მისგან ჩემთვის დანათესსა!

სანამ „ვეფხისტყაოსნის“ ამ ორი სტროფის (819-ე და 820-ე, 2017 წ.) ღმერთის საკითხს შეეხები შოთა რუსთველის აღქმით, მანამდე 820-ე სტროფის ტექსტის გასწორება მოგვიხდება, რადგან ამ სტროფის პირველი სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: „ღმერთო, ღმერთო, გეაჯები, რომელი ჰფლობ ქვენათ ზესსა“ და არა „ზესა“. ამ სტრიქონში სარითმო სიტყვაა „ზეს-ი“ და არა ზე თანდებული, რომელიც უბრუნველი სიტყვაა, ხოლო ზეს-ი კი იბრუნება და მიცემით ბრუნვაში გვექნება ზეს-სა. ასევე უნდა გასწორდეს მესამე სტრიქონიც ასე: „მე სოფელმან მომაშორვა ჩემსა მზესა უკეთესსა“ და აღდგება შოთა რუსთველის რითმათა ეგრეთწოდებული კლაუზულა, რომელიც ოთხივე სტრიქონის მიხედვით არის „ესსა“ და არა „ესა“: 1. ზ-ესსა, 2. წ-ესსა, 3. უკეთ-ესსა, 4. დანათ-ესსა. როგორც ჩანს, გადამწერების მიერ (ჩვენამდე მოღწეული უძველესი „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერი 1646 წლისაა) ნებსით თუ უნებლიედ მახინჯდებოდა საუკუნეთა განმავლობაში რუსთველისეული „ვეფხისტყაოსნის“ დედანი!

ამ ორი სტროფის მიხედვით შოთა რუსთველის „ერთარსება ერთი“ ღმერთი, რომელიც ფლობს „ქვენათა ზესსა“ ანუ „ხმელეთსა და ცას“ არის „უცნაური და უთქმელი“. ე. ი. მას სახელი არ აქვს და ადამიანთაგან შეუცნობადია. აი, ამ ღმერთს ლოცულობენ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და არა რომელიმე მონოთეისტური რელიგიით სახელდებულ ღმერთს. 1259-ე სტროფში იკითხება: „გულითა ღმერთსა ადიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი, თქვა: ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭირთა მომალხენელი, ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი, წყალობა შენი იჩქითად არს ჩვენი გარმომფენელი!“

მაშასადამე, ავთანდილი, მიუხედავად იმისა, რომ იგი რუსთველის მიერ ფორმალურად ეროვნებით არაბია და არაბები მაჰმადიანური რელიგიის აღმსარებლები არიან (ისე რუსთველოლოგების მიერ აღიარებულია, რომ შოთა რუსთველის თანადროული თამარ მეფის საქართველოა დახატული არაბეთისა და ინდოეთის სახით და ასევე თინათინი და ნესტანი თამარ ბაგრატიონის პროტოტიპები არიან), ავთანდილი ერთხელაც არ ახსენებს მაჰმადიანების ღმერთს ალაჰს. მისი თქმით „ერთარსება ერთი“ ღმერთი არის არა მარტო „უცნაური და უთქმელი“ ანუ „შეუცნობადი და ენით გამოუთქმელი“, რომელიც „მარადიული“ და უკვდავი არსებაა. ანუ „ყოფილი, მყოფი“ ყველა დროში და ადამიანთაგან „უთქმელი“ და „ყურთაგან მოუსმენელი“. „უთქმელი“ და „ყურთაგან მოუსმენელი“ ისე უნდა გავიგოთ, რომ მისი სახელი არ ითქმის, მას ფიზიკურად ვერ დავინახავთ და ვერ ვესაუბრებით, როგორც ქრისტიანული რელიგიის შემქმნელ კაცღმერთ იესო ქრისტეს, რომელიც ღვთისმშობელმა დედამ, ებრაელმა ქალმა, წმინდა მარიამმა შვა ბეთლემში ღვთაებრივი ჩასახვით და ჯვარზე აცვეს რომაელებმა, როგორც ახალი რელიგიური მოძღვრების შემოქმედი, რომლის რელიგიური სიმბოლო ჯვარია, ჯვარი კი ადამიანის სქემატური სიმბოლოა და ამას არა მარტო ლათინური ჯვარი ადასტურებს, არამედ განსაკუთრებით ეგვიპტური ჯვარი, რომელიც იმით განსხვავდება 6 ჯვრის სახეობის დანარჩენი 5 ჯვრისგან, რომ განმკვლავების ზემოთა მკლავი მრგვალი სფეროა და არა ჩვეულებრივი მოკლე მკლავი, როგორც ეგრეთწოდებულ ლათინურ ჯვარშია. ე. ი. სფერო ადამიანის სიმბოლური თავია!

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარი არა მარტო ადამიანის სქემატური სიმბოლოა (ჯვარის ოთხი მკლავიდან ზედა მკლავი და განმკლავები თუ თავსა და მხარ-მკლავს ანუ ხელებს გამოხატავს სიმბოლურად, ქვედა მკლავი – ადამიანის ტანს), არამედ ცისა და მიწის, კაცისა და ქალის სიმბოლურ წყვილსაც. ცისა და მიწის სიმბოლური ნიშანია ვერტიკალური და განივი მკლავები და მათგან თუ ვერტიკალური ჯოხი თუ მკლავები მზის სიმბოლოს წარმოადგენენ, განივი ჯოხი ანუ მკლავები დედამიწისას. რაც შეეხება ხუთჯვრიან ჯვარს, ის, ცხადია აშკარად დედამიწისა და მზის ანუ დედამიწისა და ცის ერთობის სიმბოლოს წარმოადგენს, რომელიც ჩვენი დროშის გერბია! დიდი ჯვარი დედამიწას გამოხატავს სიმბოლურად, ხოლო მართკუთხოვანი ნაწილების 4 პატარა ჯვარი – დედამიწის 4 მხარეს: აღმოსავლეთს, სამხრეთს, დასავლეთსა და ჩრდილოეთს, ოღონდ მზის წრიული ვიზუალური მარიოტას მიხედვით, რომლის მიხედვით აღმოსავლეთი მარჯვენაა და ეტიმოლოგიურად „მზე-ზედას“ ნიშნავს, სა-მ-ხრ-ეთ-ი „სამხურვალეს“, რადგან ზენიტში მზე მხურვალეა, დასავლეთი მარცხენაზე მიგვითითებს და ეტიმოლოგიურად მარ-ცხ-ენ-ა „მზის საჯდომს“ ნიშნავს (მარე მზეს ნიშნავს და აქედანაა მარა-დ, მარადის... ცხ||სხ „საჯდომს“ ანუ „ცხედარს“. ცხედარი ძველ ქართულში „საწოლს“ აღნიშნავდა და აქედანაა წარმოებული ცოლ-ქმრის მიმართ „თანა-მეცხედრე“ ანუ „თანამესაწოლე“.

დასასრულს აღნიშნავ, რომ შოთა რუსთველის ეპითეტი ღმერთისა – „ერთარსებისა ერთისა“ – ნიშნავს არა ქრისტიანული რელიგიის მიერ ღმერთის სამსახოვნების ერთობას (მამა ღმერთი, ძე ღმერთი – ქრისტე, სული წმინდა), არამედ ყოვლისშემქმნელი ღმერთის ერთადერთ „ერთარსებო-

ბას!“ შოთა რუსთველი, როგორც აღნიშნავდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე, „მკაცრი მონოთეისტი“ იყო თავისი რელიგიური მრწამსითა და მოძღვრებით. ეს ცხადად დასტურდება „ვეფხისტყაოსნით.“ სწორედ ამიტომ თვითონ შოთა რუსთველი ამ ერთადერთ სამყაროსა და სიცოცხლის გამჩენ ღმერთს ევედრება და ავედრებს თავისი პოემის პერსონაჟებს. რაკი ეს ყოვლისშემქმნელი ღმერთი მარადიული და დროით განუსაზღვრელი მამა ღმერთია და მას ქართველები „მამაზეციერს“ ვუწოდებთ, იგი ერთარსებაა და არა ორარსება როგორც ქრისტიანული რელიგიის შემქნელი იესო ქრისტე, რომელიც დაიბადა როგორც კაცღმერთი!

იესო ქრისტე, ქრისტიანული რელიგიის შემქმნელი კაცღმერთი, რეალურად არსებობა და იგი მარიამ ღვთისმშობელმა შვა. 25 დეკემბერი ქრისტეშობის დღესასწაულია ძველი წელთაღრიცხვის სტილით, ხოლო ჩვენ, ქართველი მართლმადიდებელი, ქრისტეშობას ამჟამად ვდღესასწაულობთ 7 იანვარს. კათოლიკეები კი ძველებურად 25 დეკემბერს. ქრისტეშობიდან იწყება ახალი წელთაღრიცხვა და წელს 2019 წელია ქრისტესმიერი წელთაღრიცხვით, რომელსაც დედამიწის უმრავლესი მოსახლეობა იყენებს! იესო ქრისტე – როგორც კაცღმერთი ანუ ძე ღმერთი მსოფლიოში ერთ-ერთი მონოთეისტური რელიგიის შემქმნელი – თითქმის ორიათასწლოვან ისტორიულ წლებს ითვლის ქართულ მართლმადიდებლობაში, ვინაიდან ქრისტიანული მოძღვრება ქრისტეს ერთ-ერთმა მოწაფემ ანდრია მოციქულმა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და კერძოდ დიდაჭარაში პირველ საუკუნეს იქადაგა, ხოლო წმინდა ნინომ IV საუკუნეში საქართველო თითქმის მთლიანად გააქრისტიანა! ქრისტე ღმერთი როგორც ჯვარცმული ღმერთი კაცობრიობის ცოდვებისათვის გამოსასყიდად იმთავითვე იქცა ქართული მწერლობისა პოეზიის მხატვრულ კუმირად და მას ასე უმღერის მე-10 საუკუნის პოეტი მიქელ მოდრეკილი:

„გვწამს მორწმუნეთა ერთი ქრისტე ძე მხოლოჲ,
დაუსაბამოჲ, ორითა ბუნებითა,
ღმერთი და კაცი, უკუდავი და მოკუდავი,
რომელი მოკუდა ხორცითა და დღეს აღდგა
უძლეველითა ღმრთეებისა ძალითა“.

რაც შეეხება შოთა რუსთველის „ერთარსება ერთი“ ღმერთის მცნებას, იგი როგორც „მზიანი ღამე“ და „უჟამო ჟამი“ ყოველთვის არსებობდა და ყოველთვის იარსებებს, როგორც სამყაროსა სიცოცხლის შემქმნელი ღმერთი. რადგანაც იგი არვისგან არ არის შექმნილი და დაბადებული. ამიტომ იგი ერთარსებაა როგორც მამაზეციერი. ჩვენ, ადამიანები კი, ორარსება ვართ მამითა და დედით დაბადებული და თვითონ კაცღმერთი ქრისტეც!

ᲛᲐᲘᲐ
ᲯᲐᲤᲐᲠᲘᲫᲔ

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ, ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ-ᲚᲐᲑᲨᲭᲠᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲠᲒᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲥᲡᲞᲔᲓᲘᲪᲘᲐ

მოსწავლის სწავლა-განათლების უმთავრესი მამოძრავებელი ძალაა სკოლა. ის მას აძლევს ზოგად განათლებას და ამზადებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში საკუთარი ადგილისა და შესაძლებლობების დამკვიდრებისათვის. საგაკვეთილო პროცესის სრულად ათვისებას, მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას სხვა დამხმარე პრაქტიკულ უნარ-ჩვევებთან ერთად, ხელს უწყობს მიზნობრივი ექსკურსიები, ექსკურსია-ლაშქრობები და დარგობრივი ექსპედიციები.

მოსწავლეს ადრეული ასაკიდან უნდა გავაცნობიერებინოთ ექსკურიის არსი, დანიშნულება და მისი შედეგები.

დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია კლასგარეშე აქტივობები. მისთვის მხოლოდ საგაკვეთილო პროცესი არ უნდა იყოს სკოლა. თემატურ მასალაზე დაყრდნობით პედაგოგებს შეუძლიათ ბავშვები ადრიდანვე მიაჩვიონ ექსკურსიებს. მაგალითად, ქართული ენისა და ლიტერატულის პედაგოგი როდესაც ხსნის ზღაპრებს, შეუძლია მოსწავლეები წაიყვანოს თოჯინების თეატრში და აჩვენოს რომელიმე ზღაპრის თეატრალური დადგმა. ბუნების მასწავლებელს შეუძლია გაკვეთილი ჩაატაროს სკოლასთან ახლო მდებარე ბულვარსა ან პარკში, სკვერში, ზღვის სანაპიროზე (რა თქმა უნდა, ამინდისა და სეზონის გათვალისწინებით).

ექსკურსია ქაოსად რომ არ იქცეს, სასურველია პედაგოგს დაეხმაროს რამდენიმე მშობელი, და არა მთელი კლასის, რომლებიც მას დაეხმარებიან საორგანიზაციო საკითხებში.

ყველა ასაკობრივი ჯგუფის ექსკურსიისთვის უმთავრესია მოსწავლეები წინასწარ მოემზადონ. ამისათვის პედაგოგმა სწორად უნდა შეარჩიოს საექსკურსიო ადგილი, დროულად მიაწოდოს ნაწილობრივი ინფორმაცია მოსწავლეებს ექსკურსიის დროს დასათვალიერებელი ადგილის მნიშვნელობაზე. ინფორმაციის ნაწილის მოძიება კი მოსწავლეებს უნდა დაავალოს, რათა მათ იგრძნონ საკუთარი პასუხისმგებლობა დაკისრებული საკითხისადმი. შემდეგ ერთობლივად უნდა შეაჯერონ და განიხილონ შესწავლილი საკითხი.

პედაგოგმა მოსწავლეებთან ერთად წინასწარ უნდა შეიმუშაოს ექსკურსიის დროს ქცევის წესები. უნდა აუხსნას ბავშვებს როგორი მნიშვნელობა აქვს ამ დროს ჯგუფის ერთიანობას, რომ ასეთ

შემთხვევებში ხდება მათი დამეგობრება და საერთო ღირებულებების ჩამოყალიბება, მეგობრის გვერდში დგომა. მოსწავლეებს ექსკურსიის დროს უვითარდებათ მოსმენის კულტურა, ჯგუფური მუშაობის უნარ-ჩვევები, გარემოზე ზრუნვა და საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნება.

ესკურსია-ლაშქრობა მხოლოდ გართობის საშუალებად რომ არ იქცეს, პედაგოგმა მოსწავლეებს წინასწარ უნდა დაავალოს ექსკურსიის შემდგომ შთაბეჭდილებების დაწერა, რაც სავალდებულო უნდა იყოს თითოეული მონაწილისათვის. ასევე აუცილებელია ექსკურსიის დროს ფოტო-ვიდეო მასალის გადაღება. შემდგომ კი სწორად დახარისხება და შენახვა.

ფოტო-ვიდეო გადაღებისას გაითვალისწინეთ შემდეგი რჩევები: კადრში თანაბრად უნდა ჩანდეს ექსკურსია-ლაშქრობის ყველა მონაწილე ისე, რომ ცნობადი იყოს მათი აღქმა. ყურადღება გაამახვილეთ თქვენთვის საჭირო ადგილის გადაღებისას – ჩანდეს საუკეთესო მხრით. შენახული მასალა გამოგადგებათ შემდგომი პრეზენტაციებისათვის.

ექსკურსია-ლაშქრობა თუ ეძღვნება კონკრეტულ პიროვნებას, წინასწარ უნდა შეისწავლოთ მისი შემოქმედება, ბიოგრაფია, მოღვაწეობის ეპოქა. სასურველია ექსკურსიის დროს ჩაატაროთ მცირე თემატური ღონისძიება, რაც მოსწავლეებს აძლევს საშუალებას უკეთ აითვისონ და გაითავისონ შესასწავლი მასალა.

განასხვავეთ ექსკურსია ექსკურსია-ლაშქრობისაგან. ექსკურსია-ლაშქრობის დროს აუცილებელია საფეხმავლო მარშრუტების დაგეგმვა, სასურველი ადგილის დალაშქრვა. ამ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სწორად სიარულსა და სწორად სუნთქვას. სიარულის დროს ნუ აჩქარდებით, იარეთ მშვიდად და წყნარად, ერთ რიგში. არ დატოვოთ უყურადღებოდ ჯგუფის წევრი. ექსკურსია-ლაშქრობის დროს ერთი ხელმძღვანელი აუცილებლად წინ უნდა მიუძღოდეს ჯგუფს, მეორე კი ყველაზე ბოლო უნდა იყოს. ჯგუფის ხელმძღვანელის წინ არ გაუშვათ ბავშვები. თქვენ მუდამ უნდა აკონტროლოთ მოსწავლეთა გადაადგილების არეალი. დაიცვათ ისინი მოსალოდნელი საფრთხეებისაგან, სწორად შეარჩიეთ საფეხმავლო ადგილი. საჭიროების შემთხვევაში დაიხმარეთ სპეციალური პროფესიის ადამიანები.

მოაწყვეთ დარგობრივი სასწავლო-შემეცნებითი ექსპედიციები. წინასწარ შეარჩიეთ საექსპედიციო ადგილი და თემატიკა. სასურველია რამდენიმე მიმართულების პედაგოგთა და მოსწავლეთა გჯუფის გაერთიანება. ექსპედიციის დაწყებამდე შეიმუშავეთ სამოქმედო გეგმა. მოსწავლეები დაყავით ჯგუფებად; თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელად შეურჩიეთ შესაბამისი სპეციალობის პედაგოგი. ექსპედიციის წევრებს ასწავლეთ რესპოდენტებთან სწორად მუშაობა, ერთობლივად შეადგინეთ კითხვარი. მუშაობის დროს მოძიებული მასალა, ეს იქნება ტექსტური, ფოტო თუ ვიდეო ინფორმაცია, დღის ბოლოს დაამუშავეთ და შეაჯამეთ. ექსპედიციის დასრულების დროს ანგარიში მზად გექნებათ, უკეთ მოემზადებით მოძიებული ინფორმაციით ახალი პროექტებისათვის, პრეზენტაციებისათვის და კონფერენციებისათვის.

მოსწავლეთა ზრდასთან ერთად იზდრება საექსკურსიო არეალიც. მათ მეტი შესაძლებლობები ეძლევათ.

საექსკურსიო ადგილის შერჩევისას მკაცრად გასათვალისწინებელია ასაკობრივი ზღვარი. 10-12 წლამდე ბავშვებისათვის არ არის რეკომენრიდებული ქალაქგარეთ ან სოფლისგარეთ ექსკურსიის დაგეგმვა. 12-14 წლის მოსწავლეებისათვის დასაშვებია ერთ დღიანი ექსკურსია-ლაშქრობის მოწყობა, ტრანსპორტის გამოყენებით. 14-16 წლის მოსწავლეებს კი თავისუფლად შეუძლიათ მოაწყონ რამდენიმე დღიანი ექსკურისა-ლაშქრობა; დარგობრივი სასწავლო-შემეცნებითი ექსპედიცია.

მგზავრობის დროს გასათვალისწინებელი რჩევები:

1. წინასწარ შეთანხმდით კვების რაციონზე. უკეთესია შეუკვეთოთ საკვების მომზადება. გაითვალისწინეთ სეზონური თავისებურებებიც.

2. ტრანსპორტში კვება სასტიკად აკრძალულია. სხვადასხვა სპეციფიკური არომატი ყველა ადამიანზე ინდივიდუალურად მოქმედებს, ასევე არა ჰიგიენურია კვება ტრანსპორტირების დროს.

3. კვებისთვის შეარჩიეთ ისეთი ადგილი, სადაც იქნება შესაბამისი ინფრასტრუქტურა და სველი წერტილები.

4. მიაქციეთ ყურადღება, თუ ექსკურსია-ლაშქრობის რომელიმე წევრი განსაკუთრებულ კვებაზეა, გაითვალისწინეთ მისი მდგომარეობა კვების რაციონის შერჩევისას.

5. კვების შემგდომ, აუცილებლად ერთობლივად მოაწესრიგეთ კვებისთვის შერჩეული ადგილი. სწორად გაანაწილეთ დავალებები: მაგიდის საკვებისგან განთავისუფლება, დარჩენილი პროდუქტის სწორად დახარისხება-შენახვა; ნარჩენების ალაგება და სანაგვე ყუთში მოთავსება. არ დაგავიწყდეთ კვების ობიექტის მფლობელისთვის მადლობის გადახდა.

6. წინასწარ შეარჩიეთ ექსკურსია-ლაშქრობისას თქვენთვის სასურველი მუსიკალური რეპერტუარი, რომლის მოსმენაც გსურთ.

7. გაუფრთხილდით ტექნოლოგიურ საშუალებებს, ისინი მუდამ თქვენს გევრდით უნდა იყოს და აღბეჭდოს თქვენთვის სასურველი კადრი.

8. პატივი ეცით ერთმანეთის აზრს და გაითვალიწინეთ უფროსების რჩევები.

9. მიაქციეთ ყურადღება სად იმყოფებით და შესაბამისი გარემოსთვის დამახასიათებელ ტრადიციებს ეცით პატივი.

10. ექსკურსია-ლაშრობის ყველა მონაწილე ვალდებულია იქონიოს საკუთარი ერთჯერადი ჭიქა, სასმელი წყალი და ნარჩენების მოსათავსებელი პარკი.

11. წინასწარ დაიჭირეთ თადარიგი მუზეუმის დასათვალიერებლად; გახსოვდეთ, რომ სასარგებლოა ექსკურსიამძღოლის დახმარება. წინასწარ შეაგროვეთ თანხა სამუზეუმო მომსახურებისათვის.

12. გამოიყენეთ თანამდროვე საშუალებები და წინასწარ დაუკავშირდით დასათვალიერებელი ადგილის წარმომადგენლობას. შეისწავლეთ მისი დღევანდელი მდგომარეობა, მიიღეთ სათანადო ინფორმაცია.

13. აუცილებლად გაითვალისწინეთ განათლების სამინისტროს რეკომენდაციები, რაც თავიდან აგაცილებთ მოულოდნელ საფრთხეებს.

14. განსაკუთრებული სიფრთხილით შეარჩიეთ ტრანსპორტი და მძღოლი. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება. ტრანსპორტი კი მუდამ გამართული უნდა იყოს.

15. ექსკურსია-ლაშქრობების დროს მოსწავლეებს მიეცით გართობის საშუალება, ჩაერთეთ მათ თამაშებში, მუდამ იყავით მათ გვერდით.

16. არ მისცეთ მოსწავლეებს ნება ხელმძღვანელის გარეშე შეიძინოს რაიმე ნივთი. გახსოვდეთ, თქვენ ხართ პასუხისმგებელი ექსკურსია-ლაშქრობის ყველა მონაწილის წინაშე.

უპირველესად შეისწავლეთ, დაათვალიერეთ და შეიგრძნეთ საკუთარი სამშობლოს ბუნება, კულტურულ-მატერიალური ძეგლები, ციხე-სიმაგრეები, ტაძრები, მონასტრები, მუზეუმები – მისი ყველა მიმართულებით, ეს იქნება მუზეუმი, სახლ-მუზეუმი, მუზეუმ-ნაკრძალი, ქალაქ-მუზეუმი თუ სხვა, რაც დაგეხმარებათ შეიგრძნოთ ეროვნული ღირებულებები და ფასეულობები. ნებისმიერი ექსკურსიისა თუ ექსკურსია-ლაშქრობისაგან მიიღეთ სიამოვნება და განეწყვეთ დადებითად.

დემეტრე ჩაღიგავა

„ზღვაური“ ულოცავს „ჭოროხს“



1. ბატონო სანდრო, გამარჯობა!

გილოცავთ ჟურნალ „ჭოროხის“ იუბილეს, ჩვენ აჭარის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ლიტერატურულ ალმანახ „ზღვაურს“ წარმოვადგენთ. გვიხარია, ჩვენი მშობლიური კუთხის სალიტერატურო, სამხატვრო და საზოგადოებრივი ჟურნალი 60 წლის რომ გახდა. გვაინტერესებს ჟურნალის დაარსების ისტორია, ის ადამიანები, რომლებიც მისი სათავეებთან იდგნენ.

უპირველესად, გულთბილი მადლობა ჟურნალ „ზღვაურს,“მოლოცვისთვის.

რაც შეეხება ჩვენი ჟურნალის ისტორიას:

„ჭოროხი“ სამართალმემკვიდრეა აჭარაში პირველი პერიოდული სალიტერატურო-სამხატვრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალის – „ლიტერატურული აჭარის“, რომლის პირველი ნომერი 1958 წლის გაზაფხულზე გამოვიდა. ჟურნალის დაარსებაში ლომის წილი იმჟამინდელ ქართულ ინტელიგენციას მიუძღვის.

იმხანად, აჭარაში ახალი ქართული ჟურნალის დაარსება და გამოსვლა დალოცეს გიორგი ლეონიძემ, იოსებ გრიშაშვილმა, დემნა შენგელაიამ, ვერიკო ანჯაფარიძემ, ლადო გუდიაშვილმა, გერონტი ქიქოძემ, ვახტანგ ჭელიძემ, გრიგოლ აბაშიძემ და სხვებმა.

1970 წელს ფრიდონ ხალვაშის ინიციატივითა და მწერლების მხარდაჭერით, „ლიტერატურულ აჭარას“ სახელი შეეცვალა და „ჭოროხი“ ეწოდა. ჭოროხი, მოგეხსენებათ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყველაზე დიდი მდინარეა, სათავეს იღებს ამჟამინდელ გადაღმა ანუ თურქეთის საქართველოდან და ჩამოედინება შავ ზღვაში. მომავალმა თაობამ რომ არ დაივიწყოს ჩვენი ბედკრული საქართველოს ისტორია და არ გაქრეს ქართველთა ცნობიერებიდან და მეხსიერებიდან ჩვენი, უცხოტომელების მიერ, დროებით მიტაცებული ტერიტორიის არსებობა, ამიტომაც გადაწყვიტეს მამების თაობის მწერლებმა, რომ აჭარაში გამომავალ სალიტერატურო ჟურნალს რქმეოდა ეს უკვდავი სახელი.

2. ჩვენ ვიცით, რომ ჟურნალის 60 წლიანი არსებობის ისტორიიდან თქვენ, პოეტი, პუბლიცისტი სანდრო ბერიძე – თითქმის მეოთხედი საუკუნეა, რაც მისი რედაქტორი ხართ, ვინ იყვნენ თქვენამდე რედაქტორები, მოკლედ, მათ შესახებ გვიამბეთ.

„ჭოროხის“ („ლიტერატურული აჭარის“) პირველი რედაქტორი 1958-1967 წლებში, ცნობილი ჟურნალისტი და პუბლიცისტი შოთა ქურიძე იყო. ბატონი შოთა ფრიად განსწავლული პიროვნება გახლდათ. შემდგომში გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ რედაქტორად გადავიდა და ათეული წლების განმავლობაში რედაქტორობდა გაზეთს.

ჭოროხს“ (ლიტერატურული აჭარას“) შოთა ქურიძის შემდეგ, 1967-1970 წლებში ცნობილი პოეტი ნანა გვარიშვილი რედაქტორობდა.

1970 წლიდან 1979 წლამდე ჟურნალს სათავეში ედგა კრიტიკოსი აკაკი შონია.

1979-1991 წლებში „ჭოროხს“ რედაქტორობდა ცნობილი მწერალი ალექსანდრე სამსონია.

1991 წლიდან 1995 წლამდე ჟურნალს ხელმძღვანელობდა პოეტი და კრიტიკოსი სოსო აბაშიძე.

1995 წლიდან კი დღემდე – თქვენი მონა-მორჩილი.

3. ჩამოთვლილ რედაქტორთაგან, რომელებმა დატოვეს განსაკუთრებული კვალი ჟურნალის განვითარების ისტორიაში, რა საინტერესო ამბებს გაიხსენებდით მათ შესახებ?

თუკი რეტროსპექტულად წარმოვიდგენთ „ჭოროხის“ განვლილ გზას, დავინახავთ, რომ მასში-გარკვეულწილად არეკლილია ქართველი კაცის ბუნების საინტერესო ჰარმონიულობა, ქართული სულის რხევა, ქართული სულის ზრდა. ჟურნალი „ჭოროხი“ დღეს რომ გამოდის თითოეული რედაქტორის დამსახურებაა. ყველა მათგანს დიდი წვლილი მიუძღვის ჟურნალისთვის აკადემიური სახის მიცემაში, მისი მასშტაბების გაზრდასა და გაფართოებაში.

4. თქვენ პოეტი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი ბრძანდებით, ძნელი არაა ეს ყველაფერი შეათავსოთ რედაქტორის ბასრ კალამთან? თქვენ, როგორც რედაქტორი სანდრო ბერიძე, რას ეტყოდით იმ პოეტ სანდრო ბერიძეს, რომელმაც ლექსები გამოსაცემად პირველად მიიტანა?

მე განსაკუთრებული მადლიერებით ვიგონებ ხოლმე ალექსანდრე სამსონიას. ბატონი ალი (ასე მიმართავდნენ მას მწერლები), იყო ის ადამიანი, რომელმაც პირველმა გამიკეთა დებიუტი და რამოდენიმე ლექსი დამიბეჭდა ჟურნალში. მაშინ ერთადერთი ჟურნალი იყო და არ იყო იოლი ახალგაზრდა ავტორის დაბეჭდვა. ალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ახალგაზრდობას. მე როგორც რედაქტორს, ბევრი რამ მასწავლა, მისმა გულთბილმა დამოკიდებულებამ ავტორებთან, განსაკუთრებით ახალგაზრდა ავტორებთან.

ავადმყოფობისას მე და ცნობილი პროზაიკოსი ანზორ კუდბა ვიყავით მასთან, როცა მოვდიოდით, კარებთან მომაძახა: სანდრო, დაიმახსოვრე, წერე ბევრი, რაც შეგიძლია, წერე, დანარჩენი ყოველივე არარაობა და ბლეფიაო.

5. ვინ იყვნენ თქვენი მშობლები და მათ რა გავლენა მოახდინეს თქვენზე?

მამა პედაგოგი იყო. დედა – დიასახლისი. მამაჩემს, მიუხედავად იმისა, რომ მას 1937 წელს მამა დაუხვრიტეს და დედა ადრე გარდაეცვალა, ობლობაში გაატარა ბავშვობა, კარგი განათლება ჰქონდა მიღებული და ძალიან დიდი ბიბლიოთეკის პატრონი გახლდათ, რამაც დიდი გავლენა იქონია ჩემზე, როგორც ლიტერატორზე და მწერალზე. მე თუ რაიმე ღირებული დამიწერია, ეს ყველაფერი მშობლების დამსახურებაა. მე ყოველთვის მკარნახობს ხოლმე შინაგანი, უჩინარი ხმა, დიდი ილიას ნათქვამს: „შვილმა უნდა იცოდეს, სად გაჩერდა მამა“...

6. როდის გააცნობიერეთ, რომ წერის „წერამ“ აგიტანათ? თქვენი პირველი ლექსები თუ გახსოვთ და რამ გააღვივა ლექსისკენ ლტოლვის წადილი?

მახსოვს, მეცხრე კლასში ვიყავი. სანიმუშო თუ არა, კარგი მოსწავლის „რანგში“ გავდიოდი. მიყვარდა ლიტერატურა, ბევრს ვკითხულობდი. ერთხელ, გაკვეთილზე, ჩემმა საყვარელმა მასწავლებელმა ქეთო საფარიძემ, ვაჟას ლექსი წაიკითხა, „ხარს ვგევარ ნაიალაღარს, რქით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ, ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე, ძილშიაც ამას ვდუდუნებ“, მე წამოვიძახე, მაგისთანა

ლექსს მეც დავწერ-მეთქი. აბა, ნუ დაგიწერია და ხვალ ნუ მოგიტანიაო, მომიგო ნიშნის მოგებით... მაშინ რა ვიცოდი, დიდ ვაჟას შეურაცხყოფა რომ მივაყენე... მთელი ღამე ვჯახირობდი, ვწვალობდი, დილით კი ასეთი ლექსი მივიტანე, „მახსოვს პატარა სკოლა, მწვანე ხეებს ქვეშ მდგარი, მიწვევდა სასწავლებლად, რეკდა პირველი ზარი“... ქეთო მასწავლებელმა აღარ დამტუქსა, მითხრა, კიდევ მომიტანე ახალი ლექსიო და... ეს იყო შემთხვევა, რამაც მიბიძგა პოეზიისაკენ.

7. თქვენი პირველი მკითხველები... პირველი პუბლიკაცია... პირველი სიხარული... პირველი კრიტიკა...

როგორც უკვე ზემოთ გიპასუხეთ, ჩემი პირველი დებიუტი ჟურნალ „ჭოროხში“ შედგა. ეს იყო უდიდესი სიხარული ჩემს ცხოვრებაში. შემდგომ კი ჟურნალ „ცისკარში“ დავიბეჭდე. გათამამებულმა, აჭარის მწერალთა ორგანიზაციაში მივიტანე ლექსები განსახილველად, წიგნის გამოცემას ვაპირებდი. განხილვაზე ერთადერთი, პოეტი ვახტანგ ღლონტი იყო ჩემი წარდგენილი ლექსების დადებითი შემფასებელი, დანარჩენებმა გამიცამტვერეს. განხილვის შემდეგ ქუჩაში რომ გამოვედი, განადგურებული ვიყავი, ასე მეგონა, ზეცა დამემხო თავზე-მეთქი... გავიდა დრო და დავრწმუნდი, რომ ბევრი უნდა მეკითხა და მეწერა. ასეც მოვიქეცი, პირველი წიგნი 34 წლისამ დავბეჭდე.

8. რა მიგაჩნიათ ჟურნალის რედაქტორის პოსტზე თქვენი ყველაზე დიდ წარმატებად?

მე მეამაყება რომ ჟურნალი „ჭოროხი“ ისევ გამოდის. ამას იმიტომ ვამბობ, რომ უკანასკნელ წლებში არაერთი ჟურნალი და გაზეთი დაიხურა, მათ შორის აღარ გამოდის დედო ჟურნალად წოდებული „მნათობი“. „ჭოროხსაც“ ჰქონდა ძნელი დღეები, წინა ხელისუფლება მწერალთა სახლის შენობის გაყიდვასაც კი აპირებდა, საბედნიეროდ ვერ მოასწრეს. შენობის შესანარჩუნებლად თავსაც კი არ ზოგავდნენ მწერლები, განსაკუთრებით აქტიურობდა აჭარის მწერალთა ორგანიზაციის თავმჯდომარე დავით თედორაძე, ცნობილი პოეტი ვახტანგ ღლონტი და სხვები... რედაქციის თანამშრომლებს გვახსოვს ათწლიანი სიცივე, გაჭირვება, უწყლობაც და უშუქობაც, მაგრამ მაინც არ ჩაგვიქნევია ხელი და ყველაფერს ვაკეთებდით, რათა ჟურნალი არ „მომკვდარიყო“.

9. გყავთ მწერლობაში გამორჩეული და საყვარელი პოეტი, პროზაიკოსი, კრიტიკოსი, პუბლიცისტი და მთარგმნელი?

ათასხუთასწლოვან ქართულ ქრისტიანულ და მანამდელ ლიტერტურაში, იმდენი კარგი პროზაიკოსი, პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის თეორიტიკოსი თუ კრიტიკოს-ისტორიკოსი გვყავს, ძნელია ერთეულების გამორჩევა. მე თუ ვინმე მკითხავს, მეოცე საუკუნის სამი ქართული რომანის დასახელებას, დავასახელებდი: „დიონისეს ღიმილს“, „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“-ს და „დათა თუთაშხიას“. პოეტური კრებულებიდან ყველაზე უფრო მომწონს „არტისტული ყვავილები“, თარგმანიდან ფრანსუა ვიიონის დავით წერედიანისეული თარგმანი. კრიტიკოსებიდან გურამ ასათიანისა და აკაკი ბაქრაძის ნაწერები. თავი და თავი კი, მაინც ქართველი კაცის სინდისი და ნამუსი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანია“.

10. სხვადასხვა ლიტერატურულ მიმდინარეობებზე რას იტყვით, რომელიმე მათგანის გავლენა განგიცდიათ?

არ მეგულება საქართველოში, არა მარტო ჩემამდელი, არამედ შემს შემდგომი თაობის მწერალი, „ცისფერყანწელების“ მაგალითით რომ არ ეცხოვროს ან არ ეწეროს, მანამდე, ვიდრე საკუთარ ხმას არ აღმოაჩენდა საკუთარსავე ხმაში.

ყველა მიმდინარეობას აქვს რაღაც დადებითი და თუკი ის მასშტაბურ სახეს იძენდა, გარკვეულ როლსაც თამაშობდა ლიტერატურის განვითარებაში. იყო მოდერნიზმი, იყო პოსტმოდერნიზმი, იყო სიურეალიზმი და კიდევ ათასი იზმი და ისტი, მაგრამ, მთავარი მაინც კლასიკაა, ყველა დიდი მიმდინარეობა კლასიკამდე მიდის და კლასიკის ნაწილი ხდება.

11. საკუთარი თავისადმი ხართ თუ არა მომთხოვნი, პრეტენზიული, ძირითადად როდის მუშაობთ ანუ წერთ, ამბობენ – რომ დიდ ხელოვანებს მუშაობისას გარკვეული თავისებურება გააჩნიათ. ჩვენ გაგვიგონია, რომ შილერს არ შეეძლო რაიმეს შექმნა, თუ მაგიდაზე დამპალი ვაშლი არ ედო. შარლოტა ბრონტე რომანის წერას თავს ანებებდა ხოლმე და კარტოფილის გასაფცქვნელად მიდიოდა. ანრი მატისს დახატვამდე ყოველთვის უჩნდებოდა ვინმეს დახრჩობის სურვილი. გოგოლი ყინულის ლოდზე აწყობდა შიშველ ფეხებს. ედგარ პოს შეეძლო, საათობით მჯდარიყო მაგიდასთან და ეცქირა ცარიელი ფურცლისთვის. შუბერტი სანამ რაიმეს შექმნიდა, სავარცხელზე უკრავდა.

იმედია, მსგავსი უცნაურობები არ გახასიათებთ, მაგრამ მაინც რა არის ის აუხსნელი რამ, რაც თქვენი პოეტური განცდების ინსპირაციას ახდენს?

მწერალს, რომ იტყვიან ხოლმე, ტიტანური შრომა სჭირდება, ღირებული ნაწარმოები რომ შექმნას. ამასთან, ნიჭია საჭირო. სიზარმაცის გამო ბევრმა ნიჭიერმა მწერალმა გაფლანგა ნიჭი. დღეს ფსევდო მწერლები უფრო მომრავლდნენ, წალეკა ყველაფერი ერზაცნაწარმოებებმა და მაკულატურამ. ბავშვობიდან მიყვარდა ხოლმე სხვენში აძრომა და იქ წერა. უკეთესია ნაკლებპროდუქტიული იყოს ავტორი და ღირებულს ქმნიდეს, ვიდრე პროდუქტიული იყოს და წყალწყალა ნაწერებს ახვავებდეს.

არსებობს ორი სამყარო, რეალური და ილუზიური. რეალური სამყაროს პარალელურად მწერალი ქმნის ილუზიურს, ლამაზს და მშვენიერს. ეს ორივე ერთმანეთს ავსებს და კვებავს. დღეს, სამწუხაროდ, მხოლოდ ქმედითი ანუ რეალური ცხოვრება ჭარბობს ჭვრეტითს ანუ ილუზიურ, წარმოსახვით ცხოვრებას, ამიტომაცაა, რომ სულიერ შიმშილს განიცდის ადამიანი. ეს, რა თქმა უნდა, დროებითია, ცხოვრებაც მდინარესავითაა, თავდაპირველად იმღვრევა და თანდათანობით დაწდება. ადამიანი კი დალაგებულ და დამშვიდებულ ცხოვრებას მიელტვის, საამისოდ საჭიროა ყველამ იცხოვროს სულის კანონებით. ეს ასე რომ მოხდეს, მიუხედავად იმისა რომ, ატომგულისა და თერმობირთვული დაზამთრების ეპოქაში გვიწევს ცხოვრება, ყველა უნდა მიუბრუნდეს წიგნს. მწერალი იმიტომ ქმნის ილუზიურ სამყაროს, რომ უხეშ და შიშველ სამყაროში არსებულ ადამიანს გაუჩინოს და განუმტკიცოს რწმენა, რათა ახალი ენერგიით იბრძოლოს კეთილის დასამკვიდრებლად, ახალი ძალისხმევითა და შემართებით შეალამაზოს და შეამსუბუქოს ცხოვრების სისასტიკე.

12. როგორც მწერალი და როგორც რედაქტორი – რა რჩევას მოგვცემდით „ზღვაურელებს“?

„ზღვაური“ ძალიან საინტერესო ჟურნალია. მე მისი ხშირი მკითხველი ვარ. თქვენი ჟურნალის რედაქტორი, ქალბატონი ბელა ქებურია შესანიშნავი პოეტია. უდიდეს მამულიშვილურ საქმეს აკეთებს. მან არაერთი ნიჭიერი ავტორი წარმოაჩინა და გაუკვალა გზა დიდ ლიტერატურაში. მადლობა მას.

მწერლობა ვერ იტანს, ვერ ეგუება სიყალბეს. ყალბმა ხელოვანმა, შესაძლოა, გარკვეული დროის მანძილზე მოატყუოს, ან შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი ან მაყურებელი, მაგრამ ყალბი შთაბეჭდილება მოჩვენებითია, დროებითი დიდება მალე დაემხობა, ავტორს კი აღარ დაუჯერებენ და აღარ ენდობიან.

კარლ ბართი ამბობდა: „ბიბლიაში ჩვენ ვიპოვით სწორედ იმდენს, რამდენსაც ვეძებთ, დიადსა და ღვთაებრივს, თუ დიადსა და ღვთაებრივს ვეძებთ, მნიშვნელოვანსა და ისტორიულს, თუ მნიშვნელოვანსა და ისტორიულს ვეძებთ, და სრულებითაც არაფერს, თუ არაფერს ვეძებთ“.

ყველა „ზღვაურელს“ ვუსურვებ წარმატებას, ზღვასავით ენერგიას და ზღვასავით დაუდგრომლობას.

კარგი ლექსები კარგი მოთხრობები და წერილები ეწერონ თქვენს ახალგაზრდა ავტორებს და, რაც მთავარია, ყველა მათგანს, უპირველესად, ეაზროვნოს ქართულად.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ
ᲯᲘᲒᲚᲐᲫᲔ

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲮᲐᲑᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ...

ერთ-ერთი ეპიტაფია ასე გვიმხელს სიკვდილისა და სიცოცხლის მარადიულ სევდას:

„გადაეფარა ბალახი
საფლავს – სიცოცხლის წერტილსა,
თქვენ ჩვენთან როგორ არ ხართ,
ჩვენ აღარა ვართ შენთვისა...“

მიუხედავად ამისა, მონატრებული ადამიანი თავს მუდამ გახსენებს და სურვილი გეძალება, რომ აქეთ მყოფნი, წარმოსახვაში მაინც ვიყოთ მათთან. ეს გრძნობა მით უფრო მტკივნეულია, როცა გააზრებულად იცი, რამდენი სითბო და სიყვარული დაგვიტოვა უკვე იმქვეყნიურმა ბინადარმა და ამის საპასუხოდ, როგორ გულგრილი ვიყავით სიცოცხლეში მისგან მომავალი სითბოსადმი, გვეგონა ადამიანური ურთიერთობის ეს ფორმა მარადიულია, ჩვეულებრივი დამოკიდებულებაა და მას მოვლენის, განსაკუთრებულობის შინაარსს არ ვანიჭებდით.

შედეგიც ასეთი დამოკიდებულებისა, ჩემი გადასახედიდან, შესაბამისია, ზურაბი, ავადმყოფობის გამო, ვერ გავაცილე მის უკანასკნელ გზაზე.

არადა, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე იგი შემეხმიანა და მისი ნახატებით დასურათებული წლის კალენდარის თბილისში მყოფ მეგობრებზე გადაცემა მთხოვა და სიხარულით მამცნო, წელს შეიძლება ჩემი ოცნება ავიხდინო, მაღალ წრეებში მპირდებიან მხარდაჭერასო.

ხასიათი ჰქონდა, მარტოდ მოსიარულე, მუდამ ჩაფიქრებული კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

სინამდვილეში, სიარულის დროსაც წარმოსახვაში გაცოცხლებულ პერსონაჟებს ფუნჯის გარეშე ხატავდა. ტილოზე გარდასახვამდე მითიური გმირების ხასიათს სწავლობდა, სულის სიღრმემდე ჩაყოლილი მათი განცდებითა და იდეებით დამძიმებული დააბიჯებდა ქალაქის ქუჩებს.

ამიტომაც გვაკვირვებდა აღმოსვლური პოეზიის ცოდნით, როცა ფირდოუსის „შაჰ ნამეს“ დასურათებას აპირებდა, შოთას პოეზიის სული მოქონდა, როცა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათებაზე მუშაობდა, ვაჟას პოეზიაში ისეთ საიდუმლოებებს გვიმხელდა, რომ გვიადვილბდა პერსონაჟთა სულის კიდობანში წვდომას, ასე ქმნიდა გალაკტიონის პერსონაჟებს, ზღაპრულ ამირანს, ანტიკური ეპოსის გმირებს.

მიღებულია, შემოქმედს დიდ ავტორიტეტებს შეადარებენ და ამ მეტრით ზომავენ მის სიდი-

ადეს. იგი, მართლაც ჰგავდა ანტიკური ხელოვნებისა და აღორძინების ხანის ტიტანებს, მისი პედაგოგის, ცუცქირიძის სტილიც ჩანდა მის შემოქმედებაში, მაგრამ ვინც იცნობდა მის ხელოვნებას, დარწმუნებულია, რომ იგი არავის ჰგავდა, გარდა საკუთარი თავისა, სხვაში ეძებდა და საკუთარ „მეში“ პოულობდა მისი გმირების ხასიათთა საიდუმლოებებს.

ხელოვნებაში ვერ ეგუებოდა უშინაარსო, თემასა და იდეას მოწყვეტილ დამოკიდებულებას, თუმცა მოდერნიზმშიც ეძიებდა რაციონალური მარცვლის პოვნას, მაგრამ კლასიკისადმი ერთგულებას ამჯობინებდა, ამგვარმა დამოკიდებულებამ შეაქმნევინა „შუშანიკის წამების“, შექსპირის ილუსტრაციები. გასაოცარია მისი დამოკიდებულება ფერწერისადმი და ფერთა საიდუმლოების ძიებისადმი. ცისარტყელას ფერები არ ყოფნიდა, ულტრაიისფერებს წარმოსახვით ხედავდა და მრავალ ფერთა შეზავებაში არჩევდა განსაკუთრებულს, რომელიც მხოლოდ მხატვრის თვალს შეეძლო გაერჩია, ასეა მოხატული თინათინისა და ნესტანის ფარჩა-სადიდებელი, რომლის მსგავსი ბუნებაში არაფერია, მაგრამ მის ნახატებში სიცოცხლის სამკაულივით ჩანან.

„ვეფხისტყაოსნის“ ტარიელის მფრინავი რაშის შესაქმნელად, ლაოკოონიის ავტორივით ქვეწარმავლებთან არ უცხოვრია, მაგრამ ყველას გვახსოვს, ქალაქის პირას, სოფელ ურეხში, მისი სახლის ვიწრო ეზოში, საგანგებოდ შეძენილი ულაყის საჯინიბო და ბათუმის ქუჩებში ამხედრებული ზურაბი, რაც ბევრს აკვირვებდა, მას კი სურდა გაგეგო ამ თვინიერი არსების ბუნება. ამიტომ არიან მისი დახატული მერნები გამორჩეულები, მათ ნესტოებიდან ქშენა ისმის, ხოლო დაკუნთული მკერდიდან გული ბაგა-ბუგობს და გრდემლივით სცემს. აკი, უყვარდა კიდეც სადღეგრძელოში: – არაბული ტაიჭის გული მოგცეთ უფალმაო, ამ სურვილის შინაარსში, რატომღაც გულის სიდიდეზე ვამახვილებდით ყურადღებას, მას კი, ჩვენგან განსხვავებით, ადამიანური გული ჰქონდა მხედველობაში, ოღონდაც განკაცებული მერნებისა.

ვან გოგის უცნაურობანი არ სჭირდა, მაგრამ სხვათაგან იმით იყო გამორჩეული, რომ ურთიერთობაში საიდუმლოების შენახვის მომხრე არ იყო, გვაფრთხილებდა კიდეც, ჩემთან საიდუმლოებას ნუ გაამხელთ, აუცილებლად მეთქმებაო და მეფისტოფელსავით ჩაიღიმებდა, ჩვენ, მის მეგობრებს, – დავით თოდორაძეს, სულმნათ ნუგზარ ჯაფარიძეს, ხშირად გვავიწყდებოდა მისი დანაბარები და ოჯახში, მისგან გამხელილი ჭეშმარიტებით თვალახელილი და გამძვინვარებული მეუღლეების დასაშოშმინებლად დასძენდა: რა ბედი მაქვს, სიმართლეს ვლპარაკობ და მაინც მე მსაყვედურობენო.

ტიტანური შრომა შეეძლო ჩანაფიქრის შესასრულებლად, შთამომავლობამ უნდა იცოდეს, ბათუმის, ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ფარდის, „ოქროს საწმისის“ შესაქმნელად, მრავალგრაგნილიანი ესკიზების შემდეგ, გადაწყვიტა, შესაბამისი სამხატვრო სახელოსნოს აშენება ს. ურეხში, დაიწყო და ყველანი ჩაგვრთო, მათ შორის, იქვე, ციტრუს-კომბინატის მშენებელი, საოცარი სიყვარულის კაცი, ოთარ შერვაშიძე, რომლის თვითმცლელებს მისამართი ეშლებოდათ და დღეში 2-3-ჯერ მოზელილ ბეტონს მის მშენბარე სახელოსნოსთან ცლიდნენ.

სახელოსნო ავჩონჩხეთ და რა გამოვიდა: თეატრის წაქცეული სცენა დარბაზად, ხოლო სცენაზე აღმართული, დაყუდებული დარბაზი, თავისი იარუსებით, ზედ, ყველა კუთხიდან ჭოგრიტით მჭვრეტელი ზურაბი, რათა დაეჭირა ვინჩის „ოქროს წესის“ კანონი, ფარდაზე დახატულ მედეას ყველა რაკურსიდან შეხედვისას. ერთი პერიოდი, ბათუმელები ხუმრობდნენ, კიდეც: თეატრში სპექტაკლი თუ არ მოგვეწონა, ზურას ნახატის ცქერით მაინც ვიჯერებთ გულსო. სახელოსნო დაუმთავრებელი დარჩა, სამაგიეროდ, საუკუნეების წინ, ესქილეს მიერ ბრალდებულ მედეას, ჩამორეცხა შურისმაძიებელი ცოლის, შვილების მკვლელი დედის, მოღალატე შვილის, ძმის გამწირველი დის ცოდვები და იგი კოლხ ასულად, მედიცინის დედად, ქართველთა გონის სიმბოლოდ დაუტოვა შთამომავლობას.

სიყვარული მისთვის უდიდესი ფილოსოფია იყო. ხალხურ პოეზიაში იმ მიდგომებს ადიდებდა, სადაც სიყვარული ზეციურ ძახილად ისმის, უყვარდა ჩუმი ჩაღიღინება: „ვაჰმე, მას ისიც დაერთოს, მე მიყვარდე და შენ არაო“. ამის საპასუხოდ, ასევე ფილოსოფიური პარადიგმა ჰქონდა შემუშავებული: „სანამ, ვინც გიყვარს ის დაგიწუნებდეს, დაასწარი და შენ დაიწუნეო“. რამდენ ხიფათს გადაგვყარა მისმა ამგვარმა ფილოსოფიამ, ესეც ცალკე თემაა.

მთავარი კი, მის ნახატებში განფენილი სიყვარულის ძიებაა. არისტოტელეს „პოეტიკის“ ცოდნა არაა აუცილებელი, რომ მის ხელოვნებაში მშვენიერება იპოვო, მის ქმნილებებში თავად სიყვარულია სილამაზე, ხოლო სიყვარულით შექმნილი სილმაზეა მშვენიერება, ამიტომაა მისგან შექმნილი ნესტანი, თინათინი, მზაღო, მედეა და ბევრი სხვა არა მიწიერი, მაგრამ მაინც თვალით ხილული და სიყვარულის ძალით დამონებულნი მშვენიერების სურათხატება. ცალკე თემაა, როგორ უყვარდა ზურას თავისი ნამუშევრები. შიმშილს არჩევდა და ნახატს გასაყიდად არ გაიტანდა, ვერ იმეტებდა, მაგრამ საქვეყნო საქმისთვის უშურველი იყო.

ახალგაზრდულ ორგანიზაციაში ვმუშაობდი. ერთხელაც, 1978 წელს, ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი ილია II ეწვია მის ბათუმს, დღევანდელი ბარცხანის შესასვლელეთან, ორი ხიდის გზასაყართან, ბარცხანის კულტურის სახლი იდგა, იქ მიგვიწვია პატრიარქმა აჭარის ახალგაზრდული ორგანიზაციის მაშინდელი თავკაცები, დაგვმოძღვრა, ღვთის სიყვარულისკენ მოგვიწოდა და მიტოვებული ეკლესიების პატრონობაზე დავალებები მოგვცა.

ასე მოვინახულეთ სხალთის ეკლესია, ზურაბს, მის მეგობრებს – გურამ ფუტკარაძეს, ნოდარ შავაძეს, რეზო ჟღენტს, ახალგაზრდა მხატვრებს, ვთხოვეთ მათი ნამუშევრების ნაწილი დაეთმოთ და ეკლესიაში განეთავსებინათ, ზურას სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რამოდენიმე ნახატი მისი ხელით განათავსა ეკლესიაში და დაიწყო ეკლესიის ახალი სიცოცხლე, მობრძანებული სტუმრების მიღებისა და ჩვენი ისტორიული მემკვიდრეობის საპატიო ადგილად იქცა. ახლა, იქ, ზარები უხმობენ მრევლს.

რამდენად დიდი იყო ფერწერულ ხელოვნებაში, სურდა ასეთივე კვალი დაეტოვებინა მწერლობაშიც, მისი ადრინდელი და ბოლო პუბლიცისტური წერილები მკითხველს ჩააგონებენ, რამდენად უსაზღვროა კაცის გონება და დაუოკებელია სურვილი „ჰომო საპიენსის“ სრულყოფისათვის. მისი არსებობისა თუ გადაგვარების დაულეველ ისტორიაში.

ქართული ფილოსოფიური სკოლის უგულველყოფამ დღევანდელი თაობის შეხედულებები ბევრ რამეზე გააღარიბა, გააშიშვლა. ინტიმი, ლამისაა საკუთარი სარეცელი სამზეოზე გამოვიტანოთ, პრობლემების გამო წუხდა ზურაბი და მის საპირწონედ გენიოსთა გამონათქვამების მოხმობით შექმნა წერილების სერია „უსათაუროდ და უმისამართოდ“, ზოგმა ეს წერილები ფილოსოფოსთა ნააზრევის კრებულად აღიქვა, თუმცა მას სათაურიც აქვს და მისამართიც, ოღონდაც გალაკტიონის მერივით შორეული და ილუზიურ სამყაროში შემონახული, სინამდვილეში ეს წერილები საკუთარ თავთან დიალოგია, სხვათა სიბრძნის მოხმობით კი თავს იცავდა იმათგან, ვინც ასე ურცხვად გააშიშვლა გრძნობები, რომელსაც მუდამ მალვა უნდა.

მთელი ცხოვრება შეიძლება იმეგობრო ადამიანთან და ერთ დღედ მიგაჩნდეს ეს ხანგრძლივი პერიოდი. ის კი გამონაკლისი იყო. ერთ დღეს შეეძლო ყოფილიყო ვინმეს მეგობარი და მთელი ცხოვრება დაუვიწყარი დარჩენილიყო. ისე, რა უბრალო, მარტივი იყო მასთან ურთიერთობა, იმდენად რთული და ძნელი იყო ამ ურთიერთობის მარტივად შენარჩუნება.

ამის მაგალითია მისი ურთიერთობა ოჯახის უახლოეს ადამიანებთან, დებთან, მეუღლესთან, შვილთან, რომელსაც სიყვარულით ზურაბი დაარქვა.

ჩვენ, მონატრება, სახელში დაკარგული გვარი – ხაბაძე და გვარში განფენილი სახელი – ზუ-

რაბი დაგვიტოვა, ახლა მისგან ნაჩუქარი ნახატებიდან გვესაუბრება.

მართლაც, შეუცნობელია ღვთით ნაჩუქარი ნიჭით მისგან დატოვებული სულთა სამყაროს საიდუმლოებანი. მისნაირები უხმაუროდ ჩნდებიან და ასევე უხმაუროდ მიდიან ამ წუთისოფლიდან. ისიც უნდა ვთქვათ, ფერწერასთან ერთად, არწივის ქანდაკებას ქმნიდა. მამაჩემის საფლავზე უნდ დავდგა, ვერ ვისვენებ, რომ საფლავშია ჩაჭედილიო. სხვისი არ ვიცი, მაგრამ მე სურვილს ვერ დავმალავ, არწივის ქანდაკება მის საფლავზე უნდა იდგეს, რათა შეგვეძლოს ჩავჩურჩულოთ: ერთხელ კიდე ამოფრინდი, ზურაბ, შენ ეს შეგიძლია!

ხვედრი ხელოვანისა, ყოველ დროში, ასეთი იყო: სიყვარული, რომ დაედასტურებინათ თანამედროვეთ, მაინც და მაინც ხელოვანის სიკვდილი იყო საჭირო.

ესეც აუხდა, რამდენად შესაძლებელი იყო, მისი ნიჭის თაყვანისმცემელმა თაობამ პატივყო, მოესიყვარულა და იქ მიუჩინა ადგილი, სადაც განისვენებენ სიცოცხლეში დიადად მიჩნეულნი და სიკვდილში უკვდავყოფის ღირსად აღიარებულნი ერის შვილები. „კაი ყმას“, როგორსაც ვაჟა ხატავდა და ზურაბი ეთაყვანებოდა, სამარადისო სამკვიდრო მაინც ხსოვნაში აქვს, ხალხის ხსოვნაში, აწი, მისი გმირები ისაუბრებენ შემოქმედის „კაი ყმობაზე“. ოღონდაც, საკითხავია ვინ, როგორ და რა სიდიადით უპატრონებს მისი ხელოვნების ფასდაუდებელ ნიმუშებს, როგორ შეუნახავს და წარუდგენს მათ შთამომავლობას?!

ქ. თბილისი,

აპრილი, 2019 წელი.

ჭოროხი 2

2019

მალხაზ ფაღავას
პირადი ციფრული
ბიბლიოთეკა
2019
malkhaz.pagava@mail.ru